საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№6 (632)    4 – 10 თებერვალი * ფასი 1,50 ლარი



გვ. 14

რას არ უმხელდა ლადო ბედუკაძე 12 წელი ცოლს და ვინ იყო მისი „პატრონი“ ციხეში

გვ. 19

რა კავშირი ჰქონდა ხათუნა პაიჭაძეს ჭიდაობასთან და ვინ ვერ დააწვინა მან მიწაზე

გვ. 22

რის გამო შეიძლება, დათო ევგენიძემ გააღვიძოს ცოლი ღამის 3 საათზე



გვ. 38

ვისმა მკვლელობებმა გაუწყვიტა მოთმინების ძაფი ირაკლი კაკაბაძეს



გვ. 75

როგორ განვითარდა ტონინო გუერასა და თბილისელი ქალბატონის საოცარი სიყვარულის „არანორმალური“ ისტორია



რით ცდილობდა გიორგი სუხიტაშვილი გოგონებისთვის „კალგოტკებზე“ თვალის წასვლას და რაში გამოირჩეოდა ის განსაკუთრებული პროფესიონალიზმით

გვ. 46



გვ. 35

რა ათწლიანი ოცნება უსრულდება არჩი ფურცელაძეს და რატომ არის მისთვის ძალიან ძნელი უცხოეთში ქართველობა



რატომ აიღო გიორგი ჯაჯანიძემ სექსუალური შვებულება და როგორ გახდა ის შუაღამისას პეპინზე დათვის „მსხვერპლი“

გვ. 74



გვ. 70

რატომ უპირებდნენ კანჩოს კარცერში ჩასმას და რატომ ვერ ჭამდა ის ციხის საჭმელს

ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი

წიგნი 7.50 + ჟურნალი 1.50 = 9 ლარი

ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 14 ლარი

საბავშვო ენციკლოპედია




არქიტექტურა

## იღბლიან კვირას გისურვებთ!

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ მიაჩნია სერგეი მარკოვს „ნატოსადმი“ სიყვარული ქართველების უსაქმურობისადმი სიყვარულის მაჩვენებლად ........ 6



რა პირობები შეათანხმა ბიძინა ივანიშვილმა დასავლეთთან და როგორ აბალანსებენ „ოცნებას“ „ნაციონალური მოძრაობით“ ..... 8



ღირს თუ არა ერგნეთის ბაზრობის გახსნის პოლიტიკური ფასი კრიმინოგენური ვითარების გაუარესებად, ქართველი მოსახლეობის დანაშაულებრივ სქემაში ჩართვად და საქართველოს სასაზღვრო უწყების გასაკორუმპირებლად ........ 10



რა საერთო ჰქონდა მონღოლეთის კომუნისტურ ლიდერს ჰორლოგიინ ჩოიბალსანს სტალინთან და რამდენი მილიონი ფალსიფიცირებული ზედმეტი ხმით გაიმარჯვა არჩევნებში ზიმბაბვეს დიქტატორმა რობერტ მუგაბემ........12



რომელი სკანდალური ისტორიების გმირები გახდნენ „ფორბსის“ მილიარდერები.....13

ადვოკატი გირჩევთ ........ 17

რა მიჰქონდა ქოთნებით მსოფლიო პატრიარქთან ზვიად კვაჭანტირაძეს და რით დაკავდა ის ძველ ხელისუფლებასთან „განქორწინების“ შემდეგ ........ 18

რა განაჩენი შეიძლება გამოუტანოს ქალმა საკუთარ თავს და რისთვის სჭირდება მას ქმარი და საყვარელი ერთად ........ 20

როგორ დაკარგეს ერთმანეთი ნათესავებმა და ვის ეძებს უკრაინაში მცხოვრები 49 წლის მამაკაცი საქართველოში ........ 21

რის გამო შეიძლება დათო ევგენიძემ გააღვიძოს ცოლი ღამის 3 საათზე ....... 22

ვინ იყო ტრამვაის პირველი ვატმანი თბილისში და რომელ წელს მოხდა ტრამვაის ხაზების დემონტაჟი მელიქიშვილის გამზირსა და ვაგზლის მოედანზე ........ 23

რისთვის არის საჭირო სახლის ხშირი კურთხევა და რატომ უნდა მივაბრძანოთ სახლში გარკვეული დროით წმიდა ხატები ........ 24



მოძღვარი გვირჩევს .......... 25

ბალოტელი ბინას აქირავებს ......... 27

ექიმის რჩევები ............ 29

რას ჰპირდებოდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მცირეწლოვან შვილებს საჭირო ინფორმაციის სანაცვლოდ ........ 30

რომელ ხილსა და ყვავილებს შეუძლიათ სახლში უარყოფითი ენერგიის გაძლიერება და დადებითის დაბლოკვა.............32



რა აკავშირებს მიხაილ გორბაჩოვთან ტარანტინოს „ჯანგოს“ ვარსკვლავ კრისტოფ ვალცს და როგორ იხსენებს ის „უსახელო ნაბიჭვრებზე“ მუშაობას ........ 34

რა ათწლიანი ოცნება უსრულდება აჩი ფურცელაძეს და რატომ არის მისთვის ძალიან ძნელი უცხოეთში ქართველობა ........ 35

ვისმა მკვლელობებმა გაუწყვიტა მოთმინების ძაფი ირაკლი კაკაბაძეს .. 38

რა აღიზიანებს ყველაზე მეტად ნინა ფოცხიშვილს და რატომ არის ის მექსიკის, ხოლო მისი და – ჩინეთის მოქალაქე ........ 43

რით ცდილობდა გიორგი სუხიტაშვილი გოგონებისთვის „კალგოტკებზე“ თვალის წასვლას და რაში გამოირჩეოდა ის განსაკუთრებული პროფესიონალიზმით ..... 46

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 47

რამ გამოიწვია მკვლელობებისა და თვითმკვლელობების სერია თბილისში, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა..........48



როგორ გახდა ტაქსის მძღოლის ძალადობის მსხვერპლი ქალი, რომელიც მისი მამის საყვარელი იყო............50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს......................51



ვეტერინარის რჩევები ....... 56

ფლორის სამყაროში ....... 56

წამების რა ხერხებს იყენებდნენ რეპრესირებული ქალბატონების წინააღმდეგ ... 57

მე – დაქირავებული მკვლელი .............. 58

როგორ იძია სტალინმა შური ილიას მკვლელებზე ........ 62

მგლები 5 ........ 66

რატომ უპირებდნენ პანჩოს კარცერში ჩასმას და რატომ ვერ ჭამდა ის ციხის საჭმელს ........ 70



შეკითხვა ასტროლოგს...................72

ცოლ-ქმარს შორის მუდმივი ჩხუბისა და კონფლიქტის მიზეზი ხშირად მათ შორის ენერგიის არასწორი გაცვლაა..........................72

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ........ 73



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე

რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი

კორექტორი: ხატია ქლენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე

ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ასლანიდის (ყოფილი ალმასიანის) ქუჩა №14
სპორტის სასახლის გვერდით („მაკდონალდსის“ უკან)

ტელ: 233-42-24; 599 10-15-20 221-31-12

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 221-31-34

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge
tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# 3 D - ს მოლოდინში

## ჩეთი – ლაპარაკის ნაცვლად

რაკი **რიგით მეორეა, დანარჩენები კი კვლავაც სანგრებში არიან ჩამალული** (უკეთესი დროის, ან, იქნებ უკეთესი პატრონ-პარტნიორის მოლოდინში), სავსებით **ბუნებრივია, რომ აწ უკვე ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობა“ ზომაზე მეტადაც კი აქტიურობს**. მართალია, **მთლად ნაცარქექიასავითაც ვერა (ქვიდან რომ წვენი გაადინოს), თუმცა, ცდას არ აკლებს.**

ასე, მაგალითად, სულ ახლახან შევიტყვეთ, რომ **„საქართველოს ისტორიაში პირველად „ნაციონალური მოძრაობა“ გადადის საზოგადოებასთან კომუნიკაციის ახალ ეტაპზე“.** ეს ახალი ეტაპი კი, როგორც პარტიის გენმდივანმა მოგვახსენა, გულისხმობს **კომუნიკაციის ისეთ თანამედროვე საშუალებას, როგორიც არის ინტერნეტი** (შესაბამისად, კითხვას, **რატომ იყო პოსტრევოლუციური ოპოზიციური პარტია გონებაჩლუნგი**, ამ ახლებურ რეალობაში აქვს პასუხი: **იმიტომ რომ მას არ ჰქონდა ინტერნეტი!).**

სიტყვა, ცხადია, **სიტყვად არ დარჩენილა** (ვინაიდან, **„ჩეთი – ლაპარაკის ნაცვლად“**) და ამის დასტურად ბ-ნი **მერაბიშვილისგანვე შევიტყვეთ, რომ „ნაცმოძრაობამ“ შექმნა ახალი ვებ-გვერდი**, რომელიც არის **„ყველაზე დინამიკური, როგორიც პოლიტიკურ ორგანიზაციას ოდესმე ჰქონია** (მე, ჩემდა თავად, დავამატებ, რომ, მაგალითად, დავით აღმაშენებელს არათუ არ ჰქონია ვებ-გვერდი, ეჭვი მაქვს, ინტერნეტში მუშაობაც კი არ იცოდა. ხედავთ, სად გავარდა ტექნიკა?!)“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ **ინტერნეტის მაინცდამაინც მოჭარბებას არ ვუჩივით**, ვინაიდან **თანამედროვეობის ამ მიღწევით მთლად მთელი არაოკუპირებული საქართველოც არ არის დაფარული**, რთული სათქმელია, **რა როლს შეასრულებს ინტერნეტით მანიპულირება „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური მიზნების მიღწევაში,** თუმცა, რაკი ყველას გვახსოვს, რომ პირველ **ოქტომბრამდე მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე პრეზიდენტი 3D მთავრობას დაგვპირდა** (მომყავს ციტატა მისი გამოსვლიდან: **„დააჭერ ხელს და ეკრანზე გამოჩნდება 3D ადეიშვილი“**), ვფიქრობ, „ნაცმოძრაობის“ ახალი ვებ-გვერდი ამ დანაპირების ასრულების საუკეთესო საშუალებაა: **მართალია, მთლად მთავრობის წევრებით ველარ**, მაგრამ, **3D „ნაციონალებით“ მსურველების დატკბობა ხომ მაინც შეუძლიათ?!**

# მერის ფსიქოანალიზი

## სუტენიორობიდან – ჩუკენობამდე

შესაძლოა იმიტომ, რომ **ჩვენი მშობლიური ენა მეტად მდიდარია,** ან, იქნებ, **რელიგიურ ტერმინოლოგიაში საკუთარი განსწავლულობის გამოსავლენად,** დედაქალაქის **მერმა** (წესითა და რიგით, ლაზათიან ქცევაში მისაბაძმა



მაგალითმა), **ოპონენტთა შეფასებისას ამ ჩვენს ისედაც რთულად კოაბიტაციურ პოლიტგარემოში** ისეთი **პროზაული შედარება შემოიტანა, როგორიც ჩუკენობაა** (ჯერჯერობით სიტყვიერ დონეზე, თუმცა, **არ არის გამორიცხული, სიტყვა საქმეშიც გადაიზარდოს**).

ერთი სიტყვით, ბ-ნმა **უგულავამ მთავრობას ზემოხსენებულ მავნე ჩვევაზე ხელის აღება ურჩია**, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლებიდან **მას მხოლოდ იუსტიციის მინისტრი გამოეხმაურა** და განმარტა, რომ **ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცის**. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, **დედაქალაქის მერს მის მიერ ხმარებული სიტყვა აღარ განუმარტავს**, სამაგიეროდ, **დიდი პოლემიკა პოლიტიკური პარტიების მომხრე-მოწინააღმდეგეებს შორის გაიმართა.**

მერის სიტყვამოსწრებულობით მოხიბლულები აქცენტს იმაზე აკეთებდნენ, რომ **„მასტურბაცია“ უცენზურო სიტყვათა რიგს არ მიეკუთვნება**. ბუნებრივია, **არ მიეკუთვნება** (ოღონდ ისიცაა, რომ **ვერც „საყველპურო ქართულს“ დავარქმევთ**), თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **პარლამენტის ნაციონალი დეპუტატები ლამის პარლამენტის გამჭვირვალე შენობიდან ამოხტნენ**, როდესაც **„მეოცნებე“კოლეგამ** (ბ-ნმა ქანთარიამ) **პოლიტიკურ სუტენიორობაზე ხელის აღებისკენ მოუწოდა**, ამ ფონზე, წესითა და რიგით, ჩუკენობის გაგებაზე გული უნდა წასვლოდათ.

ასეა თუ ისე, **რაკი ზიგმუნდ ფროიდი ბრძანებს, რომ სიტყვები ჩვენს ფარულ პრობლემებზე მიუთითებს**, ხოლო **აწ კახეთის გუბერნატორი ბ-ნი ჭიაბერაშვილი თავის დროზე ქართლის დედის ფსიქოანალიზით იყო გატაცებული**, იქნებ, შექმნილ ვითარებაში ახლაც ჩარეულიყო და თავისი კომპეტენტური სიტყვა შეეწია ამ ჩვენი მერისთვის, პოლიტიკური ვითარების შეფასებისას, **რაღა, მაინცდამაინც, ჩუკენობა გაახსენდა?!**



# თბილისი VS ქუთაისი

## აქედან – იქ, იქიდან – აქ

ისე მოხდა, რომ **საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი კვლავ აქტუალური პრობლემაა**, ლამის **იმაზე აქტუალურიც კი, უნდა დავბრუნდეთ თუ არა დსთ-ში.**



ცხადია, რომ არც თბილისელებისთვის და არც დანარჩენებისთვის **იქ, ზემოდან, არაფერი უკითხავთ, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ ისე გადაიტანა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელი თბილისიდან ქუთაისში.** ჰოდა, **რაკი არაფერი უკითხავთ** (და მერე რა, რომ „დემოკრატია“ დემოსის, ანუ ხალხის მმართველობას ნიშნავს), **დღიდან მერვე მოწვევის პარლამენტის შეყრისა, ახლა უკვე პარლამენტის იქიდან აქეთ გადმოტანაზეა საუბარი.**

ბუნებრივია, აზრი ისევ ორადაა გაყოფილი: **ინიციატივის ავტორები** (უმცირესობა) **დაჟინებით ითხოვს პარლამენტის ქუთაისში დარჩენას**, ოპონენტებს **(უმრავლესობას) კი გული თბილისისკენ მოუწევთ.** ბუნებრივია, **პრეზიდენტი უმცირესობის მხარესაა**. ჰოდა, **რაკი არის, შანსი არც გასულ კვირას ქუთაისელ სტუდენტებთან თბილისში გამართულ შეხვედრაზე გაუშვია**: კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ **ქუთაისი საქართველოს გეოგრაფიული ცენტრია,** ხოლო **პარლამენტის თბილისში დაბრუნება საქართველოს დამიწებას ნიშნავს.**

მართალია, **ოპონენტებს აქვთ არგუმენტი იმის ასახსნელად, თუ რატომ შემოუწყრა პრეზიდენტი თბილისს**, თუმცა, **თუ პირველი პირის ლოგიკას მივყვებით** (თბილისი თავკომბალაა, რაც რეგიონებს განვითარების საშუალებას არ აძლევსო), იქნებ, **თბილისი, საერთოდაც, მტრულ ქალაქად გამოგვეცხადებინა?!** თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ ამ **ქალაქს**



**არაბი ამირების 300-წლიანი ბატონობა მოუნელებია** (მრავალგზის მიწასთან გასწორებასა და ფერფლისგან აღდგენაზე აღარაფერს ვიტყვი), **ისიცაა, რომ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.**

# მწიფეთა უმწიფრობა

## შევა – არ შევა

გასულ კვირას **ისეთი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოს დსთ-ში შესვლა-არშესვლის საკითხმა,** რომ, არათუ **„ნაციონალი“ – „მეოცნებეს“, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში**. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ **„ნაციონალურმა“ უმცირესობამ თვით კონსტიტუციაში**



**მოითხოვა საქართველოს ჩრდილოატლანტიკური არჩევნის დაფიქსირება**. საბოლოოდ, გაირკვა, რომ **რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების პროცესში დსთ-ში დაბრუნების საკითხი არც განხილულა**.

ერთი სიტყვით, როგორც უნდა ყოფილიყო, ჯერჯერობით **ორივე პოლიტიკური ფლანგი შეთანხმდა, რომ კურსი დასავლეთისკენაა,** თუმცა ამ ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, მე რომ მკითხოთ, **სრულიად სხვაგვარ მიმართულებებზე მეტყველებს.**

მოგეხსენებათ, აგერ უკვე **ერთი კვირაა, რაც ყვითელი სამარშრუტო ტაქსები გაფიცვის რეჟიმში არიან.** ხოლო, რაკი არიან, **ბუნებრივია, მგზავრებს დისკომფორტი ექმნებოდათ**. გული კი უფრო იმის გამოც უსკდებოდათ, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, **გაფიცვას ყვითელი ავტობუსებიც და მეტროპოლიტენიც აპირებენ.**

ჩვენ არ შევჩერდებით **მძღოლების გაფიცვის დეტალებზე** (თუმცა, ის კი ფაქტია, რომ ამ ყვითელი სამარშრუტო ტაქსების შემოყვანაც და მგზავრობის ფასად 80 თეთრის დაწესებაც არაერთ კითხვის ნიშანს ბადებს), სამაგიეროდ, **ერთ ფაქტს გავიხსენებთ:** რამდენიმე წლის წინათ **აშშ-ში ჰოლივუდის სერიალების სცენარისტები გაიფიცნენ** იმ მიზეზით, რომ **ჯეროვან ანაზღაურებას არ უხდიდნენ**. გაფიცვის **მასშტაბი მეტად მოკრძალებული იყო:** რამდენიმე ტრანსპარანტიანი სცენარისტი ტროტუარზე, წრეზე დადიოდა. ბუნებრივია, მათ **სოლიდარობა სხვა ჟანრის სცენარისტებმაც გამოუცხადეს**, რამაც **კინაღამ ჩაშალა თვით „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიალი** (იმის გამო, რომ სცენარის დამწერი სცენარისტი ვერ მოიძებნა). საბოლოოდ, **კონსენსუსი შედგა და, ბუნებრივია, შედეგი სოლიდარობამ გამოიღო.**



თუ ამის ფონზე ჩვენს რეალობას გავიხსენებთ: აქეთ – **უტრანსპორტობით უკიდურესად აღშფოთებულ მგზავრებს**, იქით – **„თბილისის მიკროავტობუსის“ მუქარას** (თუ მძღოლები **პროტესტს არ შეწყვეტენ, მათ ადგილას სხვა მძღოლებს ავიყვანთო** და, ცხადია, **არც გაუჭირდებოდათ უმუშევართა ქვეყანაში კადრების მოძებნა**), იბადება კითხვა: **დასავლური ორიენტაცია კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერით დასტურდება** თუ **სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის სიმწიფის ხარისხით?!**

# ორგზის და ყოფილი

## ანუ სინდისი

მიუხედავად **სიტყვიერი შეხლა-შემოხლისა** (თუმცა ისიცაა, რომ შიგადაშიგ ეს ყოველივე სიტყვიერს სცილდება კიდეც), რაც **სრულ და ყოვლისმომცველ კოაბიტაციას გვირთულებს**, ისეც ხდება, რომ **„ნაციონალი“ პრეზიდენტი მაინც ამშვენებს ხოლმე თავისი ხელმოწერით „ოცნების“ ხელისუფლების მიერ მისთვის გაგზავნილი ელჩების კანდიდატურებს.**

სულ ბოლოს **აღმასრულებლებმა ქვეყნის პირველ პირს 15 ახალი ელჩის კანდიდატურა გადაუგზავნეს.** სიის ხელმოწერამდე საკითხს **პარლამენტის ორგზის და აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე** ბ-ნი ბაქრაძე **გამოეხმაურა**. კერძოდ, ეს უკანასკნელი **იმედოვნებს, რომ „ახალ ელჩებს ეყოფათ სინდისი და რამდენიმე თვეში მათი წინამორბედების პროფესიონალიზმს დაადასტურებენ“.**



ჩვენ არ ვიცით, **რა შვებას მოუტანს ან თავად** ბ-ნ **ბაქრაძეს**, ან, **სულაც, ყოფილ ელჩებს მათი შემცვლელების აღიარება**, თუმცა, **ნათავმჯდომარელი დარწმუნებულია**, რომ (მომყავს ციტატა): **„ის ელჩები, რომელთა გამოწვევაც დღეს ასე საჩქარო წესით ხდება, საქართველოს ძალიან ღირსეულად და პროფესიონალურად წარმოადგენდნენ** იმ ქვეყნებში და ორგანიზაციებში, სადაც ისინი იყვნენ აკრედიტებული.“ ჰოდა, **რაკი „ღირსეულად წარმოადგენდნენ“,** ბ-ნი **ბაქრაძეც დადარდიანებულა**, „არ ვარ დარწმუნებული, რომ ის გადაწყვეტილება, რაც მიღებული იქნა ელჩების სასწრაფო წესით გამოწვევასთან დაკავშირებით, რაიმეთი გამართლებულია.“

**გამართლებულია თუ არა, ძველები ახლებით გამოიცვლებიან,** თუმცა, **აწ უკვე მხოლოდ უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი**, როგორც მოგახსენეთ, **ელის, „რომ ჩვენს ახალ ელჩებს ეყოფათ იმის სინდისი და კეთილგონიერება, აღიარონ და განაცხადონ, რომ საქართველოს ძალიან კარგი ელჩები ჰყავდა.“**

უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულ **რეალობაში სინდისი ფრიად ინდივიდუალური,** თან, **მეტად შეფარდებითი კატეგორიაა.** ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, **მავანს სინდისმა ხელი არ შეუშალა, კვლავაც დარჩენილიყო საკანონმდებლო შტოს ხელმძღვანელად** მას შემდეგ, რაც **გაქანებული ომისას ჩანგლებით შეიარაღებისკენ მოგვიწოდა**, ახალი ელჩების სინდისის მომლოდინეს, იქნებ, ჯერ საკუთარი გაეღვიძებინა?!

# გულზე ეკალმოხვედრილები

## ანუ, ავტობანდაწუნებულები

მართალია, „ჯეკ რიჩერის“ **მსოფლიო პრემიერა გასული წლის დეკემბერში გაიმართა**, თუმცა, ჩვენს კინოთეატრებში ამ კინოფილმმა მხოლოდ 31 იანვარს ჩამოაღწია (სწორედ 2013 წლის 31 იანვარს შედგა მისი **კინოპრემიერა საქართველოს, ერთი ხელის თითებზე რომ დაეტევა, იმდენ კინოთეატრში).**



ფილმი დაძაბულსიუჟეტიანია (ანუ, **ამერიკულ სტილშია, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს ჭიანჭველის ფასი აქვს**) და მასში **მთავარ როლს ტომ კრუზი თამაშობს**. ჩვენ, ბუნებრივია, **დიდად არ ვნაღვლობთ, აღმოჩნდება თუ არა ის წარმატებული**, მაგრამ, **გულზე ეკლად მოგვხვდა,** რომ ფილმში **საქართველო უარყოფით კონტექსტშია მოხსენიებული**, სხვათა შორის, იმ კუთხით, რითიც **ჩვენ თავი მწვანე კიტრებივით მოგვაქვს:** კერძოდ, **ამ ჩვენს ავტობანებსა და მოასფალტებულ გზებს დასცინიან**. უფრო ზუსტად, ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი **შემდეგნაირად მოგვიხსენიებს**: არის ქვეყანა **საქართველო, რუსეთის მეზობლად, სადაც რაღაც კომპანიები სოფლებში აგებენ გზებს, რომლებიც არავის არაფერში სჭირდება**; აშენებენ ხიდებსა და ესტაკადებს, რომლებზეც არავინ დადის და არ ვითარდება. **ეს ყველაფერი სიმსივნური დაავადებასავით არისო.**

ჩვენ არ ვიცით (ან **ვინ გვეტყვის), რატომ შემოგვიწყრა აშშ-ური კინოინდუსტრია** ან **რატომ დაადგეს თვალი ამ ჩვენს ორიოდ ავტობანსა და ათიოდ ხიდს** (სხვათა შორის, ფილმი 2011 წელსაა გადაღებული), თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **ლამის ფეხქვეშ გავეგეთ** „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერაზე, **მერე რა, რომ ორ კინკილა, მაგრამ, მაინც ვარსკვლავს,** როგორც ჩანს, ამაოდ დავშვრით, ვინაიდან, აშკარაა, რომ **„ეტოტ გოლივუდ ნას (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ავტობანხიდებს) სოვსემ ნე უვაჟაეტ”!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



**საქართველოს კონსტიტუციაში იწერება, რომ რუსეთი არის აფხაზეთის ავტონომიის გარანტი. იმავდროულად, აფხაზეთის ავტონომიის გარანტია რუსული სამხედრო ბაზა**

**სერგეი მარკოვი, რუსი პოლიტოლოგი და პუბლიცისტი, ვლადიმირ პუტინის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია. ის 2007-2011 წლებში რუსეთის „დუმის“ დეპუტატი გახლდათ. 2009-2012 წლებში კი რუსეთის საზიანოდ ისტორიის ფალსიფიცირების მცდელობებისთვის წინააღმდეგობის გაწევის კომისიის წევრი იყო. 2012 წლის თებერვალში ოფიციალურად დაინიშნა როგორც რუსეთის საპრეზიდენტო კანდიდატ ვლადიმირ პუტინის ნდობით აღჭურვილი პირი.**

**მას მიეკუთვნება ორი მლიქვნელური გამონათქვამი რფ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტის მისამართით: „ვლადიმირ პუტინის პიროვნება უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუტები“; „ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების გამარჯვების შემდეგ, რუსეთს აქვს უფლება, ჰკითხოს დასავლელ კოლეგებს: ნუთუ ახლაც ვერ ხვდებით, რომ პუტინი ყველაფერს სწორად აკეთებს?!“**

**თავის ხედვას რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ სწორედ სერგეი მარკოვი გაგვიზიარებს.**

# რატომ მიაჩნია სერგეი მარკოვს „ნატოსადმი“ სიყვარული ქართველების უსაქმურობისადმი სიყვარულის მაჩვენებლად

– ჩემი წარმოდგენით, დღეს რუსულ-ქართული ურთიერთობები თანდათანობითი გაუმჯობესების მდგომარეობაშია. პარადოქსი ის არის, რომ გაუმჯობესება საკმაოდ ნელა მიდის, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

**– რუსი ანალიტიკოსები ამბობენ, რომ რუსეთი არ გადადგამს ნაბიჯებს, სანამ საქართველოში არ დასრულდება ორხელისუფლებიანობა. რით გრძნობთ ორხელისუფლებიანობას?**

– სააკაშვილი ბლოკავს ურთიერთობის ნორმალიზებას, ამიტომ, ივანიშვილის ამოცანაა, ჯერ ერთი, სააკაშვილის ბლოკირება და, მეორე, პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის გაყვანა. ივანიშვილისთვის რთული იქნება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება იმის გამოც, რომ დასავლეთი ეჭვით უყურებს ამ გაუმჯობესებას.

**– მაგრამ, ყველა საერთაშორისო დოკუმენტში ჩაწერილია რეკომენდაცია, რომ საქართველომ რუსეთთან უნდა გააუმჯობესოს ურთიერთობები. ამის მიუხედავადაც, მაინც ეჭვით უყურებს?**

– დასავლეთმა ხელი შეუწყო სააკაშვილის წასვლას ხელისუფლებიდან, იმიტომ, რომ მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან. მართალია, დასავლეთს უნდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ნორმალიზდეს, მაგრამ, არ უნდა, რომ ეს ურთიერთობა იყოს კარგი. დასავლეთს არ უნდა, რომ საქართველოს ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან, რადგან, არ უნდა რუსულ-ქართულ კონფლიქტში ჩარევა.

**– „ქართული ოცნების“ ოპონენტები ამბობენ, რომ „ოცნების“ პოლიტიკური კურსი, თუ მთლად პრორუსული არა, ლოიალურია რუსეთის მიმართ. გრძნობთ მოსკოვში კოალიციის ლოიალობას რუსეთისადმი?**

– ჯერჯერობით – არა. საქმე ისაა, რომ არის რამდენიმე საკითხი: პირველი – სააკაშვილი ჩვენთვის არის რუსეთის მტერი და, კარგია, რომ ის გზას სხვა მოთამაშეებს უთმობს; მეორე – ახალმა ხელისუფლებამ დანიშნა თავისი სპეცწარმომადგენელი და აცხადებს, რომ უნდა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, – ესეც კარგია; ამას გარდა, ჩვენ ვხედავთ, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები თავიანთ პოლიტიკოსებს სთხოვდნენ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. აი, ეს ამომრჩევლები უბიძგებენ პოლიტიკოსებს, განაგრძონ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება.

**– თუმცა, იგივე ამომრჩევლები მხარს უჭერენ საქართველოს „ნატოში“ გაწევრიანებას.**

– ჩვენი აზრით, ეს არის გონების დროებითი დაბინდვა.

**– გონებადაბინდულობაა „ნატოს“ წევრობის სურვილი?**

– ქართველი ამომრჩეველი ემოციურია და, როგორც წესი, გულით იღებს გადაწყვეტილებას. ჩვენ ვხედავთ ამას.

**– იმას ამბობთ, რომ იმპულსურები ვართ?**

– ძალიან იმპულსურები ხართ. ქართველი ამომრჩეველი გულით ირჩევს – ჩვენ ეს ვიცით, გვესმის და გაგებით ვეკიდებით. ჩვენ ვხედავთ, რომ „ნატოსადმი“ სიყვარული არის სიყვარული უსაქმურობისადმი, სიყვარული არმუშაობისადმი, რომ ვიღაც სხვა მოვა და გაგვიკეთებს ცივილიზებულ ქვეყანას. ჯერ ერთი, არავინ არ მიიღებს საქართველოს „ნატოში“ და ეს ვნებათაღელვა წავა. ჩვენ ვხედავთ, რომ შეუქცევადად მცირდება საქართველოში „ნატოს“ წევრობის მსურველთა რაოდენობა.

**– რამე კვლევებს ეყრდნობა თქვენი ეს მოსაზრება?**

– ჩვენ არ ჩაგვიტარებია კვლევები, მაგრამ, ვეყრდნობით ქართულ წყაროებს.

**– მე ასეთი ქართული წყაროების შესახებ არაფერი მსმენია. კიდევ, გარდა ამომრჩევლისა, რა უბიძგებს „ოცნებას“ რუსეთისკენ?**

**ჩვენი თვალსაზრისით, ოკუპაცია მითია. ჩვენ, რა თქმა უნდა, საქართველოსთან არ გავმართავთ მოლაპარაკებებს აფხაზებისა და ოსების მომავალზე**

– ეკონომიკა და, კიდევ ერთი დადებითი მომენტია ის, რომ რუსულ ტელეარხებს აჩვენებენ საქართველოში. ფაქტობრივად, რუსული ტელეარხების გაშვება ერთადერთი ნაბიჯია რუსეთისადმი გადადგმული. კიდევ, გამოვყოფდი რუსეთის წინააღმდეგ საინფორმაციო ომის შეწყვეტას. იცით, რომ ტელეარხი „პიკი“ დახურულია. ამას გარდა, ქართულმა ხელისუფლებამ შეწყვიტა დიპლომატიური ომი რუსეთის წინააღმდეგ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში.

**– მაგრამ, „ქართული ოცნების“ წევრებს ისეთივე შენიშვნები ჰქონდათ ევროსაბჭოს რეზოლუციაში რუსეთის მიმართ, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“. ისინიც მიიჩნევენ, რომ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ და უნდა მოხდეს დეოკუპაცია. შესაძლოა, რიტორიკა შეიცვალა, მაგრამ, დავის არსი არ შეცვლილა.**

– აბსოლუტურად სწორია და ეს ამუხრუჭებს რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, ისევე, როგორც ქართულ-აფხაზურსა და ქართულ-ოსურს. საქართველოს აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის გაუმჯობესების შანსი მხოლოდ მაშინ ექნებათ, როდესაც გააცნობიერებენ, რომ აფხაზებისა და ოსების დამოუკიდებლობა არ არის რუსული სურვილი, ეს აფხაზებისა და ოსების სურვილია. სანამ საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს საზოგადოება აფხაზებსა და ოსებს თანაბარუფლებიან პარტნიორებად არ აღიქვამს, არაფერი გამოვა. მოლაპარაკებები უნდა აწარმოოთ არა რუსეთთან, არამედ აფხაზებთან და ოსებთან, ისინი კი, არ მიიჩნევენ, რომ ეს ოკუპირებული ტერიტორიებია.

**– თქვენი ხედვით, ისინი დამოუკიდებლები არიან, ჩემი თვალსაზრისით – ოკუპირებული.**

– ეს თქვენი მოსაზრება იმას ჰგავს, რომ გეთქვათ, ზამთარში თბება, ზაფხულში კი ცივაო.

**– არის ქვეყნები, სადაც ზამთარი ზაფხულივით თბილია.**

– მაგრამ, ზამთარი უფრო ცივია, ვიდრე ზაფხული. ჩვენი თვალსაზრისით, ოკუპაცია მითია. ჩვენ, რა თქმა უნდა, საქართველოსთან არ გავმართავთ მოლაპარაკებებს აფხაზებისა და ოსების მომავალზე.

**– თქვენ ამბობთ, რომ საქართველომ პირდაპირი დიალოგი უნდა დაიწყოს ოსებთან და აფხაზებთან, მაგრამ, მთელი ამ ხნის განმავლობაში სწორედ ის იყო პრობლემა, რომ ქართველები ვერ ახერხებდნენ რუსეთის მონაწილეობის გარეშე მათთან დალაპარაკებას.**

– არასდროს შეგვიშლია ხელი პირდაპირი დიალოგისთვის. მათ, უბრალოდ, ეშინიათ თქვენი. თქვენ ხომ დღემდე ამტკიცებთ, რომ ის ტერიტორიები ოკუპირებულია?!

**– მაინც ეშინიათ, იმის მიუხედავად, რომ იქ რუსული ბაზებია?**

– მათ ეშინიათ თქვენთან მოლაპარაკების გამართვა – ეს ხომ ცხადია.

**– ანუ, რუსეთი არ შეუშლის ხელს ქართველების აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირ დიალოგს?**

– მთავარი ისაა, რომ ჩვენ არაფერს გადავწყვეტთ მათი ნების გარეშე, ეს უნდა გადაწყვიტონ თვითონ აფხაზებმა და ოსებმა.

**– პუტინმა თქვა, რუსეთს არ შეუძლია, უკან წაიღოს თავისი აღიარება, საქართველოს კი არ შეუძლია, აღიაროს მათი დამოუკიდებლობაო. იქვე გაიხსენა „ტიფლისის გუბერნია“. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფასი „ტიფლისის გუბერნიაა?“**

– ეს არის ის, რაც ხელს უშლის საქართველოს: მას ხელს უშლის გონორი, სნობიზმი, სხვა ხალხების, როგორც მეორეხარისხოვნების, აღქმა. გგონიათ, რომ რუსეთი ვაჭრობს მათი ბედით?! დარწმუნებული ვარ, ბევრი ქართველი ფიქრობს, რომ, თუ საქართველო შევა რუსეთის შემადგენლობაში ან ერთიან ეკონომიკურ კავშირში რუსეთთან ერთად, ანუ, გახდება „ტიფლისის გუბერნია“, მაშინ აფხაზეთსა და „იუჟნაია ოსეტიას“ შეიყვანენ საქართველოს შემადგენლობაში. არავითარ შემთხვევაში! მაშინაც კი, თუ საქართველო გახდება რუსეთის ფედერაციის წევრი, მოსკოვი არასდროს აიძულებს აფხაზებსა და ოსებს, გახდნენ საქართველოს ნაწილი. მათ თავად უნდა მიიღონ ეს გადაწყვეტილება. რუსეთი, უბრალოდ,

(გაგრძელება მე-15 გვერდზე)

# რა განსაკუთრებული ხიბლი აქვს ბაკურიანს და რატომ უნდა გაატარო იქ თუნდაც რამდენიმე დღე





ბაკურიანი ჩემთვის არასდროს ყოფილა უბრალოდ ზამთრის კურორტი. ის ყოველთვის განსაკუთრებულ ემოციებს აღმიძრავდა. დღემდე მაქვს მოთხოვნილება, თუნდაც რამდენიმე დღით გავექცე ყოველდღიურობას და ბაკურიანის თოვლიან იდუმალებას შევეფარო...

თეთრი, ქათქათა თოვლი და აგიზგიზებული ბუხარი, ფანჯრებს მიღმა მსხვილი ფანტელები, ოთახში კი აყვავებული გაზონები განსაკუთრებულ სიმყუდროვეს ქმნის და შენც ოცნებას იწყებ – ასეთ გარემოში ხომ ყველაზე სანუკვარი სურვილის ასრულებაც შესაძლებელი ხდება...

სასტუმრო „ნოელში" თავს ისე გრძნობ, როგორც ზღაპარში. აქ კომფორტი და სტუმრების მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობა ყველა დეტალში იგრძნობა, ამიტომ, აღარაფერი დაგრჩენია, გარდა დასვენებისა და სიმშვიდით, სიმყუდროვით ტკბობისა...

ზამთრის ბაღი, უგემრიელესი კერძები, ნატურალური პროდუქტი, სამჯერადი კვება – შვედური მაგიდა; ბავშვიანი ოჯახებისთვის სპეციალური შეთავაზება, ინტერნეტი, ბილიარდი, საკონფერენციო დარბაზი სემინარებისა და ოფიციალური საუბრებისთვის; კომფორტული, განსაკუთრებული გემოვნებით მოწყობილი ოთახები და მათი ფანჯრებიდან ტყის უმშვენიერესი ხედები... – შენც ამ ჯადოსნური სამყაროს ნაწილი ხდები და უზარმაზარი დადებითი ენერგიით იმუხტები.







გაატარეთ თუნდაც ერთი შაბათ-კვირა სასტუმრო „ნოელში" და დარწმუნდებით, რომ ბედნიერებისთვის მეტი არაფერია საჭირო. **აქ ყველაფერი თქვენს სიამოვნებაზეა გათვლილი – ფასებიც კი. მათ თქვენს შესაძლებლობებს მაქსიმალურად მოარგებენ.** ისარგებლეთ განსაკუთრებული შეთავაზებებით მთელი წლის განმავლობაში. ბაკურიანი ხომ წლის ნებისმიერ დროს ზრუნავს თქვენი და თქვენი შვილების ჯანმრთელობაზე. აქ ყველა პირობაა იმისთვის, რომ უკან დაბრუნება მოგინდეს. თუ გსურთ, მთელი წლის მარაგი პოზიტივი დააგროვოთ და იმუნიტეტიც გაიუმჯობესოთ სასწრაფოდ გაემგზავრეთ ბაკურიანში. იქ „ნოელი" გელით:



**ბაკურიანი, ცენტრი. წერეთლის ქუჩა №31;**
**ტელეფონი: 367 24-04-07.**
**მობილური: 599 10-36-26. www.hotel-noel.ge**



გამოუვალ მდგომარეობაში ვართ: ერთადერთი გამოსავალია ვადამდელი არჩევნები. მანამდე არჩევანი ასეთია: რა გირჩევნია, შეგწვა თუ მოგხარშო?!

**შესაძლოა, იმის გამო, რომ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ბევრი რამ გაურკვეველია, კითხვაც უამრავი იბადება. საზოგადოების ნაწილი (უმეტესწილად უმცირესობის მომხრეები) დსთ-ში დაბრუნების პერსპექტივას აპროტესტებს, მეორე ნაწილი კი (უმეტესწილად უმრავლესობის მომხრეები) დარწმუნებულია, რომ ქვეყნის საგარეო კურსს ცვლილება არ ემუქრება და ის განუხრელად დასავლეთისკენაა მიმართული. რუსულ-ქართული ურთიერთობების მომავლის შესახებ აზრს ნოდარ ნათაძეს დავეკითხეთ.**

# რა პირობები შეათანხმა ბიძინა ივანიშვილმა დასავლეთთან და როგორ აბალანსებენ „ოცნებას“ „ნაციონალური მოძრაობით“

**– რა შთაბეჭდილებას ტოვებს, ერთი შეხედვით, ორ ქვეყანას შორის ბოლოდროინდელი აქტივობები?**

– ეს არის პირადად პუტინის გენერალური შემოტევა საქართველოზე. მას ამისთვის მობილიზებული ჰყავს მთელი თავისი აგენტურა: ეგრეთ წოდებული უმრავლესობის და ეგრეთ წოდებული ოპოზიციის სახით. ხაბურძანია, რომელიც ჩვენი მინისტრი იყო, ბრუნდება რუსეთიდან, რომ პრორუსული პარტია დააარსოს და როდესაც ეკითხებიან, ვისთან ერთად აპირებ მუშაობასო, ასახელებს პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილ შემსრულებელს, ნინო ბურჯანაძეს, რომელიც არის თანამედროვე გაპონი და ზურაბ ნოღაიდელს, ყოფილ პრემიერ-მინისტრს. ესე იგი, რაც გადატრიალება მოხდა, მას შემდეგ საქართველო სულ რუსული აგენტურის ხელშია.

**– გადატრიალებაში 1991-1992 წლების მოვლენებს გულისხმობთ?**

– დიახ. მას შემდეგ საქართველო სულ რუსული აგენტების ხელშია. ორი აზრი აღარ არის, რომ დღევანდელ ხელისუფლებას მიჰყავს რუსული კურსი. ერთ დეტალს გეტყვით: აქამდე პაატა ზაქარეიშვილი ვერ ასახელებდა არგუმენტს, თუ რატომ უნდა გახსნილიყო სარკინიგზო მიმოსვლა, მაგრამ ახლა ის ამბობს, რომ, თუ ეს რკინიგზა არ იმუშავებს, მაშინ ამ ზონაში რუსეთს ჩაენაცვლება თურქეთი. ეს არის აბსურდი, იმიტომ რომ კითხვა: რუსეთი თუ თურქეთი? – ამ ზონისთვის და ქართველებისთვის იდგა, როდესაც აქ რუსეთი შემოდიოდა. არსებობდა თურქულ-ირანული ზეგავლენა, რუსებმა ისინი გარეკეს და შეცვალეს რუსული გავლენით. შემდეგ ამ აზრს მხოლოდ რუსეთის აბსოლუტურად გახსნილი აგენტი, ალექსანდრე ჭაჭია ავითარებდა. ერთადერთი, რითაც ის დანარჩენებისგან განსხვავდებოდა, იყო ის, რომ რაღაც არგუმენტი მაინც მოჰყავდა: რადგან ჩვენთან „ნატოს“ წარმომადგენელი თურქეთია, რაც დააკლდება რუსეთს, ჩავარდება თურქეთის ხელშიო. ეს, რა თქმა უნდა, უსუსური საბუთი იყო.

ახლა რატომ გაიხსენეს ეს საბუთი? იმიტომ რომ, არსებობს რუსული კონცეფცია, მოვლენათა მათთვის სასურველად განვითარების სცენარი, რომელიც მთავრდება შემდეგი სიტყვებით: ამერიკა უარს ამბობს კავკასიის საქმეებში ჩარევაზე და პასუხისმგებლობას კავკასიაზე იღებენ რუსეთი, თურქეთი და ირანი. თანამედროვე ენაზე პასუხისმგებლობის აღება ნიშნავს გავლენას. ამდენად, იმის ნაცვლად, რომ აქ გვყავდეს ორი მტერი: ირანი და თურქეთი და ამის საპირწონედ მესამე მეგობარი რუსეთი, გვყავს სამი მტერი. პოტენციალურად ირანი, თურქეთი და რუსეთი, მართლაც, ერთნი არიან და სადღაც შორსაა ერთი მეგობარი – დასავლეთი. რატომ არ ასახელებს პაატა ზაქარეიშვილი ირანს?

> **საქართველოში რუსული აგენტურის ამოცანაა, რომ ქართველებს კონფედერაციის აბი გადაგვაყლაპონ**

**– აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის გახსნა ნიშნავს, რომ რუსეთი პირდაპირ დაუკავშირდება ირანს.**

– მაშინ, როდესაც ირანს რაკეტებიც აქვს, რა თქმა უნდა, რუსული და ბირთვული იარაღიც, თურქეთს კი არც ერთი არ აქვს.

**– თუმცა თურქეთს ჰყავს თვითმფრინავები, რომლებზეც დამაგრებულია ამერიკული ბირთვული იარაღი.**

– თურქეთში არის ამერიკული ბაზები. მაგრამ ზაქარეიშვილი რკინიგზის კონტექსტში იმიტომ არ ასახელებს ირანს, რომ გულუბრყვილო მსმენელისთვის ჭკუასთან უფრო ახლოს იყოს მისი არგუმენტი. თორემ, თუ ადამიანმა რუკის კითხვა იცის, ამ არგუმენტს არ დაიჯერებს. მით უფრო, რომ თურქეთს თვითონ აქვს დასავლეთთან ჩუმი, მაგრამ მაინც პრობლემები.

**– ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ ქართულ პოლიტიკაში თითქმის არაფერი ხდება დასავლეთისა და რუსეთის შეთანხმების გარეშე. დასავლეთის როლი როგორია? უბრალოდ აკვირდება?**

– დასავლეთთან ივანიშვილი, რა თქმა უნდა, დაკონტაქტებულია, მათ აქვთ ერთმანეთთან ნალაპარაკები, მათ შორის არის რაღაც შეთანხმებები და ივანიშვილს მიღებული აქვს დასავლეთის პირობები, მაგრამ დასავლეთი არ ენდობა მას. ამიტომაც დასავლეთმა სწორედ ივანიშვილის დასაბალანსებლად, სრულებით ხელოვნურად მოახდინა სააკაშვილისა და მისი გუნდის რეანიმაცია: ისინი დატოვეს, როგორც მეორე ძალა.

**– რომ, თუკი ივანიშვილი შეთანხმებას დაარღვევს, გაანეიტრალოს „ნაციონალებით“?**

– დასაბალანსებლად. პარადოქსული და ჩვენთვის სრულებით მიუღებელი სიტუაციაა: საქართველოს მრავალჯერად ღალატში მხილებული სააკაშვილის გუნდი ლაპარაკობს ჭეშმარიტებას რუსული შემოტევის შესახებ, ანუ სიტყვიერად დასავლურ პოზიციას ატარებს; რეალური მმართველი მაღალ მატერიებზე არ საუბრობს, მაგრამ პირდაპირ ასრულებს რუსულ შეკვეთებს. ანუ გამოუვალ მდგომარეობაში ვართ: ერთადერთი გამოსავალია ვადამდელი არჩევნები და ეროვნული ძალების ჭიდაობა მთელი ძალით, რომ მოვიგოთ ეს არჩევნები. მანამდე არჩევანი ასეთია: რა გირჩევნია, შეგწვა თუ მოგხარშო?!

უფრო კონკრეტულადაც შემიძლია, გითხრათ. პუტინი არის ჩიხში: საგარეო პოლიტიკა წაგებული აქვს და, ასევე, წაგებული აქვს რუსეთში პირადი ავტორიტეტიც. ამდენად, რუსეთის მოსახლეობისა და რუსული სახელმწიფოს წინაშე მისი ერთადერთი ამოცანაა ბატონობის შენარჩუნება. პუტინი პოპულარული გახდა ჩეჩნების შემუსვრით და გარკვეულ შედეგსაც მიაღწია. ცოტათი ინარჩუნებს პოზიციებს იმით, რომ სისულელეებს ამბობს საბჭოთა კავშირის აღდგენაზე, მაგრამ მას სთხოვენ ფაქტს.

**– და ფაქტი იქნება საქართველოზე გავლენის აღდგენა?**

– მან რაღაცნაირად უნდა გააბათილოს ის, რომ დასავლეთი მის ამ მონაპოვარს არ ცნობს. ამისთვის არსებობს ერთადერთი რეალური გზა: საქართველო უნდა გარდაიქმნას კონფედერაციად: „დამოუკიდებელი“ საქართველო, „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი და „დამოუკიდებელი“ „სამხრეთ ოსეთი“. საქართველოსთვის ეს ნიშნავს დანგრევას, რუსეთისთვის კი – აბსოლუტურ რეაბილიტაციას მსოფლიოს თვალში. ჩვენთვის კონფედერაციის მიღება ნიშნავს ამ ტერიტორიების აღიარებას, პუტინისთვის – სრულ შიდა რეაბილიტაციას.

**– სერგეი მარკოვი, როდესაც კონფედერაციის პროექტზე ლაპარაკობს, იქვე აღნიშნავს, რომ ეს მოდელი არ გულისხმობს ქართველი დევნილების დაბრუნებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ეს აფხაზების და ოსების გადასაწყვეტიაო. არ მეგულება არავინ, ვინც ასეთი კონფედერაციის მოწონებას შეძლებს საქართველოს მოსახლეობისთვის.**

– აგენტურის ამოცანაა, რომ ქართველებს ეს აბი გადაგვაყლაპონ. რაც შეეხება აფხაზებს: არსებობს გაბატონებული მოსაზრებები, რომლებსაც მოცემულ დროს და მოცემულ საზოგადოებაში ვერაფერი შეარყევს, ამიტომ ჩვენ ვიცით, რა უნდა ვთქვათ და რა არ უნდა ვთქვათ. მაგალითად, რომ ვფიქრობდეთ კიდეც, ვერ ვიტყვით, რომ წმიდა ნინო არის ცოდვილი ქალი, იმიტომ რომ ეს აბსურდიცაა და მკრეხელობაცაა ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ. აი, ასეთივე გაბატონებული მოსაზრებაა აფხაზეთში ის, რომ არც ერთი დევნილი არ უნდა დაბრუნდეს; რომ ქართველებს საერთოდ არ გვეკითხებიან არაფერს, ეს მიწა სამუდამოდ ჩვენიაო, ვინც ბატონობს და გვეთანხმება, ანუ რუსეთი ყველაზე

---



## ნიკუშა კაკიაშვილი

ძნელი წარმოსადგენია შენი გარდაცვალება. ცოტანი არიან ადამიანები, რომლებსაც შენიანად, ნუგეშად და იმედად მოიაზრებ. შენგან უზარმაზარ პოზიტიურ ენერგიას ვიღებდით. იმდენ სიკეთეს ასხივებდი, შენ გვერდით თავს ყველა ბედნიერად გრძნობდა.

დროს უკან ველარ დააბრუნებ და უკვე ვერაფერს შევცვლით. ისღა დაგვრჩენია, რეალობას და უშენობას შევეგუოთ... იქნება ტკივილი, მონატრება და უშენობის სევდას ვერაფერი მოერევა... ძნელია იმის გაცნობიერება, რომ შენზე უკვე წარსულ დროში უნდა ვილაპარაკოთ. კიდევ ერთხელ დაგვარწმუნე იმაში, რომ ადამიანები ამქვეყნად მხოლოდ თავის კეთილ სახელს ტოვებენ...

**მეგობრები**

# საქართველო გაუსწრებს შვეიცარიას!

**ნათია (კოლხი წინასწარმეტყველი):** ჯადო ერთ-ერთი შავი ძალაა, რომელსაც ერთი ადამიანი მეორეს უკეთებს. არსებობენ შავი და თეთრი ძალები. ჯადოს მხოლოდ შავი ძალა აკეთებს. ზოგი ადამიანი, თავისთავად შავი ძალის მატარებელია, ანუ ეშმაკისეულია. ამიტომ, ყველა ადამიანი დაცული უნდა იყოს, ანუ ჰქონდეს დამცავი საშუალება. ჩემთან მოსულ ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანს ჯერ ვუდგენ დიაგნოზს და ამის მერე ვაძლევ დამცავ საშუალებას, მედალიონს, რომელიც მათ ყველაფერ ცუდს აარიდებს. მოუხსნის პრობლემებს. რაც შეიძლება მალე უნდა ეცადონ, ჯადოს მოხსნას ადამიანები, რადგან ის თანდათან ანადგურებს ყველაფერს. ეს საუკუნე ძალიან მძიმე, არეული საუკუნეა და თავისთავად, ბევრია ცვლილებები. ამიტომ, დროულად უნდა მოვიდნენ ადამიანები ჩემთან, განკურნების პროცესი რომ დავაჩქაროთ.

*ვინ არ იცის კოლხი მედეა – საქართველოს უძველეს წარსულში კოლხეთის მეფის, აიეტის გრძნეული ასული, რომელმაც სატრფოსთვის – იაზონისთვის ოქროს საწმისი მოაპარინა და შემდეგ მას ცოლად გაჰყვა. ბერძენმა ფილოსოფოსმა და მწერალმა, ევრიპიდემ, მედეას თავის ტრაგედიაში შვილებიც კი მოაკვლევინა. როგორც შევიტყვე, ცნობილი კოლხი წინასწარმეტყველი და ხალხური მედიცინით მკურნალი **ნათია**, სწორედ კოლხი მედეას შთამომავალია. ნათიას ბებია ფაფალა დადიანი ხალხური მედიცინით უამრავ ადამიანს კურნავდა, სწორედ მისგან ერგო, ნათიას მემკვიდრეობით, საოცარი უნარი ადამიანების განკურნებისა. როგორც დავადგინეთ, ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვის შესახებაც ჯერ კიდევ 1993 წლიდან იბეჭდებოდა სტატიები ოფიციალურ პრესაში, აგრეთვე „სიტყვა და საქმეში" და უცხოურ პრესაშიც, კერძოდ: გერმანიაში, უკრაინაში, საბერძნეთში და სხვაგან. ის ხსნის საგვარეულო წყევლას, ლოცვით კურნავს ნევროზს, შიშებს, გათვალვას, ხსნის ჯადოს, ფინანსურ პრობლემებს, ბედის ჩაკეტვას.*



*აი, რას გვიამბობენ ქალბატონი ნათიას პაციენტები:*

**ილია** ***(48 წლის თბილისი – მძღოლი):*** უმძიმეს მდგომარეობაში მოვხვდი ქალბატონ ნათიასთან, სხვათა შორის, თქვენი ჟურნალის მეშვეობით. ამდენი მუშაობისა და ფინანსური პრობლემებისგან ძალიან გადავიღალე. ოჯახს რჩენა ხომ უნდოდა. ბოლო პერიოდში ვალებიც დამედო, თითქოს ეს არ კმაროდა, ავარიაშიც მოვყევი. როცა გამოკვლევა ჩამიტარეს, გარდა იმისა, რომ მსუბუქი დაზიანებები მივიღე, კუჭის წყლულიც აღმომაჩნდა. ქალბატონმა ნათიამ გამაოგნა, მისმა ლოცვებმა მიშველა, ვამჩნევდი თანდათან ყველაფერი თავის კალაპოტში დგებოდა და სულიერად დავმშვიდდი.

აღმოჩნდა, რომ ჩვენი ოჯახის პრობლემების სათავე საგვარეულო წყევლა ყოფილა, რომელიც ქალბატონ ნათიას დროულად რომ არ მოეხსნა, მთელ ოჯახს დაგვღუპავდა.

**თამთა ფოლადაშვილი** ***(32 წლის ზუგდიდი – დიასახლისი):*** 5 წელია, გათხოვილი ვარ. მე და ჩემს მეუღლეს ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. თუმცა, ბოლო ხანებში ვატყობდი, სახლში გვიან ბრუნდებოდა. ხშირად მეჩხუბებოდა, ყველა წვრილმანზე. დეპრესიაში ჩავვარდი. საერთოდ, სიზმრების არ მჯერა, მაგრამ ერთხელ სიზმარში ვნახე, ქალბატონი ნათია. რომ გამომეღვიძა, იმდენად ცხადად მახსოვდა სიზმარი, ჩემს დაქალს მოვუყევი. აღმოჩნდა, რომ მან იცოდა ჟურნალიდან ქალბატონი ნათიას შესახებ და ასე აღმოვჩნდი აქ. გაირკვა, რომ ჩემს მეუღლეს საყვარელი ჰყოლია, რომელსაც ჯადო გაუკეთებია მისთვის. ქალბატონი ნათიას წყალობით ახლა ჯადო მოხსნილია და მე და ჩემი მეუღლეც აღარ ვჩხუბობთ. სიტყვები არ მყოფნის, ამ ქალბატონისადმი მადლიერების გამოსახატავად.

**ირმა ოთანაძე** ***(40 წლის თბილისი – დიასახლისი):*** 10 წელია, გათხოვილი ვარ და შვილი არ მიჩნდებოდა, სად არ ვმკურნალობდი, უამრავ ექიმს მივმართე, მაგრამ ამაოდ. ამ წლების განმავლობაში ფული ტყუილად ვხარჯე. ქალბატონ ნათიას შესახებ რომ გავიგე, გულმა მიგრძნო, ეს ჩემი ბოლო შანსი იყო და არც შევმცდარვარ. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. 2 თვეში ქალიშვილს ველოდები. მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო ჩემი და ჩემი მეუღლის სახელით. მგონი, ამაზე დიდი ბედნიერება არც არსებობს.

*ქალბატონმა ნათიამ უამრავი ცნობილი პიროვნება განკურნა, მათ შორის არიან: გერმანელი პოლიტიკოსი – შროდერი, უკრაინის პრეზიდენტი – იუშჩენკო, ბიზნესმენი – სოსო კვინტრაძე (მოსკოვი), იურისტი ნანა ჩაჩანიძე, საბერძნეთიდან თამარ სამსონიძე, საფრანგეთიდან – ნათია ფხალაძე და სხვა.*

*ეს ადამიანები მადლობას უხდიან ქალბატონ ნათიას და მას სასწაულმოქმედ ქალბატონს უწოდებენ. რაც მთავარია, ისინი ერთხმად აღიარებენ: „ეს ქალბატონი არის ძლიერი ფსიქოლოგი, რომელიც უზუსტეს დიაგნოზს სვამს. მას ნამდვილად აქვს ზებუნებრივი ძალა, რომელსაც სასიკეთოდ იყენებს. მას მიაჩნია, რომ ამ საუკუნეში დაბადებულ ყველა ადამიანს სჭირდება დახმარება, უარყოფითი ენერგიისგან გაწმენდა. ჩვენ თავად ვართ მომსწრე, რომ ქალბატონ ნათიას უკავშირდებიან მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან და დახმარებას სთხოვენ".*

**ჩაწერა ხდება წინასწარ ტელეფონებზე:**
**599 98-74-25. skype: bulvarzelioni.**
**ასისტენტი 597 203 501**

ძლიერიაო და ასე შემდეგ.

**– ამას არ მალავენ აფხაზი რესპონდენტები.**

– დიახ. ისინი ვერ ხვდებიან, რომ რუსეთი წარმავალია; ვერ ხვდებიან, რომ მათ არ აქვთ უფლება, არ დააბრუნონ დევნილები – ეთნოკრატია აკრძალულია არა მარტო კონსტიტუციური კანონებით, არამედ ბუნების კანონებითაც. ისინი ვერ ხვდებიან, რომ რუსეთი დაკარგავს ჩრდილოეთ კავკასიას. სააკაშვილი, შევარდნაძე ან ესენი რომ სახელმწიფოს ერთგულები ყოფილიყვნენ, მსოფლიოში გააჟღერებდნენ ასეთ მოთხოვნას: ჩვენ გვაქვს კონფლიქტის საბოლოო დარეგულირების პროექტები, თუ როგორ უნდა მოეწყოს აფხაზეთის ტერიტორია; რა უფლებმოსილებები უნდა ჰქონდეს სოხუმს, რა – თბილისს; რა უნდა ექვემდებარებოდეს საერთაშორისო მონიტორინგს ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ. ჩვენ გვაქვს ასეთი გეგმები, მაგრამ ერთი აფხაზებს ჰკითხეთ, რა პროექტი აქვთ და დაადებინეთ მაგიდაზე. ამაზე აფხაზი პასუხს ვერ გაგცემს, რადგან მათი პასუხი შეუთავსებელია უკლებლივ ყველა საერთაშორისო ნორმასთან. აფხაზი ვერ დაწერს თავის გეგმაში, არც ერთი დევნილი არ დაბრუნდებაო.

კონფედერაცია არის რუსული გეგმა, თავის დროზე პრიმაკოვის მიერ მოაზრებული, შემდეგ ეს გეგმა გადაიწერა ბოდენმა, რომელიც პირდაპირ რუსეთის რუპორია და ის გაეროში დევს, როგორც ბოდენის გეგმა. ოთხმა ქართველმა, პაატა ზაქარეიშვილმა, დავით ბაქრაძემ, ივლიანე ხაინდრავამ და კოტე კუბლაშვილმა, ეს გეგმა, როგორც თავისი გეგმა, დაბეჭდა გაზეთ „24 საათში", დაახლოებით, 2004 წელს. უფრო ზუსტად, დაბეჭდეს ამ გეგმის მეხუთე მონაკვეთი. ისეთი შინაარსისაა გეგმა, რომ გაგიკვირდებათ, ვინ აძლევს თავს უფლებას, ამას მოაწეროს ხელი. მაგალითად, იქ წერია, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი უნდა იყოს ეთნიკურად აფხაზი.

**– მე ზუსტად მახსოვს, რომ კოტე კუბლაშვილმა შემდეგ უარი თქვა თავის ხელმოწერაზე და გამოიხმო უკან.**

– ბაქრაძეც უარზე გავიდა, არადა, სააკაშვილმა ორივე, ბაქრაძეც და კუბლაშვილიც დააჯილდოვა. კერძოდ, ბაქრაძე, პარლამენტის ყოვლად უჩინარი წევრი პარლამენტის თავმჯდომარე გახდა, კუბლაშვილი კი – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ახლა ეს ორი სააკაშვილთანაა, დანარჩენი ორი, ზაქარეიშვილი და ხაინდრავა, ივანიშვილთან. ესე იგი, ორი ამ ბანაკშია, ორი – იმ ბანაკში. ამდენად, იმის მოლოდინი, რომ ესენი საერთო ენას ვერ გამონახავენ, თუ უკვე არ აქვთ გამონახული, გულუბრყვილობაა. ისინი ერთად მიდიან საბოლოო მიზნისკენ და ერთად დაგვარტყამენ.

კონფედერაციის მოდელით, საქართველოს დაცვის სასიცოცხლო ზონაში შემოდის დაუძინებელი მტერი – რუსეთი: კავკასიონის სამხრეთით უკვე ჩნდება რუსეთის ბაზა.

**– მაგრამ ხომ არის უკვე?**

– სამხედრო თვალსაზრისით არის, მაგრამ ამის დაკანონება კონფედერაციით უკრიტიკულესი და უსაშინლესი მდგომარეობაა. ასე რომ, იმის თქმა, სააკაშვილს არ აქვს განზრახული დარჩენილ 9 თვეში ზურგში დანის ჩარტყმა, უბრალოდ ანტიმეცნიერულია.

**– ისევ მარკოვს მოვიხმობ: ის ამბობს, რომ კონფედერაციის გარანტი უნდა იყოს რუსეთი და რუსეთის სამხედრო ბაზა და ეს უნდა ჩაიწეროს, თურმე, საქართველოს კონსტიტუციაში. ამას მიიღებს ქართველი საზოგადოება?**

– ის, რომ რუსეთი ჩემულობს გარანტობას, შესაძლოა, იყოს სავაჭრო ხურდა. ამაზე მან შეიძლება, ხელი აიღოს, მაგრამ თვითონ კონფედერაცია, როგორც საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ფორმა, არის მათი ფუნდამენტური მიზანი.

**– კონფედერაციის არსი ის არის, რომ ის იშლება მაშინვე, როგორც კი ერთ-ერთი წევრი ამბობს უარს. თუ ჩვენ დავრჩებით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე, რუსეთისთვის იქნება ხელსაყრელი? მას ხომ აღარ ექნება ზემოქმედების საშუალება?**

– ჩვენ ვნადგურდებით ამ შემთხვევაში. მე მგონია, რომ რუსეთის ამ პოლიტიკაში არის მიზნის სამი სხვადასხვა კატეგორია: პირველია ობიექტური მიზანი, რომლის გათვლაც შესაძლებელია – ეს არის გეოსტრატეგიული ინტერესი; მეორეა სუფთა ფსიქოლოგიური: სანამ ცოცხალი ვარ, გული უნდა მოვიფხანო და ერთიც – პროპაგანდისტული. მგონი, სხვა დამპყრობლებიც ასე არიან, მაგრამ, სადაც კი რუსი მიდის, იქ ძალიან მალე უჩნდება დაპირისპირების გრძნობა ადგილობრივებთან. ცდილობს, თავში ჩასცხოს და დაამციროს ისინი. იგივე დამოკიდებულება აქვთ აფხაზებთან. ძალიან მკაცრად ექცევიან და არა იმიტომ, რომ ვერ გათვალეს: შეუჩერეს რუსეთის მოქალაქეობის მიცემა, შეუზღუდეს ვიზები, სამკურნალოდ არ უშვებენ რუსეთში. რატომ? იმიტომ რომ რამდენიმე რამეს სთხოვენ სანაცვლოდ, მათ შორის, საკუთრების კანონის შეცვლას. ამიტომ აწვებიან, რომ როგორმე გატეხონ. ეს მათი მხრიდან იდიოტიზმია, საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯებია, მაგრამ ასეთია რუსეთის ფსიქოლოგია.

**ნინო ხაჩიძე**

**ნდობის ტელეფონი**
**0902200200**
**SMS – 93094**
**დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან**

**ზარი ფასიანია**

**ჯერჯერობით კონკრეტული სქემა უცნობია, თუმცა ვიცით, რომ ერგნეთის ბაზრობის აღდგენა იგეგმება. მართალია, არა ძველ ადგილას, სადაც გაუქმებამდე არსებობდა, მაგრამ, რაც მთავარია, ოკუპირებული ტერიტორიის სიახლოვეს ან, სულაც, ოკუპირებულ ახალგორში. რა პოლიტიკურ-ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია ოსურ-ქართულ ურთიერთობაში ვაჭრობის ელემენტის შეტანას – თემას სანდრო თვალჭრელიძესთან ერთად განვიხილავთ.**

# ღირს თუ არა ერგნეთის ბაზრობის გახსნის პოლიტიკური ფასი კრიმინოგენური ვითარების გაუარესებად, ქართველი მოსახლეობის დანაშაულებრივ სქემაში ჩართვად და საქართველოს სასაზღვრო უწყების გასაკორუმპირებლად



**სანამ სანაცვლოდ არ მივიღებთ იმას, რაც გვინდა, ერგნეთის ბაზრობის გახსნაზე თანხმობა არ შეიძლება**

**– რა დადებით და უარყოფით შედეგს მოგვიტანს ერგნეთის ბაზრობის აღდგენა?**

– როგორც ყველა საკითხს, ამასაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითი მხარე არის ერთადერთი, რომ რაღაცნაირად მაინც დაიწყება ურთიერთობა დაკარგული ტერიტორიის მოსახლეობასთან. ეს არის ამ საკითხის ერთადერთი დადებითი მხარე, თან, სუფთა პოლიტიკური.

**– საკმარისია მხოლოდ ერთი მხარის, ანუ ჩვენი სურვილი ამ პროექტის განსახორციელებლად? ჩვენ ვიცით, რომ ქართველებს დღემდე იჭერენ იმის გამო, რომ მათ დაარღვიეს „საზღვარი“?**

– მე ერგნეთის ბაზრობის გახსნის პოლიტიკურ მხარეზე მოგახსენეთ, თორემ, თუკი ეს ბაზრობა გაიხსნება, უნდა არსებობდეს წინაპირობები. კერძოდ, თავისუფალი მიმოსვლა, რომ ადამიანები არ დაიჭირონ. პოლიტიკურად შესაძლებელია იმის მოგვარება, რომ მიმოსვლა არ შეფერხდეს. სხვა საკითხია, არის თუ არა ამისთვის ოსური მხარე მზად, თუმცა ამის გარეშე არანაირი ერგნეთის ბაზრობის გახსნა არ შეიძლება.

**– სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით, თუ აქვს დადებითი მხარე ბაზრობის გახსნას?**

– სანამ საკითხის ეკონომიკურ მხარეს განვიხილავთ, სხვა რამ უნდა გავიხსენოთ: ჯერ კიდევ თედეევებისა და სანაკოევების კლანიდან მოყოლებული, „სამხრეთ ოსეთი“ ჩართულია იარაღისა და ნარკოტიკების ტრაფიკში. ის არის ერთ-ერთი გადამზიდავი ბაზა. ეს გახლავთ ჩემი მონაცემები, ამის შესახებ არსებობს საერთაშორისო კვლევები, მათ შორის უსაფრთხოების კომისიის, „ნატოს“ და ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებული. ეს ტრაფიკი მიდის აღმოსავლეთიდან, ირანიდან, მთიანი ყარაბაღის გავლით, შემდეგ ცხინვალის რეგიონიდან გადადის აფხაზეთში და საბოლოო პუნქტია ისრაელი.

**– ცხინვალიდან აფხაზეთში რა ტერიტორიით ხვდება?**

– რუსეთის გავლით, თუმცა რუსეთი ცდილობს, თვითონ არ ჩაერიოს ამ სქემაში. ასე რომ, ძალიან დიდი ხიფათი არსებობს, რომ საქართველოს მოსახლეობაც ჩაერთვება ამ ტრაფიკში.

**– დიდი შემოსავლის იმედით?**

– დიახ, თან სხვა შემოსავალი ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“ არ არის. იმდენად ღარიბია ჩვენი დევნილი მოსახლეობა, რომ მათი კრიმინალიზაციის ძალიან დიდი საფრთხე არსებობს. მეორე, ძალიან დიდი ხიფათია, ისევ არ გახშირდეს მანქანების მოპარვა, რომლებიც იქ გაიყიდება. ერთი სიტყვით, კრიმინოგენური ვითარება შეიძლება, მკვეთრად გაუარესდეს.

**– ამის კონტროლი არ შეიძლება?**

– ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და, ამდენად, ყველაფერი შეიძლება, მოხდეს, მაგრამ დაიწყება სასაზღვრო ნაწილების კორუმპირება. რუსები კორუმპირებულები არიან, ოსებიც, ჩვენები არ არიან და ძალიან დიდი ხიფათია, რომ მათი კორუმპირებაც მოხდეს. ასე რომ, ერგნეთის ბაზრობის მოსპობამ ძალიან დიდი თავსატეხი მოგვიხსნა და ახლა ის შეიძლება, უკან დაგვიბრუნდეს.

**– ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები ერგნეთის ბაზრობა ისევ რომ ყოფილიყო, ანუ შევძლებდით თუ არა 2008 წლის ომის თავიდან აცილებას, მაგრამ ამ ბაზრობის პოლიტიკური ფასი ღირს ეკონომიკურ რისკებად?**

> **როდესაც ასობით მილიონ დოლარზე იქნება ლაპარაკი, ყველაფერზე დახუჭავენ თვალს ოსები**

– ამ ბაზრობის დახურვას ჰქონდა თავისი პოლიტიკური ფასი და სწორედ ამან გამოიწვია ვითარების დაძაბვა, რადგან ოსებს გადავუჭერით შემოსავლის ძალიან დიდი ნაწილი. ამიტომ ეს ყველაფერი იუველირულად ასაწონ-გასაზომია. ჩემი აზრით, მომგებიანი არ არის არც ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან, ვფიქრობ, რომ ბაზრობის 90 პროცენტი მაინც ჩრდილოვანი იქნება. შეიძლება, ვაჭარბებ, მაგრამ არ ვიცი, ასეთი კორუმპირებულობით, სასაზღვრო ზოლის ჩვენი მოსახლეობის გახრწნით, კრიმინოგენური ვითარების გაზრდის ფასად მივიღებთ კი ჩვენ სამაგიეროდ დევნილების დაბრუნებას?! ჩემი აზრით, ვერ მივიღებთ, სანამ რუსეთი ძლიერია, ის ძალის პოზიციით ილაპარაკებს. ჩვენი ბერკეტი – ერგნეთის ბაზრობის გახსნა არის ძალიან ხანგრძლივი მოლაპარაკების საგანი. სანამ არ მივიღებთ იმას, რაც გვინდა, ამაზე თანხმობა არ შეიძლება.

**– რა შეიძლება, მივიღოთ, ანუ მოვითხოვოთ სანაცვლოდ?**

– ეს შეიძლება, იყოს მოსახლეობის დაბრუნება თავიანთ სახლებში, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქართული ბიზნესის შესვლა ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“. ამის მიღწევა ძალიან რთულია, მაგრამ მოლაპარაკებები ახლავე უნდა დაიწყოს, რადგან ჩვენ გვაქვს კოზირი და ეს არის სოჭის ოლიმპიადა.

**– დრო ძალიან ბევრი არ რჩება, სოჭის ოლიმპიადა 2014-შია.**

– პაატა ზაქარეიშვილს კარგად ვიცნობ, საკმაოდ გამჭრიახი ადამიანია და, ჩემი აზრით, კარგად ესმის, რაზეც ვილაპარაკეთ. ის, ალბათ, დაიწყებს ასეთ მოლაპარაკებებს, მაგრამ ვიმეორებ, არ ვიცი, აქვს თუ არა აწყობილი ეს სტრუქტურა. ჩემი აზრით, მან მოლაპარაკებებისას თავის შტატში საშა რუსეცკი უნდა აიყვანოს, რომელსაც ძალიან დიდი კონტაქტები აქვს ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“.

**– თუ მოსალოდნელ საფრთხეებს გვერდით გადავდებთ, რა ეკონომიკური ეფექტი ექნება ამ ბაზრობას?**

– ზუსტად ისეთივე ეკონომიკური ეფექტი ექნება, რაც ლილოს ბაზრობას აქვს.

**– ლილოს ბაზრობას რა ეფექტი აქვს?**

– რამდენიმე ასეული ადამიანია დასაქმებული. საქმე ის არის, რომ ბაზრობა არ არის არანაირი მრეწველობა, უბრალოდ საქონელს ერთ ადგილას ყიდულობ და მეორე ადგილას ყიდი. ამდენად, ეს რეალურ ეკონომიკურ სექტორზე არანაირ გავლენას არ იქონიებს. ამიტომ რეალური ეკონომიკური სექტორები უნდა შეიქმნას. ერგნეთის ბაზრობაზე ლაპარაკით შეიძლება პოლიტიკური მიზნების მიღწევა და სამას ადამიანს მაინც დავასაქმებთ.

**– შესაძლოა, ამას ჰქონდეს პოლიტიკური ფასი ჩვენთვის, მაგრამ მეორე, ანუ ოსური მხარისთვის რა შეიძლება, იყოს მომხიბვლელი ერგნეთის ბაზრობაში?**

– მეორე მხარისთვის გაადვილდება ჩრდილოვან ეკონომიკაში ჩართვა. ჩვენ ერგნეთის ბაზრობით კიდევ უფრო გავხრწნით სამხრეთოსურ მოსახლეობას. არადა, შეგვიძლია, მათ შევთავაზოთ რეალური ეკონომიკური სექტორის განვითარება. კერძოდ, ერთია ჯავის მინერალური წყლის აღორძინება და მეორე, კვაისის მაღაროს აღდგენა. ოღონდ კვაისის მაღაროში ტყვია-თუთიის ამოღება კი არ უნდა აღდგეს, არამედ იშვიათი ლითონების ამოღება დაიწყოს. იქ შესაძლებელია ძალიან თანამედროვე საწარმოს შექმნა. იქ საამისოდ ყველაფერია.

**– რას გულისხმობთ ყველაფერში?**

– არის ნედლეული იმისთვის, რომ ვაწარმოოთ ძალიან მაღალტექნოლოგიური პროდუქცია, კერძოდ, ინდიუმის არსენიდზე დაფუძნებული ჩიპები „ინტელისთვის“. კვაისაში ძალიან მაღალია ინდიუმის შემცველობა. არადა ჩვენ ამ ყველაფერს ვკარგავდით, რადგან კონცენტრატს ვადნობდით, რითაც იკარგებოდა ინდიუმი და თავის დროზე კვაისის მაღარო გეგმიურად წამგებიანი საწარმო იყო, რაც სრული პარადოქსია. შეგვიძლია, ის ძალიან მომგებიან საწარმოდ ვაქციოთ, თუკი საწარმოო ინვესტიციები შევა და ვაწარმოოთ არა ტყვია და თუთია. ტყვია და თუთია იქნება მომყოლი, რასაც, რა თქმა უნდა, გავყიდით, მაგრამ ძირითადი იქნება იშვიათი ელემენტების – ინდიუმის, გალიუმის მოპოვება.

**– დეფიციტია ინდიუმი და გალიუმი?**

– უბრალოდ, ძალიან ძვირი ღირს. ჩვენ შეგვიძლია ან კრისტალები გავყიდოთ, ან, რადგან იქვე, რაჭაშია დარიშხანის საბადოები, ვაწარმოოთ გალიუმის არსენიდი. ეს არის უაღრესად ძვირად ღირებული, მაღალტექნოლოგიური ნედლეული. შეგვიძლია, კიდევ უფრო შორს წავიდეთ: იქ მოვაწყოთ „ინტელის“ ლაბორატორია და ინტეგრალური სქემები ავაწყოთ. თუკი ეს არის ინდონეზიაში, ფილიპინებზე და მაიორები მუშაობენ,

ჟურნალ „თბილისელების“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ირაკლი და ეკა ასლანიდებს დედის,

**ელენე (ლენა) ნადარეიშვილი-ასლანიდის**

გარდაცვალების გამო.

რატომ არ შეიძლება, ეს იყოს ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში", სადაც ბევრ ადამიანს აქვს უმაღლესი განათლება?! ინდონეზიასა და ფილიპინებზე ასეთ ქარხნებში წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი მუშაობს. პირადად მე, იაპონიაში მინახავს, როგორ მუშაობენ ასეთ ქარხნებში ჩრდილოკორეელი ლტოლვილები, რომლებმაც წერა და კითხვა არ იციან.

**– ანუ ასეთი ტიპის საწარმო არ მოითხოვს ინტელექტუალურ ადამიანურ რესურსს?**

– ყველაფერი კომპიუტერიზებულია: სამი მაღალი კლასის ინჟინერია, რომლებიც მთელ ამ პროცესს თვალს ადევნებენ. თავდაპირველად რამდენიმე ათეული მილიონი დასჭირდება ამ საწარმოს ამოქმედებას და ამ თანხას ქართული ბიზნესიც გასწვდება. საერთოდ, მთელ მსოფლიოში გალიუმი წელიწადში 100 ტონაზე ნაკლები იყიდება, ანუ ეს იქნება პატარა საწარმო, მაგრამ გალიუმის მილიგრამები ათასობით დოლარი ღირს. ამ საწარმოს ყოველწლიურად, დაახლოებით, 150-200 მილიონი მოგება ექნება, რაც „სამხრეთ ოსეთისთვის" უდიდესი თანხაა.

**– დასაქმებაზე რა ზეგავლენას მოახდენს?**

– იქ მცირერიცხოვანი მოსახლეობაა და თუ საწარმოში 1 000-1 500 კაცი დასაქმდება, ეს მათთვის შვება იქნება. იქ დიდი ოჯახებია და ასეთი საწარმოს შექმნა ნიშნავს უმუშევრობის 80 პროცენტით შემცირებას. თითქმის ყველა ოჯახის წევრი დასაქმდება.

**– კვაისის მაღაროს ამუშავება უფრო რეალურია, ვიდრე ჯავის მინერალური წყლების, ალბათ, რადგან მინერალური წყლების ბაზარი მთელ მსოფლიოში უკვე გადანაწილებული და გაჯერებულია?**

– ჯავის მინერალური წყლების ათვისებაც შეიძლება, იქ უნდა დაიდგას ქარხანა და შემდეგ უნდა ვუთხრათ რუსეთს: თუ თქვენ „სამხრეთ ოსეთს" უწყობთ ხელს, არ გვინდა თქვენი ფული, თქვენი ინვესტიციები, უბრალოდ წაიღეთ და გაყიდეთ ჯავის წყალი. რთულ ვითარებაში ჩაცვივდებიან. არ ექნებათ შესაძლებლობა, არ შეიძინონ წყალი და მოუწევთ ციმბირში წაღება და მისი გაყიდვა. ამიტომ ეს ცალ კარში ფეხბურთის თამაშია. ეს პროექტი განწირულია მომგებიანობისა და რუსეთისთვის სირთულეების შექმნისთვის.

**– გარდა ჯავის წყლებისა და კვაისის საბადოსი, არის იქ სხვა რამ ხელშესახები?**

– ფაქტობრივად, სხვა არაფერი არ არის, გარდა ქვიშა-ხრეშისა. თუმცა ამის ათვისებაც შეიძლება: იქ ახლა მიდის მშენებლობები და რუსეთიდან შემოაქვთ ბლოკები, არადა, ადგილზე შეიძლება მათი აწყობა.

**– ერგნეთის ბაზრობის მოწყობას რა თანხა დასჭირდება?**

– ასეულობით ათასი ლარი ეყოფა.

**– თუ არის ამ ტიპის ეკონომიკური პროექტების გამოცდილება?**

– არსებობს, ოღონდ ძალიან მაღალ დონეზე. მაგალითად, ირლანდიის რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ ირლანდიის რესპუბლიკას შორის არის შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები. ეს თვისებრივად აბსოლუტურად სხვა ვითარებაა, მაგრამ ჩვენთანაც შეიძლება დაწყება. პირადად მე დავიწყებდი ამ პრობლემის კომპლექსურად გადაჭრას და ისეთი ტიპის საინვესტიციო პროექტს შევთავაზებდი სამხრეთელ ოსებს, რაზეც ვისაუბრეთ.

**– ძალიან მომხიბვლელია ჯავის მინერალური წყლებისა და კვაისის საბადოს ამუშავება, მაგრამ რა არგუმენტით შეუძლიათ, უარი გვითხრან ოსებმა ან რუსებმა, ან ორივემ ერთად?**

– ბევრი რამ შეიძლება, ითქვას, მაგრამ, როდესაც კარტი მაგიდაზე დაიდება, ვითარება შეიცვლება. ან, მოდი, ასეთი ვარიანტი განვიხილოთ: ჩვენ ხომ ვთქვით, გადავდოთ ჩვენი პოლიტიკური უთანხმოებები მეორე პლანზე და წინ წამოვწიოთ ეკონომიკური საკითხები. ამაზე რუსეთიც თანახმაა. როდესაც ოსებს ვთავაზობთ ეკონომიკურ პროგრამებს და ამ პროექტების დაფინანსებას, ეს ისევ ნიშნავს, რომ თამაში ერთ კარშია. თუ არ დასთანხმდება რუსეთი, ეს გვაძლევს ძალიან მაგარ ფიარ-შესაძლებლობებს, რომ ყველაფერი მოჩვენებითია და რუსეთს „სამხრეთ ოსეთში" არანაირი ეკონომიკური აღორძინება არ სჭირდება. ჩაერთვებიან ამ პროექტში რუსეთი და ოსები? ეს ნიშნავს, რომ საქართველო თანდათანობით გაავრცელებს თავის ძალაუფლებას ამ ტერიტორიაზე. როდესაც ასობით მილიონ დოლარზე იქნება ლაპარაკი, ყველაფერზე დახუჭავენ თვალს ოსები. თუმცა ეს არ არის მარტივი. საჭიროა ძალიან კარგი პროექტის შემუშავება. მე შემიძლია, დავეხმარო მთავრობას ამ პროექტის შემუშავებაში და, რაც მთავარია, ამას სჭირდება პროფესიული და დახვეწილი საერთაშორისო ფიარი. მათ შორის, შეკვეთილი სტატიების გამოქვეყნება, მაგალითად, „ზი ეკონომისტში" და ასე შემდეგ.

კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ ჩვენ ამ მიმართულებით არ გადავდგამთ აქტიურ ნაბიჯებს, ყველაფერი, როგორც არის, ისევ გაიყინება. არ მგონია, რომ ერგნეთის ბაზრობა საუკეთესო ნაბიჯია ჩვენი მიზნების მისაღწევად. გაცილებით უფრო სარფიანია ღრმად შეჭრა „სამხრეთ ოსეთის" ეკონომიკაში.

**– თქვენ მიერ დასახელებული პროექტების განხორციელების გარეშე აქვს ეკონომიკური პერსპექტივა ცხინვალის რეგიონს?**

– არანაირი. ცხინვალის რეგიონს საკმაოდ კარგად ვიცნობ, მწირი რეგიონია, ნაკლებ მიწიანი, სახნავ-სათესი ცოტაა. ზნაური უფრო საინტერესოა ამ თვალსაზრისით, მაგრამ თუკი ჩვენ არ ავამოქმედეთ კვაისის საბადო, რეგიონი განწირულია აბსოლუტური სიღატაკისთვის.

**ნინო ხაჩიძე**


# პულმოლანი

## არ მისცე ხველას უფლება დაარღვიოს შენი სუნთქვის ჰარმონია

### 1. რა იწვევს ხველას?

ხველა დამცველობითი მექანიზმია, რომლის დროსაც ბრონქებსა და ფილტვებში წარმოქმნილი ლორწო და უცხო სხეულები ორგანიზმიდან გამოიდევნება.

### 2. რა ხდება ანთებითი დაავადებების დროს?

ანთებითი დაავადებების დროს გამომუშავდება დიდი რაოდენობით ლორწო და ბლანტი ნახველი, რომელიც ძნელად გამოიყოფა. ეს ფაქტორი ხელს უწყობს ბაქტერიების გამრავლებას და დაავადების პროგრესირებას.

გამოჯანმრთელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ნახველისგან გათავისუფლებაა.

### 3. რა მივიღოთ?

მიიღეთ **პულმოლანი** – ეფექტური ამოსახველებელი საშუალება.

**პულმოლანი** ათხელებს ნახველს, აიოლებს ამოხველებას და აფერხებს დაავადების გამომწვევი მიკრობების შეჭრას ფილტვებში.

**პულმოლანი** მოქმედებს უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა ამოსახველებელი საშუალებები და უზრუნველყოფს სწრაფ გამოჯანმრთელებას.

**პულმოლანი** უსაფრთხო პრეპარატია და ინიშნება როგორც ბავშვებში, ასევე ხანდაზმულ პაციენტებში. მიიღეთ **პულმოლანი** ტაბლეტის ან სიროფის სახით.



# რა საერთო ჰქონდა მონღოლეთის კომუნისტურ ლიდერს ჰორლოგიინ ჩოიბალსანს სტალინთან და რამდენი მილიონი ფალსიფიცირებული ზედმეტი ხმით გაიმარჯვა არჩევნებში ზიმბაბვეს დიქტატორმა რობერტ მუგაბემ

*2013 წელს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. ახალი პრეზიდენტი წელს უკვე აირჩიეს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ხოლო შეერთებულ შტატებში ბარაკ ობამას ინაუგურაცია გაიმართა და ის მეორე ვადით შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას. პრეზიდენტების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, გთავაზობთ საინტერესო ფაქტებს მათ შესახებ.*

* მსოფლიო პრეზიდენტების პირველად პროფესიებს შორის იურისტები და ეკონომისტები ჭარბობენ, თუმცა, არიან სხვა პროფესიების წარმომადგენლებიც: პროკურორები, მსახიობები, ჟურნალისტები, სპორტსმენები, ექიმები, მასწავლებლები, ბიზნესმენები, სამხედროები და პოლიციელები. შვეიცარიის კონფედერაციაში დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც პრეზიდენტის მოვალეობას პროფესიით მეტყევე ასრულებდა.

* ამერიკის მეჩვიდმეტე პრეზიდენტი ენდრიუ ჯონსონი ულარიბესი ოჯახიდან იყო. მას სკოლაში არ უვლია, ხოლო წერა-კითხვა 17 წლის ასაკში შეისწავლა. იგი, ასევე, პირველი პრეზიდენტი იყო, რომლის წინააღმდეგაც ამერიკის შეერთებული შტატების სენატი იმპიჩმენტის საქმის დაწყებას განიხილავდა. ჯონსონის პირველი პროფესია მკერავობა იყო და პრეზიდენტობის პერიოდში იგი თავად იკერავდა კოსტიუმებს. სწორედ ჯონსონის პრეზიდენტობის პერიოდში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთის იმპერიისგან ალასკა შეიძინა.

* ოფიციალური ვერსიის თანახმად, საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი ინსულტით გარდაიცვალა, რაც სამსახურებრივმა გადაღლამ გამოიწვია; თუმცა, ცნობილი ფაქტია, რომ პრეზიდენტი ორალური სექსის დროს თავის საყვარელს – მარჯერიტ სტენელს ჩააკვდა ხელში. ამ ისტორიის შესახებ რამდენიმე კინოფილმია გადაღებული და სპექტაკლია დადგმული.



* ამერიკის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი მსოფლიო ისტორიაში უხუცეს პრეზიდენტად ითვლება – ინაუგურაციის დღეს იგი 70 წლის იყო; დასავლეთის ქვეყნებში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტად კი საფრანგეთის პირველი პრეზიდენტი – ლუი ბონაპარტი, იგივე ნაპოლეონ მესამე მიიჩნევა, რომელიც 40 წლის ასაკში შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

* აფრიკის ქვეყნების პრეზიდენტებს შორის რამდენიმეს წინააღმდეგ უმძიმესი ბრალდებებით მიმდინარეობდა სასამართლო სხდომები. ზიმბაბვეს პირველ პრეზიდენტს, კანაანუ ბანანუს, სასამართლომ ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯა სექსუალური ძალადობისა და მამათმავლობის გამო, ხოლო სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტს ჯეიკობ ზუმას, იგივე ბრალდებები არ დაუმტკიცდა.

* ზიმბაბვეს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა – დიქტატორმა რობერტ მუგაბემ პირველი არჩევნების დროს ზიმბაბვეს პოტენციური ამომრჩევლების რაოდენობაზე სამი მილიონით მეტი ხმა მიიღო. მუგაბეს მომხრეებმა ფალსიფიცირებული ზედმეტი ბიულეტენები ჩაყარეს საარჩევნო ყუთებში, ისე, რომ არ დაუთვლიათ მოსახლეობის საერთო რაოდენობა.



* ფრანკლინ რუზველტის მიერ არჩევნებში მეოთხე გამარჯვების მოპოვების შემდგომ, ამერიკის კონსტიტუციაში შეიტანეს შესწორება, რომლის თანახმად ერთი პირის პრეზიდენტად არჩევა მხოლოდ ორი ვადით შეიძლება; ასეთივე კანონია სერბეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, ხოლო იტალიაში პრეზიდენტი მხოლოდ ერთი ვადით აირჩევა.

* უჩვეულო ფაქტი შეემთხვა ისლანდიის მეორე პრეზიდენტს – აუსგეირ აუსგეირსონს: მან პრეზიდენტის თანამდებობაზე ოთხი სრული ვადა იმსახურა, მათ შორის სამჯერ ავტომატურად აირჩა პრეზიდენტად, რადგან, არ ჰყავდა კონკურენტები არჩევნებზე.

* რამდენიმე არჩეულმა პრეზიდენტმა ისე დაასრულა სიცოცხლე, რომ წესიერად ვერ დატკბნენ თავიანთი პრეზიდენტობის პერიოდით: ბრაზილიელი ტანკრედუ ნევისი თავის ინაუგურაციამდე ერთი დღით ადრე გარდაიცვალა, ხოლო ამერიკელი უილიამ ჰარისონი, ინაუგურაციის დღეს გაცივდა და ინაუგურაციიდან ერთი თვის თავზე ფილტვების ანთებისგან გარდაიცვალა.

* ბრაზილიის ამჟამინდელი პრეზიდენტი დილმა რუსეფი ნამდვილი რევოლუციონერია: 1960-იან წლებში ის მიწისქვეშა შეიარაღებული ორგანიზაციის წევრი იყო, 1970-იან წლებში კი ამბოხების გამო ციხეში იჯდა და გადასახლებაში ცხოვრობდა.



* ყველაზე ბევრი ქალი პრეზიდენტი ლათინურ ამერიკასა და შვეიცარიაშია რეგისტრირებული. მათ შორის პირველი გახლდათ არგენტინის პრეზიდენტი იზაბელ მარტინეს დე პერონი. არგენტინასა და ბრაზილიაში პრეზიდენტებად ამჟამადაც ქალები მსახურობენ.

* სიმონ ბოლივარი, პრეზიდენტობის ექვსწლიანი პერიოდის განმავლობაში, ერთბაშად სამი ქვეყნის პირველი პირი იყო: ბოლივიის, პერუსა და კოლუმბიის.

* მონღოლეთის კომუნისტური ისტორიის მთავარი გმირი ჰორლოგიინ ჩოიბალსანია, რომელიც ყველა ხერხით ცდილობდა სტალინის მიბაძვას. 1936 წელს მან რეპრესიები წამოიწყო, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ჩოიბალსანი 1952 წელს, სტალინის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა და მისი ნეშთი თავდაპირველად მავზოლეუმში დაასვენეს, ხოლო შემდგომ სასაფლაოზე დაკრძალეს. მისმა შემცვლელმა ჩოიბალსანის კულტის ნგრევა დაიწყო, ზუსტად იგივე ხდებოდა საბჭოთა კავშირში სტალინის კულტის წინააღმდეგ.

* ფილიპინელები მსოფლიოში ყველაზე არაპუნქტუალურ ადამიანებად ითვლებიან. არაპუნქტუალურობასთან ბრძოლა 1998 წელს პრეზიდენტმა ფიდელ რამოსმა დააპირა და პუნქტუალურობის ნაციონალური კვირეული დააწესა, რომლის საზეიმო გახსნაზეც თავად ერთი საათით დააგვიანა.

* თურქეთში მიღებულია კანონი, რომლის თანახმად, პირველი პრეზიდენტის – მუსტაფა ქემალ ათათურქის კრიტიკა ან აუგად მოხსენიება ისჯება, ოფიციალურად თურქეთში აკრძალულია გვარის – ათათურქის ტარება.

* ერთხელ ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უფროსმა აღებინა იაპონიის პრემიერ-მინისტრის ტანსაცმელზე. მას შემდგომ იაპონურ ენაში დამკვიდრდა ტერმინი „ბუშუშურუ," რაც იმას ნიშნავს, რაც ბუშმა პრემიერ-მინისტრს გაუკეთა.

* ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც არჩევნებზე ერთმა კანდიდატმა ხმათა 100 პროცენტი მიიღო. ეს მოხდა 1789 წელს და პრეზიდენტად მაშინ ჯორჯ ვაშინგტონი აირჩიეს.

* ამერიკის 29-ე პრეზიდენტს, უორენ ჰარდინგს, ჰყავდა საყვარელი, სახელად ნან ბრიტონი, რომელთანაც თეთრი სახლის საპირფარეშოში სექსით იყო დაკავებული. დაცვას კი პრეზიდენტის მეუღლის დაშოშმინება მოუწია, როდესაც ის საპირფარეშოს კარის შემტვრევას ცდილობდა.

* ყველაზე დაბალი „აიქიუს" მქონე პრეზიდენტად ამერიკის შერთებული შტატების ისტორიაში ჯორჯ ბუში-უმცროსი სახელდება. მისი ინტელექტის დონე 91 ქულას შეადგენს, მაშინ, როცა საშუალოსტატისტიკურად, რიგითი ამერიკელის „აიქიუ" 100-ს აღემატება. ამასთან, ჯორჯ ბუშ-უმცროსი ერთადერთი ადამიანია პლანეტაზე, რომელმაც სეგვეიდან (ორთვლიანი ელექტრომობილი) ჩამოვარდნა მოახერხა.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რომელი სკანდალური ისტორიების გმირები გახდნენ „ფორბსის" მილიარდერები

*2012 წელი შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების, პოლიტიკოსებისა და სპორტსმენებისთვის სკანდალური ამბებით დახუნძლული იყო. მათ არც მილიარდერები ჩამორჩნენ და სკანდალური ქრონიკების მთავარ გმირებად იქცნენ. გთავაზობთ გასული წლის ყველაზე სკანდალური მილიარდერების ჩამონათვალს.*

### ტორ ბატისტა

2012 წლის მარტში, ბრაზილიის უმდიდრესი ადამიანის – ეიკე ბატისტას ვაჟი, ტორ ბატისტა, რიო-დე-ჟანეიროს შემოგარენში ავტოავარიაში მოყვა. სპორტული ტიპის „მერსედესით" ტორიმ გაიტანა ველოსიპედისტი, რომელიც გარდაიცვალა. ბრაზილიურ სასამართლოში ჯერაც არ გამართულა სასამართლო ამ ფაქტთან დაკავშირებით, ამასობაში კი ეიკე ბატისტამ შვილი თავისი კომპანიის გენერალურ დირექტორად დანიშნა.



### სტიუარტ რარი

ფარმაცევტი მილიარდერისთვის სტიუარტ რარისთვის 2012 წლის ნოემბერი უიღბლო გამოდგა. პირველი – რესტორნების ქსელმა „ნობუმ" იგი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა თავის ქსელში, რადგან რარი მათ ადმინისტრატორს მოკვლით ემუქრებოდა; მეორე ფაქტიც კვლავ მუქარას ეხება, ოღონდ ამჯერად რარი „ტრამპ თაუერის" ლიფტიორს დაემუქრა იარაღით და პოლიცია იძულებული იყო, მისი ბინიდან იარაღის კოლექცია ამოეღო. წლის ბოლოს რარმა განაცხადა, რომ მეუღლესთან გაშორება გადაწყვიტა, თუმცა, საზოგადოება დაიმედა, რომ ამჯერად ყველაფერი ექსცესების გარეშე ჩაივლის.

### ჰანს-კრისტიან რაუზინგი

2012 წლის ივლისში კომპანია „ტეტრა პაკის" დამფუძნებლის მემკვიდრე, 49 ჰანს-კრისტიან რაუზინგი, პოლიციამ ნარკოტიკული საშუალებების შენახვის ფაქტზე დააკავა და ბინის ჩხრეკის დროს მისი გარდაცვლილი მეუღლის გვამი აღმოაჩინა. გამოძიებამ დაადგინა, რომ რაუზინგის ცოლი ნარკოტიკების ზედმეტი დოზის მიღებისგან გარდაიცვალა და მილიარდიანი ქონების მემკვიდრემ გვამთან ერთად რამდენიმე კვირა გაატარა.



### კრისტოფელ ვიზე

2012 წლის ივნისში სამხრეთაფრიკელი მილიარდერი კრისტოფელ ვიზე ინგლისიდან ლუქსემბურგში მიმავალი თვითმფრინავიდან ჩამოსვეს იმის გამო, რომ იგი რამდენიმე ჩემოდნის გადატანას ცდილობდა, სადაც ნაღდი ფულის სახით, მილიონობით დოლარი იყო. პოლიციამ არ დაუჯერა ვიზეს, რომ ეს ფული მას ჯერ კიდევ 1980-იან წლებში ჰქონდა შენახული სასტუმრო „რიტცის" შემნახველ საკანში და მხოლოდ ახლა გაახსენდა. მოგვიანებით ვიზეს ადვოკატი სასამართლოში ამტკიცებდა, რომ ეს თანხა მისი კლიენტისთვის უმნიშვნელო იყო, რადგან ვიზეს კვირაში ამაზე მეტი შემოსავალი ჰქონდა, თუმცა, არავინ დაიჯერა. ცნობილია, რომ ამჟამად კრისტოფელ ვიზეს ვალი სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოს წინაშე 250 მილიონ დოლარს შეადგენს.

### დონალდ ტრამპი

საპრეზიდენტო არჩევნების დაწყებამდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა „იუთუბიზე" განათავსა ვიდეომიმართვა, რომელშიც მოუწოდებდა ბარაკ ობამას დაბადების მოწმობისა და განათლების დამადასტურებელი საბუთების ჩვენებას, რის სანაცვლოდაც იგი მზად იყო 5 მილიონი დოლარი გადაერიცხა ნებისმიერ საქველმოქმედო ორგანიზაციაში, რომელსაც ობამა მიუთითებდა. ტრამპის მიზანი იმის დადგენა იყო, ნამდვილად არის თუ არა ობამა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბადებული, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ ექნებოდა პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება. პრესამ ტრამპის ქცევა ხუმრობად შეაფასა, საზოგადოებამ კი უბრალოდ, ყურადღების მიქცევად ჩათვალა ტრამპის ინიციატივა.

### ჩარლზ და დევიდ კოხები

ქველმოქმედებით ცნობილ მილიარდერ ძმებს გასული წლის შემოდგომაზე სერიოზული ბრალდება წაუყენეს – კოხები მალულად აფინანსებენ რესპუბლიკელებს. ლიბერალურმა პოლიტიკურმა ჟურნალმა „ინ ზის თაიმსმა" გამოიძია, რომ კოხების კომპანიების თანამშრომლებს გადაეგზავნათ საიდუმლო წერილები, სადაც აღნიშნული იყო, რომ აუცილებელია რესპუბლიკელი კანდიდატების მხარდაჭერა. აღნიშნულ ინფორმაციას ჩარლზ და დევიდ კოხებმა ტყუილი უწოდეს.

### ფრანსუა-ანრი პინო

ფრანგი ფეშენ-მაგნატი ფრანსუა-ანრი პინო სასამართლო გარჩევების ფიგურანტი გახდა. ხუთი წლის წინ მას რომანი ჰქონდა მოდელთან ლინდა ევანჯელისტასთან, რომლის შედეგად ქვეყანას მოევლინა ვაჟიშვილი. 2012 წელს ლინდამ განაცხადა, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში მილიარდერს არც ერთი ევრო არ დაუხარჯავს შვილის შენახვაზე. პინოს თქმით, ლინდას მიზნად ჰქონდა მისგან დაფეხმძიმება და ჯერჯერობით საქმე კვლავ სასამართლოშია. ამასობაში, პინოს შვილი სელმა ჰაიეკთან მსგავს პრობლემებს არ შეხვედრია, რადგან, ჰოლივუდის ვარსკვლავი სელმა, პინოს ოფიციალური მეუღლეა.

### დენ კეტი

რესტორნების ქსელ „ჩიკ-ფილის" მფლობელი, მილიარდერი დენ კეტი, ჰომოფობიაში დაადანაშაულეს. მილიარდერმა ღიად გაილაშქრა ერთსქესიანი ქორწინებების წინააღმდეგ, რის საპასუხოდაც გეი-წყვილებმა მის რესტორნებში აქციების მოწყობა დაიწყეს. კეტს მიაჩნია, რომ რელიგია მსგავს ქორწინებებს არასდროს არ აღიარებს და მოუწოდებს გეებსა და ლესბოსელებს, ბიბლიურ გზას დაადგნენ და მოინანიონ ცოდვები.

### მანოი ბჰარგავა



ინდოელი მანოი ბჰარგავა ყოფილი ბერია, რომელმაც 1,5-მილიარდიანი ქონება ენერგეტიკული სასმლის – „5 აუარ ენერჯის" გაყიდვით იშოვა. 2012 წლის ნოემბერში ამერიკულმა ჯანდაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ შარშან 13 ადამიანი ამ ენერგეტიკული სასმლის მოხმარებისას გარდაიცვალა და დაიწყო მოკვლევა ამ ფაქტთან დაკავშირებით. ბჰარგავა ყველა ბრალდებას აბსურდულს უწოდებს, აცხადებს, რომ ენერგეტიკი უვნებელია და თავის მიმართვებს „იუთუბის" საშუალებით ავრცელებს.

### სტივენ კოენი

2012 წლის დეკემბრის დასაწყისში საინფორმაციო სააგენტო „როიტერის" მიერ გავრცელებული ცნობის მიხედვით, ამერიკის ფედერალურმა სამსახურმა დაადგინა, რომ მსხვილი საფონდო მაგნატი, ჰეჯ-ფონდების მფლობელი სტივენ კოენი ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ აფერებში იყო გარეული. გამოძიების ცნობით, კოენის კომპანია ფასიანი ქაღალდებით მანიპულირებდა და ხელოვნურად ახდენდა გავლენას საფონდო ბირჟაზე. გამოძიება ჯერაც მიმდინარეობს.

### სილვიო ბერლუსკონი

იტალიის ექსპრემიერ-მინისტრსა და მილიარდერს, სილვიო ბერლუსკონის უმძიმესი ბრალდება წაუყენეს: სექსი არასრულწლოვანთან. გარდა ამისა, იტალიურმა სასამართლომ მას რამდენიმეწლიანი სასჯელი მიუსაჯა ფულის „გათეთრებისა" და გადასახადების გადაუხდელობის მუხლით, თუმცა, გასაჩივრებისა და ამნისტიის შედეგად, სასჯელი პირობითად გადაკეთდა. 76 წლის პოლიტიკოსი კვლავ გეგმავს დიდ პოლიტიკაში დაბრუნებას; გარდა ამისა, ბერლუსკონიმ კვლავ შოკში ჩააგდო საზოგადოება – ყველას წარუდგინა თავისი ახალი მეუღლე, 26 წლის ფრანჩესკა.

### ტომას და რეიმონდ კვოკები

2012 წლის მარტში ჰონკონგის ანტიკორუფციულმა სამსახურმა ქრთამის აღება-მიცემის ფაქტზე დააკავა დეველოპერული კომპანია „სუნ ჰუნგ კაის" შეფები, მილიარდერი ძმები, რეიმონდ და ტომას კვოკები. 18,3-მილიარდიანი კაპიტალის მქონე ძმებს რამდენიმე მუხლით აქვთ წაყენებული ბრალი. სასამართლო ჯერ არ დასრულებულა და, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს გასტანს.



**უშანგი რუხაძე**

**ის ბოლო თვეების ყველაზე სკანდალური ამბების ყველაზე მთავარი პერსონაჟია – ადამიანი, ვინც ქართული პოლიტიკური რეალობა რადიკალურად შეცვალა. მის შესახებ საზოგადოებრივი აზრიც მრავალგვარია: ზოგს მხსნელი ჰგონია, ზოგს – მწამებელი, ზოგსაც – „ჩვენი დროის გმირი," თუმცა, ამ ყველაფერს ყველაზე სწორ პასუხს მაინც დრო გასცემს. ის კი ცხადია, რომ, მისივე ნათქვამის არ იყოს, ლადო ბედუკაძე დიდ პოლიტიკაში კოზაკივით გაიჭყლიტა. როგორც ამბობენ ხოლმე – გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარეო, ახლაც ასეა – პირობა ჩამომართვა, გამოძიების დეტალებზე არაფერი აღარ მკითხოთო და მეც პირობა შევუსრულე, თუმცა, ის კი გულწრფელად მიამბო, როგორი მძიმე გახდა მისი ცხოვრება 19 სექტემბრის შემდეგ.**

# რას არ უმხელდა ლადო ბედუკაძე 12 წელი ცოლს და ვინ იყო მისი „პატრონი" ციხეში

**ლადო ბედუკაძე**: საკმაოდ მძიმე განცდაა, როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი ამბის ეპიცენტრში ხვდები. ძალიან ძნელია, როცა ასეთ ფონზე ხდები ცნობადი და შენი ცხოვრება მთლიანად იცვლება. ამ ამბავმა ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად გაყო – 19 სექტემბრი იყო „წყალგამყოფი", რასაც მოჰყვა მკვეთრი შემობრუნება. ვიცი, რომ იმ ცხოვრებით ველარ ვიცხოვრებ, რაც 19 სექტემბრამდე მქონდა. ამაზე, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი; ისიც ვიცოდი, რომ გავიჩენდი ამდენ მტერს, მათ შორის, უპირველესად, იმათ ვგულისხმობ, ვინც დაკარგა თანამდებობები, უზრუნველი ცხოვრება; ვინც ძველებურად ველარ „აბოლებს" საზოგადოებას. 12 წელი ვიმუშავე ციხეში, პოლიტიკა არასდროს ყოფილა ჩემთვის საინტერესო, მაგრამ, ერთი ქართული ანდაზის არ იყოს, „აქლემების ჭიდილში კოზაკი გაიჭყლიტაო," ის ნამდვილად არ მეგონა, ამ დონის რეზონანსს თუ გამოიწვევდა ეს ამბავი: ღირსების დაცვა აღმოჩნდა ის კრიტერიუმი, რომელსაც საზოგადოების გამოღვიძება მოჰყვა – სტუდენტობა რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ პირველად გამოვიდა ქუჩაში და, როდესაც იცი, რომ ამ პროცესების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ხარ, ეს, გარკვეულწილად, რადიკალურად ცვლის ყველაფერს.

**– ძველი ცხოვრება ახსენეთ. როგორ მოხვდით სასჯელაღსრულების სისტემაში?**

– შეიძლება ითქვას, სასჯელაღსრულების სისტემაში მოვხვდი შემთხვევით, უფრო სწორად, პოლიციაში ჩემი მოხვედრა იყო შემთხვევითი. გაძლიერებული გერმანულენოვანი პროფილის სკოლა მაქვს დამთავრებული. უცხო ენების ფაკულტეტზე მინდოდა ჩაბარება. 90-იანი წლების მძიმე პერიოდი იყო, მივხვდი, რომ „ჩაწყობის" გარეშე უცხო ენებზე ჩაბარება რთული იქნებოდა. ჩემი პირველი პროტესტი ამ პერიოდს უკავშირდება – უცხო ენების ნაცვლად საბუთები იურიდიულ ფაკულტეტზე შევიტანე. იმ პერიოდში მუშაობაც დავიწყე დიპლომატიური სამსახურის დაცვის სამსახურში – ჩინეთის საკონსულოს რეზიდენციის დაცვაში ვიყავი. ალბათ, გახსოვთ, იმ დროს ქურდული მენტალიტეტი როგორ მძლავრობდა ჩვენს საზოგადოებაში. ვიფიქრე, რადგან ერთხელ დამერქვა „ძაღლი", ავდგები და ამ საქმეს ბოლომდე მივყვები-მეთქი და პოლიციის აკადემიაში გავაგრძელე სწავლა. სწორედ იმ წელს გაიხსნა ტექნიკურ-იურიდიული ფაკულტეტი, რომელმაც სტუდენტების მხოლოდ ერთი ნაკადი გამოუშვა. როგორც წარჩინებულ კურსდამთავრებულს, აკადემიის დამთავრებისთანავე მომენიჭა უფროსი ლეიტენანტის წოდება და განაწილებით გამიშვეს კახეთის საგზაო პოლიციის პირველ სამმართველოში. ეს ის დრო იყო, როდესაც ეგრეთ წოდებული „გაიშნიკები" კარგ ფულს შოულობდნენ; თუმცა, ვინც მიცნობს იმ პერიოდიდან, იცის, რომ მე არ ვიყავი ტიპური „გაიშნიკი", ამიტომაც, საკუთარი ნებით დავწერე პატაკი გათავისუფლებაზე, რაც, მგონი, იმ წლებში ბევრს არ გაუკეთებია. სწორედ ავტოინსპექციასთან დაკავშირებული ჩემი წარსული გაიხსენა მიხეილ სააკაშვილმა, როდესაც თქვა ჩემზე – ძველი „გაიშნიკი" გაგვეპარაო. იმ პერიოდში, როდესაც სამსახურიდან წამოვედი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ახალი დაქვემდებარებული იყო იუსტიციის სამინისტროზე და კადრებს ეძებდნენ ახალი დეპარტამენტისთვის. ვიფიქრე, დროებით იქ დამეწყო მუშაობა, მაგრამ, დროებით არ გამოვიდა. მაშინ პირდაპირ მივადექი შოთა კოპაძეს, რომელიც დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო და სამსახური ვთხოვე. უპრობლემოდ მიმიღო. თავიდან მუშაობა დავიწყე „რეზბალნიცაში", რეჟიმის განყოფილებაში, ინსპექტორად, სადაც იმ პერიოდში ბევრი „კანონიერი ქურდი" იყო მოთავსებული. მე ავტოინსპექციიდან ფორმით სიარულს ვიყავი შეჩვეული, ციხეშიც ფორმით დავდიოდი. ვერ მიხვდნენ, ვინ ვიყავი, ზოგს გიჟიც კი ვეგონე. ერთი წელი, თურმე, ჩემზე ფიქრობდნენ, რომ გამომძიებელი ვიყავი. მერე დირექტორმა მირჩია – ჩვენთან ასე არ დადიანო და მეც გავიხადე ფორმა. ციხეს აქვს თავისი დაწერილი და დაუწერელი წესები. ციხისთვის ახალბედა ვიყავი, გამოცდებს გამოცდებზე მიწყობდნენ როგორც ციხის ადმინისტრაცია, ასევე – პატიმრები. ხან ნივთის შემოტანას მთავაზობდნენ, ხან – ნარკოტიკის, მაგრამ, არც ერთ ასეთ „გარიგებაზე" არ წავსულვარ და, ალბათ, ამიტომაც, სხვანაირი პატივისცემა უჩნდებოდათ ჩემ მიმართ. ერთ-ერთი ციხის უფროსმა სამსახურიდან გამომიშვა: პატიმრები ისეთ პატივს გცემენ, შენ ჩემი ადგილი და თანამდებობა გინდაო *(იცინის).* მაშინ ხშირი იყო „პერებროსები": ნარკოტიკს ქვაზე მოაბამდნენ და ისე ისროდნენ დაწესებულებაში – ამისგან დაზღვეული არც ერთი ციხე არაა. 2005 წლიდან კი ციხე გახდა სისტემა. რა თქმა უნდა, საჭირო იყო ციხეში წესრიგის დამყარება, მაგრამ, ეს არ უნდა ყოფილიყო ადამიანების დამცირების, წამების ხარჯზე. ყველა საშუალება მიზანს არ ამართლებს. მე იმ სასტიკ და დაუწერელ კანონებში ჩემი წესები მქონდა: ვცდილობდი, რომ, ის ხალხი, ვინც ჩემთან ერთად მუშაობდა ცვლაში, თავისი ადამიანობით გამორჩეულები ყოფილიყვნენ ციხის თანამშრომლებს შორის. ჩემი წესების გამო, რამდენჯერმე დაპირისპირებაც მქონდა ციხის ხელმძღვანელობასთან. იმას ვერ მეუბნებოდნენ – სამსახური დატოვეო, თუმცა, მიზეზს ყოველთვის ეძებდნენ, რომ ჩემთვის სუსტი წერტილი მოეძებნათ. მხოლოდ იმიტომ ვერ მიშვებდნენ, რომ, სადაც საჭირო იყო, ვამბობდი: თუ წავალ, ბევრს გავიყოლებ-მეთქი – ამიტომაც არ იყო ადვილი მათთვის ჩემი გაშვება.



**ჩემი ცოლი დღემდე არ მპატიობს, რომ ოჯახი სამიზნეზე დავდე**

**– თქვენ შესახებ საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო: პატიმრების ერთი ნაწილი ამბობს, რომ მათ ძალიან ეხმარებოდით, მაგრამ, არიან ისეთები, რომლებიც ამბობენ, რომ თქვენც იყავით იმ მძიმე ფაქტების მონაწილე, რაც იქ ხდებოდა.**

– მე თვითონ ვეძებ ასეთ პატიმრებს, მინდა იმ პატიმრების ნახვა, ვინც ჩემზე ასეთ რამეს ამბობს: მე თვითონ მინდა, ვნახო და ვკითხო, რა პრეტენზიები აქვთ ჩემთან. ისინი მართულები არიან, სპეციალურად ამბობენ ამას. პატიმართა უმეტესობამ ხომ თვითონაც კარგად იცის, ვისთვის რას ვაკეთებდი. ჩემთვის ძალიან ბევრ პატიმარს უთქვამს: ჩემთვის აქ ნათელი წერტილი ხარ და ლოცვაში მოგიხსენიებო. მე არ მქონდა პატიმრებთან ურთიერთობის უფლება საცხოვრებელ კორპუსებში, მე მათთან მქონდა შეხება, როდესაც ისინი საპყრობილეში შემოჰყავდათ და როცა იქაურობას ტოვებდნენ, მაგრამ, ხშირად შინაგანაწესს ვარღვევდი და ვახერხებდი, რომ ისინი ჩემს კაბინეტში შემეყვანა და მათთვის ცოტა უფრო ადამიანური გარემო შემექმნა. იმის გამო, რომ მოვინახულე რატი მაისურაძე, რომელიც ნაცემი იყო, საყვედურიც კი მაქვს მიღებული. ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა ვახტანგ მაისაიასთან, რომელსაც, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენი ჰქონდა გამოტანილი. მე მოვახერხე მისი დარწმუნება, რომ შეეწყვიტა შიმშილობა, რათა გადარჩენილიყო. მახსოვს, ერთ-ერთი სასამართლო პროცესიდან მელორ ვაჩნაძე ფსიქოლოგიურად განადგურებული მოვიდა, შევიყვანე ჩემს კაბინეტში, საუბარი დავუწყე და ნელ-ნელა გამოვიდა მდგომარეობიდან. ჩემს ოთახში ორივე ერთად ხმამაღლა იმასაც კი ვყვიროდით: „მიშას რაა?!" ვილაცეებს ეგონათ, ამას იმიტომ ვბედავდი, რომ „ზემოთ" პატრონი მყავდა. ჩემი პატრონი იყო მხოლოდ კანონი, მეტი არავინ და არაფერი. მე არ მქონია პოლიტიკური მოტივაციები და, იმ ადამიანებსაც, ვინც პოლიტიკურზე იყვნენ დაპატიმრებულები, ჩვეულებრივად, ადამიანურად თანავუგრძნობდი.

**– ამბობთ, პოლიტიკა არ მაინტერესებდაო. არადა, თბილისში დაბრუნებული, მეორე დღესვე მიხვედით მიტინგზე, რომელიც პრეზიდენტის რეზიდენციასთან გაიმართა.**

– ჩემი მიზანი იყო, არის და იქნება მიხეილ სააკაშვილის გასტუმრება ისტორიის სანაგვეზე. მას არანაირი მორალური და იურიდიული უფლება არ აქვს, იყოს პრეზიდენტი. მან თვითონ შექმნა და ჩამოაყალიბა ის სისტემა, რაც არსებობდა წინა ხელისუფლებაში. ბაჩო ახალაია, რომელიც იყო შემსრულებელი, პრეზიდენტმა წარადგინა სასჯელაღსრულების ხელმძღვანელად, მინისტრად და ბოლო წუთამდე მის ქებაში იყო მიხეილ სააკაშვილი. სწორედაც რომ პრეზიდენტია პასუხისმგებელი ყველა იმ პროცესზე, რაც ამ ქვეყანაში ხდებოდა და ამიტომაც არის ჩემი პოზიცია მის მიმართ ასეთი. ახლა სააკაშვილი რომ ყოფილიყო ძველებური მმართველი, უვადო პატიმრობა არ ამცდებოდა. ახლა ვითხოვ, ერთი მუხლი კიდევ დამიმატონ ბრალდებაში – სააკაშვილს ისე გავუმწარე ცხოვრება, მისი წამების მუხლიც უნდა დამემატოს და, კიდევ ერთი მუხლი – ქურდობა, თან – სახელმწიფო ქონების.

**– რა მოიპარეთ?**

– კასეტის მოპარვასა და კადრების გარეთ გამოტანას ვგულისხმობ, ასეთი პრეცედენტი საქართველოში არ არსებობდა. ფიქრობდნენ, რომ ვერავინ გაბედავდა ამას, ისე იყვნენ დარწმუნებულები საკუთარ ძალებში.

**– ის დაავიწყდათ, რომ ციხე შიგნიდან ტყდება?**

– როგორც ჩანს, დაავიწყდათ. იმ კასეტის ციხიდან გამოტანა ძალიან რთული იყო. ეს იყო სიგიჟე და რისკი ჩემი მხრიდან, იმდენ ქურდთან მქონდა ურთიერთობა, ეტყობა, მეც დავოსტატდი ამ საქმეში. როგორც იცით, დროებით, უფროსობასთან ატანამდე, კასეტა ჩემს ოთახში ინახებოდა. მე შევძელი მისი მოპარვა. როცა კასეტა მოიკითხეს, მაშინვე დავაბრუნე. გავითამაშე, რომ იქ იყო და ვერ ნახეს. მერეც სულ იყო რისკი,

რომ კადრების გატანა გარკვეულ ეტაპზე გამომჟღავნდებოდა და ინფორმაცია გაჟონავდა. ის თვეები, როცა მე საქართველოდან წავედი, ვიყავი მოლოდინის საშინელ რეჟიმში, მაგრამ, სულ მქონდა იმედი. ქართველების სამი-ოთხი ოჯახი მაინც გამოვიცვალე.

**– თქვენ დიდი რისკის ქვეშ დააყენეთ თქვენი ოჯახი – მეუღლე და პატარა ბავშვები. როგორ ცხოვრობენ ისინი 19 სექტემბრის შემდეგ?**

– ჩემი მეუღლე დღემდე არ მპატიობს იმას, რომ ოჯახი ასეთი დიდი რისკის ქვეშ დავაყენე, დღესაც მძიმედ განიცდის ამ ყველაფერს. მე, ფაქტობრივად, გავწირე ოჯახი. როგორ უნდა ავუხსნა მათ, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო?! ორი შვილი მყავს: 6 წლის ანა და 13 წლის უჩა. ისინი ჯერ მაინც პატარები არიან და ბევრ რამეს ვერ იგებენ – საბედნიეროდ, მათ სამყაროში ასე ღრმად ვერ აღწევს პოლიტიკა. ჩემმა მეუღლემ ჩემს სამსახურზე არაფერი იცოდა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ შეხება მქონდა პატიმრებთან და ციხეში პატიმრების წამება ხდებოდა. ყველანაირად ვცდილობდი, სახლამდე არ მომეტანა ხოლმე ის კოშმარი, რომელშიც ვმუშაობდი; ხანდახან ვერც გამოვდიოდი ხოლმე იმ კოშმარიდან. რკინას რომ გაავარვარებ და მერე უცებ ცივ წყალში ჩადებ, ასე იყო ჩემი ფსიქიკა. იმ პერიოდში სასჯელაღსრულების კურსის ლექციებსაც ვკითხულობდი ორ უნივერსიტეტში. სტუდენტები ხშირად მეკითხებოდნენ, სცემენ თუ არა პატიმრებსო. არა, ასეთი რამ არ ხდება-მეთქი, – ვამბობდი ხოლმე კატეგორიულად. შეიძლება ითქვას, „ვატყუებდი" მათ, მაგრამ, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. მივდიოდი სამსახურში და იქ კი ისეთი ხდებოდა... სამსახურის დატოვებაზე ბევრი მიფიქრია, ამაზე ირმასთანაც მითქვამს, მაგრამ რომ წამოვსულიყავი, სად უნდა მემუშავა, ორ შვილს შემოსავლის გარეშე ხომ ვერ დავტოვებდი?! თან, პატიმრების მიტოვებაც მიჭირდა იმ მძიმე პირობებში. 19 სექტემბერი, როდესაც ეს ამბავი გახმაურდა, ჩემთვის იყო კოშმარი. იმ დღესვე გავიგე სოციალური ქსელის მეშვეობით, რომ ჩემზე ძებნა გამოცხადდა, რომ დაკავებულები იყვნენ ჩემი თანამშრომლები. განსაკუთრებით განვიცადე ფარულავას დაკავება – ყველაფერი რაც მოხდა, მასთან ერთად მქონდა დაგეგმილი. 19 სექტემბრის შემდეგ ოჯახზე დიდი საფიქრალი არ მქონია – მე არ ვიცოდი, ვის რა მოუვიდოდა თავში. თუ ჩემზე შურისძიებას გადაწყვეტდა ვინმე, პირველ ყოვლისა, ოჯახზე ზეწოლით გამისწორდებოდა; ამიტომაც, ჩემი მოთხოვნა იყო ოჯახის გაყვანა და მათი უსაფრთხოების დაცვა. მათ ორ-სამ დღეში მოახერხეს საქართველოს დატოვება, თუმცა, თურქეთში ყოფნა ნამდვილად არ ნიშნავდა უსაფრთხოდ ყოფნას.

**ერთ-ერთი ციხის უფროსმა სამსახურიდან გამომიშვა: პატიმრები ისეთ პატივს გცემენ, შენ ჩემი ადგილი და თანამდებობა გინდაო**

**– დღეს თუ ხართ დაცულები? თავად მგონი, დაცვით დადიხართ.**

– არა, დაცვით არ დავდივარ, ეს ადამიანები, ვისაც ახლა ჩემ გვერდით ხედავთ, ჩემი ნათესავები არიან. ვიცი, რომ საფრთხე ყოველთვის იქნება: ბევრი მტერი და მოთვალთვალე მყავს, ვიღაც ყოველთვის მაკონტროლებს, მაგრამ, პირადი მუქარები ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ არ ყოფილა. ბევრს აქვს აგრესია ჩემზე, მათ შორის, თუნდაც იმ ადამიანების ოჯახის წევრებს, ვინც დაკავებულები არიან. ის ხალხი მეცოდება კიდეც, მაგრამ, ის პატიმრები რომ მახსენდება, ვისაც სცემდნენ და აწამებდნენ, ბრძოლა მიდის ჩემს გონებაში: „მათ რა დააშავეს, ასე სასტიკად რომ უსწორდებოდნენ?!" არის საზოგადოების ის კატეგორიაც, ვინც ისევ მონურ აზროვნებაშია ჩარჩენილი და ფიქრობს, რომ მათ ღმერთის – სააკაშვილს, თავზე დავუნგრიე ყველაფერი. ასეთი ადამიანები ჩემ ირგვლივაც იყვნენ და ისინი კონტაქტზე არ გამოდიან, სხვა მხრივ კი ქუჩაში ვერ ვგრძნობ საზოგადოების მხრიდან ჩემ მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას. როცა ქვეყანას ასეთი თემებით გააცნობ თავს, როცა შენს დანახვაზე ციხის კადრები, ცემა და წამება ახსენდებათ, ეს ადამიანურად ნამდვილად რთულია.

**– ჩვენ ახლა კონსპირაციულ ბინაში ვართ?**

– არა, კონსპირაციული ბინები სხვანაირია, ჩვენ ახლა ჩემი სიდედრის, ბინაში ვართ, რომელიც, როგორც ჩემი მეუღლე, ისევ გაბრაზებულია ჩემზე ***(იცინის).*** ჩემი სახლიც აქვეა, მაგრამ, ისეთ მდგომარეობაშია, იქ არ შეისვლება, სტუმარს ვერ მიიღებ. ორ ადგილას ვმუშაობდი, მაგრამ იმდენი ფული ვერ მოვაგროვე, რომ უკეთესი პირობები მქონოდა.

**– ამბობენ, ამ კადრების ფასად ბევრი ფული მიიღეთ.**

– ვიცი, რომ ეს ხმები გავრცელდა. თუ უახლოეს მომავალში ავიშენებ ვილას ან სახლს ვაკეში, შეუძლიათ, თქვან, რომ ფული ავიღე. მერე იმასაც ამბობდნენ, თანამდებობას დაჰპირდნენო, პოლიტიკურ პარტიაში მიდისო... – ასეც ვრცელდება ხმები. გამორიცხული არაფერია. დღემდე ახლო ურთიერთობები მაქვს იმ ხალხთან, ვინც ციხეში გავიცანი – ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ვსაუბრობთ მომავალზე.

**– როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი, როგორ აპირებთ ცხოვრების გაგრძელებას?**

– ჯერ ზუსტად არ ვიცი, რა გზას ავირჩევ, როგორ გავაგრძელებ ცხოვრებას. ყოველთვის ოპტიმისტი ვიყავი და ახლაც მჯერა, რომ ყველაფერი კარგად და სამართლიანად დასრულდება.

**თამუნა სამადაშვილი**

# რატომ მიაჩნია სერგეი მარკოვს „ნატოსადმი" სიყვარული ქართველების უსაქმურობისადმი სიყვარულის მაჩვენებლად

**(მეექვსე გვერდიდან)**

ხელს შეუწყობს ამ პროცესს. ჩვენ გვესმის, რომ თქვენ დიდხანს ცხოვრობდით ერთად, შემდეგ – ცალ-ცალკე და, შეიძლება, ისევ ერთად იყოთ, მაგრამ, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მოვახდენთ ზემოქმედებას აფხაზებსა და ოსებზე. აფხაზები და ოსები არ არიან პომიდვრები ან ბადრიჯნები, რომ ვივაჭროთ, როგორც ბაზარში. ისინი არიან ხალხები და მათი უფლებაა, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები. ჩვენ, ასევე, დავიცავთ საქართველოს, თუ ირანი ან თურქეთი გადაწყვეტს საქართველოს ოკუპაციას. დავეხმარებით ქართველ ხალხს, თუ მოინდომებენ.

**– დიპლომატიურ ენაზე ეს არ ნიშნავს იმას, რომ პუტინმა მიანიშნა, ამ ჩიხიდან გამოსავლის მოძებნა შესაძლებელიაო? თქვენ როგორ გაიგეთ მისი ნათქვამი, მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო და სხვა არაფერი?**

– რაღაც გამოსავალს, ალბათ, მოვძებნით; შეიძლება, 2050 წლისთვის გვქონდეს რაღაც გადაწყვეტილება. პუტინს არაფერი განსაკუთრებული არ უთქვამს. დიახ, თქვენ ვერ აღიარებთ, ჩვენ უკან ვერ წავიღებთ ამ აღიარებას და ამ ჩიხიდან უნდა გამოვიდეთ.

**– და, როგორ უნდა გამოვიდეთ ამ ჩიხიდან?**

– ჩემი აზრით, უნდა შევქმნათ ერთიანი ეკონომიკური სივრცე, რომელიც ჩართავდა საქართველოს, რუსეთს, აფხაზეთს, „იუჟნაია ოსეტიას", სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთსაც, თუ მოისურვებენ, ერთიან ეკონომიკურ სივრცეში. სადაც მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი ბიზნესებისა თუ მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილება; უნდა მოიხსნას საზღვრები, უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ინტეგრაცია, სამოქალაქო ინტეგრაცია, საინფორმაციო ინტეგრაცია. ამ ერთიან, საერთო ეკონომიკურ სივრცეში ყველანი ერთად ვიცხოვრებდით და, თუ საქართველო მოახერხებს და განავითარებს ურთიერთობებს აფხაზებსა და ოსებთან, ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდის შემდეგ, შესაძლებელია, კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნა: საქართველო, აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია". შესაძლოა, შემდეგ კონფედერაცია გადაიზარდოს ფედერაციაში. ადრე ვლაპარაკობდი აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიას" რეინტეგრაციის მოდელზე. დღეს ის მოდელი აღარ მუშაობს, მაგრამ, მაინც აგიწერთ აფხაზეთთან მიმართებაში: აფხაზეთი აღიარებს, რომ არის საქართველოს ნაწილი. ამასთან, აფხაზეთში იქნება სამმაგი მოქალაქეობა: აფხაზეთის, რომლის მიცემა შეუძლია მხოლოდ აფხაზეთის მთავრობას; მსურველებისთვის კი – რუსული და ქართული მოქალაქეობა; ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია, ჰქონდეს ევროკავშირის მოქალაქეობა. შესაძლოა, მიმოქცევაში იყოს როგორც რუბლი, ისე ლარი. საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ რუსეთი არის აფხაზეთის ავტონომიის გარანტი. იმავდროულად, აფხაზეთის ავტონომიის გარანტი იქნება რუსული სამხედრო ბაზა. აფხაზეთის პარლამენტს ექნება ვეტოს უფლება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე. აი, ასეთი მოდელია.

**– ამ მოდელში გათვალისწინებულია ქართველი დევნილების დაბრუნება?**

– თუ ამას მოინდომებს აფხაზეთის პარლამენტი.

**– და, თქვენ ფიქრობთ, რომ ცივილიზებულია, აფხაზეთის პარლამენტი შეეწინააღმდეგოს დევნილების დაბრუნებას?**

– თუ თქვენ ფიქრობთ, რომ აფხაზები არიან არაცივილიზებული ველურები...

**– არაცივილიზებულია აფხაზიც, ქართველიც, ფრანგიც და მარსელიც, ვინც ფიქრობს, რომ დევნილებს არ აქვთ უფლება, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.**

– წინასწარ არ ღირს ამაზე ლაპარაკი. თუ აფხაზეთის პარლამენტი გადაწყვეტს, დევნილები დაბრუნდებიან, თუ არ გადაწყვეტს – არ დაბრუნდებიან. თუ ქართველები ოცნებობენ, რომ ოდესმე მათი დევნილები შეძლებენ უკან დაბრუნებას აფხაზებისა და ოსების ნების გარეშე, ეს ფანტასტიკის სფეროა.

**– როგორც ჩანს, რუსეთი ელოდება, რა ნაბიჯებს გადადგამს საქართველო. კონკრეტულად, რას ელოდება?**

– უპირველესად, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას. მადლიერი ვიქნებოდით, თუ რუსულ ენას უფრო დიდი სტატუსი ექნებოდა. ჩვენ რა გვინდა? უბრალოდ, ურთიერთობის აღდგენა.

**– არის რაღაც პირობები, რომლებიც უნდა შეასრულოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ რუსეთი წამოვიდეს თანამშრომლობაზე?**

– თქვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ უნდა თქვან, რომ ოკუპირებულია აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია". ეს არ შეუწყობს ხელს ურთიერთობის ნორმალიზაციას.

**– ეს რომ თქვას კიდეც ხელისუფლებამ, დიდ აგრესიას გამოიწვევს მოსახლეობაში. ჩვენ, ყველანი, ვთანხმდებით, რომ ეს ოკუპაციაა.**

– თუ იტყვიან, რომ ოკუპაციაა, მაგრამ, მზად იქნებიან ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის, ჩვენ ამას განვიხილავთ როგორც მოცემულობას. ისეთივე მდგომარეობად მივიღებთ, რაც გვაქვს იაპონიასთან: იაპონია ამბობს, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს ოთხი იაპონური კუნძული, მაგრამ, მერე რა?!

**ნინო ხაჩიძე**

# ინტიმური საუბრები

## ჩემი შეყვარებული ენერგოვამპირია

უკვე მესამე წელია, მაკო მიყვარს და მის ცოლად შერთვასაც ვაპირებდი, მაგრამ, რამდენიმე თვეა, უამრავ ნაკლს ვამჩნევ და აშკარად ვგრძნობ, რომ მასთან ერთად დიდხანს ველარ გავძლებ.

შეიძლება, ბიჭისგან კარგი საქციელი არ არის საცოლის უარყოფითი თვისებების საქვეყნოდ გამოცხადება, მაგრამ, უკვე ისე გავბრაზდი, გადავწყვიტე, მომეწერა. შეიძლება, წაიკითხოს კიდეც ეს წერილი და მიხვდეს, როგორ არ უნდა მოიქცეს.

ორი წელი ისე ვხვდებოდით ერთმანეთს, მისი ყველაფერი მომწონდა და მხიბლავდა: უთავბოლო ტიტინიც, გაბრაზებაც, გაბუტვაც, ჭირვეულობაც, სიცილიც, თავისი დედ-მამით კვეხნაც, საკუთარი გარეგნობით აღფრთოვანებაც, მაგრამ, მერე და მერე, თანდათან მივხვდი, რომ ამ ყველაფრის მოსმენა ძალიან მომბეზრდა, უფრო სწორად, ყელში ამომივიდა სულელური ისტორიები მისი სილამაზითა და სიყვარულით გულდამწვარი ქალაქში ცნობილი ბიჭების ნამღერი სერენადების, გადატყაული მუხლებისა და გადახსნილი ვენების შესახებ. რა თემაზეც არ უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, აუცილებლად იმით დაასრულებდა, თუ როდის რამდენ ბიჭს უყვარდა და ვის რატომ უთხრა უარი, რამდენი ალიკვეცა ბერად მისი უარის გამო და ასე შემდეგ. ეს თემა რომ შემოელეოდა, ახლა თავის სიკეთესა და ჭკუა-გონებაზე იწყებდა ქადაგებას: ამას ის ვაჩუქე, იმას ის გავუკეთე... ჩემისთანა ლამაზი, ჭკვიანი და ნიჭიერი არც კლასში იყო ვინმე და არც კურსზე... მოკლედ, რომელი ერთი გითხრათ. ჩემი აზრით, საკუთარი თავით არის შეპყრობილი, აშკარად ხიბლშია ჩავარდნილი. საკმარისია, ერთი პატარა, უმნიშვნელო რამე გააკეთოს, რომ მერე მთელი კვირა შეუძლია ილაპარაკოს – ხომ მაგარი ვარ, ხომ სწორად მოვიქეცი, ხომ კარგად გავაკეთე, ამას სხვა ხომ ვერ მოიფიქრებდა და ჩემნაირად ხომ ვერ გააკეთებდაო. ამ ყველაფერთან ერთად, კიდევ ერთი ახალი თვისება აღმოვაჩინე მასში: თვითონ მართლაც ლამაზი გოგოა (ლამაზ ქალებს რა დალევს თბილისში), მაგრამ, კატასტროფულად განიცდის, თუ მისი თანდასწრებით ვინმემ აბსოლუტურად უცხო გოგოზე თქვა – მაგარი გოგო იყო, ძალიან მომეწონაო. რომც არ იცნობდეს იმ ვილაც ლამაზ გოგოს, სულაც, ჰოლივუდის ამომავალი ვარსკვლავი რომ იყოს, კონკურენტად ჩათვლის და აუცილებლად რამე ცუდს იტყვის, მერე კი უპრობლემოდ დაიწყებს თავის ქებასა და იმის „გახსენებას“, როგორ ადარებდნენ სკოლის პერიოდში ხან ანუკემეს, ხან – ვის და ხან – ვის. ერთი სიტყვით, პირად შეურაცხყოფად იღებს, თუ ვინმემ სხვა ქალი შეაქო (გინდ ახალგაზრდა და გინდ ხნიერი). გარდა ამ ყველაფრის მოსმენისა, ჩემთვის გაუსაძლისი გახდა ისიც, რომ არ ჰყოფნის, ყურებს რომ მიჭედავს ტრაბახით და ჩემგანაც მოითხოვს, რამდენჯერაც შევხედავ, მისი სილამაზით დაბრმავებულმა, გულზე მჯიღები ვირტყა და თვალცრემლიანმა, სულ „ვაიმე“ და „უიმე“ ვიძახო ტარიელივით. თან, პარალელურად, მის უკიდეგანო ნიჭსა და გონიერებას უნდა ვასხა ხოტბა, მე კი ეს აღარ შემიძლია, ძალიან დავიღალე. ამ თავისი ერთი და იგივე ტექსტებით ისე გამომწოვა ენერგია, ლამის სიარულის თავიც აღარ მაქვს. ძალიან გვიან მივხვდი, რომ გოგო კი არა, ნამდვილი ენერგოვამპირია. აქამდე არასდროს დავფიქრებულვარ, რატომ შემოეცალნენ დაქალები-მეთქი და მხოლოდ ახლახან აღმოვაჩინე „ამერიკა“: ეტყობა, ყველას ტვინი გაუწყალა და იმათაც თავს უშველეს, მაგრამ, მე რა ვქნა, სად გავიქცე, როგორ ვუშველო თავს?!

**ბადუკა, 28 წლის.**





**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# „აბანოთუბნელი აზა“ – ნათელმხილველი, ვისზეც წლების წინ ფილმი გადაიღეს და ვის შესახებაც თბილისში ლეგენდები დადის

*თბილისში ძალიან ცნობილი და პოპულარული ნათელმხილველის აზა დავითაშვილის შესახებ პრესაში არაერთხელ დაწერილა. მასზე საუბრობდნენ ცნობილ და რეიტინგულ გადაცემებში, რის გამოც აზა დავითაშვილის მიმართ ინტერესი ყოველთვის მაღალი იყო. მისი ისტორია სხვა ნათელმხილველების ისტორიას არ ჰგავს – აზა დავითაშვილის დიდი ბებია ყარსში ცნობილი ნათელმხილველი იყო და სწორედ მისგან გამოჰყვა დღეს თბილისში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნათელმხილველს ეს უნარი. თუმცა, თავად ქალბატონ აზას ამაზე საუბარი არ უყვარს. ის არც იმაზე საუბრობს ხშირად, რომ მასზე ცნობილმა რეჟისორმა, რომელიც თავად გახდა მისი ნათელხილვის ობიექტი, გადაიღო დოკუმენტური ფილმი, რომელშიც აზა დავითაშვილის შესახებ ადამიანები საოცარ ისტორიებს ყვებიან. ნათელხილვის უნარი პატარა ასაკში აღმოაჩნდა. მეზობლები და ოჯახის წევრები გაოცებულები იყვნენ მოზარდის ნათელხილვებით – ის ხომ მათ წინასწარ ეუბნებოდა, თუ რა ელოდათ უახლოეს მომავალში. შემდეგ ეს წრე გაიზარდა და ასე დაიწყო აზა დავითაშვილის ისტორია 50 წლის წინ. მას შემდეგ ვინ მოთვლის, რამდენმა ადამიანმა გამოცადა საკუთარ თავზე მისი ნათელხილვის ძალა, რომელიც, ასევე, აღიარეს რუსეთში, უკრაინაში, ისრაელში, საბერძნეთში, საიდანაც მას დღემდე უკავშირდებიან ადამიანები. ქალბატონი აზა წლების განმავლობაში იყო მიწვეული სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა, ბოლომდე მაინც „აბანოთუბნელ აზად” დარჩა...*

**– ქალბატონო აზა, რა პრობლემებით მოდიან თქვენთან და რას მოიცავს თქვენი ნათელხილვები?**

– ჩემთან მოდიან ყველა იმ პრობლემით, რაც აწუხებთ ადამიანებს. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ბევრი მოდის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემებით; ძალიან ბევრს აწუხებს რთული ფინანსური მდგომარეობა – უფულობა, უმუშევრობა, ვალები. ეს ყველაფერი ხშირად მხოლოდ გარე ფაქტორებზე არ არის დამოკიდებული. მიზეზი არის ადამიანის ტრიალი ჩაკეტილ წრეში, დაბინძურებული და დაკეტილი აურა, რომლის გახსნა და გასუფთავებაც სხვადასხვა საშუალებით არის შესაძლებელი. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, რაც განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომლებსაც რამდენიმე კომპონენტისგან ვამზადებ. გახსნის პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე. ვმუშაობ აგრეთვე, სიზმრის ამოუცნობ და საინტერესო ფენომენზე.



**– როგორც ცნობილია, თქვენ ხატავთ მათ სახეს, ვინც ბოროტი ძალების ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე.**

– ეს ძალიან რთული პროცესია, და, თან, ძალიან ემოციური. ადამიანები ბევრ დეტალს არ აქცევენ ყურადღებას, მაგრამ, ხშირად თითქოს უმნიშვნელო რამ შეიძლება გახდეს დიდი წარუმატებლობის მიზეზი. ძალიან ბევრს არ სჯერა ჯადოს არსებობის და ზუსტად ასეთებზე ხდება ბოროტი ძალების ზემოქმედება. იცით, რამდენი ოჯახი ინგრევა სწორედ ამ გზით? რამდენ წარმატებულ ადამიანს მოეცარა ხელი ბიზნესში?! როცა მე ვხატავ იმ ადამიანის სახეს, ვინც ბოროტი ძალების ზემოქმედებით ცდილობს სხვისთვის ზიანის მიყენებას, მე ზუსტად ვხედავ მას.

**– როგორც გავიგე, უცხოეთში აპირებთ გამგზავრებას.**

– ძალიან დიდი ხანია, მაქვს მიწვევა საბერძნეთიდან, სადაც ძალიან ბევრი ჩემი ძველი კლიენტი ცხოვრობს. მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს მათთან მუშაობას სატელეფონო კონტაქტით ვახერხებ. ალბათ, უახლოეს მომავალში შევძლებ გამგზავრებას.

*აზა დავითაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. აქ ბევრ საოცრებას მოისმენთ ქალბატონი აზას შესახებ. რამდენიმე მათგანმა ჩვენთანაც არ დამალა თავისი შთაბეჭდილებები და მათ მონათხრობს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.*

*გსურთ, საკუთარ თავზე გამოსცადოთ აზა დავითაშვილის ფენომენალური უნარი? დარეკეთ ტელეფონებზე: 593 56-10-39; 274-63-08.*

*თბილისი, გუთნის ქუჩა №42 (მეტრო „სამასი არაგველი”).*

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, ზოგადად, ხდება თუ არა კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში არსებული საქმეების აღნუსხვა და ვინ ახორციელებს კონკრეტულად კერძო აღმასრულებლის წარმოებაში არსებული საქმეების კონტროლს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ კერძო აღმასრულებელი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 თებერვლამდე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინოს სტატისტიკური ინფორმაცია თავის წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების შესახებ.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ფორმით ახორციელებს კერძო აღმასრულებელი სააღსრულებო საქმიანობას და არის თუ არა ვალდებული კერძო აღმასრულებელი, აანაზღაუროს მის მიერ არასწორად წარმოებული საქმით მხარისთვის მიყენებული ზიანი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ კერძო აღმასრულებელი პასუხისმგებელია სააღსრულებო წარმოების მხარეების წინაშე მის მიერ მიყენებული ზიანისთვის. კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კანონით, ასევე, კანონის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული



აქტით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემატურად დარღვევისთვის, რაც არსებით ზიანს აყენებს კერძო ან საჯარო ინტერესებს; ასევე, კერძო აღმასრულებლის მიერ შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელებისთვის, მის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ამასთან, კერძო აღმასრულებელი ვალდებულია, სააღსრულებო საქმის წარმოება განახორციელოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პირობებითა და ფორმით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა ბედი ეწიათ იმ ადამიანებს, რომლებსაც პოლიტიკური პარტიისთვის შეწირულობის სახით მიცემული ფულადი თანხისთვის დაეკისრათ ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმა შეწირული თანხის ხუთმაგი ოდენობით და დაუყადაღდათ უძრავ-მოძრავი ქონება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი ასეთი პირების ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული კანონის მიზანია, ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით იმ ფიზიკური და იურიდიული პირების ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლება, რომელთაც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრათ ან შეიძლება დაეკისროთ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე განხორციელებული ქმედებისთვის. ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლება გულისხმობს პირის გათავისუფლებას როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელისგან, აგრეთვე, საურავისგან.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ გადაწყდება იმ ადამიანების საკითხი, რომლებიც პოლიტიკური პარტიისთვის შეწირულობის სახით მიცემული ფულადი თანხისთვის დაჯარიმდნენ, მათ მიმართ განხორციელდა სააღსრულებო წარმოება და უკვე გადაიხადეს დაკისრებული ჯარიმის თანხა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, მიღებული კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლება ვრცელდება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის, აგრეთვე, საურავის როგორც აღუსრულებელ, ისე აღსრულებულ ნაწილზე. ასევე, უქმდება ასეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან/აღსრულებასთან დაკავშირებული ყადაღა და სხვა სახის იძულებითი ღონისძიებები. საქართველოს სააღსრულებო დაწესებულებებმა „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უნდა შეწყვიტონ მათ წარმოებაში არსებული, ამ კანონის რეგულირების სფეროსთვის მიკუთვნებული საქმეების აღსრულება, ხოლო, უკვე აღსრულებული საჯარიმო თანხისა და საურავის დაბრუნება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. რაც შეეხება ამგვარი ქმედებისთვის დაჯარიმებულ პირებს, ისინი ჩაითვლებიან ადმინისტრაციულსახდელდაუდებლად.

**კითხვა: მაინტერესებს, იმ შემთხვევაში, თუ დავკარგე უკვე გამოცემული სააღსრულებო ფურცელი, შეიძლება თუ არა ეს ფაქტი გახდეს სააღსრულებო პროცესის შეჩერების საფუძველი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სააღსრულებო ფურცლის დაკარგვა არ შეიძლება გახდეს სააღსრულებო პროცესის შეჩერების საფუძველი. სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში, ორგანოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია, გასცეს დუბლიკატი.

**კითხვა: მაინტერესებს, კონკრეტულად რა პროცედურები უნდა გავიარო, ვიდრე მოხდება საბოლოოდ აღსრულების პროცესის დასრულება და თანხის გადახდევინება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ თანხის გადახდევინების საქმეებზე სააღსრულებო წარმოების ეტაპებია: აღსრულების დაწყება, ქონებაზე ყადაღის დადება, აუქციონის ჩატარება და, საბოლოოდ – კრედიტორისთვის თანხის გადაცემა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ მოხდება აღსრულების პროცესის განხორციელება მაშინ, როცა მოვალე იმალება, არ ცხადდება და თავს არიდებს აღსრულების პროცესს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია, ან, როცა იგი სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით, რომლის საფუძველზეც სასამართლოს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნისა და მოყვანის შესახებ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ხდება კერძო აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო საქმიანობის დაწყება, ანუ, რა მოქმედებები უნდა განახორციელოს შესაბამისმა პირმა, რომ დაიწყოს კერძო აღმასრულებლის საქმიანობა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ კერძო აღმასრულებლის რეგისტრაცია კერძო აღმასრულებელთა რეესტრში და მის მიერ სააღსრულებო საქმიანობის დაწყება ხორციელდება შემდეგნაირად: აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კერძო აღმასრულებელი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს სამსახურებრივ ბეჭედს (რომელზეც აღინიშნება კერძო აღმასრულებლის სახელი და გვარი და კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის ნომერი) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებულ ხელმოწერის ნიმუშს, ასევე, ბანკში საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშის გახსნის დამადასტურებელ დოკუმენტს, ამ ანგარიშის ნომერსა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს. დაზღვევის ოდენობასა და პირობებს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ყველა დოკუმენტის წარდგენის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო დაუყოვნებლივ, მაგრამ, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ახორციელებს კერძო აღმასრულებლის რეგისტრაციას კერძო აღმასრულებელთა რეესტრში, რის შემდეგაც კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია დაიწყოს სააღსრულებო საქმიანობა. კერძო აღმასრულებელთა რეესტრის ფორმასა და წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

## გალინა ლატანსკაია-ლაზარტყავას გახსენება



ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ცრემლითა და ტკივილით სავსე ორმოცი დღე, ჩვენო საყვარელო, მუდამ მოღიმარო, ავკარგიანო! შენ ხომ საუკეთესო დედა და დიასახლისი იყავი, შენ ხომ ყველა გაჭირვებულსა და ახლობელს ეხმარებოდი, შენი სიკეთით ირგვლივ ყველას ათბობდი. ძალიან გვენატრები და გვიჭირს უშენოდ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული...

**შენი შვილები, ნათესავები**

**ცოტა ხნის წინ საქართველოში სტუმრად მყოფმა მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეო პირველმა მაღალი რანგის მიღებაზე განაცხადა, რომ თბილისში ძველი მეგობარი ჰყავს. მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიის მესაჭის ჩვენებური მეგობარი სასულიერო პირი არ გეგონოთ, ის არც მეტი არც ნაკლები, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძეა, რომელსაც დიპლომატიური წარსული და „გაგანია" გურული ხასიათი აქვს: კოლეგებს შორის გურული „დიპლომატიით" – იუმორით, კრიმანჭულითა და ენამჭევრობით არის ცნობილი, მაგრამ, ის, თუ როგორ დაიწყო მისი და ბართლომეო პირველის ურთიერთობა ფენარში, სადაც დეპუტატი მსოფლიო პატრიარქს ქართული ქინძით შეკაზმული სადილებით უმასპინძლდებოდა ხოლმე, ჯობია, თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყოთ.**

# რა მიჰქონდა ქოთნებით მსოფლიო პატრიარქთან ზვიად კვაჭანტირაძეს და რით დაკავდა ის ძველ ხელისუფლებასთან „განქორწინების" შემდეგ

**– როგორ მოხვდით „ქართულ ოცნებაში" და ქართულ პოლიტიკაში?**

– პოლიტიკაში მოვხვდი დიპლომატიური წარსულის წყალობით, ეს ეტაპი ჩემს ცხოვრებაში 2000 წელს დაიწყო. პროფესიით ისტორიკოსი ვარ, მაგრამ ისე მოხდა, რომ, ტრანსპორტის სამინისტროს საგარეო ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის რანგში, აღმოვჩნდი „ტრასეკას" იდეის ერთ-ერთი ფორვარდი რაც ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური სტრატეგიისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი იყო. იმ პერიოდში, საქართველოს მთავრობის წარდგინებით, არჩეული ვიყავი „ტრასეკას" ქვეყნების სამთავრობოთაშორისო კომისიის გენერალურ მდივნად და სამუშაოდ გადავედი ბაქოში, სადაც კომისიის მუდმივი სამდივნო ფუნქციონირებდა. ხუთი წელი ვიმუშავე იქ და სწორედ მაშინ მომანიჭეს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი. სალომე ზურაბიშვილის მოწვევით დავბრუნდი საგარეო საქმეთა სამინისტროში, საიდანაც მოგვიანებით დავინიშნე სტამბულში საქართველოს კონსულად, სადაც, ასევე, ხუთი წელიწადი ვიმუშავე, მაგრამ, მერე მოხდა ჩემი „განქორწინება" მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასთან.

**– რით იყავით დაკავებული ხელისუფლებასთან „განქორწინების" შემდეგ?**

– განქორწინების შემდეგ მე ვიყავი დაკავებული ეგზისტენციალური პრობლემებით. როდესაც მე დავემშვიდობე იმდროინდელ ხელისუფლებას, არავის არ მოუკითხავს ჩემი ბედი – ეს მათთვის ჩვეული რამ იყო. უფრო მეტიც ყველანაირად ცდილობდნენ ადამიანის ჩაწიხვლას და იგივე მოხდა ჩემთან მიმართებითაც. იმის გამო, რომ საკონსულოს ავტომობილი მოხვდა ავტოავარიაში, იმის მიუხედავად, რომ ამ ავტოავარიასთან მე შეხება არ მქონია, როცა დასჭირდათ, ეს ფაქტი ჩემ წინააღმდეგ გამოიყენეს. ამის შემდეგ დაიწყო საკმაოდ მძიმე პერიოდი ჩემს ცხოვრებაში – მე ვიყავი პრაქტიკულად უმუშევარი. რამდენჯერმე მეგობრებთან ერთად ვცადე ბიზნესის წამოწყება, მაგრამ, იმდენ წინააღმდეგობას წავაწყდით ამ გზაზე, იმ საქმიდან თითქმის არაფერი გამოვიდა. პირადად ბიძინა ივანიშვილთან, გარდა ცალმხრივი სიმპათიისა, რა თქმა უნდა, ჩემი მხრიდან, არაფერი მაკავშირებდა. ერთ ჩვეულებრივ დღეს ჩემს სახლში გაისმა სატელეფონო ზარი – დამირეკა ქალბატონმა და ბიძინა ივანიშვილის სახელით მიმიწვია საინიციატივო ჯგუფის შეხვედრაზე, რომლის მიზანიც იყო პოლიტიკური პარტიის დაფუძნება. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ, დღემდე არ ვიცი, კონკრეტულად ვისგან მივიდა ინფორმაცია ჩემ შესახებ, თუმცა, რა თქმა უნდა, რეკომენდაცია იმ ჩემი მეგობრებისგან მქონდა გაწეული, ვინც ჩემამდე მივიდნენ ამ გუნდში.



მე და ჩემს მეუღლეს ბევრჯერ გაგვიშლია მსოფლიო პატრიარქისთვის ქართული სუფრა მის რეზიდენციაში

**– ამბობენ, თქვენი პროტეჟე თედო ჯაფარიძეა.**

– მე ბატონი თედოს გარდა ახლო ურთიერთობა მქონდა მაია ფანჯიკიძესთან, ირაკლი ალასანიასთან, გია ვოლსკისთან, ზაზა გოქსაძესთან... არ ვიცი, შეიძლება, ბევრი ადამიანი გამომრჩეს და ჩამოთვლას არ გავაგრძელებ.

**– ალბათ, ამ წლებს უკავშირდება თქვენი ახლო ურთიერთობა მსოფლიო პატრიარქთან, რომელმაც ახლახან თბილისში ყოფნის დროს მეგობრად მოგიხსენიათ.**

– დიახ, ეს სწორედ იმ პერიოდთან არის დაკავშირებული. როგორც უკვე გითხარით, ხუთი წელი ვიცხოვრე და ვიმუშავე სტამბულში, სადაც არის მსოფლიო პატრიარქის რეზიდენცია. მე ხშირად მივდიოდი ხოლმე მასთან ფენარში. მართლმადიდებლურ სამყაროში ყველაზე ავტორიტეტული არის ქართული ეკლესია, განსაკუთრებულად კი – ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი. ჩემი დაახლოება და პიროვნული ურთიერთობა მსოფლიო პატრიარქთან ბართლომეო პირველთან, პირველ ყოვლისა, იმას ემყარებოდა, რომ მას ჰქონდა განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩვენი ეკლესიისა და მისი უწმიდესობის მიმართ. პირველი შეხვედრისთანავე მივხვდი, რომ ჩვენი პატრიარქი მისთვის არის ძალიან დიდი ავტორიტეტი და ძმასავით უყვარს ის. კვირაობით, როცა ამის საშუალება მქონდა, ვესწრებოდი წირვას, რაც არ იყო მხოლოდ ჩემი პირადული დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ. მე ყოველთვის გამორჩეულ ადგილას მსვამდნენ ტაძარში. მსოფლიო პატრიარქის უდიდესი დამსახურებაა, რომ ქართველებს ყველა დღესასწაულზე აქვთ უფლება, ქართულად აღავლინონ წირვა-ლოცვა ლაქერნას ღვთისმშობლის ტაძარში. ამ საქმეში ჩემს წვლილზე მე არ ვისაუბრებ – ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ, იმას გეტყვით, რომ ჩემთვის იმ ეკლესიაში ქართველების შეკრების შესაძლებლობა იყო ნომერ პირველი დანიშნულება. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო და ამაღელვებელი იყო.

**– ახლო ურთიერთობა გქონიათ მსოფლიო პატრიარქთან. ქართული ძღვენით არ მოიკითხავდით ხოლმე მას?**

– კუნძულზე, მის რეზიდენციაში, მე და ჩემს მეუღლეს ბევრჯერ გაგვიშლია მისთვის ქართული სუფრა და გაგვიკეთებია ტრაპეზი. მასპინძელი ის თავად ბრძანდებოდა ხოლმე, მაგრამ, ჩვენც „ვმასპინძლობდით" ქართული სუფრით, რომელიც ნაწილობრივ ჩვენი, ნაწილობრივ კი მათი ინგრედიენტებით იყო მომზადებული. თურქეთში ჩვენებურები ქოთნებში ახარებენ ქინძს. ჩვენს მეგობრებს ქოთნებით მოჰქონდათ ხოლმე ქინძის ბუჩქები, რომლებიც მერე ჩვენ მიგვქონდა მის ყოვლადუწმინდესობასთან. ქართულ ქინძს სხვა გემო აქვს. ბართლომეო პირველს მოსწონდა ჩვენებური ქინძით მომზადებული სადილი, თუმცა, საკვების მიმართ ძალიან მოკრძალებულია, შეიძლება ითქვას, თითქმის ასკეტური. როდესაც მე მისი ცხოვრებით დავინტერესდი, ბევრი ბერძნისგანაც მოვისმინე, რომ ამხელა რეპუტაციის ადამიანი მათ თანამედროვე ეპოქაში დიდი ხანია, არ ჰყოლიათ.

**– დიპლომატებს მშვიდი და ტკბილი ცხოვრება გაქვთ, რა გინდოდათ პოლიტიკაში, წასულიყავით ისევ ელჩად, გეცხოვრათ სულთნის სასახლეში...**

– სულთნის სასახლეში არც მაშინ ვცხოვრობდი, როცა კონსული ვიყავი. გულწრფელად გეტყვით, რომ კონსულის საქმიანობა არათუ მშვიდი, პირიქით, ძალიან რთული და მძიმეა. სტამბულმა თავი ისე შემაყვარა, როგორც მშობლიური ქალაქი შეიძლება გიყვარდეს. ჩემი ბავშვები, ფაქტობრივად, იქ გაიზარდნენ. დოლმა ბაღჩას სასახლესთან ახლოს ვცხოვრობდით და ჩემი უმცროსი შვილი – ნიკოლოზი იქაურ ულამაზეს ბაღში დასეირნობდა ყოველდღე, ჩემი უფროსი შვილი იქ შევიყვანეთ სკოლაში. სტამბულში მყავს ძალიან ბევრი კარგი მეგობარი, რომლებიც დიპლომატიური ცხოვრების მიღმაც მეგობრებად რჩებიან ჩემთვის.

**– პოლიტიკაც ისეთივე „ხიბლიანი" აღმოჩნდა თქვენთვის, როგორც დიპლომატია?**

– დიპლომატიას ბევრი ხიბლი აქვს. მე პიროვნულად ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი ვარ და დიპლომატია ამისთვის ფართო ასპარეზს გაძლევს. ვფიქრობ, რომ კომუნიკაცია პოლიტიკაშიც ძალიან მნიშვნელოვანია. მე ვარ მაჟორიტარი დეპუტატი ოზურგეთიდან და დღითი დღე ვრწმუნდები, რომ პარლამენტარზე მაღალი თანამდებობა არ არსებობს. არ მინდა, ლიტონი სიტყვები ვთქვა, მაგრამ, ურთიერთობა ამომრჩეველთან, რომელიც შენგან ბევრ რამეს ელის, ძალიან დიდი პატივიცაა და პასუხისმგებლობაც. თან, როცა საქმე ეხება რაიონს, სადაც დაიბადე და გაიზარდე. ჩემი ყველაფერი ოზურგეთთანაა დაკავშირებული. გურულები რომ იტყვიან, გაგანია ოზურგეთში ვარ დაბადებული, ოზურგეთის საუკეთესო, №2 სკოლა დავამთავრე, სულ ხუთებზე, მაგრამ, ოქროს მედალი არ მომცეს, თუმცა ოქროს მედალი, არაპირდაპირი მნიშვნელობით, შემდეგ არ დამკლებია ცხოვრებაში. როგორც ყველა გურული, მეც ამბობენ, რომ კარგად ვმღერი. მე ვარ მიხეილ შავიშვილის გაზრდილი. ის იყო ცნობილი ლოტბარი და ფოლკლორისტი, რომელმაც 1977 წელს შექმნა იმდროინდელ საბჭოთა კავშირში პირველი ვაჟთა ფოლკლორული ვოკალური ანსამბლი „კრიმანჭული". მე ამ ანსამბლში ვმღეროდი სკოლის დამთავრებამდე, თავიდან პირველ ხმას, მერე – მეორეს, ბოლოს კი, ხმის მუტაციის გამო, ბანზე გადავედი. სიმღერა ჩემი ცხოვრების თანმდევი ნაწილია. ახლახან მამა გარდამეცვალა და სასიმღერო ხასიათზე აღარ ვარ, მაგრამ, ისე, ხშირად ვმღერი, მით უფრო – თუ სუფრასთან ვარ.

**– „პოლიტიკურ ბანს" არ აძლევთ თანაგუნდელებს? ჯერჯერობით, იმის მიუხედავად, რომ მნიშვნელოვანი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხართ, ხშირად არ ჩანხართ.**

– ჩვენს გუნდში არიან ადამიანები, ვისაც მე პატივს ვცემ და ვიცი, რომ მათ პოლიტიკური გამოსვლები, ჩემზე მეტად ეხერხებათ. ცუდი მოლაპარაკე არც მე ვარ – გურული კაცი ამის გარეშე როგორ შეიძლება, თუმცა გეთანხმებით, რომ ღია დებატებში არ ჩავრთულვარ ჯერ. მე ვაკეთებ ჩემს კონკრეტულ საქმეს ჩემს რაიონში, რადგან, მაჟორიტარი დეპუტატისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ვასრულებ ჩემს მოვალეობას, მაგრამ ამ მცირე პერიოდის მიუხედავად, რაც პარლამენტში ვარ, ნამდვილად ვამაყობ იმით, რომ ამნისტიის კანონის თანაავტორი ვარ. რაც შეეხება ბანს, ეს აუცილებელი არაა, ღია ტრიბუნიდან გააკეთო, თუმცა, ჩემგან ჩემს გუნდს პოლიტიკური ბანი ყოველთვის ექნება ***(იცინის).***

**თამუნა სამადაშვილი**

**ხათუნა პაიჭაძე პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აქტიური ჟურნალისტური წარსულის წყალობით მოხვდა. სამართლის სფეროს ცნობილ ჟურნალისტს წლების განმავლობაში ძალიან ბევრ გახმაურებულ საქმესთან ჰქონდა შეხება, თუმცა, მანამდე იყო მისი „სპორტული“ წარსული, რომლის შესახებ ბევრმა არაფერი იცის.**

# რა კავშირი ჰქონდა ხათუნა პაიჭაძეს ჭიდაობასთან და ვინ ვერ დააწვინა მან მიწაზე

**ხათუნა პაიჭაძე**: ჩემი დანიშვნა პროკურატურაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად, საკმაოდ უცნაურად მოხდა. ერთ დღეს დამირეკეს ჟურნალისტებმა და მითხრეს: თქვენზე ამბობენ, პროკურატურის პრესსამსახურის ხელმძღვანელად ინიშნებით და მართალიაო? ამის შესახებ არაფერი ვიცოდი და მათაც ვუთხარი, მსგავსი რამ არ მსმენია-მეთქი. დავურეკე არჩილ კბილაშვილს და ვკითხე: ასეთი რამ გავიგე და თქვენ ხომ არაფერი იცით-მეთქი. არჩილმა მითხრა: მეც არაფერი არ ვიცი, მაგრამ, შენ გინდა, ასე რომ იყოსო? რაღა დაგიმალოთ და, ამაზე არ მიფიქრია-მეთქი. ფიქრიც შეიძლებაო, – მითხრა არჩილმა და და ასე მოვხვდი აქ. შესაძლოა, ამაზე სადმე იყო საუბრები, რამაც როგორც ხდება ხოლმე, გაჟონა ჟურნალისტებამდე და ჩემამდე ასე მოსული ამბით მოვედი აქ *(იცინის)*. სიმართლე გითხრათ, მარტივად არ მიმიღია გადაწყვეტილება, რადგან, როცა 16 წელია, ჟურნალისტი ხარ, ამ საქმის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმოგიდგენია. რამდენიმე დღე ვიფიქრე ჩემს გადაწყვეტილებაზე. მიყვარს სიახლეები, არ შემიძლია ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება. მიმაჩნია, რომ ადამიანის ფასი მით მეტია, რაც მეტად ეძლევა მას საშუალება, სხვადასხვა კუთხიდან დაინახოს ცხოვრება. ეს გადაწყვეტილება იყო ჩემი შანსი, რაზეც უარი არ უნდა მეთქვა. მესმის, რომ ასეთ უწყებაში მუშაობას ყოველთვის ახლავს რისკი, მაგრამ, მე რისკიანი ადამიანი ვარ. თუ ჩემი პრინციპები და ხასიათი განსხვავებული იქნება იმ მიდგომებისგან, რაც ამ სამსახურს ახლავს, არც ის იქნება პრობლემა, იქ დავბრუნდე, საიდანაც წამოვედი.

**– პრესსამსახურში მნიშვნელოვანია ის ადამიანი, ვისთანაც გიწევს მუშაობა. თავად არჩილ კბილაშვილის ფაქტორი არ იყო გადამწყვეტი? მასთან ხომ დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებდა?**

– რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვისთან უნდა მემუშავა. ჩვენ ჯერჯერობით არ ვართ ის ქვეყანა, სადაც სტრუქტურის მუშაობას განაპირობებს არა სახელმწიფოებრივი ხედვა, არამედ, პიროვნული ფაქტორები. მე იმედი მაქვს, რომ მომავალში ეს ინერციით შერჩენილი მდგომარეობა შეიცვლება. რაც შეეხება ჩემი და არჩილ კბილაშვილის ურთიერთობას, მე მას ძალიან დიდი ხანია, ვიცნობ. დითირამბად არ ჩამითვალოთ, მაგრამ, მე მას ყოველთვის ვაფასებდი როგორც მაღალი დონის იურისტს, პრინციპულ და კომპეტენტურ ადამიანს. ამას კიდევ ერთ, ერთი შეხედვით პატარა შტრიხს დავუმატებ, რაც, ვფიქრობ, ადამიანის ხასიათისთვის მნიშვნელოვანი თვისებაა. იცით, რომ ქართველ რესპონდენტებს სჩვევიათ ინტერვიუებზე დაგვიანება. „მერე რა მოხდა, ჟურნალისტია და მომიცდის“ – ასეთია მათი მიდგომა. მე არ მახსოვს არჩილ კბილაშვილს ერთხელ მაინც დაეგვიანა ინტერვიუზე, ეს კი მაფიქრებინებდა, რომ მას ძალიან მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩვენ გვქონდა ხშირი კავშირი სხვადასხვა სასამართლო პროცესთან, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მე მას ვურეკავდი და ვეკითხებოდი რჩევას ისეთ თემებზე, რომლებიც პირადად მასთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ზუსტ, სწორ და კომპეტენტურ აზრს მომაწვდიდა.

**– შეფის ამპლუაში მასთან მუშაობა როგორია? გიჭირს მისი დაყოლიება ინტერვიუებზე?**

– ბატონი არჩილი ძალიან კომფორტული ადამიანია, ის პატივს სცემს სხვა ადამიანის აზრს და შეუძლია სხვისი მოსმენა. შესაძლოა, ჩვენი აზრები ამა თუ იმ საკითხზე არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ, ჩვენ ვახერხებთ, როგორც დღეს გახდა ეს ფრაზა აქტუალური – კოჰაბიტაცია გვქონდეს *(იცინის)*.

**– ანუ, გარიგდით?**

– გნებავთ, გარიგება დაარქვით, გნებავთ – თანამშრომლობა *(იცინის)*. პროკურატურის მიდგომა შეიცვალა. ორ კვირაში ერთხელ ჩვენ გვაქვს ბრიფინგები, ბატონი არჩილი არ ამბობს უარს ინტერვიუებზე, თუ განსაკუთრებით გადატვირთული გრაფიკი არ აქვს.

**– ხათუნა, წლების განმავლობაში შენ იყავი ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ჟურნალისტი სამართლის სფეროში. სად და როგორ დაიწყე ჟურნალისტური კარიერა?**

– პროფესიით ფილოლოგი ვარ, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტიკაში აღმოვჩნდი, ვფიქრობ, რომ ეს არის ყველაზე საპატიო პროფესია, რომელსაც მე „სინდისის პროფესია“ დავარქვი. ჩემი ჟურნალისტური დებიუტი, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, სპორტულ გაზეთში შედგა. მაშინ „სარბიელი“ ძალიან პოპულარული გამოცემა იყო, კორიფეები უძღვებოდნენ ფეხბურთის, კალათბურთისა და სპორტის სხვა პოპულარულ სახეობებს. ვიყავი ძალიან ახალგაზრდა, მიმიღეს სტაჟიორის რანგში და ყველაზე „მიტოვებული“ გვერდი მომცეს. პირველივე დღეს მითხრეს: გაჰყევი ლევან ჯავახიშვილს და ის დაგაკვალიანებსო. სასწრაფო წესით ვისწავლე და ერთმანეთისგან გავარჩიე ჭიდაობის სახეობები: თავისუფალი, ბერძნულ-რომაული, ძიუდო; გავიგე, ლეიბს რომ ტატამი ერქვა და ილეთს – პარტერი, რაზეც მანამდე წარმოდგენაც კი არ მქონდა. ექსპერტი არ გავმხდარვარ, მაგრამ, მალე უკვე იმასაც ვარჩევდი, რა შედეგით დამთავრდა შეხვედრა, ვინ მოიგო და ვინ წააგო *(იცინის)*. ჩემი სპორტული წარსული, მგონი, მარტო ლუკა კურტანიძეს ახსოვს, რომელიც ჩემი მუდმივი რესპონდენტი იყო და გერმანიის საკლუბო გუნდში ჭიდაობდა. მე ვერ „დავუმეგობრდი“ სპორტის ამ სახეობას; განსაკუთრებით ის არ მომწონდა, ყურები რომ ჰქონდათ დამტვრეული მოჭიდავეებს, თუმცა, ვესწრებოდი ჩემპიონატებს, დავდიოდი ფედერაციაში. 8-9 თვის შემდეგ „სარბიელიდან“ გადავედი „რეზონანსში“, ასევე სპორტულ განყოფილებაში, მაგრამ, ძალიან მალე, ერთ-ერთ მასალაზე მუშაობისას, აღმოვაჩინე, რომ სპორტის დეპარტამენტის თუ ფედერაციის საწესდებო კაპიტალი კერძო ბიზნესში იყო ჩადებული და გამომივიდა კარგი სპორტული გამოძიება, საიდანაც გადავეშვი საგამოძიებო ჟურნალისტიკაში.

**მაქვს კრუპიეს დიპლომი, ვმუშაობდი კაზინო „იმპერიალში“, მარტო კრუპიე კი არა, ინსპექტორიც ვიყავი**

**– რაც ძალიან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული იმ პერიოდში, რადგან, საგულდაგულოდ იყო ჩარაზული პროკურატურისა და სამართალდამცველების ყველა კარი. როგორ ახერხებდი ინფორმაციების მოპოვებას?**

– მე მყავდა ჩემი წყაროები, რომელთა კონფიდენციალობას ვიცავდი ნებისმიერ შემთხვევაში, სადამდეც არ უნდა მისულიყო საქმე. სულ მეუბნებოდნენ, შენ რაღაც საიდუმლო გაქვსო, არადა, არანაირი საიდუმლო არ მქონია. ერთადერთი წესი, რასაც ვიცავდი, იყო წყაროს ანონიმურობა. როდესაც ადამიანს, რომელიც ბევრ ინფორმაციას ფლობდა და მეც მანდობდა ამ ინფორმაციას, ვაძლევდი პირობას, რომ მის შესახებ ვერავინ ვერაფერს შეიტყობდა და ამ პირობას ბოლომდე ვიცავდი. რისკი ძალიან ბევრი იყო, მაგრამ, ჩემთვის არ არსებობდა რთული თემები.



**ალმოვაჩინე, რომ პიროვნება, ვის საქმეზეც ოთხი ადამიანი იყო გასამართლებული და ვინც მოკლული ეგონათ, ცოცხალი იყო**

ფიზიკურადაც ძალიან ბევრი შრომა მიწევდა: ვესწრებოდი სასამართლო პროცესებს, დავდიოდი შემთხვევის ადგილებზე. ჩემს დამოკიდებულებებში ბევრი რამ შეცვალა საქმემ. რომელზე მუშაობის დროსაც აღმოვაჩინე, რომ, პიროვნება, ვის საქმეზეც ოთხი ადამიანი იყო გასამართლებული და ვინც მოკლული ეგონათ, სინამდვილეში ცოცხალი იყო. ამ მასალას ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვა – როდესაც მასალა გამოქვეყნდა, ხელისუფლებამ ეს ძალიან არაადეკვატურად აღიქვა.

ერთ ისტორიას გავიხსენებ: იმ პერიოდში, როდესაც ძალიან ხშირი იყო ავტომობილებში დამონტაჟებული გაზის ბალონების აფეთქებები, აღმოვაჩინე, რომ ლილოს დასახლებაში არსებობდა საწყობი, სადაც ირანელები ძველ ბალონებს ღებავდნენ და ისე ყიდდნენ, როგორც ახალს. კითხვა-კითხვით მივაგენი ამ ადგილს და წავედი იქ ფოტორეპორტიორთან ერთად. მივედით ზუსტად იმ დროს, როცა ბალონებს ღებავდნენ. ფოტოგრაფს ვუთხარი: ზემოთ ავძვრეთ, იქ უკეთეს ფოტოებს გადავიღებთ-მეთქი. რატომღაც, ისე მოხდა, რომ მაინცდამაინც იმ დღეს მეცვა მოკლე ქვედაბოლო და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, რომლითაც მივხოხავდი ტლაპოში. როგორც იქნა, მივაღწიეთ ისეთ ადგილამდე, საიდანაც ფოტოს გადაღებას შევძლებდით და ფოტოგრაფს ვუთხარი: დაწექი, არ დაგვინახონ-მეთქი. გადაირია – ამ ტლაპოში, სად უნდა დავწვეო. დაცვამ დაგვინახა, როგორ გადავიღეთ ფოტოები და გამოგვეკიდა. დაგვიჭირეს და წაგვართვეს ფოტოაპარატი. ბევრი ვეხვეწე ფრიდონს – გაიქეცი, კადრები გადაარჩინე და მე დამტოვე-მეთქი, მაგრამ, არ მიმატოვა. მე ჩემი ჟურნალისტური გამოცდილება გამოვიყენე და სასწრაფოდ მოვითხოვე უფროსთან შეხვედრა, რასაც მერე დიდი ხვეწნა-მუდარაც კი მოჰყვა, რომ ეს ამბავი არ გახმაურებულიყო, თუმცა, ამან ველარ უშველა.

**– წარსულში კიდევ გქონდა ერთი პროფესია – როგორც ვიცი, კრუპიეს დიპლომი გაქვს.**

– დიახ, მაქვს და ამას არც ვმალავ. მე მაქვს კრუპიეს დიპლომი და გარკვეული პერიოდი ვმუშაობდი კიდეც კაზინო „იმპერიალში“, სადაც, მარტო კრუპიე კი არა, ინსპექტორიც ვიყავი. კაზინოს აქვს თავისი წესები. მე თვითონ მოთამაშის ამპლუაში არასდროს ვყოფილვარ კაზინოში. პრაგმატული ადამიანი ვარ და არ ვოცნებობ ისეთ რამეებზე, რაც, მიმაჩნია, რომ არასდროს ახდება, თუმცა, ზოგადად აზარტთან არ ვარ მწყრალად; უფრო მეტიც საქმეში, რომელიც ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილი მგონია, როგორც პირადი ცხოვრება, ძალიან აზარტულიც კი ვარ.

**თამუნა სამადაშვილი**

# რა განაჩენი შეიძლება გამოუტანოს ქალმა საკუთარ თავს და რისთვის სჭირდება მას ქმარი და საყვარელი ერთად

**ეჭვი, კონფლიქტი, მოწყენილობა, გაუგებრობა... – ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ბუნებრივია და ოჯახი თავისთავად გულისხმობს, რომ ცოლქმრული ურთიერთობა მუდმივად ვერ იქნება ხალისიანი და სასიამოვნო სიურპრიზებით სავსე. მაგრამ, ეს ასე არ არის. ურთიერთობის ხელოვნება – აი, ეს არის ოჯახში მთავარი, რაც ყველას არ გამოსდის. თანაც ოჯახური ურთიერთობები განსაკუთრებულია და, შესაბამისად, განსაკუთრებულ მიდგომასაც მოითხოვს. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ რუტინა სულაც არ არის საშინელება ან დიდი ბოროტება, უფრო – პირიქით: მშვიდი, ოჯახური დღეები ძალიან სასარგებლოა. რა ჯობია სიმშვიდეს და სტაბილურობას?! ქარიშხლისებრი ვნებები ძალიან დამღლელია და სტრესსაც გვგვრის. თუმცა, მათ გარეშე ცხოვრება საკმაოდ მოსაწყენი იქნებოდა. რა უნდა ვქნათ, რომ ერთდროულად მშვიდადაც ვიყოთ და ვნებებიც არ მოგვენატროს, ან საერთოდ, შესაძლებელია ოჯახური ბედნიერება?!**



**ნაირა** *(33 წლის):* მე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ოჯახი ადამიანებს სიმშვიდისთვის სჭირდებათ. ის ჩვენი თავშესაფარია, სადაც დაცულობის განცდა გვეუფლება. ამაზე კარგი რა უნდა იყოს, მაგრამ, წლებთან ერთად ყველაფერი იცვლება. რატომ უნდა იყოს ოჯახური, ჰარმონიული ცხოვრება რუტინის სინონიმი, – მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ სწორედ ასე ხდება?! რატომ უნდა გბეზრდებოდეს და გაღიზიანებდეს საყვარელ ადამიანებზე ზრუნვა, მათი მოვლა და სითბოს გაცემით რატომ უნდა იფიტებოდე?! რას არ ვაკეთებთ სწორად ქალები, ან, თუნდაც, მამაკაცები? როგორ ხდება ისე, რომ საკუთარი ხელით, დაუნანებლად და დაუფიქრებლად ვანგრევთ წვალებით აშენებულს?!

**– ქალები ვართ დამნაშავე, როცა ქმრებთან ურთიერთობა გვერღვევა?**

– მამაკაცების შეცდომებზე საუბარი არ მინდა. ისედაც ცხადია, რომ არც ისინი არიან ხოლმე მართლები ამ ურთიერთობაში, მაგრამ, ქალებს მეტი პასუხისმგებლობაც მოგვეთხოვება და მეტი მოთმინებაც.

**– რა მოსაზრებით, რომ ისინი მაინც მამაკაცები არიან?**

– არა, ეს საერთოდ არ მიგულისხმია. მე როგორ დავარღვევ გენდერულ ბალანსს, როცა საკმაოდ დიდი შრომა მაქვს გაწეული მისი პრინციპების დასაცავად?! დღეს საკმაოდ წარმატებული ადამიანი ვარ – კარიერაში ბევრს მივაღწიე. ოჯახიც ძალიან კარგი მაქვს და ყველაფერი წესრიგშია, თუმცა, მხოლოდ გარეშე თვალისთვის. რეალურად კი არც ისე დალაგებული მაქვს სიტუაცია.

**– ქმართან გაქვთ დაძაბული ურთიერთობა?**

– შეიძლება ასეც ითქვას. ჩვეულებრივი, რუტინული ურთიერთობა გვაქვს, რაც უკვე, მსუბუქად რომ ვთქვა, აღარ მაკმაყოფილებს. მაინც ვთქვი ეს საშინელი სიტყვა – „რუტინა", რომელიც, რატომღაც, ცუდად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და დამკვიდრდა. ეს მერე გაუაზრებელი ნაბიჯებისკენ გვიბიძგებს ხოლმე და ყველაზე გონიერ ადამიანებსაც გვაკეთებინებს სისულელეებს. მე მიყვარს ქმარი, შვილზე ხომ, საერთოდ, ვგიჟდები. რა უნდა უნდოდეს ქალს მეტი? მაგრამ, ბოლო ორი წელი საშინელი უკმარისობის განცდა მქონდა.

**– კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

– გეტყვით. გულახდილი ვიქნები. შვიდი წლის წინ სიყვარულით გავთხოვდი და ახლაც ვიტყვი, რომ გამიმართლა – ძალიან კარგი ქმარი მყავს. ენა ვერ მომიბრუნდება იმის სათქმელად, რომ ამ შვიდი წლის განმავლობაში მისი ჩემდამი დამოკიდებულება უარესობისკენ შეიცვალა. ამიტომ, ის, რაც მოხდა, შეიძლება, ჩემი პრობლემა იყო და არა მისი. ცოლქმრული ცხოვრების პირველი ორი წლის განმავლობაში ქმართან ურთიერთობას ჩემთვის სიხარული მოჰქონდა. მიხაროდა მის გვერდით ყოფნა და დილით სამსახურში წასულს საღამომდე მენატრებოდა. სულ შეყვარებული ვიყავი. მერე კი ეს ყველაფერი გაქრა.

**– იქნებ, სამსახურში იღლებოდით ან კარიერაზე ფიქრმა და ზრუნვამ გამოიწვია ფარული სტრესი, რომელმაც შეუცნობლად გადაფარა ის პოზიტიური განცდა, რომელიც მანამდე გქონდათ ქმართან ურთიერთობით?**

– ვფიქრობ მაგაზეც, მაგრამ, ის ორი წელიც ძალიან დატვირთული ვიყავი, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე დღეს ვარ. ახლა ჩემს პროფესიულ კარიერაში თითქმის პროგრამა მაქსიმუმი შევასრულე. შვილი გათხოვებიდან მესამე წელს გავაჩინე, მაგრამ, ცვლილებებს ვერც ამ მოვლენას დავაბრალებ – ბავშვმა ჩვენ უფრო შეგვკრა და გაგვაერთიანა. მე სხვა რამეზე გელაპარაკებით – ჩემს შინაგან მდგომარეობაზე, ჩემს ემოციებზე. ჩემი ცხოვრება ერთ კონკრეტულ, მკაცრად განსაზღვრულ კალაპოტში ჩადგა და მას მიჰყვებოდა, ყოველგვარი ემოციური აფეთქებების გარეშე.

**– მერე, ეს ხომ კარგია? რა შეიძლება სჯობდეს ქმართან ურთიერთობაში სიმშვიდეს?!**

– ერთი შეხედვით, არაფერი, მაგრამ, მთლად ასეც არ არის საქმე. რეალობა ცოტა სხვანაირია და მასზე თვალის დახუჭვა სერიოზულ პრობლემებს იწვევს. დუნე, უმოძრაო წყალს რაც მოსდის, გეცოდინებათ – ფუჭდება და ყროლდება. ასეა ურთიერთობაც. სამწუხაროდ, ჩვენ ყველაფერს ვაქცევთ ყურადღებას, ყველაფრის სწავლას ვცდილობთ, გარდა ურთიერთობისა. არ არის ეს სახუმარო თემა. დაკვირვებიხართ, როგორი თავგამოდებით ვცდილობთ უცხო ადამიანებისთვის თავის მოწონებას, როცა ეს ჩვენს საქმეს სჭირდება?! კანიდან ვძვრებით, რომ კარგი იმიჯი შევიქმნათ.

**ჩვენს ცხოვრებაში რუტინა შემოიჭრა და დამკვიდრდა, რომელიც გაუაზრებელი ნაბიჯებისკენ გვიბიძგებს ხოლმე და სისულელეებს გვაკეთებინებს**

**– ანუ, ვთამაშობთ?**

– არა, არა, ეს არ არის თამაში, ეს უფრო სურვილია, ვიყოთ ისეთები, როგორებიც რეალურად არ ვართ. მაგრამ, სახლში, ოჯახის წევრებთან და უახლოეს ადამიანებთან ეს ყველაფერი გვავიწყდება.

**– იქნებ, უბრალოდ, ძალა აღარ გვყოფნის და შინაურ გარემოში ვდუნდებით?**

– შეიძლება, ასეც არის. მე არც ფსიქოლოგი ვარ და, მით უმეტეს, არც ურთიერთობების სპეციალისტი, მაგრამ, იმას კი ვხვდები, რომ სწორად არ ვიქცეოდი. ფაქტია, ისეთი ტიპაჟი აღმოვჩნდი, რომლისთვისაც მონოტონურობა და მეტისმეტი სტაბილურობა დამანგრეველია. რაღაც მომენტში მე ისე ძლიერად გამიჩნდა ახალი ურთიერთობის მოთხოვნილება, ფლირტი რომ არ გამება ვინმესთან, გავგიჟდებოდი.

**– ფლირტის არსი, ალბათ, იცით...**

– დიახ, რა თქმა უნდა. თუმცა, ფლირტი რომ უფრო სერიოზულ ურთიერთობაში არ გადაიზრდება, ამის გარანტი ვერავინ იქნება – ვერ იქნები დარწმუნებული, რომ „რამე" არ მოხდება. ანუ, სერიოზულ რისკზე მიდიხარ. რაღაც მომენტში აუცილებლად გიმტყუნებს „მუხრუჭები". მე ადრე ასე არ ვფიქრობდი. სანამ საკუთარ თავთან არ გამოვცადე ფლირტის „მშვენიერებანი", მანამდე მეგონა, რომ ძლიერი ქალისთვის ფლირტი საერთოდ არ წარმოადგენდა საშიშროებას. ვიფიქრე: რატომაც არა, – მობეზრებული ყოველდღიურობა, შეჩვეული ერთფეროვნება და არაფერი ახალი. ფლირტით კი ცოტას მაინც გავიფერადებ ცხოვრებას-მეთქი. მაგრამ, შევცდი. წარმატება პროფესიულ სფეროში არ ნიშნავს ხასიათის სიმტკიცეს. თუ საქმეში ყველაფერი გამოგდის, საკუთარი თავი იმაში არ უნდა დაარწმუნო, რომ მაგარი ხარ. ახლა უკვე ვნანობ, რატომ ავიტეხე შარი, მაგრამ, მაშინ ეს „შარი" ჩემთვის სიამოვნების მიღების საშუალება იყო.

**– გადაწყვიტეთ, რომ ფლირტით მიიღებდით სიამოვნებას და ეს არ იქნებოდა ღალატი?**

– ღალატი საერთოდ არაფერ შუაშია. ღალატი აბსოლუტურად სხვა რამედ მიმაჩნდა, თუმცა, ესეც შეცდომაა, რა თქმა უნდა. ჩვენ ჩვენივე მცდარი შეხედულებები გვღუპავს, ჩვენი უცოდინრობა და სტერეოტიპული აზროვნება.

**– და, სავარაუდოდ, კომუნიკაცია – ვგულისხმობ მეუღლეს. თუ ქმარი ქალისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანია, პირველს სწორედ მას უნდა დაელაპარაკოს საკუთარ პრობლემებზე.**

– ერთი ქალი მაინც თუ არსებობს ისეთი, რომელიც ამას ახერხებს? მიუხედავად იმისა, რომ ძალიან წარმატებული ქალი ვარ და არასდროს არავისთან არ მქონია კომუნიკაციის პრობლემა, ქმართან ურთიერთობაში ძალიან ბევრი შემეშალა. თუმცა, ასევე ძალიან ძნელია, უარი თქვა ლამის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებაზე. ჩემი გალანტური კავალერი საკმაოდ ადვილად ვიპოვე. როცა ქალი ამისთვის მზად არის, კაციც მალე გამოჩნდება ხოლმე... ამით განაჩენი გამოვუტანე საკუთარ თავს. გამოსავალი ყოველთვის არსებობს, მაგრამ მე გამოსავალს იქ არ დავუწყე ძებნა, სადაც საჭირო იყო.

**– ფლირტი სადამდე წავიდა?**

– ძალიან შორს არა, მაგრამ, სერიოზულად

# როგორ დაკარგეს ერთმანეთი ნათესავებმა და ვის ეძებს უკრაინაში მცხოვრები 49 წლის მამაკაცი საქართველოში

*49 წლის ნიკოლაი ანატოლის ძე ბევზენკო ეძებს: 75 წლის მარია ონიაშვილს.*

**ისტორია**: ვეძებ მამიდას (ბებიაჩემის დისშვილს, რომელიც მამიდად მეკუთვნის), დაახლოებით 75 წლის მარია ონიაშვილს. მასთან კავშირი 1973 წლიდან აღარ გვაქვს. იმ დროს მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ, მამიდა კარგად მახსოვს. ოჯახში შემოგვრჩა მარიას ერთადერთი ფოტო, რომელზეც ის მარცხნივაა. მე უკრაინაში ვცხოვრობ. დიდი იმედი მაქვს, რომ მამიდასა და მისი ნათესავების პოვნაში დაგვეხმარებით.



**– როგორ დაკარგეთ ნათესავებმა ერთმანეთი და რა იცით მარიას შესახებ?**

– მარიას დედა, იარინა იოსების ასული მანტულა, დაახლოებით 1910-1911 წელს იყო დაბადებული. ნათესავებთან კავშირი 1973 წლიდან აღარ გვაქვს. ვიცი, რომ მარია დაიბადა და გაიზარდა საქართველოში, სადაც ის გათხოვდა კიდეც. სამწუხაროდ, მისი შვილების სახელები ჩემთვის უცნობია. დიდი სურვილი მაქვს, ვიპოვო დაკარგული ნათესავები და აღვადგინო მათთან კავშირი. მე ოჯახთან ერთად ვცხოვრობ უკრაინაში, ჩიგირსკის რაიონის სოფელ რუბლივკაში. მარია თავის მშობლებთან ერთად (იარინასთან და ანზორთან) ბოლოს 1973 წელს იყო ჩამოსული უკრაინაში ჩვენთან სტუმრად და მას შემდეგ მათ ოჯახზე არაფერი ვიცით. რატომღაც, ჩვენ შორის კავშირი გაწყდა და ამდენი წლის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთისგან წერილიც კი არ მიგვიღია.

**– მარიას მშობლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ?**

– დიახ, იარინაც და ანზორიც საქართველოში ცხოვრობდნენ. თუ არ ვცდები, იმ სოფელს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ლოზოვანი (ან ლაზოვანი) ერქვა. არ არის გამორიცხული, ამჟამადაც ეს სახელი ჰქონდეს. სამწუხაროდ, მათი ზუსტი მისამართი ჩემთვის უცნობია. ერთადერთი, რისი იმედიც მაქვს, არის მარიას ფოტო. ძალიან მინდა ჩემი ქართველი ნათესავების პოვნა. იმედია, დამეხმარებით.



**– აქამდე თუ ეძებდით მათ და, თქვენ გარდა კიდევ ვინაა დაინტერესებული მათი პოვნით?**

– დაახლოებით სამი თვის წინ განვათავსე ჩემი განაცხადი მარიას მოძებნასთან დაკავშირებით „ჟდი მენიას“ სამძებრო საიტზე, იქ კი თქვენთან დაკავშირება მირჩიეს. მარიასა და მისი ოჯახის ზუსტი მისამართის არცოდნის გამო, მე მათ ვერანაირად ვერ ვპოულობდი – დამოუკიდებლად ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია. ჩემთან ერთად მარიასა და მის ოჯახს ჩემი ოჯახიც ეძებს. მის მოძებნაში მგულშემატკივრობენ შვილები. ეს ამბავი ძალიან გაუხარდება მამაჩემს.

**– როგორ ფიქრობთ, მარია თუ გეძებთ? საცხოვრებელი მისამართი ხომ არ შეგიცვლიათ?**

– 1973 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც მარია მშობლებთან ერთად ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა, ჩვენ სხვა მისამართზე გადავედით, ძველი სახლი კი გავყიდეთ. მისთვის უცნობია ჩვენი ამჟამინდელი მისამართი. შეიძლება, ის გვეძებდა კიდეც, ან წერილებს გვწერდა, მაგრამ, ბუნებრივია, უპასუხოდ რჩებოდა... დიდი იმედი მაქვს, რომ ის ცოცხალია და გამოგვეხმაურება.

**– ნათესავების პოვნის შემთხვევაში, აპირებთ თუ არა მათთან შეხვედრას?**

– დიდი იმედი მაქვს, რომ მათ ვიპოვით და ჩვენი შეხვედრა შედგება. ჯერჯერობით არ ვიცი, როგორ ან სად მოხდება ეს, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ აუცილებლად შევხვდებით – ან ჩვენ ჩამოვალთ საქართველოში, ან მათ დავპატიჟებთ ჩვენთან.

*თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

„გავნაგლდი“. მასთან ერთად კაფეებში სიარული არ ვიკმარე და თეატრებში დავიწყეთ რომანტიკული პაემნები.

**– ვინმეს რომ დაენახეთ? წარმატებულ ქალბატონებს ნაცნობების საკმაოდ ფართო წრეც აქვთ.**

– გეთანხმებით. მაგრამ, ასევე, გვაქვს თავდაცვისა და ალიბის შექმნის „ფართო“ საშუალებები. მაგალითად, ასეთი: საქმიანი აუცილებლობით გამოწვეული ვიზიტი კულტურულ ღონისძიებებზე პარტნიორთან ერთად; საქმიანი ვახშამი პარტნიორთან; საქმიანი საუბრები არაფორმალურ გარემოში... მოკლედ, ჩემი ქმარი მენდობოდა.

**რა უნდა იყოს ქმართან ურთიერთობაში სიმშვიდეზე უკეთესი, მაგრამ, დუნე, უმოძრაო წყალი ფუჭდება და ყროლდება. ასე ხდება ურთიერთობებშიც**

**– თქვენ კი ეს ნდობა ბოროტად გამოიყენეთ...**

– ასე გამოვიდა. თუმცა, მე ეს არ მინდოდა. სახლში როცა ვბრუნდებოდი და ტელევიზორის წინ მშვიდად მჯდარ ჩემს ქმარს ვხედავდი, სინდისი ძალიან მქენჯნიდა, მაგრამ, დილით ისევ ვერ ვუძლებდი ცდუნებას.

**– რის ცდუნებას?**

– ემოციების მიღებას. ეს დოპინგივით იყო, თან, ნერვები მეშლებოდა საკუთარ თავზე. ასეთი კარიერა გავიკეთე და, როგორ ვერ ვახერხებ, პირადი ცხოვრება დავალაგო-მეთქი. მერე გამაფრთხილებელი სიგნალიც გაისმა – „კეთილისმსურველებს“ რა დალევს და ჩემს ქმარსაც ვიღაცამ რაღაცა ჩააწვეთა. არც გამომიძიებია, ვინ გააკეთა – რა აზრი ჰქონდა, მთავარი ხომ ეს არ იყო?! ამით სიმშვიდის პერიოდი დამთავრდა – ქმარმა ეჭვიანობა დაიწყო. იყო სკანდალიც. ბუნებრივია თავიდან თავს ვიმართლებდი, მაგრამ, მერე უცებ, თვითონაც არ ვიცი, რა დამემართა და ვიფეთქე: შენი ბრალია ყველაფერი. იმდენი ხანია, თავს ქალად ველარ ვგრძნობდი, რომ მამაკაცის ალერსის მოთხოვნილება ბუნებრივად გამიჩნდა, თავი ველარ გავაკონტროლე და ლამის ღალატამდე მივედი-მეთქი.

**– როცა მამაკაცს ამას ეუბნები, იმის მოლოდინიც ხომ უნდა გქონდეს, რომ გაიჯახუნებს კარს და საერთოდ წავა შენგან?**

– ალბათ, მაგრამ, ჩემს შემთხვევაში ამაზე არ ვფიქრობდი, თანაც, მე ვიცნობდი საკუთარ ქმარს – არ წავიდოდა ის სახლიდან.

**– რატომ?**

– როგორ გითხრათ... მას უნდა იცნობდეთ... მითხრა: რატომ იყავი ჩუმად და რატომ არ ცდილობდი იმ პრობლემის გამოსწორებას, რაც გაწუხებდაო. შენ შეგეძლო ჩვენი ურთიერთობის შეცვლა. პრინციპში, შეცვალე კიდეც. მაგრამ, ცუდი ფორმითო. არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. ვგრძნობდი თავს დამნაშავედ, მაგრამ, არაფრით მილიარებია.

**– როცა ოჯახში სიტუაცია აირია, თქვენთვის ეს ცვლილება მთლიანად ნეგატიური იყო?**

– ასეც ვერ ვიტყვი. ადრენალინი ნეგატივსაც აქვს – რაღაც ხომ მოხდა, დაიძრა, ამოძრავდა და ეს კარგიც იყო. ახლა ვცდილობ, თავიდან ავაშენო ურთიერთობა. ვიცი, ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ, ინტერესი და აზარტი ახლავს, რაც მე სერიოზულ სტიმულს მაძლევს. შეიძლება, ნორმალურად არც მოგეჩვენოთ, რასაც ახლა გეტყვით: მომწონს ჩემი ამჟამინდელი ცხოვრება – ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ვერ ვივიწყებ მამაკაცს, რომელმაც ცხოვრება დამინგრია. მე ის არ უნდა მიყვარდეს. სულ მატყუებდა. ცოლი ჰყავდა, მაგრამ მაინც სიყვარულს მეფიცებოდა. დავშორდი ჩემი ინიციატივით. მივხვდი, რომ ამ ურთიერთობას მომავალი არ ჰქონდა. ძალიან ცუდად ვარ. მინდა, ჩემი წილი ბედნიერება ვიპოვო, მაგრამ ვერ ვახერხებ. რა ვქნა?!**

**გამოხმაურება:** უნდა დაივიწყოთ. ხომ ხვდებით, რომ ეს თქვენი გასაკეთებელია, თანაც აუცილებლად. იფიქრეთ იმაზე კი არა, რომ უღირსი ადამიანი გიყვარდათ. არამედ იმაზე, რომ გაქვთ სიყვარულის უნარი. მთავარი ხომ ეს არის. იყავით აქტიური და არ ჩაიკეტოთ საკუთარ თავში. ყველაფერი კარგად იქნება.

**ფსიქოლოგი მაგდა რობაქიძე**

# რის გამო შეიძლება დათო ევგენიძემ გააღვიძოს ცოლი ღამის 3 საათზე

**თბილისში, ერთ არცთუ ისე ძველ უბანში, ცხოვრობს ერთი ძალიან თბილი ოჯახი, რომლის უფროსი ამ ქალაქზე უზომოდ შეყვარებული, „ცივი ლა და თბილი სის“ ავტორი, ყველასთვის ცნობილი კომპოზიტორი დათო ევგენიძეა. „თბილისელებს“ მან და მისმა მომხიბვლელმა მეუღლემ – ნინო ჟვანიამ უმასპინძლეს და გაიხსენეს თუ როგორ დაიწყო მათი თანაცხოვრების ისტორია.**

**ნინო**: ძალიან ბევრი წლის განმავლობაში ვიცნობდით მე და დათო ერთმანეთს, თუმცა, შეხვედრები ორ-სამ წელიწადში ერთხელ თუ გვქონდა ხოლმე, მართალია, შემთხვევით, მაგრამ საკმაოდ თბილი, მეგობრული და ჩემთვის დასამახსოვრებელი, იმიტომ რომ, ძალიან მიყვარდა და დიდ პატივს ვცემდი დათოს, როგორც ხელოვანს. ერთხელაც, დაახლოებით ხუთი წლის უნახავ დათოს „აჭარა მიუზიკ ჰოლში” შევხვდი. მას ხელი ჰქონდა მოტეხილი. შორიდან რომ დავინახე, ჩამოკიდებული, თაბაშირში ჩასმული ხელი, ისე შევწუხდი, ერთი სული მქონდა, მალე მივსულიყავი და შემეტყო, რა სჭირდა... მოკლედ, ძალიან ემოციური შეხვედრა გამოგვივიდა. ამ შეხვედრაზე მან შემომთავაზა: წამოდი, ერთად წავიდეთ მოსკოვშიო. მე, რა თქმა უნდა, თავიდან ვიუარე. შემდეგ ზარებით, შეხვედრებით, ძალიან მალე შედგა ჩვენი ურთიერთობა.

**დათო**: ხუთი წლის უნახავს ის კი არ ვკითხე, როგორ ხარ, რას შვრები... პირდაპირ ვუთხარი – წავიდეთ-მეთქი.

**– ესე იგი, მანამდე რაღაც შინაგანი, გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი სიმპათია თუ სხვა რამ მაინც უნდა ყოფილიყო თქვენ შორის, რომ ხუთი წლის უნახავისთვის მოსკოვში წაყოლა შეგეთავაზებინათ.**

– ხომ არსებობს რაღაც... ვირტუალური – ხედავ ადამიანს და სულ მოგწონს და გაინტერესებს, რატომღაც, შენთვის სულერთი რომ არ არის მისი ბედი. სულ ვკითხულობდი: ნინო რას შვრება, სად არის, რას აკეთებს-მეთქი – სულ ჩემი ინტერესის სფეროში იყო.

**– ოღონდ, ცენტრში არ მოხვედრილა იმ კონკრეტულ დღემდე?**

– მანამდე ცენტრში ვერ მოხვდებოდა, რადგან, ცოლი მყავდა, ნინოც გათხოვილი იყო. სულ მაინტერესებდა, რომ გათხოვდა, ვის გაჰყვა. გაჰყვა ჩემს საკმაოდ ახლობელ ადამიანს – კობა მუქერიას, რომელთანაც დღესაც გვაქვს ურთიერთობა. ამიტომ არ იყო ჩემთვის სულერთი, თუ რა ხდებოდა ნინოს ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, რომ არც ისეთი ახლო მეგობრები ვყოფილვართ და არც ხშირი შეხვედრები გვქონია. ნინო, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს გრძნობდა – არ არსებობს, ქალმა ეს რომ არ იგრძნოს.

უცნაურია, უფრო სწორად, ბედისწერულია... მოსკოვიდან ახალი ჩამოსული ვიყავი. წესით, ერთ კვირაში უნდა ამეღო ვიზა და უკან დავბრუნებულიყავი. მანამდე მოსკოვში ვცხოვრობდი ქალთან ერთად, „დეკაბრისტკას“ ვეძახდი – მან ოლიგარქი ქმარი დატოვა და საფრანგეთიდან მოსკოვში გამომეკიდა. იმ დროისათვის მე უკვე ცოლს გაშორებული ვიყავი. წამოვედი საქართველოში, რომ ვიზა გამეგრძელებინა. იმ პერიოდში კიდევ ერთხელ დაიძაბა ქართულ-რუსული ურთიერთობები და საკონსულოები დაიკეტა...

**– ეს რომელი წელია?**

– 2004 წლის ნოემბერი. ამ დროს ვმუშაობდი „მეცხრე როტაზე”. ერთი კვირის მაგივრად საქართველოში 7 თვე მომიწია ყოფნა. ბონდარჩუკის ფილმისთვის მთავარი თემები წინასწარ მქონდა დაწერილი. გადაღებები დამთავრდა და ის დრო დადგა, უკვე მუსიკა რომ უნდა ჩამეწერა. ფედია ბონდარჩუკი გაგიჟებული იყო, ცდილობდა, რამენაირად ჩავეყვანე. ვიყავი ძალიან ცუდ ხასიათზე, რადგან, საქმე მიფუჭდებოდა. ვიყავი „აჭარაში” და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ახლობელი იჯდა ჩემ გარშემო, მაინც მარტო ვგრძნობდი თავს და, ნინო რომ დავინახე გაანათა.

**ნინო**: ჩემთვისაც ფერადი იყავი, მართლა.

**დათო**: ორივეს შეგვეტყო, რომ ძალიან გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა. მაშინვე შევთავაზე ჩემთან ერთად წასვლა. შემდეგ ტელეფონი გამოვართვი. რამდენჯერმე დავურეკე და გამორთული იყო. თურმე, ტელეფონი გაფუჭებია და მერე თვითონ დამირეკა. შემდეგ რესტორანში დავპატიჟე მეგობრებთან ერთად... ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე სადღაც მივდიოდით... იმ დღეს იყო ნინოსა და კობას შვილის დაბადების დღე. ამ პერიოდისთვის ჩვენი ურთიერთობა იმ სტადიაში გადაიზარდა, რომ ორივესთვის გასაგები იყო, თუ რა როგორ. მითხრა: დამტოვე, მივდივარ ჩემი შვილის დაბადების დღეზეო. იქ კობაც იყო და კობას მთელი სამეგობროც, მშობლებიც ნინოსი და კობასი... მთელი თბილისი... მე ვუთხარი, შემოვდივარ-მეთქი, ხელი გადავხვიე და ასე ხელგადახვეულები შევედით.

**– რა მოჰყვა ამას?**

**ნინო**: დაბნევა, რა თქმა უნდა. დათო მოვიდა... მერე, ჩვენ ერთად მოვედით... იმდენად მოკლე ხანში მოხდა ყველაფერი, რომ ჯერ არც კი იყო ჩვენ შესახებ ქალაქში გავარდნილი ჭორები.



**დათო: „მანამდე მოსკოვში ვცხოვრობდი ქალთან ერთად, „დეკაბრისტკას“ ვეძახდი. მან ოლიგარქი ქმარი დატოვა და საფრანგეთიდან მოსკოვში გამომეკიდა“**

დაბადების დღიდან რომ წამოვედით, დედაჩემი მიგვყავდა სახლში და დათომ პირდაპირ უთხრა...

**დათო**: თქვენი შვილი მომყავს ცოლად-მეთქი, ვუთხარი.

**ნინო**: ის იმდენად დაიბნა, ნინოს გადასაწყვეტიაო, – ძლივს უთხრა.

**დათო**: ნინოს დედა რომ დავტოვეთ სახლში, იქიდან პირდაპირ ჩემთან ამოვედით. ჩემს მშობლებს სტუმრები ჰყავდათ და ყველას წარვუდგინე: გაიცანით ნინო, ჩემი ცოლი-მეთქი. ასე აღმოჩნდა ნინო ჩემთან სახლში.

**– გამოდის, რომ საქორწინო მოგზაურობა უკვე მოსკოვში გქონდათ?**

**ნინო**: ჰო, ოღონდ, „მოგზაურობა” ძალიან გაგვეწელა.

**ნინო: „დათოსა და ჩემ შორის ასაკობრივი სხვაობა 16 წელია, ოღონდ, არანაირად არ იგრძნობა. ვამბობ ხოლმე, ცოტა ხანში მე გაგასწრებ-მეთქი. ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა კიდეც ხუმრობით – ჩემი ცოლი ჩემზე ათი წლით უფროსიაო“**

**დათო**: როდესაც ყველანი დავრწმუნდით, რომ ჩემი ვიზის აღება ვერ მოხდებოდა, ბანდარჩუკის, ოსეთის მაშინდელი პრეზიდენტის – ძასოხოვის, მისი, ჩვენი და რამდენმე ჩვენი ახლობლის ძალისხმევით, გადაწყვიტეთ მოსკოვში წასვლა. ჩვენი მოგზაურობა მოსკოვამდე მთელი კინო იყო, „ჯარისკაცის მამაში” რომაა, ხომ იცით: „პეშკომ ეხალ”.... მანქანით მივედით საქართველოს საზღვართან, შემდეგ წავედით ნეიტრალურ ზონაში, მივედით რუსეთის საზღვართან, იქ უკვე დაგვხვდა რუსული მხრიდან მანქანა; უცნაური ტაქსი იყო – მგონი, პარკეტი ჰქონდა დაგებული და ჭაღი ეკიდა. ვიღაც სამხედრო იჯდა მასში, რომელმაც წაგვიყვანა, გაგვატარა როკის გვირაბი და მივედით ისევ საზღვართან...

**ნინო**: ამ დროისათვის მე უკვე ფეხმძიმედ ვიყავი... ბუნებას ვათვალიერებდი, ახალ-ახალ სახეებს ვხედავდი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში და, ახლა რომ ვუკვირდები, საკმაოდ რთული გზა გავიარეთ.

**დათო**: სადაც მივიდოდით, არალეგალურად შევდიოდით, ოღონდ, ოფიციალურ დონეზე იყვნენ ამის შესახებ ინფორმირებულები და თვალს ხუჭავდნენ. ოსეთის საზღვარზე ვიღაც ყმაწვილი დაგვხვდა სპორტულებში, იმან ჩაგვიყვანა ვლადიკავკაზში, სადაც ქალი დაგვხვდა... ამ დროს, არავის არ ვიცნობთ. შემდეგ მატარებელზე დაგვსვეს და, ბოლოს, როგორც იქნა, ჩავედით მოსკოვში. იქ აღმოვჩნდით „შერატონში” – თეთრ ხალათებში, ფრანგული შამპანურებით.

**ნინო**: მოსკოვში გაგვიჩნდა ნიკოლოზი.

**– ბატონო დათო, ყოველდღიურობაში როგორი ხართ?**

**დათო**: ყოველდღიურობაში ძალიან მარტივი ვარ, ერთადერთი სულიერი მოთხოვნები მაქვს – შემიძლია, ნინო ღამის 3 საათზე გავაღვიძო და რაღაცა მოვასმენინო.

**ნინო**: გუშინაც ასე მოხდა – დილის 7 საათამდე ვისხედით და ვისმენდით. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გვყავს დიასახლისი ქალი – ქალბატონი ნაზი, რომელიც გვეხმარება. ასევე, ძალიან მეხმარება დათოს დედა, ქალბატონი დინარა. ჩვენ, ჩვენი ყოფიდან გამომდინარე, ვერ ვახერხებთ, მაგრამ, ქალბატონი დინარას წყალობით, ნიკოლოზმა მთელი სკოლის პროგრამა იცის წინსწრებით. მადლობელი ვარ ამისთვის.

**– ნიკოლოზი როგორი ბიჭია, რა ინტერესები აქვს?**

– ჩემი აზრით, ნიკოლოზი ძალიან ნიჭიერია და ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი შვილია. ჩემი უფროსი ბიჭიც და დათოს შვილებიც – ყველანი ნიჭიერები არიან, მაგრამ, ნიკოლოზი მაინც უფრო დათოს მხარესაა, ალბათ. დადის ხატვაზე, ძერწვაზე, ცურვაზე და მუსიკაზე; ცდილობს, შექმნას თავისი იმპროვიზაციები.

**– თქვენ შორის ასაკობრივი სხვაობა რამდენი წელია?**

– 16 წელი, ოღონდ, არანაირად არ იგრძნობა. სულ ვამბობ ხოლმე, ცოტა ხანში მე გაგასწრებ-მეთქი. ერთ-ერთ ინტერვიუში დათომ თქვა კიდეც ხუმრობით – ჩემი ცოლი ჩემზე ათი წლით უფროსიაო.

**– ბატონო დათო, ნინოსთვის თუ მიგიძღვნია რაიმე კომპოზიცია?**

**დათო:** ძალიან ბევრი, ნაწარმოებებიც და ლექსებიც. მალე ჩემი ახალი კრებული გამოდის, ჰქვია „ქართული ფოსტა”, ამ კრებულში ბევრი ლექსია ნინოსადმი მიძღვნილი.

„თბილისელების” – თქვენი ჟურნალის სახელწოდებასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ: ყველაზე მაგარი თბილისელი არის თვითონ თბილისი. საერთოდ, თბილისელობა აბსოლუტურად არ ნიშნავს იმას, რომ იყო დაბადებული თბილისში... თბილისს აქვს თავის კოდექსი, დაუწერელი... მთავარი მინდა ვთქვა:

„მე ეზო ვარ ამ ქალაქის, მეეზოვე მგვის,
მე ვაზა ვარ, საყვავილე, ის ყვავილიც მგავს,
სამი დღით რომ ატარებენ ამ ჩემს სულში ვარდს.
წუთები ხომ ნოტებია, ლა უკლია სის,
უისრებო საათი ვარ ჩემი თბილისის.“

როცა გადავხედავ ამ ბოლო ოცწლეულს და იმ ადამიანების ცვლილებას, რომლებიც პოლიტიკის ცვლილებას მიჰყვებიან, ვწუხვარ. იმიტომ, რომ ქართველი – ეს კიდევ ცალკე კოდექსია, თბილისელი – ცალკე. არ უნდა ეხებოდეს შენს ღირსებას არანაირი პოლიტიკური ამინდის ცვალებადობა. შენ უნდა ყოველთვის იყო იმ მრწამსის გვერდით, რასაც შენი ქვეყანა ჰქვია და რასაც შენი ქალაქი ჰქვია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება ხელისუფალი, უნდა იყო შენი მთავარი სულიერი პრინციპის ერთგული.

**ეკა სალაღაია**

# ვინ იყო ტრამვაის პირველი ვატმანი თბილისში და რომელ წელს მოხდა ტრამვაის ხაზების დემონტაჟი მელიქიშვილის გამზირსა და ვაგზლის მოედანზე

*თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი პირველად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. ქალაქის გაფართოებამ და განაშენიანებამ აუცილებელი გახადა, რომ ქალაქის მოსახლეობას ფეხით ან ცხენებით აღარ ევლო და გადაადგილების ალტერნატიული საშუალებებით ესარგებლა, რამაც სათავე დაუდო ევროპული ეკიპაჟების – დროშკების, ეტლების, გერმანული ფორშპანების, ფაეტონების გამოჩენას დედაქალაქის*


დროშკის ბირჟა და კონკა ერევნელის მოედანზე (ერმაკოვის ფოტო, 1880-იანი წლები)

*ქუჩებში. 1870 წლისთვის თბილისში 439 ორცხენიანი, 117 ერთცხენიანი ეტლი და 672 საზიდარი მოძრაობდა. იმ დროის თბილისში რამდენიმე სადგომი, იგივე „დროშკის ბირჟა" გაიხსნა, სადაც შესაძლებელი იყო დროშკის ან ეტლის დაქირავება: სომხის ბაზარში, მადათოვის, ერევანსკის, ალექსანდროვის მოედნებზე. ბარონი ტორნაუ თავის*


ელექტროტრამვაი ციციანოვის (ბარათაშვილის) აღმართზე (1910-იანი წლები)

*მოგონებებში წერდა: „ტფილისის მედროშკეები" ისე დააქროლებენ თავიანთ ცხენებს, რომ გამვლელებს შიშის ზარს სცემენ". საინტერესოა, რომ ზამთრის პერიოდში თბილისელები ციგების საშუალებით გადაადგილდებოდნენ, რაც საკმაოდ ძვირი სიამოვნება იყო. იმ პერიოდში გაიხსნა რამდენიმე საწარმო, სადაც ეტლებს ამზადებდნენ, რომელთა შორის გამორჩეული იყო გერმანელი რიჰარდ მადერის ეტლის საწარმო, რომელიც მიხეილის გამზირის (ამჟამინდელი აღმაშენებლის გამზირის) №96-ში მდებარეობდა. მადერის გარდა, თბილისში ცნობილი იყო კოტრინის, იბრაგიმბეკოვის, კადმანის, ალამოვისა და სხვათა ეტლის ქარხნები. ცნობილია, რომ მეეტლეები ძირითადად მალაკნები იყვნენ და მათი უმრავლესობა რიყეზე ცხოვრობდა. 1887 წლისთვის თბილისში ოფიციალურად იყო დარეგისტრირებული 520 ფაეტონი, თუმცა, ფართობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ქალაქის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თბილისში შექმნილიყო საცხენოსნო რკინიგზა – ეგრეთ წოდებული კონკა.*

## კონკა

1882 წელს თბილისში საცხენოსნო რკინიგზის – კონკის მშენებლობა დაიწყო. კონკის გამოჩენა დედაქალაქის ქუჩებში მეცენატისა და მეწარმის – კარგანოვის სახელს უკავშირდება, რომელიც მშენებლობას აფინანსებდა. კონკის პირველი ხაზის ექსპლუატაციაში გაშვება 1883 წლის 23 თებერვალს შედგა და ამ ხაზს, მისი დამფინანსებლის პატივსაცემად, თბილისელები „კარგანოვსკაიას" უწოდებდნენ. პირველმა ხაზმა ერთმანეთთან, მიხეილის (აღმაშენებლის) პროსპექტის გავლით, ვორონცოვისა (ზაარბრიუკენის) და რკინიგზის სადგური დააკავშირა. შემდგომში მარშრუტი გაგრძელდა და ერევნელის მოედანი (თავისუფლების მოედანი), გოლოვინის პროსპექტი (რუსთაველის გამზირი), ვერის დაღმართი და ხიდი და კირხეს (მარჯანიშვილის) ქუჩა მოიცვა. იმ დროს საგანგებო გაჩერებები დაწესებული არ იყო და თითო ვაგონს დაჰყვებოდა კონდუქტორი, რომელიც მგზავრების მოთხოვნით აჩერებდა ვაგონს. 1899 წელს თბილისში კონკისთვის 22,4 კილომეტრი ლიანდაგი იყო გაყვანილი. კონკამ 1910 წლამდე იარსება, შემდეგ კი ის უფრო თანამედროვე ელექტროტრამვაიმ ჩაანაცვლა.


ტრამვაი მუხრანის ხიდზე (1950-იანი წლები)

## ელექტროტრამვაი

თბილისი ვითარდებოდა და, შესაბამისად, ქალაქის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, ცხენის ძალა ელექტროენერგიით ჩაენაცვლებინა. ტრამვაის ხაზების გაყვანა თბილისში დაევალა ბელგიურ კომპანიას – „ელექტრონულ საზოგადოება „ჰელიოსს," რომელმაც მანამდე, 1902 წელს, მსგავსი პროექტი ვლადიკავკაზში განახორციელა. 1904 წლის 25 დეკემბერს ამოქმედდა ელექტროტრამვაი, რომლის ლიანდაგის სიგანე 1 000 მილიმეტრი იყო, მაშინ როდესაც კონკის ლიანდაგის სიგანე 914 მილიმეტრს შეადგენდა. ელექტროტრამვაის გამოჩენა თბილისში, კონკის მსგავსად მეწარმე კარგანოვის სახელს უკავშირდებოდა. ტრამვაის მოძრაობის მართვას ბელგიური კომპანია ახორციელებდა, რომლის ოფისი მიხეილის გამზირზე, მუშტაიდის ბაღში მდებარეობდა. ელექტროტრამვაის მემანქანეებს „ვატმანებს" უწოდებდნენ და ერთ-ერთი პირველი ვატმანი თბილისში მიხაკა ქაცარავა ყოფილა. ტრამვაით მგზავრობის საფასური კი 5-15 კაპიკს შეადგენდა. 1933 წლიდან დაიწყო ტრამვაის განიერ (1 524 მილიმეტრი) ლიანდაგზე გადაყვანა. პირველი ფართოლიანდაგიანი ხაზი 1933 წელს გაიხსნა და ის ისნის ჰოსპიტალსა და სამგორის კერამიკის კომბინატს აკავშირებდა. ვიწროლიანდაგიანმა ხაზებმა 1942 წლამდე იარსება. უკანასკნელი ვიწროლიანდაგიანი ხაზი სოლოლაკში


კონკა მიხეილის (აღმაშენებლის) გამზირზე (ერმაკოვის ფოტო, 1890-იანი წლები)


ტრამვაი მელიქიშვილის გამზირზე (1950-იანი წლები)

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**დღეს ქრისტიანები ხშირად მიაბრძანებენ ხოლმე სახლში წმიდა ხატებს, ზოგჯერ ეკლესიიდან, ზოგჯერ სხვა ოჯახიდან. ხატები, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში რჩებიან ამა თუ იმ სახლში, საოცარ სიმშვიდეს ანიჭებენ ოჯახის წევრებს, მომლოცველებს და სიყვარულის გრძნობით აღავსებენ მათ. ეს მოვლენა ხშირად ადამიანების დაახლოების, ერთად ლოცვის მიზეზიც ხდება, რაც მათ კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს სიყვარულსა და რწმენაში. ხშირად ასეთ დროს მოძღვარი სახლსაც აკურთხებს ხოლმე. თუ როგორია ამ მნიშვნელოვანი საკითხებისადმი ეკლესიის დამოკიდებულება, გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი).**

# რისთვის არის საჭირო სახლის ხშირი კურთხევა და რატომ უნდა მივაბრძანოთ სახლში გარკვეული დროით წმიდა ხატები



**ქრისტიანებს, უპირველეს ყოვლისა, წმიდა სამების იმედი უნდა გვქონდეს, შემდეგ – ღვთისმშობლის, ანგელოზებისა და ხილული იერარქიის: კათოლიკოს-პატრიარქის, ეპისკოპოსებისა და სამღვდელოების**

**– მამაო, დღეს ძალიან ხშირად ხდება ეკლესიიდან, სახლებიდან ოჯახში ხატების მიბრძანება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაჩერება, რომლის დროსაც ოჯახის წევრები ყოველდღიურად აღავლენენ ლოცვებს. საიდან იღებს ეს ტრადიცია სათავეს და როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ დროს?**

– თუ კარგად გადავავლებთ თვალს ჩვენი ცხოვრების სტილს, მივხვდებით, რომ ხატების კუთხესთან ლოცვისთვის ძალიან ცოტა დროს ვატარებთ და ნაკლებად ვევედრებით მათ ჩვენი ოჯახის კეთილდღეობასა და წარმატებას. არადა, ყველა ქრისტიანის სახლში უნდა იყოს მოწყობილი სალოცავი კუთხე, სადაც ყოველ დილასაღამოს შეიკრიბებიან ოჯახის წევრები, ან ცალ-ცალკე დადგებიან და აღავლენენ გულწრფელ ლოცვას. ძალიან კარგია, თუ ხატის მობრძანებისას თქვენთან ერთად მობრძანდება სახლში სასულიერო პირი და თქვენთან ერთად აღავლენს ლოცვებს, აღავლენს პარაკლისს. შეიძლება, ხატი არ იყოს სასწაულმოქმედი, მაგრამ, ამას არ აქვს მორწმუნისთვის არსებითი მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს, რადგან, ნებისმიერ ხატს დიდი პატივით უნდა მოვეპყრათ. ასეთ დროს ყველა დიდი სიხარულით ივსება და, ხშირად, უფალმა ბევრ ოჯახში ინება ხატიდან სასწაულის გამოვლინება. ამ ფაქტის მერე, ანუ, როდესაც ოჯახში ხატი მიბრძანდა, ბევრი ადამიანი გახდა ეკლესიური, მორწმუნე, მონანული. ამიტომაც, კარგია, როცა სახლში მიბრძანდება ხატი, მეზობლებმა, ახლობლებმაც მოიყარონ იმ ოჯახში თავი და აღავლინონ ლოცვა, წაიკითხონ დაუჯდომლები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხატებშიც დაცულია იერარქია, ამიტომ, ჩვენ უნდა შევთხოვოთ შემწეობა ჯერ ზეციური საქართველოს მკვიდრებს და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხსნა სწორედ იქიდან მოდის – ღვთისმშობლისგან, ჩვენი წმიდანებისგან. ქრისტიანებს, უპირველეს ყოვლისა, წმიდა სამების იმედი უნდა გვქონდეს, შემდეგ – ღვთისმშობლის, ანგელოზებისა და ხილული იერარქიის: კათოლიკოს-პატრიარქის, ეპისკოპოსებისა და სამღვდელოების. თუმცა, ამას სჭირდება სარწმუნოებრივი მიდგომა. თუ გინდა, რომ ზეციური იერარქია დაგეხმაროს, ის სწავლება უნდა დაიცვა, რომელიც შენამდე მოვიდა და წმიდა მამებმა დაგიწერეს. უფალი არ იქნება ჩვენთან, თუ ჩვენ არ აღვასრულებთ უფლის სიტყვას, ნებას. დღეს ჩვენ იმიტომ ვიმყოფებით ასეთ მძიმე მდგომარეობაში, რომ არ გვწამს, არ გვჯერა ზეციური იერარქიის, ანგელოზების მეოხების, ჩვენი წმიდანების, ასე რომ, როდესაც ხატს მოვაბრძანებთ სახლში, მაშინ მაინც უნდა დავფიქრდეთ ამ ყველაფერზე და, ჩვენს წმიდანებს, ასევე, იმ წმიდანებს, რომლებიც ხატებზე არიან გამოსახულები და ჩვენს სახლში დროებით ან სამუდამოდ არიან დავანებულები, შემწეობა ვთხოვოთ რწმენაში, ეკლესიურ ცხოვრებაში, სიყვარულში, სიმშვიდესა და სათნოებების აღსრულებაში.

**– ეს, ალბათ, ერთგვარად, ოჯახის წევრების, ახლობლების კიდევ უფრო დაახლოებას იწვევს და ერთგვარ ერთობასაც ქმნის.**

– ის პერიოდი, სანამ ხატი ბრძანდება ოჯახში, კარგია, გამოვიყენოთ უფალთან დასაახლოებლად. ბუნებრივია, ყველა ოჯახშია განსაცდელი, გაჭირვება; ყველა ოჯახი საჭიროებს სულიერ გაძლიერებას, სულიერ სიმტკიცეს, უფალთან დაახლოებას. როდესაც ოჯახში მობრძანდება ხატი, მას თან მოჰყვება სასულიერო პირი და ამ დროს ხდება განსაკუთრებული ზეიმი. ოჯახის წევრები იკრიბებიან, ეკურთხება სახლი და იწყებენ პარაკლისებისა და დაუჯდომლების კითხვას. როგორც კი გავიგებთ, რომ ჩვენს მეზობელთან, ახლობელთან მიბრძანებულია ამა თუ იმ წმიდანის ხატი, აუცილებლად უნდა მივიდეთ, გამოვნახოთ დრო და ეს სიხარული ყველამ უნდა გავიზიაროთ. უნდა მოვიწვიოთ ადამიანები ხატის მოსალოცად და ვთხოვოთ განსაცდელში დახმარება ხატზე გამოსახულ წმიდანს. დამერწმუნეთ, უფალი მოისმენს, შეისმენს ჩვენს ვედრებას და მოხდება ჩვენს ცხოვრებაში გარკვეული ფერისცვალება. როდესაც ეკლესიიდან მოძღვრის კურთხევით მობრძანდება შედარებით დიდი ზომის ხატი, ამ შემთხვევაში ოჯახი განსაკუთრებულ რეჟიმში გადადის: მასპინძლობს ამ ხატს, კითხულობს დაუჯდომლებს, პარაკლისებს, ანთებს სანთლებს, აკმევს საკმეველს და ნაკლებად უთმობს დროს საერო საკითხებს, გართობას. ამან ჩვენში უნდა გააღვივოს ურთიერთსიყვარული, პატივისცემა, ბევრი სიკეთე მოგვიტანოს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ, როგორც კი ხატი მობრძანდება, ჩვენ მაშინვე ახალ სახლს ან ახალ ავტომობილს ვიყიდით, სამსახურში დაგვაწინაურებენ და ასე შემდეგ. ღმერთმა ინებოს, რომ ესეც მოხდეს, მაგრამ, მთავარია, ხატებისგან სულიერი მადლი, სიმშვიდე, სიყვარული მივიღოთ და შემდეგ ეს სხვებსაც გავუზიაროთ. ძველად ხატების გადაბრძანება ლიტანიობით, ბაირაღებით, ჯვრებით ხდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სოფელში იყო გარკვეული გასაჭირი: გვალვა, მოუსავლიანობა, განსაცდელი.

**ზოგჯერ, გააჩნია, ამა თუ იმ სახლში როგორი მდგომარეობაა, თუ ოჯახის წევრები გრძნობენ, რომ იქ არაწმიდა სულია, მაშინ ეკლესია მათ წინააღმდეგ იყენებს დიდ კურთხევაში არსებულ სპეციალურ ლოცვებს – „ლოცვა სახლსა შეგრძნებულისასა“**

**– სახლის კურთხევა ახსენეთ. ადამიანების დიდი ნაწილი ხშირად სვამს კითხვას: რატომ არის საჭირო სახლის კურთხევა და რა სიხშირით უნდა მოხდეს ეს?**

– დღეს, როცა ეკლესიაში ზოგიერთ ადამიანს ხედავენ მლოცველს, მხრებს იჩეჩავენ და ამბობენ: რა უნდა ეკლესიაში, რატომ მივიდა ეს მოძღვარი ამა და ამ საზოგადოებაში, სახლში? სადაც ადამიანები მოღვაწეობენ, ცხოვრობენ, სძინავთ, შრომობენ, არსებობენ, ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციას სჭირდება კურთხევა. როდესაც ჩვენთან შემოდის მოძღვარი, იმ ოჯახში, დაწესებულებაში უნდა მოხდეს ფერისცვალება, გამოსწორება. როგორც მაცხოვარი ამბობს: დღეს ეს სახლი გადარჩაო. მაგრამ, მხოლოდ მაშინ ხდება იმ სახლის, დაწესებულების გადარჩენა, თუ ადამიანები დატოვებენ ძველ, ცოდვილ ცხოვრებას, თავს დაანებებენ შურს, ჩხუბს, ბილწსიტყვაობას, განკითხვას, წყევლას და ნელ-ნელა დაიწყებენ ახალ ცხოვრებას – უფრო სულიერს. მაგრამ, თუ გარკვეული დღეების, კვირების შემდეგ ეს ადამიანები არ დაიწყებენ გამოსწორებას, სულიერ, ქრისტიანულ ცხოვრებას, ისევ ისე მოიქცევიან, როგორც მანამდე იქცეოდნენ, მაშინ მადლი დატოვებს იქაურობას და ანგელოზიც დიდხანს აღარ დარჩება, რადგან, იმ სახლში, რომელსაც მოძღვარი აკურთხებს, თუ ისევ იქნება ჩხუბი, აყალ-მაყალი, დაპირისპირება, დაუმორჩილებლობა, ცოლი არ სცემს ქმარს პატივს, ქმარი ისევ შეურაცხყოფას აყენებს მეუღლეს, არ არის სიყვარული, ბედნიერება, ბუნებრივია, ის მადლი იქ აღარ დარჩება. სახლის კურთხევისას მოძღვარი კედლებზე ასხურებს ნაკურთხ წყალს, ზეთს სცხებს ოთხივე კედელზე, ზღურბლზე გამოსახავს მაცხოვნებელ ჯვრებს, იკითხება სახარება, კვერექსი. ზოგჯერ, გააჩნია, ამა თუ იმ სახლში როგორი მდგომარეობაა, თუ ოჯახის წევრები გრძნობენ, რომ იქ არაწმიდა სულია, მაშინ ეკლესია მათ წინააღმდეგ იყენებს დიდ კურთხევაში არსებულ სპეციალურ ლოცვებს – „ლოცვა სახლსა შეგრძნებულისასა“. ასეთ დროს, ყველა შემთხვევაში აუცილებელია სახლის კურთხევა, განსაკუთრებით იმ სახლების, რომელთა პატრონები უჩივიან დემონური ძალების გამოვლინებას. ზოგჯერ არის შემთხვევა, როცა ძნელდება სახლიდან ეშმაკის განდევნა. ეს დამოკიდებულია დემონის ძალაზე, მის იერარქიულ მდგომარეობაზე, სახლის პატრონის ცხოვრების წესზე, მღვდლის პირად მადლზე, რომელიც მის ცხოვრებასთან, მარხვასთან, რწმენის სიმტკიცესთან, თავშეკავებულობასთან არის დაკავშირებული. ამიტომაც, ყოველივე ეს თანამედროვე ადამიანისგან ითხოვს განსაკუთრებულ სულიერ სიფხიზლეს, ყურადღებას, საეკლესიო კანონებისა და წმიდა მამათა დადგენილების შესრულებას.

**ნათია უტიაშვილი**

# ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულები

## ხატი ისე დამძიმდა, რომ ვეღარ ასწიეს გამტაცებლებმა

ბულგარელთა პირველი ოკუპაციის პერიოდში (1916-1918 წლები) მონასტერს ხშირად ესხმოდნენ თავს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ხელში ჩაგდების მიზნით.

ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა მოხდა 1917 წლის 23 ივნისს. იმ დღეს მონასტერში ბერები მწუხრის ლოცვას აღავლენდნენ.

მღვდლებმა წმიდა ნაწილები საკურთხევლიდან გამოაბრძანეს თაყვანსაცემად. ამ დროს ტაძარში ბულგარელები შემოვიდნენ. მამებმა დააპირეს წმიდა ნაწილების დამალვა, მაგრამ ბულგარელებმა სთხოვეს:

– არ წაასვენოთ ისინი, ჩვენც ხომ მართლმადიდებლები ვართ, მოგვეცით უფლება, რომ ვემთხვიოთ მათ!

მღვდლები ვერ მიხვდნენ, რომ ეს სიტყვები ვერაგული განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იყო წარმოთქმული და საშუალება მისცეს მომხდურთ, წმიდა ნაწილებს მიახლოებოდნენ. ბულგარელებმა ამით ისარგებლეს და ნაწილები გაიტაცეს.

მეორე დღეს ბულგარელები კვლავ მოვიდნენ მონასტერში სასწაულმოქმედი ხატის გატაცების მიზნით. ერთ-ერთმა სერჟანტმა ჯარისკაცებთან ერთად მოინდომა ხატის აღება, მაგრამ იმწამსვე უსულოდ დაეცა, მარმარილოს იატაკზე კი მისი ჩექმებისა და პისტოლეტის კვალი აღიბეჭდა.

ხატის გატაცების მცდელობა კიდევ ერთხელ განმეორდა, ამჯერად მათ შეძლეს ხატის ტაძრის კარამდე მიტანა, მაგრამ კართან ხატი იატაკზე დაეცა და ისე დამძიმდა, რომ მას ალბათ ველარავინ ასწევდა, ღვთისმშობლის თვალთაგან კი ცრემლები იღვრებოდა. შეშინებული მკრეხელები გაიქცნენ. ამ სასწაულის ხილვამ მათ საბოლოოდ გადააფიქრებინა ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანა.

## მწყემსის მიერ სასწაულებრივად ნაპოვნი ხატი

კუნძული კიფირა ამაყობს თავისი მფარველით – „მირტიდიოტის“ ღვთისმშობლით. ძველი თქმულების თანახმად, ეს სასწაულმოქმედი ხატი იპოვეს პატარა დაბა მირტიდაში, რომელიც განლაგებულია კუნძულის ოდესღაც უდაბურ, მურტის ხეების გაბარდვნილ რაიონში.

ერთმა ღვთისმოსავმა მწყემსმა მგზნებარე ლოცვის დროს გაიგონა ხმა, რომელიც მოუწოდებდა მას:

– თუ მიმოიხედავ ირგვლივ, მაშინ იპოვი ჩემს ხატს. მე უკვე დიდი ხანია, აქ ვიმყოფები და მინდა, ამ ადგილას დავეხმარო.

და მართლაც, მალე მურტის ხეების ტოტებს შორის მწყემსმა აღმოაჩინა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი. ის, გაოცებული ემთხვია მას და თავის ქოხში გადაასვენა.

მეორე დილით მოხდა სასწაული, ხატი გაქრა. მწყემსმა ის ისევ იქ ნახა, სადაც ადრე იპოვა. მაშინ ამ ადგილას პატარა სამლოცველო ააგო, დაასვენა მასში წმიდა ხატი, უწოდა „მირტიდიოტისა“, რადგან მირტიდაში ნახეს, მურტის ხეების ბარდებში.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ამ სასწაულმოქმედ ხატზე ღვთისმშობელი გამოხატულია ჩვილით ხელში. მისი სახე, ისევე, როგორც უფლის სახე, ნაღვლიანია, მუქია, მოჩარჩოებულია სუფთა ოქროთი და ძვირფასი თვლებით. ჩვეულებრივ, სახის ნაკვთები ხატზე ძნელად გასარჩევია. თუმცა, იშვიათ მომენტებში ღვთისმშობლის სახე უეცრად იცვლის ფერს და ხდება ვარდისფერი. ტუჩებზე გამოისახება აუწერლად მომხიბვლელი ღიმილი, ხოლო თვალები მხიარულად უყურებს მორწმუნეს. ეს გრძნობა სულ რამდენიმე წამს გრძელდება და შემდეგ მარადის ქალწულის დიდებული სახე თავის ჩვეულ იერს იბრუნებს.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორ დავადგინოთ ჩვენი შვილების მფარველი წმიდანების ხსენების დღე?**

**პასუხი:** თუ თქვენს შვილებს იმ წმიდანების სახელი დაარქვით, რომლებიც მათი დაბადების დღეს მოიხსენიებიან, ესე იგი, მათი მფარველი წმიდანის ხსენების დღე ემთხვევა დაბადების დღეს. სხვა შემთხვევაში, თუ ბავშვებს წმიდანთა სახელები ჰქვიათ, გადაათვალიერეთ საეკლესიო კალენდარი და რომელ დღესაც ეს წმიდანები იქნებიან მოხსენიებულნი, პატარების მფარველი წმიდანის დღეც ის იქნება. თუ მათი მოსახელე წმიდანის დღე ცალკე არ არის მითითებული, მაშინ კალენდარში ნახეთ 24 დეკემბერი, როცა ყოველთა ქართველთა წმიდანთა მოხსენების დღეა.



**კითხვა: რა ვუყოთ გარდაცვლილი ახლობლის დანატოვარ ტანსაცმელს, რომელიც არც ისე ვარგისია, რომ მოწყალების სახით გავცე?**

**პასუხი:** ასეთი ტანსაცმელი შეგიძლიათ, მიწაში დაფლათ ან შესაფერის ადგილზე დაწვათ, ამით მიცვალებულის ხსოვნას არანაირი ზიანი არ მიადგება.

**კითხვა: როგორ დავეხმაროთ ურწმუნო ხანდაზმულ ახლობელ ადამიანს, რათა ირწმუნოს უფალი და დაადგეს ჭეშმარიტების გზას, როდესაც მას ჩვენი მოსმენაც არ უნდა ამ თემაზე?**

**პასუხი:** თუ საუბრით ვერაფერი გააწყვეთ, არ გადახვიდეთ კამათზე და მით უმეტეს შეურაცხყოფაზე. ილოცეთ მისთვის და უფალს შესთხოვეთ, რომ გაუნათდეს გონება და იწამოს ღმერთი, ისევ მისივე სულის ხსნისთვის.

**კითხვა: შეიძლება თუ არა საეკლესიო სანთლის გამოყენება გასანათებლად?**

**პასუხი:** ის, რაც უფლისადმი არის მიძღვნილი, არ გამოიყენება ყოფით ცხოვრებაში და თუ ასეთი რამ მაინც მოხდება, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი.

# მამათა შეგონებანი

**გრიგოლ ღვთისმეტყველი:** ღმერთს ვუყვარვართ უფრო მეტად, ვიდრე ეს მამას, დედას, მეგობარს ან სხვა ვინმეს ძალუძს. მეტიც, მას უფრო მეტად ვუყვარვართ, ვიდრე საკუთარი თავი გვიყვარს. საკუთარ დიდებაზე მეტად ჩვენს გადარჩენაზე ზრუნავს. ამის დადასტურებაა ამა სოფლად ტანჯვისა და სიკვდილისთვის (კაცობრივი სხეულით) თავისი მხოლოდშობილი ძის გამოგზავნა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთვის ხსნისა და მარადიული ცხოვრებისკენ მიმავალი გზა ეჩვენებინა.

**ნიკოლოზ სერბი:** სად არის ღმერთი? გიპასუხეს: ღმერთი შენშია. გაკვირვებული ხარ ასეთი სიტყვებით. ეს რანაირადაა შესაძლებელი?! დაახლოებით ისევე, როგორც სინათლე – ოთახში ანდა ცეცხლი – ღუმელში. ოდესმე შეიგრძნობ საკუთარ თავში უფალს და შეიცნობ, რომ იგი შენშია, მაგრამ ეს სხვისთვის ძნელი ასახსნელი იქნება.

***

ქრისტიანის სული, როდესაც ღირსი ხდება, შემოქმედისგან მის სულს მიიღებს, ხოლო მიღების შემდეგ, იპყრობს გონებაში მანამ, ვიდრე გონება არ განიღმრთობა; გულში – ვიდრე გული არ განიღმრთობა, ნებაში, ვიდრე ნება არ განიღმრთობა, და გამუდმებულად უარესია ის სამ განზომილებაში, ვიდრე სრულად არ განიღმრთობა სული. ასე ხდება სული დიდებული, მდიდარი და წმიდა, მაშინ იძენს იგი შესაძლებლობის გარდაქმნას, სული შთაბეროს, გაანათლოს სხეული, როგორც საკუთარი ორგანო.

**ეპისკოპოსი პეტრე:** გამოჯანმრთელების შემთხვევაში გვმართებს ვმადლობდეთ ღმერთს, როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მომნიჭებელს. გვმართებს აღვასრულოთ ავადმყოფობის დროს მიღებული სასიკეთო გადაწყვეტილებები და წარვემატოთ სათნოებებში.

**იოანე სინელი:** სიძვისმოყვარეობის გველი მრავალგვარია. ვისაც ცოდვის სიტკბო არ უგემია, იგი ჩააგონებს, რომ ერთხელ მაინც იგემოს ის და აცდუნებს, ხოლო მათ, ვინც გამოცდილნი არიან, სიამოვნების გახსენებით შეაცდენს; პირველთაგან რადგან ცოდვის გემო არ იციან, აღარც შესაბამის ბრძოლებს განიცდიან, ხოლო მეორენი კი დიდ ტანჯვას და ბრძოლას დაითმენენ. ნეტარია, ვინც ვნებებზე გაიმარჯვებს და არც აზრით და არც გრძნობით არ ცდუნდება ხორცით, რომელიც სულ მალე ხრწნას მიეცემა!

**ალექსი ბერი:** სიწმინდე უსხეულო ბუნების გათავისებაა. სიწმინდე ქრისტეს სანატრელი სახლი და გულის მიწიერი ზეცაა. სიწმიდე ბუნების ზებუნებრივი უარყოფაა და ხრწნადი სხეულის ჭეშმარიტად დიდებული მოშურნეობა უსხეულო სულთა მიმართ.

**გაბრიელ ეპისკოპოსი:** ღმრთის სიყვარული მაშინ გამოჩნდება, როდესაც ადამიანის გულში განუწყვეტელი ბრძოლა წარმოებს ბოროტსა და კეთილს, სიწმინდესა და უწმინდურებას შორის. და როცა იგი ცდილობს სიცრუესა და უწმინდურებას მადლითა და ჭეშმარიტებით სძლიოს, იგივე ბრძოლა მადლსა და ცოდვას შორის ამ სოფელშიც მიმდინარეობს. ღვთისმოყვარე ისაა, ვინც ამ ბრძოლაში პირველის მხარეს იჭერს და მეორეს ემტერება.

# ფაქტები ლიონელ მესიზე, კრიშტიანუ რონალდუსა და ანდრეს ინიესტაზე

*ზედიზედ მეოთხედ, „ბარსელონის” არგენტინელი ვარსკვლავი, ლიონელ მესი, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა და მას, როგორც წლის საუკეთესო ფეხბურთელს, 2012 წლის „ოქროს ბურთი” გადაეცა. მესის კონკურენტები კრიშტიანუ რონალდუ და ანდრეს ინიესტა იყვნენ. გთავაზობთ გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების შესახებ გავრცელებულ საინტერესო ფაქტებს.*

## ლიონელ მესი

* ცნობილი ისტორია უკავშირდება ლიონელ მესის ავადმყოფობას. 9 წლის ასაკში მისი სიმაღლე 125 სანტიმეტრი იყო. ხოლო ბარსელონაში გადასვლის შემდეგ – 135 სანტიმეტრი. მკურნალობას დიდი თანხა ესაჭიროებოდა, მესის ოჯახს კი არ გააჩნდა ეს თანხა, რის გამოც ბავშვის მკურნალობა საკუთარ თავზე „ბარსელონამ” აიღო. ახლაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ლიონელი სრულად განიკურნა მას პირადი ექიმი ჰყავს, სახელად – ხუანხო ბრაუ.

* თავის პირველ კონტრაქტს „ბარსელონასთან” ლიონელ მესიმ ხელსახოცზე მოაწერა ხელი. კარლოს რექსაჩი იხსენებდა: ერთ-ერთ კაფეში ვისხედით ლიონელთან, მამამისთან და მის ძმასთან ერთად. თაბახის ფურცელი არ გვქონდა თან და ქაღალდის ხელსახოცზე მოგვიწია ხელის მოწერა. პირველი კონტრაქტის თანახმად, მესი წელიწადში 55-60 ათას ევროს იღებდა.

* გასული წლის განმავლობაში „ბარსელონამ” დაახლოებით ერთი მილიონი საკლუბო მაისური გაყიდა, მათ შორის 900 000 ცალი იყო ლიონელ მესის 10-ნომრიანი მაისური. ამის გარდა, კატალონიური სპორტული გაზეთების 70 პროცენტი მესის ფოტოსურათით იწყებს პირველ გვერდებს.

* „ოქროს ბურთის” დაჯილდოების გალაწარმოდგენის დაწყებამდე, ნომინანტი ფეხბურთელები მსოფლიოს საუკეთესო მოდელიერებთან იკერავენ კოსტიუმებს. ლიონელ მესის თქმით, ამ საქმით ბოლო სამი წელია მისი „გელრფრენდი“ ანტონელა არის დაკავებული.

* ლიონელ მესი არგენტინის ნაკრებში თავისი თანაგუნდელის – დიეგო მარადონას ყოფილი სიძის, სერხიო აგუეროს შვილის ნათლიაა.

* ნათლიობა მესის ერთხელ ტრიბუნიდან გადმომხტარმა მავანმა ქომაგმა გოგონამ სთხოვა, მაგრამ, ფეხბურთელისგან თავაზიანი უარი მიიღო.

* კარიერის განმავლობაში ლიონელ მესის მხოლოდ ერთხელ აქვს მიღებული წითელი ბარათი. საინტერესოა, რომ ეს მოვლენა რვა წლის წინ, უნგრეთის ნაკრებთან მატჩში შედგა. მესი სადებიუტო მატჩში მოედანზე შესვლიდან 40 წამში გააძევა მსაჯმა.

* არგენტინაში ლიონელ მესის გაცილებით ნაკლებად აფასებენ, ვიდრე ევროპაში. გასულ წელს არგენტინის საუკეთესო სპორტსმენად მოკრივე სერხიო მარტინესი დასახელდა.

* ცნობილი ფაქტია, რომ ლიონელ მესი ძალიან მორცხვი ადამიანია და კარიერის დასაწყისში ავტოგრაფების დარიგებისაც კი ერიდებოდა. ერთხელ მორცხვი მესი როჯერ ფედერერთან მისულა ავტოგრაფის სათხოვნელად. ამ ფაქტის შესახებ თავად როჯერმა განაცხადა და აღნიშნა, რომ მესის საუბრის დროს თავიც კი დახრილი ჰქონდა.




* ლიონელ მესი ჯერ მხოლოდ 25 წლისაა, თუმცა, მის აქტივში არის ხუთი საჩემპიონო ტიტული „ბარსელონასთან” ერთად, სამი „ჩემპიონთა ლიგის” გამარჯვებულის სტატუსი, ხოლო გასულ წელს მან, სულაც, საუკუნის რეკორდი მოხსნა – ერთ კალენდარულ წელში 92 გოლის გატანა მოახერხა. გარდა ამისა, მესი ზედიზედ მეოთხედ გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული ჯილდოს, „ოქროს ბურთის” მფლობელი.

## კრიშტიანუ რონალდუ

* სრული სახელი და გვარია: კრიშტიანუ რონალდუ დოს სანტოს ავეირუ. იგი ქალაქ ფუნშალეში დაიბადა, კუნძულ მადეირას ცენტრში. სახელი რონალდუ მას მამამ, ამერიკის პრეზიდენტის – რონალდ რეიგანის პატივსაცემად დაარქვა.

* ბავშვობაში რონალდუს საყვარელი გუნდი „ბენფიკა” იყო, თუმცა, მისი ვარსკვლავური გზა დიდ ფეხბურთში ლისაბონის მეორე გუნდში – „სპორტინგში” დაიწყო, სადაც იგი 9 წლის ასაკში „ნასიონალიდან” მოხვდა.

* კრიშტიანუ რონალდუ პირველი პორტუგალიელია „მანჩესტერ იუნაიტედის” ისტორიაში. კლუბში გადასვლის შემდეგ მას სურვილი ჰქონდა, რომ 28-ნომრიანი მაისური აელო – ამ ნომრით იგი „სპორტინგში” თამაშობდა, თუმცა, ალექს ფერგიუსონის მოთხოვნით რონალდუმ შვიდნომრიანი მაისური აიღო, რომლითაც ასპარეზობდნენ კლუბის ლეგენდები: ჯორჯ ბესტი, ბრაიან რობსონი, ერიკ კანტონა და დევიდ ბექჰემი.

* 2003 წელს, „მანჩესტერ იუნაიტედში” გადასვლამდე, კრიშტიანუ რონალდუ ახლოს იყო „არსენალში” გადასვლასთან – არსენ ვენგერი პირადად იყო დაინტერესებული მის გადაბირებაში, თუმცა, ბოლო მომენტში, ლონდონურმა კლუბმა უარი თქვა პორტუგალიელ ტალანტზე და, სავარაუდოდ, ძალიანაც ინანა.

* კრიშტიანუ ბავშვობიდან ოცნებობდა ფეხბურთელობაზე და ბურთთან და ბუცებთან ჩახუტებული იძინებდა.

* კრიშტიანუ რონალდუ საშინელებათა ჟანრის ფილმების დიდი მოყვარულია.

* 2009 წელს კრიშტიანუ რონალდუ „მანჩესტერიდან” „რეალში” გადავიდა და სატრანსფერო თანხა 83,6 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენდა. ეს იყო უძვირესი ტრანსფერი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

* 2010 წლიდან კრიშტიანუ რონალდუ რუს სუპერმოდელ ირინა შეიკს ხვდება. 2012 წლის ზაფხულში მათი ქორწილი იყო დანიშნული, რომელიც არ შედგა. ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ კრიშტიანუმ ირინას იტალიელ სექს-სიმბოლოსთან, სილვიო ბერლუსკონის პირად სტომატოლოგთან, ნიკოლ მინეტისთან უღალატა და, სავარაუდოდ, რონალდუს და შეიკის ვარსკვლავური წყვილი მალე განშორების შესახებ გააკეთებს განცხადებას.

## ანდრეს ინიესტა

* „ბარსელონის” ნაცვლად, შესაძლოა, ანდრეს ინიესტა კატალონიური კლუბის მოსისხლე გუნდში – „რეალში” გვენახა. საქმე ისაა, რომ ანდრესის ბავშვობაში მის მშობლებს დილემა ჰქონდათ – ვერ გადაეწყვიტათ, რომელი საფეხბურთო კლუბის სკოლაში მიეყვანათ შვილი და, საბოლოოდ, „ბარსელონაზე” შეაჩერეს არჩევანი, რადგან მათ უბრალოდ, არ მოეწონნათ მადრიდის ის უბანი, სადაც „რეალის” სკოლა მდებარეობდა.

* ანდრესის საყვარელი კერძია შემწვარი წიწილა კარტოფილთან ერთად.

* ანდრეს ინიესტას სამი ცნობილი მეტსახელი აქვს: „კასპერი”, „სიკვდილი” და „ილუზიონისტი”.

* ინიესტას ორივე ბაბუას ანდრესი ერქვა.

* ანდრესის მშობლები ოფიციანტებად მუშაობდნენ. მას შემდეგ კი, რაც პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა, მან მშობლებს ბინა უყიდა და მძიმე სამუშაოს მიტოვების საშუალება მისცა.

* 2001 წელს, 17 წლის ანდრეს ინიესტა „ბარსელონის” მაშინდელმა მწვრთნელმა, ლორენს სერა ფერერმა, მთავარი გუნდის ვარჯიშზე მიიწვია, თუმცა, ახალგაზრდა ფეხბურთელმა ვერ მიაგნო გასახდელს და უკან ბრუნდებოდა, როდესაც შემთხვევით შეხვდა ლუის ენრიკე, რომელმაც ინიესტა გასახდელამდე მიაცილა.



* ერთხელ ხოსეპ გუარდიოლამ თქვა, თუ რის გამო არ ასახელებენ ანდრეს ინიესტას პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად: „მას არ უკეთია საყურე, არ იღებავს თმას, არ ფიგურირებს სკანდალურ ქრონიკებში, ამიტომ, პრესისთვის ის უინტერესოა, თუმცა, ჩემთვის იგი ნომერ პირველი ფეხბურთელია”.

* ანდრესის გული დიდი ხანია დაკავებულია – ოთხი წელია, ის ანა ორტისთან ერთად ცხოვრობს და მათ საერთო ქალიშვილი – ვალერია ჰყავთ, ხოლო ოფიციალური სახე თავიანთ ურთიერთობას 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მისცეს.



## პიკე მამა გახდა

„ბარსელონისა" და ესპანეთის ნაკრების მცველი ჟერარდ პიკე და მისი ვარსკვლავური მეორე ნახევარი, კოლუმბიელი პოპ-მომღერალი შაკირა მშობლები გახდნენ. ბარსელონის ერთ-ერთ სამშობიაროში შაკირამ 22 იანვარს იმშობიარა. მშობლებმა ახალშობილს მილან პიკე მებარაკი დაარქვეს და გავრცელებული ცნობის თანახმად დედა და ახალშობილი თავს მშვენივრად გრძნობენ. მილანი დაბადებიდანვე, მამის მსგავსად, საფეხბურთო კლუბ „ბარსელონის" წევრი გახდა. ვაჟის დაბადება ჟერარდ პიკეს მისმა თანაგუნდელებმა უკვე მიულოცეს, ხოლო კოლუმბიის პრეზიდენტმა ხუან მანუელ სანტოსმა მისალოცი ტექსტი „ტვიტერის" საშუალებით გაავრცელა: „მთელი კოლუმბიისა და ჩემი ოჯახის სახელით ვულოცავ პიკესა და შაკირას პირველი შვილის დაბადებას".

## „რეინჯერსის" ქომაგი კლიჩკო

ხანგრძლივი ლოკაუტის შემდგომ სტარტი აიღო ჰოკეის ნაციონალური ლიგის ახალმა სეზონმა და ჩრდილოეთ ამერიკის საუკეთესო კლუბები „სტენლის" თასისთვის მორიგ გათამაშებაში ჩაერთნენ. ამასობაში საკუთარი ფავორიტი კლუბის სახელი გაახმოვანა სახელოვანმა უკრაინელმა მოკრივემ, მძიმეწონოსანმა მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმირ კლიჩკომ, რომელმაც „ნიუ-იორკ რეინჯერსის" მაისურით იპოზიორა ფოტოგრაფის წინაშე და ფოტოები სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა. აღმოჩნდა, რომ კლიჩკო ჰოკეის დიდი მოყვარულია და ბავშვობაში ჰოკეისტობაზეც კი ოცნებობდა, თუმცა საბოლოოდ კრივზე შეაჩერა არჩევანი. ამერიკაში ყოფნის დროს კლიჩკო რეგულარულად ესწრება საყვარელი გუნდის თამაშებს ნიუ-იორკში.

## დელპიერო და ავტოსპორტი

ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი, ავსტრალიური „სიდნეის" წევრი ალესანდრო დელპიერო ავტოსპორტმა გაიტაცა და, ამერიკელ კინომსახიობ პატრიკ დემპსისთან ერთად, გუნდ „დემპსი-დელპიერო რეისინგის" თანამფლობელი გახდა. ფეხბურთელის გუნდი მონაწილეობის მიღებას გეგმავს პრესტიჟულ რბოლაში – „24 საათი ლემანი," საქესთან დაჯდომას მსახიობი აპირებს, ხოლო დელპიერო მხოლოდ გუნდის თანამფლობელობით შემოიფარგლება. „იტალიაში დავიბადე და ბავშვობიდან მიტაცებდა ავტოსპორტი. ჩვენ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ და მოვიპოვებთ გამარჯვებას," – განუცხადა ჟურნალისტებს დელპიერომ, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ ახალგაზრდობა გაიხსენა და ავსტრალიის ჩემპიონატის მატჩში ოთხი გოლი გაიტანა. ცნობისთვის, „ლემანის" რბოლაში მონაწილეობის მიღებას კიდევ ერთი ლეგენდარული ფეხბურთელი, ფრანგი ექსგოლკიპერი ფაბიენ ბარტეზი აპირებს.



## ბალოტელი ბინას აქირავებს

სკანდალებით განთქმული იტალიელი ფორვარდი, „სკუადრა აძურასა" და „მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავი მარიო ბალოტელი მანჩესტერში თავისი ფეშენებელური სახლის გაქირავებას აპირებს. „სუპერმარიოდ" წოდებული ფეხბურთელი თვეში 13,495 ფუნტ სტერლინგად აქირავებს სახლს, რომელიც მანჩესტერის პრესტიჟულ უბანში მდებარეობს. ცნობისთვის, დიდი ხანია, მიდის საუბარი, რომ მარიოს გადაბირება „მილანს" უნდა და, არ არის გამორიცხული, რომ სახლის გაქირავება შესაძლო ტრანსფერთან იყოს დაკავშირებული.

## ყველაზე სექსუალური მეგოლფე ქალი



ანა როუსონი გოლფის ლეგენდაა ქალებს შორის. ავსტრალიაში დაბადებული როუსონი ყვანჯის ქნევაში არაფრით ჩამოუვარდება გოლფის მსოფლიო ლეგენდას – ტაიგერ ვუდსს, რომელიც ყველა დროის საუკეთესო მეგოლფედ ითვლება. გოლფის გარდა, ანა წარმატებულ მოდელადაც ითვლება და სიამოვნებით პოზირებს გულახდილ ფოტოსესიებში. ანას მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მეგოლფე ქალის ტიტული წლებია, არავისთვის დაუთმია და თავის თაყვანისმცემლებს, გოლფის მოედნებზე გამარჯვებებთან ერთად, ახალი ფოტოსესიებითაც უხარებს გულებს.

## მესის სექსუალური თაყვანისმცემელი

გარდა იმისა, რომ ლიონელ მესის მსოფლიოში მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს და, „ფიფას" ვერსიით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ის ტრადიციულად ხდება პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი და „ოქროს ბურთის" ლაურეატი, მისით ცნობილი ლამაზმანებიც არიან აღფრთოვანებულები. მაგალითად, ცნობილი ებრაელი მოდელი ბარ რაფაელი, რომელსაც წარსულში რომანი ჰქონდა ლეონარდო დიკაპრიოსთან, მიიჩნევს, რომ მესიზე უკეთესი ფეხბურთელი დღეს არ არსებობს. ჟურნალ GQ-სთან მიცემულ ინტერვიუში რაფაელიმ დაუფარავად განაცხადა: „ბარსელონის" ფეხბურთელები საუკეთესოები არიან, ლიონელ მესი კი პირადად ჩემი „ჩემპიონია".

## მსოფლიოს ოცი ყველაზე მომგებიანი საფეხბურთო კლუბი

გასული სეზონის შედეგების გათვალისწინებით, დასავლურ მედიაში მსოფლიოს 20 ყველაზე მაღალშემოსავლიანი საფეხბურთო კლუბის რეიტინგი შეიქმნა, რომლის სათავეში მადრიდის „რეალი" მოექცა 512 მილიონი ევროთი, შემდგომი პოზიციები კი ასე გადანაწილდა: „ბარსელონა" – 483 მილიონი; „მანჩესტერ იუნაიტედი" – 395,5 მილიონი; „ბაიერნი" – 368 მილიონი; „ჩელსი" – 322 მილიონი; „არსენალი" – 290 მილიონი; „მანჩესტერ სიტი" – 285 მილიონი; „მილანი" – 256 მილიონი; „ლივერპული" – 233 მილიონი; „იუვენტუსი" – 195 მილიონი; „დორტმუნდი" – 189 მილიონი; „ინტერი" – 185; „ტოტენჰემი" – 178 მილიონი; „შალკე" – 174 მილიონი; „ნაპოლი" – 148 მილიონი; „მარსელი" – 135 მილიონი; „ლიონი" – 131 მილიონი; „ჰამბურგი" – 121 მილიონი; „რომა" – 115 მილიონი; „ნიუკასლი" – 115 მილიონი.

## შვარცენეგერი სოჭის ოლიმპიადის სტუმარი იქნება

ჰოლივუდის ვარსკვლავი და კალიფორნიის ექსგუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის საპატიო სტუმარი იქნება. „მიყვარს რუსეთში ჩამოსვლა. აუცილებლად გესტუმრებით 2014 წელს სოჭში და ბევრს ვისაუბრებ სპორტზე", – განაცხადა შვარცენეგერმა მოსკოვში ვიზიტის დროს, სადაც თავისი ახალი ბლოკბასტერი – „უკანასკნელი გმირი" წარადგინა.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## თუ ძილთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ

თუ ძილთან დაკავშირებული პრობლემები გაქვთ, მაშინვე ნუ შეშფოთდებით, რადგან ამ პრობლემას ორგანიზმი ნელ-ნელა მოაგვარებს. მაგრამ, თუ დიდხანს გრძელდება, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჯანმრთელობას სასწრაფოდ უნდა მიაქციოთ სათანადო ყურადღება.

აუცილებელია, ისწავლოთ სწორად სუნთქვა. სწორად სუნთქვისა და სისხლის სისტემების საშუალებით მარაგდება ჩვენი ორგანიზმი ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით, იწმინდება და ახლდება ის. თუ ფილტვები წესრიგში არ არის, დღის განმავლობაში ეს თავს იჩენს მთქნარებით, ხოლო ღამით კი – ძილის სურვილით. გაამახვილეთ ყურადღება სუნთქვის სისტემაზე, თუ ნორმალურად დაძინებას მხოლოდ გამთენიისას ახერხებთ.

გულის დაავადებაზე მეტყველებს თვალების ქვეშ ჩალურჯებული რკალები, რაც მკვეთრად არის გამოხატული ძილის შემდეგ და დიდხანს არ ქრება. თუ ღამით დაძაბულს გძინავთ, გიწყდებათ სიზმრები, გეუფლებათ სევდა ან შიში, ყურადღება მიაქციეთ გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

თუ საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობა სათანადოდ არ არის მოგვარებული, ეს აისახება ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე. ამის განსაზღვრა კი სწორედ ძილის საშუალებით ხდება. კუჭის ან საყლაპავი მილის დაავადებას გამცნობთ მშვიდი, მაგრამ ხანმოკლე ძილი. განსაკუთრებით მიხედეთ კუჭს, თუ ძილის შემდეგ ტუჩებზე პატარა ნახეთქები გიჩნდებათ და ყელი გიშუპდებათ, ასევე, თუ გაწუხებთ სხეულის ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა.

წვრილი ნაწლავის პრობლემების დროს, ძილში ძლიერდება ოფლიანობა, დილით კისრის გაბუჟება იჩენს თავს, ხოლო ტუჩებსა და პირის ლორწოვან გარსზე ჩნდება ნადები. თუ დაძაბული გძინავთ, სტრესულ ან ინტიმურ სიზმრებს ხედავთ, ყურადღება მიაქციეთ წვრილი ნაწლავის მდგომარეობას.

თუ მსხვილი ნაწლავი წესრიგში არ გაქვთ, საღამოს ადრიანად შეგაწუხებთ ძილის მოთხოვნა, დაძინებისას კი – მოუსვენრობა. დილას, შესაძლოა, პირში ცუდი სუნი იგრძნოთ, მთელი დღის განმავლობაში კი – სისუსტე.

მუდმივი მეტეორიზმიც მსხვილი ნაწლავის დაავადების მანიშნებელია. როცა დღისით ძილის სურვილი გიჩნდებათ, იძინებთ, მაგრამ შფოთავთ და ვერ ისვენებთ, ყურადღება მიაქციეთ ელენთასა და კუჭქვეშა ჯირკვალს. ამ დროს, შესაძლოა, გაგიჩნდეთ ტკბილზე მოთხოვნილება, დილას გაგაღვიძოთ შემცივნებამ, შეგაწუხოთ ტერფების სიმძიმემ.

თუ დილით შეშუპებას გრძნობთ მუხლქვეშ, ესე იგი, წესრიგში არ გაქვთ ლიმფური და იმუნური სისტემა. ყურადღება მიაქციეთ ღვიძლს, თუ სიზმრებს საერთოდ ვერ ხედავთ, დილით კი უმიზეზოდ გეწყებათ თავბრუხვევა და თავის გამჭოლი ტკივილი.

სიზმარი თირკმელებისა და შარდის ბუშტის დისფუნქციის მქონე ადამიანებს მკვეთრად გამოხატული აქვთ, მაგრამ დილით მის გახსენებას ვერ ახერხებენ. ამ დროს, შესაძლოა, მხედველობის პრობლემებმაც იჩინოს თავი. ამ ორგანოების დაავადების დროს დამახასიათებელია ფხიზელი, ზერელე და წყვეტილი ძილი.

## რატომ არის საშიში გრიპის დროს თითის გაჭრა ან კანის ელემენტარული გაკაწვრა

ელემენტარულმა და უმნიშვნელო თითის გაჭრამ ან გაკაწვრამ, თუ დროზე არ მიიღეთ საჭირო ზომები, შესაძლოა, სერიოზული დაავადება გამოიწვიოს, კერძოდ, ჩირქოვანი იარა, ანუ პანარაციუმი.

პანარაციუმის წარმოქმნის მიზეზი ბაქტერიები ხდება, კერძოდ კი – სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი, ან, შესაძლოა, ორივე ერთად. სტაფილოკოკები და სტრეპტოკოკები ჩვენ გარშემო ბევრია, მაგრამ ჩირქოვანი ანთების გამოსაწვევად რამდენიმე ფაქტორის თანხვედრა უნდა მოხდეს. ინფექციისთვის ხელსაყრელი პირველი პირობაა მშრალი კანი, ნახეთქები, პატარა ნაკაწრები, სისხლჩაქცევები და ასე შემდეგ. განსაკუთრებით საშიშია შინაური ცხოველების მიერ მიყენებული ნაკაწრები; მეორე კი – დასუსტებული იმუნიტეტი, რომელიც გამოწვეულია ავიტამინოზითა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით.

პანარაციუმი მძიმედ მიმდინარეობს დიაბეტიანებში და გრიპის ეპიდემიის დროს, მისი საშიშროება ერთიორად იზრდება.

თუ შემთხვევით თითი გაგეჭრათ, ჭრილობა უნდა დაიბანოთ ანტისეპტიკური ხსნარით, დაიმუშაოთ და ბაქტერიოციდული პლასტირი დაიწებოთ.

თუ თითი მოგეწეწკათ, სასწრაფოდ შეუშვირეთ ცივი წყლის ჭავლს – ასე ტკივილს შეამცირებთ, აღარ განვითარდება შეშუპება და ჭრილობაც გამოირეცხება. თუ ტკივილი და შეშუპება არ გაქრა, იარაზე ცივი კომპრესი დაადეთ. თუ მეორე დღეს ანთებითი პროცესი განვითარდა, მაგალითად, თითი გაწითლდა, გასივდა და გტკივათ, იარაზე ანტიბიოტიკის შემცველი მალამო წაისვით – ასე, ანთებით პროცესს საწყის ეტაპზე შეაჩერებთ.

პანარაციუმი მღვრიე სითხიანი ან ჩირქიანი ბუშტუკებით ვლინდება. თავიდან ტკივილი ძლიერი არ არის, მაგრამ, ბუშტუკების ზრდასთან ერთად, იზრდება ნერვულ დაბოლოებებზე ზეწოლა და ტკივილი ძლიერდება. ამ დროს კარგია სოდიანი წყლის თბილი აბაზანები: ყოველ ორ საათში ერთხელ, ოცი წუთით ჩაყავით თითი სოდიან წყალში.

პანარაციუმი ქირურგიულ ჩარევას ითხოვს, თუ ტკივილის გამო ადამიანი ღამეც ვერ იძინებს, სიცხემაც აუწია და იღლიაში ლიმფური ჯირკვლებიც შეუსივდა. ოპერაცია რამდენიმეწუთიანია და ხდება ჩირქის ამოწმენდა.

მთავარი პროფილაქტიკა ხელების სისუფთავეა. საპონი და სარეცხი საშუალებები კანს აშრობს და მის ზედაპირზე წვრილ-წვრილი ნახეთქები ჩნდება, საიდანაც მიკრობები ორგანიზმში ადვილად აღწევს. მუშაობის დროს რეზინის ხელთათმანები ბაქტერიებისგან დაცვის კარგი საშუალებაა. თუ ხელთათმანით მუშაობა გიჭირთ, მაშინ ხელის დამცავი კრემი გამოიყენეთ, მუშაობის დასრულების შემდეგ კი – დამატენიანებელი.

## მწვანე ჩაი და კივი ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას და ნახშირწყლების ათვისებას, ვაშლი კი გულისთვის უებარია

მწვანე ჩაი არა მხოლოდ აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და საჭმლის მონელებას, არამედ მას მატონიზებელი ეფექტიც აქვს. ის ხელს უწყობს სხეულის ფორმის შენარჩუნებას. მწვანე ჩაი ადამიანმა ყოველდღიურად უნდა სვას. ის შეიცავს ნატრიუმს, მაგნიუმსა და კალიუმს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას.

ფორთოხალი C ვიტამინის საბადოა. მჟავე გემოს წყალობით, C ვიტამინი აქტიურებს კუჭის წვენის ფერმენტების მუშაობას, აუმჯობესებს ცილების, რკინისა და კალციუმის ათვისებას.

კივიც მდიდარია C ვიტამინით, რომელიც აუმჯობესებს ნახშირწყლების შეთვისებას და ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში. გარდა ამისა, კივი დიდი რაოდენობით შეიცავს ნატრიუმს, მაგნიუმსა და კალიუმს, რომელიც ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და დიდი რაოდენობით შეიცავს ასევე, იოდს.

ვაშლი აჯანსაღებს ნაწლავებს. ის კარგია მათთვის, ვისაც ჭარბი წონის პრობლემა აწუხებს. ერთი ვაშლი დილით კი გულის მუშაობას აუმჯობესებს.

## გადაღლის მოსახსნელად ჭამეთ წიწაკითა და მდოგვით შეკაზმული კერძები

მდოგვი ეფექტურ ანტიანთებით საშუალებად მიიჩნევა. თანამედროვე მედიცინაში მდოგვს გამოიყენებენ კბილის ტკივილის, ციებ-ცხელების, პნევმონიის, ბრონქიტისა და იპოქონდრიის დროს. თუ კერძებს მდოგვს დაუმატებთ, საგრძნობლად გაიუმჯობესებთ ენერგიას. ის ცხიმების შეთვისებაშიც ეხმარება ორგანიზმს.

შავი პილპილი საჭმლის მონელების პროცესს საგრძნობლად ასტიმულირებს. აუმჯობესებს მადას და ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი, აუცილებელი ფაქტორია.

წიწაკა კი ადამიანს ენერგიით ავსებს, ძალას მატებს და ამხნევებს. ეს ბოსტნეული კარგია გაციებისა და გადაღლის დროს. ტკბილ წიწაკაში ბევრი ვიტამინია, კერძოდ: $B_1$, C, E, PP და ასე შემდეგ. მასში შემავალი ბეტა-კაროტინი და მიკროელემენტები აძლიერებს ორგანიზმის საერთო იმუნიტეტს, ამაღლებს სისხლძარღვების ელასტიკურობას და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

თუ წიწაკას რეგულარულად მიირთმევთ, მელანქოლია და აპათია არასოდეს შეგაწუხებთ.

## სტაფილოში ბევრი სასარგებლო ვიტამინია

ხალხურ მედიცინაში სტაფილო გამოიყენება, როგორც შარდმდენი და ქვების დამშლელი საშუალება. კარგია სტაფილოს წვენის სმა. ასევე, საუკეთესოა გახეხილი სტაფილო მაიონეზთან ერთად, რადგან ასეთ საკვებში ყველაზე მეტადაა შენახული ვიტამინები.

ვინც ფიზიკურ დაქვეითებას გრძნობს, აუცილებლად უნდა ჭამოს გახეხილი და რძეში მოხარშული სტაფილო. ასევე, სტაფილო კარგია: ხველების, საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და სისხლნაკლებობის დროს.

სტაფილოში ბევრი სასარგებლო ვიტამინია. შეიცავს ბევრ ისეთ ნივთიერებას, რის გამოც ის დიეტურ, სამკურნალო და საკვები ღირებულებების მქონე ბოსტნეულადაა მიჩნეული. სტაფილო ხელს უწყობს ნივთიერებათა ნორმალურ ცვლას, ორგანიზმის ზრდას, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. სტაფილოს კარგი შედეგები აქვს ავიტამინოზის, ღვიძლის დაავადების, ფარისებრი ჯირკვლის დაქვეითებული ფუნქციის დროს. ასევე, აქვს ანტისეპტიკური, ანტიანთებითი, ტკივილგამაყუჩებელი და ჭრილობის შემახორცებელი თვისებები.

## ნუში ტვინის წამალია, ბანანი კი სექსუალურ მადას აღძრავს

შაქარი ხელს უწყობს გახდომის პროცესს. კერძოდ, თუ დიეტის დაცვის დროს მიიღებთ შაქრის ან გლუკოზის რამდენიმე აბს დღეში, გახდომის პროცესი საგრძნობლად დაჩქარდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ გლუკოზა სწრაფად ხვდება სისხლში და ეფექტურად აკმაყოფილებს შიმშილის გრძნობას.

ნუში მდიდარია E ვიტამინით, ცილებით და კალციტ. ის საუკეთესო წამალია ტვინისთვის. ნუში სექსუალურ ლტოლვასაც აძლიერებს და მისი ჭამა განსაკუთრებით მამაკაცებს წაადგებათ.

ბანანი მდიდარია კალიუმითა და ბუნებრივი საქაროზით. მისი ჭამა კარგია ცუდ განწყობაზე. ძილის წინ კი ერთ ბანანს თუ მიირთმევთ, ეს „სექსუალურ მადას" აღძრავს.

ფინიკი ასუფთავებს სისხლს და ისიც დადებითად მოქმედებს სექსუალურ პოტენციაზე.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 28 წლის. ექოსკოპიურად დამისვეს დიაგნოზი კოქსართროზი 0-1 ხარისხი. ტერაფლექსის გარდა, არანაირი მკურნალობა არ დამინიშნეს. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა განკურნება საწყის სტადიაზე? განიცდის თუ არა პროგრესირებას ორსულობისა და მშობიარობის დროს?**

**პასუხი:** კოქსართროზი – მენჯ-ბარძაყის სახსრების ართროზი – ექოსკოპიური დასკვნა არ არის დიაგნოზი. დიაგნოზის დასაზუსტებლად უნდა მიმართოთ ექიმს (თერაპევტს ან რევმატოლოგს). ადრეულ ასაკში კოკსართროზი ძალიან იშვიათია, უფრო ხშირად სახსრის დაზიანება სხვა დაავადების გამოვლინებაა. ტერაფლექსი არის წამალი და კოქსართროზის ადრეულ სტადიებში შეიძლება, საკმარისი აღმოჩნდეს. დაავადების პროგრესირება დამოკიდებულია გამომწვევ მიზეზზე.

**კითხვა: რა საშუალებით შეიძლება ვიტილიგოს (მალამოები, წამლები) მკურნალობა?**

**პასუხი:** ვიტილიგო ძნელად ემორჩილება მკურნალობას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში გამოვიდა ახალი, შედარებით ეფექტური პრეპარატები. გირჩევთ, დერმატოლოგს მიმართოთ დიაგნოზის დადასტურებისა და მკურნალობის შერჩევის მიზნით. გახსოვდეთ, მკურნალობა ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურია.

**კითხვა: ვარ 18 წლის ბიჭი. მაქვს კანის სიმშრალე (მექერცლება სახეზე და წვივებზე), ძალიან მცვივა თმა, შეიძლება ითქვას გამელოტება დამეწყო. როგორ გავიგო, თმის ცვენა გენეტიკურია თუ ვიტამინების ნაკლებობითაა გამოწვეული?**

**პასუხი:** უპირველესად, უნდა გამოირიცხოს თმის ცვენის ყველაზე გავრცელებული მიზეზი – ანემია და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება (ჰიპოთირეოზი). შემდეგ უნდა მიმართოთ ტრიქოლოგს (ექიმი, რომელიც ახდენს თმის და თავის კანის დაავადებათა კვალიფიციურ დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას).

თმისთვის აუცილებელი მიკროელემენტებია: კალციუმი, იოდი, რკინა, სელენი, გოგირდი, მაგნიუმი, თუთია და სხვა. ცნობისთვის: ამის დასადგენად კეთდება თმის მინერალოგრამა.

**კითხვა: მართალია, რომ 8-თვიანი ბავშვი გაცილებით პრობლემატურია, ვიდრე 7-თვიანი. განსაკუთრებით რა მხრივ არის ეს მართალი?**

**პასუხი:** ნაადრევი ნაყოფის გადარჩენის შანსი ინდივიდუალურია და ხშირად დამოკიდებულია ფილტვების მდგომარეობაზე.

**კითხვა: თუ შეიძლება კივის მიცემა 5 თვის ჩვილისთვის?**

**პასუხი:** ერთ წლამდე ასაკის ბავშვს ციტრუსი არ უნდა მისცეთ. კივი, ფორთოხალი და ფეიხოა ალერგენების შემცველი ხილია. ამიტომ, სანამ ამ ხილს მისცემდეთ ბავშვს, აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია პედიატრთან.

**კითხვა: ზოგადად, არაფერს ვუჩივი. მინდა, მივიღო რაიმე ვიტამინი სახის კანს, თმასა და ფრჩხილებს რომ დაეხმაროს. რომელს მირჩევთ?**

**პასუხი:** შეგიძლიათ, დალიოთ კერკოვიტი. ის კერატინისა და ვიტამინთა კომპლექსის შემცველი კომბინირებული პრეპარატია.

**კითხვა: როცა მოვშარდავ, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ შარდი ფერს იცვლის, იმღვრევა და თითქოს კრემისფერი ხდება. ძალიან მეშინია, რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** შარდის მოთეთრო-რძისფერი მასში ლეიკოციტების არსებობაზე მეტყველებს. გაიკეთეთ შარდის ანალიზი. შარდი უნდა შეგროვდეს დილით, პირველი მოშარდვისას. აიღეთ მთელი ულუფა. შარდის აღების წინ საჭიროა სასქესო ორგანოების საფუძვლიანი ტუალეტი. ჭურჭელი უნდა იყოს სუფთა და მშრალი. გამოკვლევამდე შარდის შენახვა შეიძლება არაუმეტეს 1,5 საათისა, ისიც აუცილებლად სიგრილეში. სასურველია, წინა დღეს თავი შეიკავოთ ისეთი ხილისა და ბოსტნეულის მიღებისგან, რომელმაც შესაძლოა შარდს ფერი შეუცვალოს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**



# რას ჰპირდებოდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მცირეწლოვან შვილებს საჭირო ინფორმაციის სანაცვლოდ

*არაერთი ამბავი მომისმენია და წამიკითხავს ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ. ყველა ეს ამბავი თავისებურად საინტერესოა, მაგრამ მიმაჩნია, მისი შთამომავლებისა და ოჯახის წევრების მონათხრობს, სულ სხვა სითბო და ხიბლი აქვს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩვენი რესპონდენტის, გური ხუნწარიას დიდი პაპა იყო.*



გიმნაზიელი ქაქუცა

**გური ხუნწარია**: ქაქუცა ჩოლოყაშვილს ჰყავდა ორი ქალიშვილი: ქეთევანი (ქეთია) და თამარი, რომელსაც ციცნას ეძახდნენ, რადგან ძალიან პატარა დაბადებულა. ქეთევანს ერთი ქალიშვილი ჰყავს – მეგი, ციცნასაც ასევე – ცირა. მეგის ერთადერთი ვაჟი ვყავარ მე და ცირასაც ასევე – დავითი (დათი). დათის შვილები არ ჰყავს, მე მყავს სამი ქალიშვილი. მეტი შთამომავალი ქაქუცას არ გააჩნია. საერთოდ, ქაქუცას მამას, ქაქუცას გარდა ორი ვაჟი ჰყავდა. ერთი – სვიმონი (სიკო) ქაქუცასთან ერთად ბრძოლაში დაიღუპა, რომელსაც შვილი არ დარჩენია. უფროსი ძმა ზაქარია (შაქრო) ორი ქალიშვილის მამა გახლდათ. ქაქუცას უფროს დას, ანოს ჰყავდა შვილები, ანუ ისინიც ქალის მხრიდან გამრავლდნენ და მეორე დასაც კატოსაც, რომელიც ნატო ვაჩნაძის ძმის ცოლი გახლდათ, ასევე დარჩა შვილები. ამას იმიტომ გიყვებით, რომ რამდენჯერმე წავაწყდი სხვადასხვა გამოცემებში ქაქუცა „ჩოლოყაშვილის შთამომავლების" ინტერვიუებს, არ არსებობს, ქაქუცას შთამომავალი ჩოლოყაშვილის გვარით. ეს ტყუილია!

**– ამ ოჯახმა ბევრი ტკივილი გადაიტანა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთადაც და მის გარეშეც.**

– უპირველესად, მინდა, იმაზე გესაუბროთ, რომ ძალიან მცდარი წარმოდგენაა საზოგადოებაში, თითქოს ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისით გავიდა ტყეში ასაჯანყებლად. იყო დამკომი (დამოუკიდებლობის კომიტეტი), ეს კომიტეტი კოტე აფხაზმა, იასონ ჯავახიშვილმა, კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა და სხვებმა დააფუძნეს. სწორედ ამ კომიტეტმა რამდენიმე კანდიდატს შორის არჩევანი გააკეთა და გადაწყვიტა, ქაქუცასთვის, როგორც პირველ მსოფლიო ომში თავგამოჩენილ, ენერგიულ, საერთოდ, გამორჩეულს მხედრული ნიჭითა და სიმამაცით, მიენდოთ აღმოსავლეთის აჯანყება. გაითვალისწინეს ისიც, რომ ქაქუცას მთის მოსახლეობაზე ჰქონდა გავლენა. მატნელი ჩოლოყაშვილები ხომ მთისპირელები იყვნენ. ასე რომ, ეს აჯანყება იყო დაგეგმილი და არა თვითნებური. ეს იყო აბსოლუტურად მოწესრიგებული ოპერაცია, რომლის შესრულებაც დამკომმა დაავალა სამხედრო ოფიცერს.



ქაქუცა ჩოლოყაშვილის შვილები – თამარ და ქეთევან ჩოლოყაშვილები

**– ამბობენ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ეროვნულ-დემოკრატი იყოო...**

– არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თუმცა, ეროვნულ-დემოკრატებთან უფრო ახლოს იყო. მაგრამ ყველანაირ კონტექსტში ის ემსახურებოდა სამშობლოს.

ქაქუცას ტყეში გასვლის შემდეგ თელავის მაზრაში დააპატიმრეს ქაქუცას ცოლ-შვილი.

**– ქაქუცას შვილებზე ვისაუბრეთ, ვინ იყო მისი მეუღლე?**

– ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეუღლე იყო დედისერთა ნინო მელვინეთუხუცესი, ილია მელვინეთუხუცესისა და ანა ავალიშვილის ქალიშვილი. ილიას შეძლებული ოჯახი ჰქონდა, მათ შვილივით უყვარდათ ქაქუცა, რომელიც 10 წლით უფროსი იყო ნინოზე. ნინო დახვეწილი ქალბატონი გახლდათ, წმინდა ნინოს გიმნაზიაში მიღებული განათლებით.

მათი შეუღლება როგორ მოხდა ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, ნინოს დეიდაშვილი იხსენებდა ხოლმე ხშირად მათ ქორწილს (14 წლის ვიყავი, როცა ის გარდაიცვალა). ქაქუცა „თეფშზე ჩასმულს" აკეთებდა ძალიან კარგად და მოხდენილადო. იგი ასევე, უბადლო მხედარი და იარაღის ოსტატი ყოფილა.

ქაქუცა სამხედრო საქმეში იყო ჩართული და ხშირად ჰქონდა მიმოსვლები. საბოლოო ჯამში, დაევალა გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად ქართული კავალერიის შექმნა, რომელიც შემდეგში ბრძოლებში დასჭირდებოდათ, მაგრამ ისე სწრაფად განვითარდა მოვლენები, რომ ეს ველარ მოხერხდა.



ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეუღლე ნინო მელვინეთუხუცესი

**– რა ბედი ეწია ქაქუცა ჩოლოყაშვილის თელავის მაზრაში დაპატიმრებულ ცოლ-შვილს?**

– ბებიაჩემი, ამ დროს 3 წლის ყოფილა, ციცნა კი შვიდის. ისინი სახლში დაურიგებიათ, არაფერი მოუყვეთ, მარტო ტყუილი უთხარითო. თურმე, ჰპირდებოდნენ: კანფეტებს მოგცემთ, წითელ „ტუფლებს" გიყიდით, ოღონდ მოგვიყევით მამა თუ მოდის ხოლმე სახლშიო. არადა, მართლა იშვიათად მიდიოდა ქაქუცა ოჯახში, ისიც შუაღამისას, როდესაც ბავშვებს ეძინათ. ქეთიას კი თავისებურად მოუტყუებია: კი როგორ არ ვნახე მამა, სულ ოქროს ქამარ-ხანჯალი ეკეთაო. მერე, თურმე თავს იქებდა: ისეთი ტყუილები ვუთხარიიო...

**– როგორც მსმენია, ქაქუცას მუქარა შეუთვლია პოლიციისთვის, თუ ცოლ-შვილს არ გამითავისუფლებთ ქვას ქვაზე არ დავტოვებო.**

– ეს გადმოცემითაა ცნობილი. ისე, ისინი რომ ყველაფერს იკადრებდნენ, მაგას, რად უნდა ბევრი ლაპარაკი. ქაქუცას უთვლიდნენ: ცოლ-შვილს მოგიკლავთ, ციცნას ცეცხლს წავუკიდებთ, ქეთიას ჩავახრჩობთო... ქაქუცამ შემოუთვალა: მაგ ბინძური წესებით ნუ მეომებით, თორემ ქვას ქვაზე აღარ დავტოვებო! მოკლედ, სამივენი გადაიყვანეს მეტეხის ციხეში და ყველაზე გულისამაჩუყებელი მომენტია, რომ პატარა ქეთიას, თურმე ციხის სარკმელთან რაფაზე აყენებდნენ. მას გისოსებს აქეთ მთელი ნათესაობა ტაშს უკრავდა, ქეთია კი მათ საკნიდან უმღეროდა და ცეკვავდა.

მოგვიანებით ნინო ლავრენტი ბერიას დაუბარებია, რომელიც იმხანად არ იყო მაინცდამაინც დიდი და ცნობილი ჩინოვნიკი. მას ჩემი დიდი ბებიისთვის უთქვამს: შენ დახვრეტა გემუქრება და ისევ და ისევ ბავშვების სასიკეთოდ, პატარები ჩვენ გადმოგვეციო. მათაც არ უნდოდათ ბავშვები ციხეში. ნინოს მოფიქრების დრო მისცეს. ნათესაობაში ჟანდიერის ქალი ყოფილა, მას უთქვამს: არაფრით არ დასთანხმდე, ბერიას წინადადებას, ბავშვებს ვერაფრით ვერ წაგართმევენო. ნინო ასეც მოიქცა. ცოტა ხანში კი ლენინის ბრძანებაც გამოვიდა, რომლის თანახმადაც კონტრრევოლუციონერების ოჯახებზე შურისმაძიებლური ქმედებები უნდა შეწყვეტილიყო.



თამარი და ქეთევანი

**– ამის შემდეგ რა ხდება?**

– ამის შემდეგ, ნინო ციხეში დარჩა, ილია მელვინეთუხუცესმა კი შვილიშვილები წაიყვანა. დაახლოებით ორ თვეში ილია სახლიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს. ბავშვები უპატრონოდ დარჩნენ. პატარები მალულად საქათმეში დამალა ილიას მოურავმა და გააფრთხილა: თუ ვინმე მოვიდა, უთხარით, რომ თქვენით შემოიპარეთ და დაიმალეთ ამ საქათმეშიო. გარკვეული ხნის განმავლობაში ასე მალავდა, – უზიდავდა პურს, გუდის ყველს...

**– ეს ყოველივე რამდენ ხანს გაგრძელდა?**

– ზუსტად ვერ გეტყვით. ვიცი მხოლოდ ის, რომ მთელ ნათესაობას გული უკვდებოდა და ბავშვების დახმარებას ვერავინ ბედავდა. ამის შემდეგ გამოჩნდა ილიას მეუღლე ანეტა, რომელიც მანამდე სად იყო, ჩემთვის არაა ცნობილი. მან წაიყვანა ბავშვები თბილისში. მალე ნინოც გაათავისუფლეს. ჩემი დიდი ბებია ქარგავდა, ასე წვალებით გადიოდნენ ფონს. სამსახურს ვერ ინარჩუნებდა: როგორც კი გაიგებდნენ, რომ ქაქუცას ცოლია, მაშინვე ათავისუფლებინებდნენ. ეგეთი შემთხვევაც ყოფილა, თურმე, რომელიღაც ინსტიტუტში დამლაგებლად მუშაობდა. ერთ-ერთ ხელმძღვანელს უკითხავს, გატყობთ ქალბატონო, რომ არა ხართ ამ საქმისთვის და რატომ წვალობთო. საწყალ ნინოს ტირილი ავარდნია ამ სიტყვებზე. როდესაც გაუგია, მის ხელმძღვანელს, თუ რაშიც იყო საქმე, ცუდად გამხდარა. როგორც მომავალში მისი შვილი ყვებოდა: ინფარქტმა დაარტყაო. ეგ არავინ იცის, მაგრამ ძალიან ცუდად გამხდარა ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ. ის გულშემატკივარი ყოფილა ქაქუცასი და ამიტომ ნინო არ გაუთავისუფლებია სამსახურიდან. ქეთიას და ციცნასაც მთელი რიგი პრობლემები ჰქონდათ სკოლასთან დაკავშირებით. ძალიან გაჭირვებაში იყვნენ.



ქაქუცა ჩოლოყაშვილი – ავადმყოფობის პერიოდი

**– ამ პერიოდში ქაქუცა ჩოლოყაშვილი სადაა?**

– ის ჯერ ისევ საქართველოშია და პარტიზანულ ბრძოლებშია ჩაფლული.

1924 წლისთვის, ბოლო მომენტში მთელი დამკომი ქაქუცასთან ყოფილა ტყეში ასული და როგორც ალექსანდრე სულხანიშვილი ყვებოდა, შეუთავაზებიათ: ფული ამათ არ დაუტოვოთ, თან წაიღეთო. ქაქუცას უთქვამს: ისედაც ცდილობენ, რომ გაგვაშაონ, ბანდიტებს გვეძახიან და ათას სიბინძურეს გვაბრალებენ. ეს რომ გავაკეთოთ, შეიძლება, ველარც მოვიშოროთ სამარცხვინო ლაქაო. ამიტომ ქვეყნიდან საერთოდ უფულოდ გასულან. თურქეთში გადასულებს ცხენები და ცხენების აღკაზმულობა გაუყიდიათ და იმით გაუგრძელებიათ გზა. ამის შემდეგ 6 წელი იცოცხლა საფრანგეთში და საბოლოოდ, ფილტვის პრობლემით გარდაიცვალა 1930 წელს.

**– როგორ ცხოვრობს ამ პერიოდში ქაქუცას ოჯახი საქართველოში?**

– ერთი პერიოდი შემსუბუქდა მთავრობის დამოკიდებულება. ვისაც უნდოდა, ემიგრაციაში წასვლის უფლება მისცეს. მათ შორის, წასვლის ნება დართეს ნინოს და მის გოგონებსაც. ეს ოციანი წლების ბოლოა. მოკლედ, აპირებდნენ



1921 წელი. პარიზი

წასვლას, მაგრამ ამ პერიოდში ნინოს დედას, ანეტას ინსულტი მოუვიდა. ნინომ ვერ დატოვა დედა და დარჩნენ საქართველოში. რომ არ დარჩენილიყვნენ, მე, ალბათ, არ ვიქნებოდი *(იცინის).*

გარკვეული ხნის შემდეგ, გოგოები წამოიზარდნენ. ციცნამ დაიწყო კერვა, რაღაცა ხელწერა ჰქონია, ქალაქში თურმე ციცნას კაბებს ეძახდნენ. ცოტა ამოისუნთქეს, რა თქმა უნდა, მატერიალური თვალსაზრისით, სხვა მხრივ უჭირდათ. მანამდე ქარგავდნენ, ტორტებს აცხობდნენ, ქირით ცხოვრობდნენ ხან ზემელზე, ხან მთაწმინდაზე, ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებლებს.

**– როგორც ცნობილია, მოგვიანებით ციცნა და ნინო გადაასახლეს. რა იყო ოფიციალური მიზეზი ამ გადასახლებისა?**

– მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ორი ადამიანი მისულა მათთან სახლში და უთქვამთ ჩვენ ქაქუცას მეგობრები ვართ და გვინდა ურთიერთობების დამყარება რაღაც კატეგორიის ხალხთანო. რა თქმა უნდა, ჩოლოყაშვილებმა უარი უთხრეს და გამოისტუმრეს. სახლიდან გამოსულები დააპატიმრეს, თურმე უთვალთვალებდნენ. იმათ დაჭერას მოჰყვა ამათი დაჭერა და გადასახლება. ბებიაჩემი ქეთია კი იძულებული შეიქმნა თვითნებურად წასულიყო ცოტა ხანში მათთან შუა აზიაში. დაახლოებით შვიდი წლის შემდეგ ისინი შეიწყალეს და გაათავისუფლეს.

**– ალბათ, ძალიან ბევრი ამბავი გსმენიათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ.**

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ამბები ძირითადად გადაუმოწმებელია და ისეთია – ერთი ხმლის მოქნევით, მოაცლიდა, გააცლიდა, გადაახტებოდა გალავანს, „აქეთ გორას წიხლსა ვკრავ...”... ბევრი ამბავი ასეთი ხასიათისაა.

ბავშვობაში ნინო არაფერს მიყვებოიდა. სულ ვეკითხებოდი: მაგარი იყო? ღონიერი იყო? ხმალს როგორ იქნევდა?.. რაღაც პერიოდის შემდეგ, ეგეც აღარ მაინტერესებდა და მახსოვს, ყველაზე შთამბეჭდავი იყო ის, რომ ფული, რომელზეც ეუბნებოდნენ წაიღეო, თქვა: არ წავიღოთ, იმიტომ რომ „ისტორიაში ბანდიტებად დავრჩებითო!” ეს ჩემთვის იყო ძალიან სასიამოვნო და საამაყო მომენტი.

თურმე, როდესაც ქაქუცა გასული იყო, შაქრო, მისი ძმა, მიუგზავნიათ მასთან და ფული შეუძლევიათ. ქაქუცას უთქვამს: შენ, კი ხარ ჩემი ძმა, მაგრამ მეორედ აქ აღარ მოხვიდეო.

როგორი კაცი იყო იცით, იმიტომ არ ვამბობ, რომ პაპაჩემი იყო, საშა წერს სულხანიშვილი – როგორი მშიშარა და პანიკიორი კაციც არ უნდა მოხვედრილიყო მასთან, ქაქუცას გვერდით ვეფხვად იქცეოდა. გადამდები სიმამაცე ჰქონია.



ქაქუცა და გენერალი გიორგი კვინიკაძე

ერთი შემთხვევა ყოფილა: ძალიან მაგარი რეპრესიები წავიდა, არადა აუცილებელი იყო ქაქუცას ჩამოსვლა თბილისში. ერთ-ერთ სახლში გარკვეული საზოგადოება ელოდა, მაგრამ ვიღაცას უთქვამს: თუ გამოაღწიეს, ალბათ გატყიურებულები შემოვლენო. მოკლედ, ველოდით ნაბადმოსხმულს, წვერმოშვებულ მამაკაცს, ის კი სმოკინგში გამოწყობილი გამოცხადდა, თანაგუნდელთან ერთად. ორივე გაპიწკინებული იყო. შემოვიდა, სულ უჟუჟუნებდა თვალებიო. ძალიან იმედიანი ყოფილა.

**– ამბობენ, გარეგნობა ჰქონია ძალიან კარგი და იმასაც ამატებენ, რომ ქალბატონებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდაო...**

– ჰო, ეგ მეც მსმენია. ჩემს ოჯახში სულ იხსენებდნენ ამგვარ ამბებს, უკვე სიცილით. ნინო ყვებოდა ხოლმე, ჩემი დიდი ბებია: მეჯლისზე არ მიყვარდა სიარული ქაქუცასთან ერთად. მივიდოდით თუ არა, დაუწყებდნენ მაშინვე თვალების ჟუჟუნს, მე ვეუბნებოდი: „ქაქუც, მნე პლოხა”. კი არ მეტყოდა: ნინა, რა მოგივიდაო. გავიდოდა, მეეტლეს გასძახებდა, „კუჩერ”, ჩამსვამდა ფაეტონში და გამომისტუმრებდა, თვითონ კი მეჯლისზე ბრუნდებოდაო.

ქაქუცა და სიმონ მუხრანსკი ასეთი სიტუაციებიდან იკარგებოდნენ ხოლმე რამდენიმე დღით და იყვნენ განცხრომაში.

მაგრამ, სანამ რაიმე დასკვნებს გააკეთებდეთ ამ მონათხრობიდან, შეფიცულობაზეც გიამბობთ. რა იყო ეს, მხოლოდ ორ მუხლზე გეტყვით: პარტიზანული ბრძოლების დროს არაფრით ქალთან არ უნდა მისულიყვნენ. ერთი მუხლი ეს იყო და აქ ცოლი იგულისხმებოდა. ასევე, ღვინოც არ უნდა დაელიათ დასათრობად.

**– ნინო თუ ელოდა ქმარს?**

– ქაქუცას ძალიან ბევრი ელოდა. საერთოდ, ფშავ-ხევსურეთში, მე რომ 20-25 წლის ვიყავი, მაშინაც კი ელოდნენ. ვიღაც მოხუცები იძახდნენ: ჩამოვა ჩოლოყაშვილი და ასე და ისე იზამსო.

**– თუ საყვედურობდა ნინო მეუღლეს?**

– არა, არასდროს მსგავსი არაფერი დასცდენია.

**ეკა სალაღაია**

# ვინ იყო ტრამვაის პირველი ვატმანი თბილისში და რომელ წელს მოხდა ტრამვაის ხაზების დემონტაჟი მელიქიშვილის გამზირსა და ვაგზლის მოედანზე

(ოცდამესამე გვერდიდან)

გადიოდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო, ვერ მოხერხდა მისი ფართოლიანდაგიანზე გადაყვანა, მოგვიანებით კი ტრამვაის ეს ხაზი საერთოდ გაუქმდა. ტრამვაის, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის



ტრამვაი ჭავჭავაძის გამზირზე, უნივერსიტეტთან (1960-იანი წლები)

როლი განსაკუთრებით საბჭოთა რეჟიმის პერიოდში გაიზარდა – ქალაქის ცენტრი ახალმშენებარე გარეუბნებს სწორედ ტრამვაის საშუალებით უკავშირდებოდა. იმ პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი მარშრუტი გაიხსნა: 1942-1945 წლებში ტრამვაი გაიყვანეს ნახალოვკაში, ოქტომბრის (ამჟამინდელი ცოტნე დადიანის) ქუჩაზე; 1944-1945 წლებში ტრამვაის ხაზები დაგრძელდა ისნის ჰოსპიტლიდან 31-ე საავიაციო ქარხნამდე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მეცხრე საავადმყოფომდე, სადაც ცნობილი 9 ნომერი ტრამვაი მოძრაობდა. მეოცე საუკუნის შუა პერიოდში ტრამვაის ხაზები თითქმის მთელ თბილისს მოიცავდა და პერმანენტულად ხდებოდა ძველი ხაზების გაუქმება და ახლის გაყვანა. 1967 წელს ტრამვაის ხაზი გაუქმდა ჭავჭავაძისა და მელიქიშვილის გამზირებზე, ასევე, ჩელუსკინელების ქუჩაზე (ამჟამინდელი თამარ მეფის გამზირი), 1972 წელს მოხდა ტრამვაის დემონტაჟი ვაგზლის მოედანსა და ფიროსმანის ქუჩაზე, ხოლო 1974 წელს გაუქმდა გადასასვლელი ხიდისა და საბჭოს (ჩიქობავას)



ტრამვაი ვაგზლის მოედანზე (1960-იანი წლები)



ტრამვაი კალინინის (ჯავახიშვილის) ქუჩაზე, რუსულ ეკლესიასთან (1980-იანი წლები)

ქუჩის დამაკავშირებელი მონაკვეთი. 1985 წლისთვის ქალაქის ტრამვაის ქსელი 100 კილომეტრს აჭარბებდა, 1990-იანი წლებიდან კი დაიწყო ტრამვაის ხაზების გაუქმება, რამაც 2006 წელს თბილისი ტრამვაის გარეშე დატოვა. ამჟამად ცნობილია, რომ თბილისის მერია ტრამვაის ახალი სისტემის დანერგვას გეგმავს თბილისში და ცნობილია პირველი მარშრუტის შესახებაც, თუმცა, ჯერჯერობით ყველაფერი მხოლოდ პროექტის დონეზეა გაჩერებული.

**უშანგი რუხაძე**



**წინათ ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობდნენ, ვიდრე დღეს. როგორც ეზოთერიკოსები ამბობენ, სიცოცხლის ხანგრძლივობასა და მცენარეებთან კონტაქტს შორის პირდაპირი კავშირია. სწორედ მათთან ურთიერთობისას შეუძლია ადამიანს გაიხანგრძლივოს სიცოცხლე, თავი აარიდოს პრობლემებს, გამორიცხოს უდროოდ სიკვდილის ალბათობა და მოიპოვოს ჰარმონიული ცხოვრება ამქვეყნად. როგორც ცნობილი ეზოთერიკოსი, ქალბატონი ნანი ამბობს, ხეებთან ურთიერთობით ადამიანი ბევრ რამეს სწავლობს. თუ როგორ გავარკვიოთ, რომელი მცენარეა ჩვენთვის სიკეთის მომტანი, რომელი – სახიფათო, რა უნდა გავითვალისწინოთ მათი დარგვის დროს და რაში გვეხმარებიან ისინი ჩვენ, ამ თემებზე დღევანდელი ჩვენი რუბრიკის სტუმარი, ამომწურავ ინფორმაციას მოგაწვდით.**

# რომელ ხილსა და ყვავილებს შეუძლიათ სახლში უარყოფითი ენერგიის გაძლიერება და დადებითის დაბლოკვა

**ნანი**: ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა დღეს თვალშისაცემად შემცირებულია. ჩვენი წინაპრები, საშუალოდ, ოთხმოც წლამდე ჯანმრთელად და შრომისუნარიანად გამოიყურებოდნენ. რეალურად, წინათ დღეგრძელები ბევრნი იყვნენ, ახლა კი – ნაკლებად. დღეს ადამიანები ჩაკეტილები არიან საკუთარ ბინებში, დილიდან საღამომდე მუშაობენ ოფისებში, გამოკეტილები არიან ოთხკუთხა სივრცეში და, ვერც კი ამჩნევენ, ამით როგორ იმოკლებენ სიცოცხლეს. ძველად ხალხი მეტ დროს ატარებდა ბუნების წიაღში, რადგან, იცოდა, რომ მისგან სასიკეთო ენერგიებს იღებდა და იმუხტებოდა დადებითი ემოციებით. ჩვენი სიცოცხლის გენის გახანგრძლივება სწორედ ბუნებასთან, კერძოდ კი, კონკრეტულ ხეებთანაა კავშირში და ეს სულაც არ არის ახალი აღმოჩენა. ნებისმიერმა ჩვენგანმა სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, საჭირო ენერგია ხეებისგან უნდა მიიღოს. ხეებს გააჩნიათ სხვადასხვა სიდიდისა და ნიშნის ბიოენერგეტიკული ველები.

**– მართალია, რომ ცნობილი ექსტრასენსები ენერგიას ხეებისგან იღებენ?**

– დიახ, ცნობილი ფაქტია რომ, ექსტრასენსები ენერგიას კონკრეტული ხეებისგან იღებენ. კერძოდ, იმუხტებიან ხის ენერგიით და, ავადმყოფი ადამიანების გამოსაჯანმრთელებლად და მათ სამკურნალოდ არა საკუთარ, არამედ, ხის ენერგიას ხარჯავენ. მაგალითად, ასეთია მუხა. თუ ადამიანს ენერგიის დიდი დოზით ხარჯვა უწევს, აუცილებელია რომ ის შეივსოს, რათა თავადაც არ დაუძლურდეს, ამიტომ, მუხის ხესთან კონტაქტი და მისი ენერგიით დამუხტვა, უბრალოდ, აუცილებელია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მუხის ენერგეტიკული ველი დაახლოებით ორ მეტრზე ვრცელდება. რაც შეეხება სხვა ხეებს, მაგალითად, კაკალს, მისი ენერგეტიკული ველის გავრცელების არეალი ერთი მეტრია; წიწვოვანი ხეების – მეტრ-ნახევარი, არყის ხის – სამოცდაათი სანტიმეტრი და ასე შემდეგ. ენერგეტიკული თვალსაზრისით, ყველაზე გამოუსადეგარი და ადამიანისთვის საშიში ხე ალვაა და მისი ეზოში ან სახლის მახლობლად დარგვა და გახარება არ არის რეკომენდებული. ის, შეიძლება ითქვას, ხე-ვამპირია, რომელიც შთანთქავს მის ახლომახლო მყოფ ადამიანთა ენერგიას. ალვა იმ ბიოენერგიის ნაწილს გვართმევს, რაც წარმატებისა და წინსვლის გარანტია. თუ არ გსურთ, უარყოფითი ენერგიით აივსოთ ორგანიზმი, ამ ხესთან კონტაქტი მინიმუმამდე შეამცირეთ. ეგრეთ წოდებული ,,ცდის" ჩასატარებლად მამაკაცს ბიოველი გაუსინჯეს და სთხოვეს, ათი წუთით მიყრდნობოდა ალვის ხეს. როდესაც ამის შემდეგ მისი ბიოველი გასინჯეს, ის საგრძნობლად დაბალი აღმოჩნდა და მის აღდგენას მუხასთან კონტაქტით დაახლოებით სამი საათი დასჭირდა. იმისთვის, რომ მუხისგან დადებითი ენერგიებით დაიმუხტოთ, მას ზურგით უნდა მიეყრდნოთ დაახლოებით 15 წუთით და თვალებდახუჭულმა არაფერზე იფიქროთ. ამ დროს არ შეიძლება საუბარი ან რამე ნეგატიურზე ფიქრი, რადგან, ამას ხე გრძნობს და თქვენ მიმართაც ასევე უარყოფითად განეწყობა. წიწვოვანებთან და მუხასთან კონტაქტით მიღებული ენერგია მთელი კვირის განმავლობაში ეხმარება ადამიანს, მეტად შრომისუნარიანს ხდის და დადებითი ემოციებით ავსებს. კომუნისტების დროს საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი ალვის ხე დაირგო – ქარსაცავი ზოლები გააკეთეს და არც კი უფიქრიათ იმაზე, თუ რა დიდი ზარალი შეიძლებოდა მას მოეტანა იმ ადამიანებისთვის, ვინც ახლომახლო ცხოვრობდა ან მუშაობდა. გირჩევთ, ხშირად იაროთ ტყეში, ისუნთქოთ წიწვოვანისა და მუხნარის არომატი – ეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლო და აუცილებელია. თუ ხეებთან კონტაქტის დროს ზემოთქმულს გაითვალისწინებთ, მერწმუნეთ, საკუთარ თავსა და ჯანმრთელობას ძალიან დაეხმარებით.

**თუ ადამიანს საკუთარი ენერგიის დიდი დოზით ხარჯვა უწევს, აუცილებელია, ის შეივსოს, რათა თავადაც არ დაუძლურდეს**

**– სტატისტიკურად, სოფლად მცხოვრები ადამიანები გაცილებით მეტხანს ცოცხლობენ, ვიდრე დიდ ქალაქში მცხოვრებნი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ხეებთან კონტაქტი?**

– რასაკვირველია, ეს იმითაა გამოწვეული, რომ მათ მეტი კონტაქტი აქვთ ხეებთან, სუნთქავენ მათგან გამოყოფილ ჟანგბადს და მათთან შეხებით დადებითი ენერგიით იმუხტებიან.

**– ამბობენ, კონკრეტულ ხილსა და ყვავილებსაც შეუძლიათ სახლში უარყოფითი ენერგიის გაძლიერება და დადებითის დაბლოკვაო. ეს სიმართლეა?**

– წინაპრებისგან გადმოცემით ვიცი, რომ ნებისმიერ ხილსა თუ ყვავილს შეუძლია სახლში ცუდი ენერგიის შემოტანა, კარგის კი – განდევნა. ეს იმაზეა დამოკიდებული, რომელ ზონაში გაიზარდა ხე, რომელმაც ეს ხილი მოისხა და სად გაიშალა ეს ყვავილები. ამაზე, ალბათ, არ გიფიქრიათ, მაგრამ, ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა მსგავსი რამეები ნამდვილად იცოდნენ, ითვალისწინებდნენ და მისი განეიტრალების მეთოდებიც დაგვიტოვეს. კერძოდ, როდესაც ხილს იყიდით და სახლში მიიტანთ, დიდი ხნის განმავლობაში დადგით გამდინარე წყლის ქვეშ, რომ ნეგატიური ენერგია ჩამოერეცხოს და წყალს გაჰყვეს. თუ ყვავილს შეიძენთ, მისი ღეროები შეუშვირეთ გამდინარე წყალს; ქოთნის ყვავილს კი, უმჯობესია, ყიდვის შემდეგ მიწა გამოუცვალოთ და ისე დადგათ ოთახში. საერთოდ, ყვავილები დიდ გავლენას ახდენს სახლის ენერგეტიკულ-სტრუქტურულ ფორმირებაზე. მაგალითად, დღეს ბევრ ოჯახში მინახავს ქოთანში ჩარგული გვიმრა. ეს მცენარე ლამაზია, მაგრამ, ალბათ, მისმა პატრონებმა არც კი იციან, რომ ის აქტიურად შთანთქავს სახლში დაგროვილ, ადამიანისთვის საშიშ ენერგიას. დააკვირდით, თუ ოთახის მცენარეებმა დაიწყეს უეცარი ჭკნობა ან ფოთლები გაუყვითლდათ, ესე იგი, იმ ადგილას, სადაც ქოთანი დგას, დაგროვდა დიდი რაოდენობით უარყოფითი, საშიში ენერგია და სახლში ბნელი ძალების წყარო გაჩნდა. სხვათა შორის, მის გასანეიტრალებლად კარგია ნივრის აცმა და კაქტუსი. კაქტუსების უამრავი ჯიში არსებობს და თითოეული მათგანი უარყოფითი ენერგიის შთანმთქმელია. მათი დადგმა სასურველია ტელევიზორთან, კომპიუტერთან, სამუშაო მაგიდასთან და ბავშვების ოთახში, საწოლთან ახლოს. კარგია, თუ ქოთნის მწვანე ყვავილებს შეიძენთ და მათ სახლში გამოსაჩენ ადგილას – სასტუმრო ოთახში დადგამთ. ისინი მომავალში წარმატების მოპოვებაში დაგეხმარებიან. მაგრამ, დეკორატიული ჯუჯა ხეების შეძენას არ გირჩევთ, რადგან მათ უძველეს დროში „სიკვდილის ხეებს" უწოდებდნენ და არ ახარებდნენ სახლსა და ეზოში. ასევე, საშიშია სახლში ქოთნის წიწაკის გახარება – მას სახლში სიმწარე შემოაქვს და ჩვენს ენერგიასაც იწოვს.

**ნონა დათეშიძე**

# თურმე, ასეც ხდება!

„გააკეთეთ ყველაფერი, რათა არ დაემსგავსოთ მათ!“ – ამბობს ძალიან ცნობილი ინგლისელი ფსიქოლოგი და მოკლედ ყვება წყვილების იმ ტიპაჟებზე, რომელთა ყოფა არათუ უინტერესოა, საფრთხის ელემენტებსაც შეიცავს. ანუ, გვასწავლის როგორ არ უნდა იქცეოდეს წყვილი, რომ არ გააღიზიანოს საზოგადოება და არ გაუჩინოს ეჭვი მათი ურთიერთობის სრულფასოვნების შესახებ.

* მაგალითად, უხერხულია და სასაცილო, როცა ცოლ-ქმარი სერიალის გმირებივით საჯაროდ ეხვევა და ეალერსება ერთმანეთს, აქაოდა, შემოგვხედეთ, როგორი შეყვარებულები ვართო. ბოლოს მაინც გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელიც ხმამაღლა იტყვის, რითი და ვისთან იყავით დაკავებული გასულ კვირას.

* როგორც საჯაროდ ალერსი და ჩახუტებაა უხერხული და გამაღიზიანებელი, ასევე, ძალიან ცუდი ტონია საჯარო სკანდალები. იმის თქმა, რომ უკვე აღარაფერი გაქვთ დასამალი, არგუმენტი არ არის. ნათქვამია, სიყვარულსა მალვა უნდაო... სიძულვილსაც უნდა დამალვა, მით უმეტეს, თუ რეალურად არც გძულთ და მხოლოდ „ტანჯვის ეკლიანი გვირგვინი“ გინდათ, დაიდგათ. მართალია, ესეც არის საშუალება, კიდევ ერთხელ აღმოჩნდეთ საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ არ ღირს. მეტისმეტად იაფფასიანი „ტრიუკია“.

* ცოლი – სიმპათიური „ბაღის აღმზრდელი“ – მკაცრი, მზრუნველი, დამრიგებლური ტონითა და აღმზრდელის მოწყალე მზერით.

ქმარი – ცელქი ბიჭი, რომელიც მთლად ურჩობასაც ვერ „ქაჩავს“. გვერდიდან შეხედეთ საკუთარ თავს – არ მოგეწონებათ!

* უსიამოვნო სამზერია ქალი მამაკაცური შემართებითა და პათოსით. მის გვერდით კი მორცხვი, კეკლუცი ქმარი, რომელიც ისე შესციცინებს ცოლს, როგორც ჭეშმარიტების საწყისს, როგორც მესიას.

* ნუ დაემსგავსებით „ზეინტელექტუალურ“ წყვილს, რომელიც ყველაფერს აკეთებს ყურადღების მისაპყრობად, ორიგინალობს ყველაფრის ფასად და ხალისით პოზირებს საჯაროდ. ეს უკვე სასაცილოა!

# ორმაგი ბედნიერება

კარგი იქნებოდა, მამაკაცების განათლებაზე გვეზრუნა. არა, ისინი საკმაოდ განათლებულები ბრძანდებიან, მაგრამ, სამწუხაროდ, წარმოდგენა არ აქვთ, რატომ უნდა იზრუნონ იმ ქალის ბედნიერებაზე, რომელიც გვერდით ჰყავთ. აქსიომაა: „როცა ერთ ჭერქვეშ ცხოვრობ ქალთან, რომელიც ბედნიერია, შენ გვერდით არის სიამოვნების მიღების მუდმივი წყარო“. პრინციპში, როგორ უნდა შეეპაროს ეჭვი ამ სიტყვებში, თუკი წარმოიდგენ, რამხელა პოზიტიურ ენერგიას გამოასხივებს ბედნიერი ქალი, რომელიც სულ კარგ გუნებაზეა, იღიმება და უნდა, რომ მის გარშემო ყველა კარგად იყოს. უფრო მეტიც – ყველა ბედნიერი იყოს! მამაკაცებს არ უნდათ, გაიგონ, რომ ქალები ტყუილუბრალოდ არ შფოთავენ; ტყუილუბრალოდ არ ფორიაქობენ და ტყუილუბრალოდ არ ნერვიულობენ. ისინი წინასწარ ჭვრეტენ მოსალოდნელს, გარკვევით ხედავენ გვერდით მყოფი მამაკაცის შესაძლებლობებს და სამართლიანად ბრაზობენ, როცა ის ამ შესაძლებლობებს არ იყენებს.

ქალები უკეთესად გრძნობენ საკუთარ მეორე ნახევრებს, ვიდრე მამაკაცები. ამიტომ, თუ ერთხელ მოგეჩვენებათ, რომ თქვენი ცოლი ჭკუიდან შეიშალა, იცოდეთ – ეს იმიტომ ხდება, რომ ვერაფრით წარმოიდგინეთ თავი მის ადგილას. სხვა ქალი არაფრით არის უკეთესი იმაზე, ვინც გვერდით გყავთ. უბრალოდ, მასზე დაქორწინებული არ ხართ და „სხვანაირიც“ იმიტომ გგონიათ. დაიჯერეთ: გაცილებით მარტივია, გააბედნიეროთ ქალი, რომელიც თქვენ გვერდით ერთგულად ეწევა ჭაპანს და ბედნიერებაც ორმაგად დაგიბრუნდებათ უკან.

# მეყო მწუხარება!..

ზოგჯერ პრობლემები ერთმანეთს მიეწყობა ხოლმე და უსიამოვნებათა გრძელი ჯაჭვი იკვრება. მყარი ნერვები უნდა გქონდეს, რომ გაუძლო და დეპრესიაში არ ჩავარდე. დაიწყეთ იმით, რომ გაიღიმეთ. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქეთ და იფიქრეთ იმაზე, რომ სასწრაფოდ მიიღოთ ზომები. პირველ ყოვლისა, გააკონტროლეთ საკუთარი ემოციები. ეს ადვილი არ არის, თუმცა, შესაძლებელია. მაგალითად, დასაწყისისთვის შეეცადეთ, გაღიზიანებულმა არ წამოიყვიროთ ოჯახის წევრების შეურაცხმყოფელი სიტყვები. წარმოიდგინეთ, რომ პირი წყლით გაქვთ სავსე და ვერ გააღებთ მას. სხვათა შორის, ეკატერინე დიდსა და მარია მედიჩის ყოველთვის მზად ჰქონდათ ჭიქა წყალი სწორედ ამ მიზნისთვის – რამე შეუფერებელი რომ არ ეთქვათ, პირში წყალს იგუბებდნენ ხოლმე.

დაუკვირდით: წარუმატებელი დღეები მაშინ უფრო დამთრგუნველია, როცა მათ ამის საშუალებას აძლევთ. თუ სიცარიელის განცდა დაგეუფლებათ, მერე გაცილებით სერიოზული პრობლემები შეგექმნებათ. იფანტაზიორეთ: იფიქრეთ იმ ადამიანებზე, რომლებიც თქვენზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში არიან. არ არსებობს გადაუჭრელი პრობლემა, მით უფრო – ჯანმრთელი, ენერგიული ადამიანისთვის.

ნუ მოძებნით საკუთარ თავში წერტილს, რომელზეც „დუღილს“ დაიწყებთ. რისთვის გჭირდებათ? სწრაფად მოიხსენით დაძაბულობა და შეუდექით ბარემ საქმეს...

წუწუნი – არა! საკუთარი თავიც არ შეიცოდოთ. წუხილი – არა! მიიღეთ ბევრი პოზიტივი, თუნდაც სხვებისთვის კომპლიმენტების თქმით.

შეცვალეთ თქვენს ბინაში დეკორაცია. ადგილები შეუნაცვლეთ ნივთებს – თან გახალისდებით, თან დაკავდებით და წუხილისთვის დრო აღარ დაგრჩებათ.

# ჯობია, ჩუმად იყო!

იმედგაცრუება ურთიერთობისგან – ეს თითქმის ყველა ჩვენგანისთვის ნაცნობი თემაა. მაგრამ, ცოტამ თუ იცის, როგორ მოიქცეს, როცა ახალი ურთიერთობის დასაწყებად ემზადება. არსებობს რაღაც პრინციპები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია. მთავარია, არ ილაპარაკოთ ახალ პარტნიორთან იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა. რატომ უნდა მიაწოდოთ არასასურველი ინფორმაცია ძველი ურთიერთობების შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, სავსე იქნება შეცდომებით ადამიანს, რომელსაც გინდათ, რომ თავი საუკეთესო თვისებებით გააცნოთ?! მხოლოდ რომანტიკულ სერიალებში ხდება ისე, რომ საყვარელ ქალს მთელ განვლილ „წინა ცხოვრებას“ პატიობენ, თავისი „ჩრდილოვანი“ მხარეებითურთ.

კიდევ, მთავარია, არასდროს შეადაროთ ერთმანეთს ძველი და ახალი პარტნიორები – ფიქრშიც კი არ დაუშვათ ეს. იყავით მშვიდად და ჩუმად. ყველა კაცი, ისევე, როგორც ქალი, ნამდვილად არ არის ერთნაირი. ნურც ნურავის ჯიბრზე დაიწყებთ ახალ ურთიერთობას – ამაში ნეგატივი გაცილებით მეტია, ვიდრე პოზიტივი.

დაიწყეთ ყველაფერი სუფთა ფურცლიდან. ნუ ჩავარდებით უკიდურესობებში. განეწყვეთ სასიამოვნო სიახლეებისთვის და იფიქრეთ მხოლოდ მომავალ ბედნიერებაზე. თუმცა, სანამ „რევოლუციურ“ ცვლილებებზე წახვიდოდეთ, თანაც ამ ცვლილებებში სხვასაც ჩაითრევთ, დარწმუნდით, რომ სწორედ ეს გინდათ და მზადაც ხართ ამისთვის.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რა აკავშირებს მიხაილ გორბაჩოვთან ტარანტინოს „ჯანგოს" ვარსკვლავ კრისტოფ ვალცს და როგორ იხსენებს ის „უსახელო ნაბიჭვრებზე" მუშაობას

***2013 წლის „ოქროს გლობუსი" და ნომინაცია „ოსკარის" დაჯილდოებაზე – ეს ყველაფერი ტარანტინოს მორიგ ფილმში მონაწილეობის დამსახურებაა. კრისტოფ ვალცი საკულტო რეჟისორის საფირმო მსახიობად იქცა და, იმედია მათი თანამშრომლობა კიდევ არაერთ ფილმში გაგრძელდება. მანამდე კი ჰოლივუდის ვარსკვლავად ქცეული ავსტრიელი მსახიობის შესახებ გავრცელებულ ცნობებს გავეცნოთ.***

* კრისტოფ ვალცი დაიბადა 1956 წლის 4 ოქტომბერს, ვენაში. კრისტოფი კინემატოგრაფისტების ოჯახში იზრდებოდა: მისი მშობლები, იოჰან ვალცი და ელიზაბეტ ურბანჩიჩი, კოსტიუმების მხატვრები იყვნენ, ბებია და ბაბუა – მსახიობები, ხოლო დიდი ბაბუა თეატრში მუშაობდა. მეორე ბაბუა (დედის მამა) კი რუდოლფ ფონ ურბანი გახლდათ – ფსიქიატრი და ფსიქოლოგი. კრისტოფს პროფესიული სამსახიობო განათლება აქვს მიღებული, მან დაამთავრა მაქს რაინჰარდტის სახელობის თეატრალური სემინარი, ვენის მუსიკისა და თეატრის უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი და ლი სტრასბერგის ინსტიტუტი ნიუ-იორკში. თავისი კარიერა მან ციურიჰის, ვენისა და ზალცბურგის ყოველწლიური საზაფხულო თეატრალური ფესტივალის სცენებზე დაიწყო, სადაც უამრავ წარმოდგენაში ძირითადად მეორეხარისხოვანი როლების შესრულებით იყო დაკავებული.



* 70-იანი წლების ბოლოდან კრისტოფი პოპულარულ გერმანულ სატელევიზიო სერიალებში თამაშობდა. მას ძირითადად დეტექტიური ჟანრის ფილმებში იწვევდნენ, მაგალითად, ცნობილ ტელესერიალში „კომისარი რექსი". ასევე, მას რამდენიმე მხატვრულ ფილმშიც („ეკატერინე დიდი", „აღმოსავლეთის ექსპრესი", „მოხუცი მაიმუნი" და სხვა) ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, მაგრამ, კინომოყვარულებისა და კინოკრიტიკოსებისთვის იგი მუდამ შეუმჩნეველი რჩებოდა.

* კრისტოფ ვალცი გერმანიაში მცხოვრებ ქართველ რეჟისორთან – დიტო ცინცაძესთან თანამშრომლობდა. ცინცაძემ „ოსკარის" ლაურეატი ათამაშა თავის გერმანულენოვან თრილერში – „როდესაც საშიშია სროლა," სადაც, ასევე, ერთ-ერთი როლი ქართველმა გერმანისტმა და ისტორიკოსმა, დიტო ცინცაძის გერმანული ფილმების ფავორიტმა მსახიობმა ლაშა ბაქრაძემ შეასრულა.

* კრისტოფ ვალცი ასე იხსენებს „უსახელო ნაბიჭვრების" ქასთინგზე მისვლას: „ყველაფერი ქასთინგის აგენტის სატელეფონო ზარით დაიწყო, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება. ჰოლივუდური სტუდიის წარმომადგენლები გერმანელ მსახიობებს ძირითადად იმიტომ ურეკავენ, რომ შემდგომში გერმანული მთავრობისგან სუბსიდიები მიიღონ. ჩემთანაც არაერთხელ დაურეკავთ, თუმცა, შემდგომში არანაირი როლი არ მოუციათ, მაგრამ, ამჯერად, პიროვნებამ, რომელიც მესაუბრა, შეძლო ჩემი დარწმუნება. შემდეგ ფოსტით ფილმის სცენარი მომივიდა, რომლის წაკითხვისას დავრწმუნდი, რომ საქმე სერიოზულად იყო. უნდა ვაღიარო, თავდაპირველად ვიფიქრე, რომ სულ სამრეპლიკიან როლს შემომთავაზებდნენ, მაგრამ, როდესაც პირადად შევხვდი კვენტინს და მისგან მოვისმინე, რომ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი უნდა მეთამაშა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან, ეს იყო შანსი, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა".

* „სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, კვენტინ ტარანტინომ მე ჭაობიდან ამომიყვანა და მსოფლიო კინოს ოლიმპზე ამიყვანა," – ეს სიტყვები ავსტრიელ მსახიობ კრისტოფ ვალცს ეკუთვნის, რომელმაც ტარანტინოს ბლოკბასტერში „უსახელო ნაბიჭვრები" ყველაზე დასამახსოვრებელი და საკულტო პერსონაჟი – „ესესის" შტანდარტენფიურერი ჰანს ლანდა განასახიერა. ცნობისთვის, ჰანს ლანდა რეალური ადამიანი იყო, ავსტრიელი ემიგრანტი, რომელიც ხშირად მიდიოდა ვიდეოგაქირავების სალონში, სადაც კვენტინ ტარანტინო მუშაობდა. ლანდას თითქმის ყოველდღე მიჰქონდა ფილმები, ერთ დღეს კი, როდესაც იგი არ მივიდა, ტარანტინომ შეიტყო, რომ ძველი ფილმების მოყვარული ჰანს ლანდა გარდაცვლილი იპოვეს. წლების შემდეგ ტარანტინომ ამ გზით მიაგო პატივი ნამდვილ ჰანს ლანდას.

* „მიმაჩნია, რომ ჰანს ლანდა არის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და წარმატებული გმირი, რომელიც კი ოდესმე შემიქმნია ან შევქმნი მომავალში. კრისტოფი თითქოს დაბადებული იყო ამ როლისთვის... სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ არ ყოფილიყო ისეთი მსახიობი, როგორიც არის კრისტოფ ვალცი, ფილმი „უსახელო ნაბიჭვრები" არ გამოვიდოდა," – კვენტინ ტარანტინომ ეს კომენტარი ჟურნალისტებთან კანის კინოფესტივალზე „უსახელო ნაბიჭვრების" პრემიერის შემდეგ გააკეთა და იმ დღიდან კრისტოფ ვალცის მშვიდ ცხოვრებაში გადატრიალება მოხდა. საინტერესოა, რომ ჯერაც უცნობია, თუ ვინ ურჩია ან სად ნახა კრისტოფ ვალცი ტარანტინომ პირველად, რადგან „უსახელო ნაბიჭვრების" სცენარი თითქმის რვა წლის განმავლობაში მუშავდებოდა და დაამტკიცეს მხოლოდ ვალცის აღმოჩენის შემდეგ, რომელიც როლზე პირველივე მოსმენის შემდეგ დაამტკიცეს.

* „უსახელო ნაბიჭვრებში" განსახიერებული ჰანს ლანდას როლის შემდეგ კრისტოფ ვალცით უამრავი პროდიუსერი და რეჟისორი დაინტერესდა. 2010-2012 წლებში მან ფინანსურად მომგებიან არაერთ ფილმში ითამაშა მთავარი როლები: „მწვანე ონავარი", „წყალი სპილოებისთვის", „მუშკეტერები", სადაც მან კარდინალ რიშელიეს როლი შეასრულა და რა თქმა უნდა, „გათავისუფლებული ჯანგო" – ფილმი, რომლისთვისაც ის მეორედ წარადგინეს „ოსკარზე."

* სპაგეტი-ვესტერნის ჟანრში ფილმის გადაღებას კვენტინ ტარანტინო ჯერ კიდევ 1990-იანი წლების ბოლოდან გეგმავდა. ის ათი წლის განმავლობაში მუშაობდა სცენარზე, რომელიც 2011 წელს დაასრულა და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ფილმზე. კრისტოფ ვალცი ერთ-ერთი პირველი მსახიობი იყო, რომელიც ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სცენარით დაამტკიცეს როლზე. ვალცმა კინგ შულცის – გერმანელი დანტისტის როლი განასახიერა, რომელიც ძებნილ ბოროტმოქმედებზე მონადირედ გადაკვალიფიცირდა.

* „იუთუბიზე" დიდი პოპულარობით სარგებლობს კრისტოფ ვალცის ვიდეორგოლი „ტროლოლო", სადაც მან ცნობილი საბჭოთა რუსი მომღერლის – ედუარდ ჰილის ვოკალის პაროდია გააკეთა.

* კრისტოფ ვალცს ჰყავს სამი შვილი პირველი ქორწინებიდან. მისი ექსმეუღლე ებრაელია და შვილები იერუსალიმში ცხოვრობენ, მათ შორის უფროსი ვაჟი სინაგოგაში რაბინად მსახურობს. კრისტოფის მეორე ცოლი კოსტიუმების მხატვარი ჯუდიტ ჰოლსტია, რომელთანაც კრისტოფს მცირეწლოვანი გოგონა ჰყავს.

* კრისტოფი თავისუფლად ფლობს გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს და „უსახელო ნაბიჭვრებში" და „გათავისუფლებულ ჯანგოში" სამივე ენაზე საუბრობს. ვალცი თავად ახმოვანებს თავის გმირებს, როდესაც ფილმების პრემიერა გერმანიაში ხორციელდება. სხვათა შორის, ვენაში დაბადებული ვალცი ავსტრიის მოქალაქე მხოლოდ 2010 წელს გახდა, მანამდე მას გერმანიის მოქალაქის პასპორტი ჰქონდა.

* კრისტოფ ვალცი ერთადერთი მსახიობია კვენტინ ტარანტინოს ფილმოგრაფიიდან, რომელიც „ოსკარის" ლაურეატი გახდა.

* ახლო მომავალში კინოეკრანებზე ინგლისელი მაიკ ნიუელის ფილმი – „რეიკიავიკი" გამოვა, სადაც კრისტოფ ვალცი საბჭოთა კავშირის პირველ პრეზიდენტ მიხაილ გორბაჩოვს ასახიერებს. ამ ფილმში ვალცის პარტნიორი მაიკლ დუგლასი იქნება, რომელიც ამერიკის პრეზიდენტს რონალდ რეიგანს ასახიერებს. 2013 წელს კრისტოფის მონაწილეობით კიდევ ერთ ფილმს იხილავს მაყურებელი – ეს არის ტერი გილიამის „ზეროს თეორემა", სადაც ვალცის პარტნიორები მეთ დეიმონი, ტილდა სუინტონი და ბენ უიშოუ იქნებიან.

**უშანგი რუხაძე**




## ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია

**ამზადებს სხვადასხვა პროფილის კადრებს:**

1. ტურიზმი, გიდი (I, II, III, IV საფეხური); 2. ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) (II, III, IV, V საფეხური); 3. კორესპონდენტი (III საფეხური); 4. მუსიკოს-რეპეტიტორი (V საფეხური).

**მიღების მოთხოვნები:**

ოთხივე სპეციალობისთვის აუცილებელია საბაზო, საშუალო ან არაფორმალური განათლების აღიარება, გასაუბრება უცხოურ ენაში; წინა საფეხურის დიპლომი; გიდისა და ინტერნეტტექნოლოგის IV და მუსიკოს-რეპეტიტორის V საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატი ზოგად უნარებში (2005 წლიდან დღემდე).

ყოველ საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

სწავლა ახალი ნაკადისათვის დაიწყება ა/წ 4 თებერვალს.

**დირექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

საბუთების მიღება ყოველდღე 10.00-17.00 საათამდე.

**საჭირო საბუთები:**

1. ატესტატი (დედანი); 2. ოთხი ფოტოსურათი 3/4; 3. პირადობის მოწმობა.

## თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი

*აცხადებს ლიცენზირებულ დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად მიღებას (მობილობის წესით), შემდეგ სპეციალობებზე:*

1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა;
5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი (ინფორმატიკა).

**ორივე სასწავლებლის შესახებ ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა # 47. ტელ: 2-93-66-03; 599-18-89-24; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24.**

**ყველასთვის კარგად ნაცნობი აჩი ფურცელაძე ბოლო წლების განმავლობაში კარიერას მოსკოვში განაგრძობს. პროექტი „რუსეთის ხმა” მისთვის ნამდვილად წარმატებული აღმოჩნდა. მართალია, „რუსეთის ხმა” ქართველი ვერ გახდა, მაგრამ მისმა ცნობადობამ საგრძნობლად იმატა და ბევრი თაყვანისმცემელიც გაიჩინა რუსულ შოუ-ბიზნესში. ჩვენი რესპონდენტი ამჟერად თბილისშია და ცდილობს, ის პერიოდი, რომელსაც აქ ატარებს, მაქსიმალურად გამოიყენოს – და ყველა ის ადამიანი ნახოს, ვინც მისთვის ძვირფასი და ახლობელია.**

# რა ათწლიანი ოცნება უსრულდება აჩი ფურცელაძეს და რატომ არის მისთვის ძალიან ძნელი უცხოეთში ქართველობა

**– რამდენხნიანი განშორების შემდეგ ესტუმრე თბილისს?**

– შარშან თითქმის სამ თვეში ერთხელ ჩამოვდიოდი თბილისში: ხან ქორწილი იყო ვიღაცის, ხან – ნათლობა, ხან მეჯვარე ვიყავი და ასე შემდეგ. რომ ვამბობდი, თბილისში მივდივარ-მეთქი, უკვე ხუმრობდნენ – უეჭველი ვიღაცის ქორწილი ან ნათლობააო. ამჯერად ჩემი დედიკოს დაბადების დღისთვის ჩამოვედი. ამ დღეს ყოველთვის მასთან ერთად ვარ. ჩამოვედი და კონცერტიც გამიკეთა ლევან ქოქიაშვილმა. ძალიან კარგი, ყოჩაღი და აზრზე მოსული ტიპია. ვატყობ, ჩვენ მომავალშიც ვითანამშრომლებთ.

**– „რუსული ხმის” კონკურსში მონაწილეობის შემდეგ რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში? ისიც მახსოვს, როცა ინტერვიუ ჩავწერეთ პროექტის მიმდინარეობის დროს, საკუთარი პროგნოზი გააკეთე: მთავარია 3 ეთერი მქონდეს და მერე უკვე იმედიც აღარ მაქვს, რადგან, მოსკოვში „ესემესების” საკმარის რაოდენობას მაინც ვერ დავაგროვებო. შენი პროგნოზი გამართლდა.**

– „ვოისის” შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. მიხარია, რომ ჩემი პროგნოზი გამართლდა და სტრატეგიულმა გეგმამ გაამართლა.

**– გაცილებით ცნობილი სახე გახდი მთელ რუსეთში.**

– თბილისური მომენტი გამიმეორდა, ქუჩაში ავტოგრაფების აღება და ფოტოების გადაღება. ეს ყველაფერი „ვოისამდე” არ მქონია. „კომედი კლუბის” რადიოშიც დავიწყე მუშაობა. კორპორაციული კონცერტებიც მაქვს უკვე საკმაოდ ბევრი, „ვოისის” რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად. მოსკოვში, როგორც ასეთი, კონცერტები ძალიან იშვიათად ტარდება, ძირითადად, ყველა კლუბებში დადის, დაბადების დღეებზე, ქორწილებში და ასე შემდეგ. აი, იქ კეთდება ფულიც და სახელიც. მაგას რა ჯობია, ყოველდღე თუ დაბადების დღეზე და ქორწილში ხარ და თან ფულს აკეთებ! ღმერთმა მიმრავლოს ასეთი დაბადების დღეები. აშკარად მეყო მადლობაზე სიმღერა. ასე რომ, ამ ეტაპზე კორპორაციულების რაოდენობამ მძლავრად იმატა. იმ დონეზე მივედი, დირექტორი მყავს, რომელიც ყველაფერს განაგებს; თან, ჩემი დირექტორი არის ჩემი გოგო, რომელიც ძალიან მიყვარს. რაღა სხვაგან წავიდეს ფული, ბარემ ოჯახში დარჩეს ყველაფერი! თანაც, ამ სფეროში აზრზე მოსული გოგოა.

**– გამოდის, რომ აჩი ფურცელაძემ სასურველი ქალი იპოვა.**

– გაია მართლა ჩემი სასურველი ქალია ყველანაირი გაგებით, უბრალოდ არ მღერის. დამთავრებული აქვს მოსკოვში, ძალიან სერიოზული უნივერსიტეტი – „მგიმო,” ფიარის განხრით. უდიდეს ჰოლდინგში მუშაობდა, ტელევიზიებში გაიას გარეშე არ აცმევდნენ წამყვანებსა და მსახიობებს. ჟურნალებში წერდა რეცენზიებს და ასე შემდეგ. იმ პერიოდშიც კი ახერხებდა ჩემს მოვლას, ახლა კი, რომ აღარ მუშაობს, მთლიანად ჩემზეა გადმოსული.

**– სადაურია?**

– ქართველია. თბილისშია დაბადებული, სკოლა და უნივერსიტეტი კი მოსკოვში აქვს დამთავრებული.

**– რა გვარია?**

– ხაჩიძე. ოთხ ენაზე ლაპარაკობს: ქართულად, რუსულად, ინგლისურად და ესპანურად. პოლიგლოტი გოგო მყავს. გაიას კიდევ ერთი პლუსი ის არის, რომ თარჯიმნის როლში არ მიწევს ყოფნა, როცა ქართველები ვართ ერთად – ეს პრობლემაც მოხსნილი მაქვს. გაია ძალიან კომუნიკაბელურია, უცებ „აყომარებს“ სიტუაციას და უცებ ისეთი ჯიგარი და ძმა ხდება, აჩი აღარავის ახსოვს. ყველაფერი ერთად აქვს: არის მხიარული, ენერგიული, იუმორი ჭარბად...



მიდის ცხოვრება, მთავარია, მივყვე დინებას და არ დავიწყო გინება

**– არაექვიანი...**

– გმადლობთ, ექვიანია! რაღაცაში მაინც ხომ არ უნდა გამმართლებოდა.

**– ურთიერთობა რა ფაზაშია?**

– წელიწადზე მეტია, ერთად ვართ და, რეალურად, ეს ყველაფერი უკვე ლოგიკური დასასრულისკენ მიდის. ყოველთვის მინდოდა, ახალგაზრდა მამა ვყოფილიყავი, მაგრამ, ვერ „გავქაჩე“, რადგან, უკვე 33 წლის ვარ. ვფიქრობ, 34-35 წლამდე აუცილებლად უნდა მქონდეს მამის სტატუსი. იმედია, ეს ასეც მოხდება. რა ვიცი, მიდის ცხოვრება და, მთავარია, მივყვე დინებას და არ დავიწყო გინება.

**– გამოდის, რომ შენს დაოჯახებას მალე გავიგებთ.**

– კი, გენაცვალე. სულ ვფიქრობდი, ჩემი ქორწილი როგორი იქნებოდა. წარმომედგინა დიდი კონცერტი, გართობა და კარგი დროსტარება. ახლა კი ძალიან დავიღალე ამაზე ფიქრით; მე მირჩევნია რა თანხაც ქორწილის გადახდას დასჭირდება, იმ თანხით სადმე კარგ ადგილას წავიდეთ სამოგზაუროდ, გაიას კი ძალიან უნდა ქორწილის გადახდა. მოკლედ არ ვიცი, რას ვიზამთ, შევთანხმდებით.

**გაია ძალიან კომუნიკაბელურია, უცებ „აყომარებს“ სიტუაციას და ისეთი ჯიგარი და „ძმა“ ხდება, აჩი აღარავის ახსოვს**

**– არის კიდევ სასიამოვნო კარიერული სიახლე შენს ცხოვრებაში.**

– 2012 წლის ივლისში „ნე პარას” ბიჭი წავიდა ჯგუფიდან და დარჩა გოგო. ამიტომ, ჯგუფი ფაქტობრივად, გაჩერებულია. ამ პერიოდის განმავლობაში „ჩუმი” ქასთინგი ჰქონდათ რამდენჯერმე. „ვოისის” შემდეგ კი ჩემზე შეაჩერეს ყურადღება. სადაც ვმუშაობ, „კოქტეილ ბარში,” თავზე დამადგნენ ჯგუფის პროდიუსერი, ფინანსური დირექტორი და კიდევ ვიღაცეები. ვისაუბრეთ და შევთანხმდით ყველაფერზე. ახლა იმაზე მიდის ლაპარაკი, რომ ჯგუფის ძველი სიმღერები ვისწავლო და ახლებზეც ვიმუშაოთ. ჯერ „ვოისთან” მაქვს კიდევ მოქმედი კონტრაქტი, რომლის თანახმად, სამი თვის განმავლობაში არავისთან ხელის მოწერის უფლება არ მაქვს. მარტის დასაწყისში კონტრაქტს ვადა გასდის და მერე უკვე ოფიციალურად მოვაწერ ხელს „ნე პარას” კონტრაქტს.

**– გავიგე, აჩი და ლეონიდ აგუტინი ძალიან დამეგობრდნენო.**

– ლონია ცხოვრებაშიც ძალიან მაგარი კაცია და ჩემთან ურთიერთობაშიც. არ მეგონა, ასეთი კარგი ტიპი თუ იქნებოდა. ყოველი ტურის შემდეგ ლონია თავის ბავშვებთან ერთად, ვინც პროექტში რჩებოდა და ვინც ვარდებოდა, ყველასთან ერთად მიდიოდა და „ტუსაობდა“. მოკლედ ყოველი ტურის შემდეგ ყველას ეფერებოდა. მე რომ გამოვეთიშე პროექტს, მაშინაც წაიყვანა თავისი გუნდი და მეც „ტიომნად” გამომძახა – ჩემთან ერთად მოდიხარო. თან, ქართულ რესტორანში წავედით. გაგიჟდნენ, რომ დამინახეს და, ვითომ ხუმრობით თქვეს, სხვა გუნდშია, ჩვენთან რა უნდაო. ლონიამ უთხრა: თქვენ ხომ ჩემები ხართ, მაგრამ, აჩიც ჩემიაო. ძალიან მაგარი ტიპია ურთიერთობაში. ზუსტად ვიცოდი, რომ, სხვას რაც არ უნდა ექნა კონკურსზე, მაინც აჩის დაასახელებდა.

**– ბევრმა ისიც თქვა, აჩის აგუტინი რომ აერჩია პელაგიას ნაცვლად, უფრო დიდხანს იქნებოდა პროექტშიო.**

– ჰო, მაგრამ, დიდი-დიდი, ერთი ტურით მეტი თუ ვიქნებოდი, ანუ – „ესემესებამდე,” მერე ველარ მიშველიდა ლონია. სიმართლე გითხრა, არც ერთს გული არ დაგვწყვეტია ამაზე, რადგან იქ არ დამთავრებულა ჩვენი ურთიერთობა. რომ ჩავალ, აუცილებლად შევხვდებით. ამასობაში სოსო პავლიაშვილიც გამოჩნდა ასპარეზზე და დუეტის ჩაწერა შემომთავაზა, რაც ჩემი ათი წლის ოცნება იყო. ქორწილში ვიყავით ერთად, იქ მოვილაპარაკეთ და ახლა უნდა ჩავწეროთ დუეტი, რა მაგრები ვართ – ეს, ქართველების ამბავში.

**– მოსკოვში, როგორც ვიცი, 8 თებერვალს ბრუნდები.**

– ვერ გავარკვიე ბოლომდე. ქართველები ხომ მაგარი უცნაური ერი ვართ. პიტერში რაღაც კონცერტი უნდა ჩატარდეს, ორგანიზატორებს შორის შუამავალი ქართველია. მთლად ამ ბიჭის ბრალი არ არის, მაგრამ ვერა და ვერ გადაწყვიტეს, მე ვუნდივარ თუ არა. ანუ, „ვოისიდან” სამი კაცი უნდა ვიყოთ, მაგრამ, ვერ დაადგინეს, აწყობთ თუ არა ფასები. 10 თებერვალს გასამგზავრებელი ბილეთი მაქვს, მაგრამ თუ გადაწყდა ამ კონცერტში ჩვენი მონაწილეობა, მაშინ, 7-ში წავალ.

**– მოკლედ, ბევრი კარგი გეგმა გაქვს.**

– გეგმები გვაქვს, კორპორაციულები გვაქვს, კონცერტები გვაქვს, ახლა უკვე – „ნე პარაც.” თან, „ნე პარას” ბიჭი აფხაზი იყო და უკვე თემაა: აფხაზი წავიდა, ქართველი მოვიდა და, აქედან პოლიტიკური, მუსიკალური და ყველა გაგების ბომბი გასკდება. „ა სტუდიოს” და ქეთას არ ვედრები, მაგრამ, „ნე პარას” მერე უკვე ცნობილი ჯგუფის ცნობილი ტიპი ვხდები.

**– საქართველოდან ძალიან ბევრი ადამიანი გგულშემატკივრობდა „ვოისის” მიმდინარეობის დროს და ეს „ფეისბუქზეც” იგრძნობოდა.**

– ძალიან დიდი მადლობა ყველას. სულ ვამბობ, უცხოეთში ქართველობა ძალიან რთულია, მით უმეტეს იქ, სადაც ძალიან ბევრნი ვართ. რატომ?! ჩემდა სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ქართველს ქართველზე მეტი მტერი არასდროს ჰყოლია. რატომღაც, შურის მომენტი მაინც არის და, ერთი სული აქვთ, ერთმანეთს ფეხს როდის დაუდებენ. ქვეყნის გარეთ, ქართველებში მხოლოდ სვანები არიან ერთმანეთის გამტანები. ჩემთვის ის არის მთავარი, ჩემი საქმე კარგად ვაკეთო და იმითაც გავიხარო, რომ თქვენ გაიხარებთ.

**მარიკა ხიდურელი**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

5 თებერვალი, **სამშაბათი** 19.45 - **„გაუმარჯოს ბუშონს!"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: იოსებ ბაკურაძე. მონაწილეობენ: გაგი სვანიძე, ნიკოლოზ ქაცარიძე, ქეთი სვანიძე, ზუკა პაპუაშვილი; კომედია. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. დრამა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

7 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„შეშლილი სამყარო"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი: ნინო ლიპარტიანი. მონაწილეობენ: ნანუკა ხუსკივაძე, თათული დოლიძე, მანანა აბრამიშვილი, დარეჯან ხარშილაძე, რუსუდან მაყაშვილი, ზურა ინგოროყვა. ტრაგიკული ფარსი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

8 თებერვალი, **პარასკევი** 19.45 - **„პრინცი ჰომბურგი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი; დრამა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 თებერვალი, **შაბათი** 19.45 - **„კაცია-ადამიანი?!"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორები: რობერტ სტურუა, ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: დავით დარჩია, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ჟანრი ლოლაშვილი, ტრისტან სარალიძე, დავით უფლისაშვილი, დარეჯან ხარშილაძე, ნანუკა ხუსკივაძე. ტრაგიკომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

10 თებერვალი, **კვირა** 12.00 - **„პატარა უფლისწული"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი თოდაძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, ლელა ახალაია, ირაკლი გრძელიშვილი, ბაჩი ლეჟავა, მამუკა ლორია, რუსუდან მაყაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, ირაკლი სანაია, ტრისტან სარალიძე; ფილოსოფიური ზღაპარი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

10 თებერვალი, **კვირა** 19.45 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ტრაგიკომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

5-6 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 20.00 - **„აგნუს დეი"** - პრემიერა „მოცარტი და სალიერი" და „ეგვიპტის ღამეები"-ს მიხედვით (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: დავით ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, გაგა შიშინაშვილი, შაკო მირიანაშვილი, ჯანო იზორია, დათო ბელთაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

7 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„სევილიელი დალაქი"** - თოჯინების საოპერო თეატრი „აწკალა" - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებალიშვილი, მარიამ ავალიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

7-8-9 თებერვალი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„ჰამლეტი"** - პრემიერა - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი: თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 3სთ. 30წთ.;***

8 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„ქალი ძაღლით"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნატა კახიძე, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

10 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„ნაფტალინი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: გურანდა გაბუნია, ნინაკა გელაშვილი, თემურ კილაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, იოსებ გოგიჩაიშვილი, ალექსანდრე გეწაძე, მაია ტატიშვილი, ბექა გოდერძიშვილი, ზაზა გოგუაძე, ვაჟა კვიტაიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

5 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 12 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

6 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„რვა მოსიყვარულე ქალი"** - (ბილეთის ფასი - 5, 7, 10 ლარი), რეჟისორი: მაია ჩართოლანი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ლალი ბადურაშვილი, ანი ზამბახიძე, ნინო კიკაჩეიშვილი, მაია ხორნაული, სალომე ჭულუხაძე, ფიქრია ნიქაბაძე, ანა მღებრიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

7 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 5, 7, 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

8-9 თებერვალი, **პარასკევი-შაბათი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ.;***

10 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„კავკასიური ცარცის წრე"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 4სთ.***

## მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

6-7 თებერვალი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 19.00 - **„ჩვენი პატარა ქალაქი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, მზია არაბული, კოკო როინიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, ნატალია შენგელაია, ნინო ჩხეიძე, ნიკა წერედიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, დარეჯან ხაჩიძე, დარეჯან ჯოჯუა, ბექა ჯუმუტია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

8 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„ბაკულას ღორები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, რამაზ იოსელიანი, ლაურა რეხვიაშვილი, გვანცა გურგენიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, გიორგი ყიფშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

9 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„იკაროსი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი. მონაწილეობენ: ანრი ბიბინეიშვილი, რეზო თავართქილაძე, ანა მატუაშვილი, ნატო შენგელაია, ნიკა წერედიანი, ბექა ჯუმუტია, ანა-მარია გურგენიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

10 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„სამეფო ოჯახი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ქეთი დოლიძე. მონაწილეობენ: ლია კაპანაძე, ნინელი ჭანკვეტაძე, რამაზ იოსელიანი, ქეთი ასათიანი, პაატა ბარათაშვილი, დარეჯან ჯოჯუა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

7 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წარღვნა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ გაჩავა. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ვასილ შიხაშვილი, ანდრო სარიშვილი, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

8 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„შავი კედები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ ტყემალაძე, ანა მატუაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, სალომე წურწუმია, მამუკა მაზავრიშვილი, იმედა ნატროშვილი, კოტე მჟავია, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

9 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, ზურაბ წიკლაური. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

10 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: შალვა ბახტაძე, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

7-8 თებერვალი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„გაყრა"** - ვოდევილი - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ყველაშვილი, ლაშა რამიშვილი, ცისია მეტრეველი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, გოგა მოძმანაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინა ჯოხაძე, შორენა კურტანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9-10 თებერვალი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ქავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

8 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„ევრიდიკე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორები: ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზაროვა. მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, მერაბ ჩხეიძე, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, თათია გაბედავა, ანი თალაკვაძე, სალომე მიქაძე, ზურა გაბუნია. ***2 მოქმედებად; ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

9 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ფრანგული გარნირი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო დოლონაძე, სალომე მიქაძე, გიორგი ჭუმბურიძე, სალომე ლაფერაძე, სალომე წურწუმია, ზურაბ გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

10 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„ჭკუისა მჭირს"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: ნიკა გიორგაძე, მაკა ძაგანია, კახა გოგიძე, ვასიკო ოდიშვილი, დათო გიგოლაშვილი, სოსო მჭედლიშვილი, ლევან მამნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

9 თებერვალი, **შაბათი** 18.00 - **„მოჰკალ მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი. მონაწილეობენ: ირინა მეღვინეთუხუცესი, ვალერი ხარიუტჩენკო. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.;***

10 თებერვალი, **კვირა** 12.00 - **„ჩიპოლინო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: ჯემალ სიხარულიძე, მიხეილ არჯევანიძე, ვალენტინა ვოინოვა, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

7, 10 თებერვალი, **ხუთშაბათი, კვირა**20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

8 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

9 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 4 თებერვალი

06.30 დ/ფ "ანატოლიის გარგარი" 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 "მოამბე" 10.30 "დილის საუბარი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "ადამიანი — პლანეტა" 17.00 "სპიკერი" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ"**სისხლი და ვარდი**" 21.00 ტ/სერ 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 "ევერესტი – ორმაგი გასროლა" 00.00 "საფარი" 01.00 მხ/ფ "**როკენროლა**".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. "**იღბლიანი მოახლე**" 11.20 სერ. "**უკვდავი ამბავი**" 12.20 დოკ.ფილმი: ჰოლივუდის წყვილები 1 სერ. 13.00 სერ. "**გაქცევა – 4**" 14.40 სერ. "**24 – 4**" 15.40 სერ. "**დამალული სიმართლე**" 17.50 სერ. "**თილისმა**" 18.50 სერ. "**სახიფათო ვნება**" 21.00 სერ. "**მარტოსული**" 22.00 მხ/ფ "**სულების სახლი**" (ჯ.აირონსი) 01.00 სერ. "**ღვინის გზა**" 01.45 მხ/ფ "**იტალიური ისტორია**" (ა.ბონი) (ტიტ.) 04.15 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" 11.00 სერ. "**იდუმალი ქალი**" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერ. "**ვნების უფსკრული**" 18.45 სერ. "**მგზნებარე გული**" 20.05 სერ. "**ღირსება და ამბიცია**" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.05, 0.30 თოქ-შოუ "არგუმენეტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

08.30, 02.15 საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" 09.00 დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 10.30 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" 11.30, 14.30, 17.30, 22.30, "დრო" 11.50 სერ. "**დედოფალი და კარდინალი**" 12.50 სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" 15.00 სერ. "**სკოლის მეგობრები**" 16.00 დ/ფ "ხიროსიმა" 16.30 სერ. "**სიამაყე**" 17.10 მუსიკა 18.00 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" 19.00 მუსიკა 19.30 ანონსი 19.35 სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" 21.00 სერ. "**ქალი კამელიებით**" 23.00 მხ/ფ "**სასიკვდილო ზონა**" 00.45 მხ/ფ"**გასული ზაფხული**".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.45 მხ/ფ "**თვალი პატიოსანი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 22.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ "**იავნანა**" 13.25 კონცერტი-პლაჩიდო დომინგო 14.50, 18.20, 22.30, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი "**ბნელ ოთახში**" 16.50 დოკ/ფ "ველური ბუნება" 17.15 დოკ/ფ "კვიპროსი,გზა იერუსალიმისკენ" 18.10 ტელეზღაპარი 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**უცხო**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ "სარფი მოლენა" I ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები "ქართულ-ებრაული ურთიერთობები" გად.III 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

## სამშაბათი 5 თებერვალი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.20 "მოამბე" 10.30 "დილის საუბარი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" 17.00 "საფარი" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ "**რესტავრატორი**" 21.00 ტ/სერ 22.00 "აქცენტები" 23.30 მხ/ფ "**ლუდის ფესტივალი**" 01.40 დ/ფ "ჩირლიდერები".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. "**იღბლიანი მოახლე**" 11.20 სერ. "**უკვდავი ამბავი**" 12.20 დოკ.ფილმი: ჰოლივუდის წყვილები 2 სერ. 13.00 სერ. "**გაქცევა – 4**" 14.40 სერ. "**24 – 4**" 15.40 სერ. "**დამალული სიმართლე**" 17.50 სერ. "**თილისმა**" 18.50 სერ. "**სახიფათო ვნება**" 21.00 სერ. "**მარტოსული**" 22.00 მხ/ფ "**მხსნელი**" (ნ.კინსკი) 00.15 სერ. "**ღვინის გზა**" 01.00 მხ/ფ "**საშიში ბავშვები**" (ბ.უილისი) 02.55 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" 11.00 სერ. "**იდუმალი ქალი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ."**ვნების უფსკრული**" 18.45 სერ. "**მგზნებარე გული**" 20.05 სერ. "**ღირსება და ამბიცია**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 "ნანუკას შოუ" 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.05, 0.30 თოქ-შოუ "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

08.30, 01.35 საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" 09.00 დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 10.30 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები 11.30, 14.30, 17.30, 20.30 "დრო" 11.50 სერ. "**ქალი კამელიებით**" 12.50 სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" 14.00 "ერთი დღე სოფელში" 15.00 სერ. "**სკოლის მეგობრები**" 16.00 დ/ფ "ხიროსიმა" 16.30 სერ. "**სიამაყე**" 17.10 მუსიკა 18.00 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" 19.00 მუსიკა 19.30 ანონსი 19.35 სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" 21.00 სერ. "**ქალი კამელიებით**" 22.30 "მთავარი დღეს" 23.30 მხ/ფ "**ტრამვაი სახელად სურვილი**".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 სპექტაკლი "**ბნელ ოთახში**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "სარფი მოლენა" I ნაწ. 11.00 საღვთისმეტყველო საუბრები 11.30 დრო და ტრადიციები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ "უცხო" 13.20 კონცერტი-ელისო ბოლქვაძე 14.50, 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 კონცერტი-ჯუმბერ ჯანდიერი 17.35 აქტუალური თემა 18.10 ტელეზღაპარი 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 21.30 შარავანდედი (გად. 6) 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ "სარფი მოლენა" II ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი.

გაგრძელება 44-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**4 – 10 თებერვალი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00 - **„ცელქი ბავშვები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
16.00, 18.00, 20.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.15 - **„ჯანგო”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.15 - **„კაცების კინო”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
16.15, 18.15, 20.00 - **„ცელქი ბავშვები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

13.00, 15.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
17.00, 22.30 - **„ანა კარენინა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
19.30 - **„ჯანგო”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30, 17.00, 20.00 - **„ჯეკ რიჩერი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 15.15 - **„ჯანგო”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*
22.15 - **„ჯეკ რიჩერი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.30, 17.00 - **„ჯეკ რიჩერი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
15.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
20.00, 22.30 - **„ანა კარენინა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 20.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
14.00 - **„ცელქი ბავშვები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
16.00 - **„ანა კარენინა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
18.20 - **„ზღაპრული სამყარო”** 3D
22.30 - **„ჯეკ რიჩერი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო”**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 18.00 - **„ჰოლივუდი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*
14.00, 16.00, 20.00, 22.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*
(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

**მწერალი და პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე, უკვე წლებია, ამერიკაში ცხოვრობს, მას ხშირად უწევს სხვადასხვა ქვეყანაში წასვლა-წამოსვლა, საქართველოშიც ჩამოდის ოჯახის, მეგობრების მოსანახულებლად. ის მეუღლესთან, იურისტ ანა დოლიძესთან ერთად, წავიდა, ამერიკაში საცხოვრებლად. პატარა ანდრია ამერიკაში მოევლინა ქვეყანას. ახლა ის ხუთი წლისაა. მოდი, ერთად გავიგოთ როგორ ცხოვრობს კაკაბაძეების ოჯახი საქართველოდან შორს.**

# ვისმა მკვლელობებმა გაუწყვიტა მოთმინების ძაფი ირაკლი კაკაბაძეს



**მთელი ღამე დავდიოდით ბრუკლინის ქუჩებში და გადმოგდებულ ავეჯს ვაგროვებდით, მერე ვაშალაშინებდით და ისე ვღებავდით, რომ წითელ ხეს დამსგავსებოდა. თუ წითელი ხე ღირდა 20–25 ათასი, ჩვენ 700–1000 დოლარად ვყიდდით და ასე ვმუშაობდით**

**– თქვენ და თქვენი მეგობრები ქართული საზოგადოების მეხსიერებას ქუჩის აქციებით შემორჩით – გამოხვიდოდით, იყვირებდით რაღაცას, დაგიჭერდნენ, გამოგიშვებდნენ, მერე ისევ დაგიჭერდნენ... აქტიური პატიმარი იყავით. დღეს როგორ გახსენდებათ ეს ყველაფერი?**

– პირდაპირ გეტყვით! ბევრი რამე აღარ მახსოვს კარგად. კი მახსოვს, რომ ჩემს მეგობრებთან მშვენიერი ურთიერთობები მქონდა და მაქვს. სააკაშვილთან კონფლიქტი მოგვივიდა ვარდების რევოლუციის შემდეგ, როცა ჯერ აირჩია ყოვლად უაზრო მილიტარისტული პოლიტიკა კონფლიქტების მოგვარების მაგივრად და მერე უკვე, როცა მისი „ვარდისფერი ტერორი“ დაიწყო. ჟვანიას სიკვდილის გამოძიება რომ არ მოხდა, ეს იყო პირველი განხეთქილება, ამას მოჰყვა გირგვლიანის მკვლელობა, მერე ვაზაგაშვილის და ამის მერე წაეწყო უბედურებები, რომელიც მიშას ერთპიროვნულმა მმართველობამ გამოიწვია.

**– რა შეცვალა ქვეყანაში თქვენმა საპროტესტო გამოსვლებმა? რას ფიქრობთ ამ გადასახედიდან?**

– ჩვენ მანამდე, უკვე 2003 წელს დავაარსეთ „ცვლილებების თეატრი“, არაჩვეულებრივ ქართველ რეჟისორ გიორგი სიხარულიძესთან ერთად. პოეტი და მსახიობი გიორგი ზანგურიც მონაწილეობდა მასში. აგრეთვე, ნინო ქათამაძე პირველ წარმოდგენაში ჩაერთო როგორც ჩვენი მეგობარი, მაგრამ ბოლოს მონაწილეობაც კი მიიღო. საერთოდ, პირდაპირ გეტყვით, რომ „ცვლილებების თეატრი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გარღვევა იყო ქართულ ხელოვნებასა და სოციალურ ცხოვრებაში ოცდამეერთე საუკუნის პირველ დეკადაში. ეს თავიდან, ცხადია აუგუსტო ბოალის ტექნოლოგიებით ხდებოდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, ინოვაცია განიცადა და გახდა მთლიანად ქართული, ავთენტური ფენომენი. მიხარია, რომ ახალ გეგმებს ვაწყობთ. განზრახული გვაქვს, დავდგათ ახალი პიესა – „კურაჟი კავკასიაში“, რომელიც ახლა დაიწერა და როგორც კი ჩამოვალ საქართველოში დავიწყებთ უკვე გიორგისთან ლაპარაკს, როგორ გავაკეთოთ.

**– როგორ აეწყო ამერიკაში თქვენი ცხოვრება, რა გიჭირდათ, რა გილხინდათ, რას ელოდით და რა მიიღეთ?**

– საერთოდ ძალიან მიჭირს ბურჟუა მენტალიტეტის გარემოში ცხოვრება. იქ თითქოს უდაბნოა. ეს ნარატივი ნელ-ნელა კლავს ადამიანს ადამიანში. თუმცა, ამერიკაში გამიმართლა, რადგან ჩემი და ანას აქ ჩამოსვლის დღიდან მომიწია ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, როგორებიც არიან: ლამარ ჰერინი, ალისონ ლური, რასელ ბენქსი, ჯერი ალენი, ბილი ქოლინზი, ედვარდ ჰოვერი, არიელ დორფმანი, დერეკ უოლკოტი, კატია ბოგინა, იანა ჯინი, ირინა პოპიაშვილი, ჯოდი დინი, მეტ კადანი და სხვები. ეს ამერიკის კონტრკულტურის სასუნთქი წყარო, ელიტაა, თორემ ბიურგერულ გარემოში უაღრესად უბედური ვარ, ისევე როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, რომელსაც კაპიტალიზმი ახრჩობს. მატერიალურად ჩემს ცხოვრებაში არასდროს ყოფილა ისეთი პერიოდი, როცა ბევრი მქონდა და ალბათ, არც არასდროს იქნება, მაგრამ ამას სულაც არ განვიცდი. მთავარია, არ გამოიხუთოს ადამიანის შემოქმედებითი სული და არ გახდე ბურჟუა-მომხმარებელი.

**– რა სიძნელეები გამოიარეთ, თუნდაც მატერიალური თვალსაზრისით? ასე იოლია კარგად ცხოვრება მოგინდეს, ერთ დღეს ადგე, სადაც გინდა წახვიდე და იცხოვრო?**

– რა თქმა უნდა, ბევრი სიძნელე გამოვიარეთ და ახლაც ხელმოჭერილად ვცხოვრობთ. პირველი ჩემი სამუშაო იყო მაღაზიაში – გამყიდველს ვეხმარებოდი, არეულ ტანსაცმელს ვალაგებდი. ასეთი წესია – გაჩერებული არ უნდა გნახონ. ახლა თავისუფალი ვარ? – რომ ვკითხავდი მენეჯერს, მეტყოდა – არა, თავად არიე და თავადვე დაალაგეო. მერე ერთ პატარა ბარში მღებავად ვიყავი, წითელი ხის იმიტაციები იყიდებოდა. კარგი ქართველი კაცი, სამწუხაროდ, ტრაგიკულად დაიღუპა. მან მოგვაწყო რამდენიმე ადამიანი. იქ იციან, როცა ადამიანს ავეჯი აღარ უნდა, გარეთ დგამს და ვისაც უნდა მას მიაქვს. მთელი ღამე დავდიოდით ბრუკლინის ქუჩებში და ამ გადმოგდებულ ავეჯს ვაგროვებდით, მერე ვაშალაშინებდით და ისე ვღებავდით, რომ წითელ ხეს დამსგავსებოდა. თუ წითელი ხე ღირდა 20-25 ათასი, ეს 700-1000 დოლარად ყიდდა და ასე ვმუშაობდით. სხვათა შორის, ნაგვის გამტანადაც მიმუშავია. მაღალ კორპუსებში დავდიოდით და ქვემოთ ჩამომქონდა, 17 კაცი ვმუშაობდით სულ. დორმენადაც მიმუშავია – სასტუმროს შესასვლელში რომ დგას კაცი.

**ძალიან მიჭირს ბურჟუა მენტალიტეტის გარემოში ცხოვრება. იქ თითქოს უდაბნოა. ეს ნარატივი ნელ-ნელა კლავს ადამიანს**

**– მახსოვს, ანაც საკმაოდ აქტიური იყო როგორც თავის საქმეში, ისე შენთან ერთად საპროტესტო გამოსვლებში, ხშირად აკეთებდა ტელევიზიით კომენტარებს. სწორედ ამ დროს შეიცვალა მისი პირადი ცხოვრება. გაშორდა მეუღლეს და უცებ გამოაცხადა, რომ ძალიან დიდი ხანია გიყვარდათ ერთმანეთი, გადაწყვიტეთ, ერთად იცხოვროთ, მაგრამ არა საქართველოში. გავიდა წლები. როგორი გახდა თქვენი ცხოვრება, რა შეიცვალა?**

– ანა ახლა უკვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერებათა დოქტორია და ვესტერნ ონტარიოს უნივერსიტეტში ტენუარის შემოთავაზება მიიღო, რაც უდიდესი წარმატებაა მისი ასაკის ახალგაზრდა მკვლევრისთვის. ორივენი უნივერსიტეტებში ვასწავლით. მე ვასწავლი ხელოვნებისა და სოციალური ცხოვრების სინთეზს და ანა – საერთაშორისო სამართალს. ჩვენი შვილი, ანდრო 5 წლისაა.

**– აქ რომ დარჩენილიყავი, რას ფიქრობ, როგორ გაგრძელდებოდა შენი ცხოვრება და არის რამე ისეთი, რაც არ გაკმაყოფილებს?**

– რა თქმა უნდა, ყოველთვის რაღაც ახლის და კრეატიულის გაკეთება გინდა ადამიანს. ახლაც მაქვს გეგმები. ვნახოთ, რა იქნება. ის კი მიხარია, რომ გამომცემლობა „საბა“ ელექტრონულად გამოსცემს ჩემს ბოლო წიგნს „მარგინალური ბოდვები“, რომელიც 2008-2010 წლებში დავწერე. ეს არის პოლიფონიური წიგნი, რომელიც პარალელურად რამდენიმე ენაზეა დაწერილი. მასში გამოყენებულია კალამიც და საბეჭდი აპარატურაც (ანუ კომპიუტერი) – ცნობიერების ნაკადისა და ფაქტების ერთობლიობაა და არის დოკუმენტური ხასიათის სურათები. ეს ახალი ჟანრის, ოცდამეერთე საუკუნის ლიტერატურაა, რომელიც თავისი არსით უპირველესად, ელექტრონულია. თუმცა, შეგიძლია, ჰარდ კოპით ამობეჭდო. პოლიფონიური დისკურსი დღევანდელობის მოთხოვნაა მთელ მსოფლიოში – დღეს ჩვენ უნდა გადავაბიჯოთ მონოფონიას ჩვენს ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც. უკვე ბევრი ხმაა გასაგონი ერთდროულად და ამიტომაც არის აუცილებელი, მრავალხმოვანი მიდგომა, რომელიც ქართულ ხალხურ სიმღერას დიდი ხანია, აქვს. იგივე ბახტინის გავლენაც არის ამ ტიპის ხელოვნებაზე. ჩემი საქართველოში ყოფნის პერიოდში 2003-2006 წლებში ამ მხრივ რამდენიმე კომპოზიტორთან ერთად ვმუშაობდი. ესენი არიან: ირაკლი ჩარკვიანი, ქეთათო, გოგი ძოძუაშვილი და სალომე კორკოტაშვილი. ჩემი ტექსტები თითოეულ მათგანს გამოყენებული აქვს. დიდი ტრაგედია იყო ირაკლის გარდაცვალება. იმ დროს ჩვენ უკვე ვთანამშრომლობდით და არაერთი კარგი იდეა გვქონდა. ჩვენს ერთად ჩაწერილ ალბომს, იმედი მაქვს, მალე იხილავს ქართველი მსმენელი. ქეთათოსთან ერთად სხვა რეჩიტატივებიც გვაქვს გაკეთებული. აგრეთვე, ვთანამშრომლობ დუდანა მაზმანიშვილთან მუსიკალურ ლექციების კურსზე.

**– სიმართლე გითხრა, როცა გავიგე, ქუჩის თეატრი დააარსე, ვიფიქრე, ილუზიონისტობა ან ჟონგლიორობა დაიწყო-მეთქი.**

– აუგუსტო ბოალის დამსახურება ძალიან დიდია იმაში, რომ ჩვენ ქუჩის თეატრის საქმიანობაში ჩავებით. გიორგი სიხარულიძემ მასთან მასტერკლასიც გაიარა ლონდონში, თუ არ ვცდები, 2004 ან 2005 წელს. მე ეს ვერ მოვახერხე. უკვე მერე, 2008 წელს, ჩემი პიესა – „კანდიდატი ჯოყოლა“ წამოაყენეს „ფრიდამ თუ ქრიეით“ პრემიაზე და ბოალი ამ პრემიის გადამცემ კომისიაში იყო. სრულიად მოულოდნელად, მომივიდა ბოალის იმეილი კორნელის უნივერსიტეტში, რომ მას აინტერესებდა, ჩემთან ემუშავა „კანდიდატი ჯოყოლას“ ბრაზილიაში დასადგმამად. ეს ჩემთვის უდიდესი პატივი იყო. მაგრამ, საუბედუროდ, ბოალი 2009 წლის მაისში გარდაიცვალა. ჩვენ კი გავაგრძელეთ მისი გზა და მის მეთოდოლოგიას ახალი ელემენტები დავამატეთ. კორნელის უნივერსიტეტის თეატრის პროფესორ ბურს ლევიტთან ერთად, ახალი მეთოდოლოგია შევქმენით და ამაზე ქრისჩენ მადერამ პატარა დოკუმენტური ფილმიც გადაიღო, – „ტრაგედიის ხელახლა გააზრება“.

**ეკა პატარაია**

# კერძი „გემრიელი საუზმე“










**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი გაყინული, ნახევრად ფენოვანი ცომი, 1/2 თავი ხახვი, 1 ცალი საშუალო ზომის პომიდორი, 200 გრამი ხორცის ფარში (საქონლის ან შერეული), 150 გრამი მაგარი ყველი, პილპილი, მარილი, სუნელები – თქვენი გემოვნებით, ცოტა ფქვილი.

**მომზადების წესი:** სანამ ცომი გალღვება, გახეხეთ ყველი, ხახვი და პომიდორი დაჭერით ნახევარრგოლებად. ფარშში ჩაუმატეთ მარილი, პილპილი და სუნელები. ცომი გაყავით ექვს კვადრატად და გააბრტყელეთ დაახლოებით 10X10 ზომაზე. ფორმას წაუსვით ცოტა ცხიმი და მოაყარეთ ფქვილი. ცომის „თეფშებზე“ შუაგულში პირველ ფენად მოათავსეთ ცოტა ყველი, შემდეგ – ხახვი (მწვანე ხახვიც შეიძლება). ხახვზე ზემოდან მოათავსეთ ფარში და ზედაპირი მოუსწორეთ (ძალიან გემრიელია ბეკონითაც, რომლითაც ჩაანაცვლებთ ფარშს; ან – ძეხვითა და სოსისით).

ფარშს ზემოდან დააწყვეთ პომიდვრის ნაჭრები, ისევ მოაყარეთ ყველი და ცომს ნაპირები ლამაზად შემოუკეცეთ, ყვავილის ფოთლებივით.

გამოაცხვეთ 180 გრადუსზე, 20 წუთის განმავლობაში. უგემრიელესია.

გურმანთა მეგზური

# წიწილა სოუსში










**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ან 1,5-კილოგრამიანი ქათამი (გაყინული უკეთესია), 2 თავი ხახვი, 1 ცალი წითელი ბულგარული წიწაკა, 2 კბილი ნიორი, 100 გრამი ნიგოზი (50 გრამი ნუში ან 50 გრამი თხილი), 2 სადილის კოვზი ფქვილი, მარილი, შავი პილპილი, 2 ცალი კვერცხი, 1 ნაჭერი პური, 50 მილილიტრი ზეითუნის (ან სიმინდის) ზეთი, 100 მილილიტრი ღვინო, ცოტა კუბიკის ბულიონი.

**მომზადების წესი:** ქათამი დაჭერით ულუფებად, ამოგანგლეთ ფქვილში და შებრაწეთ ზეთში. ღრმა ტაფაში ან ქვაბში ჩაასხით ზეთი და მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი. ჩაუმატეთ დაჭრილი ბულგარული, ნიორი, შემწვარი ქათმის ნაჭრები, დაასხით ბულიონი და შუშეთ ოცი წუთის განმავლობაში.

ცალკე მოამზადეთ სოუსი: კარგად დანაყეთ ნიგოზი, დაუმატეთ კუბიკებად დაჭრილი შებრაწული პური, მოხარშული კვერცხის გული, ღვინო და კარგად აზილეთ. ცოტა ბულიონიც დაუმატეთ, რომ ერთგვაროვანი მასა მიიღოთ. ეს მასა ჩაასხით ქვაბში, ჩაუმატეთ მარილი და ადუღეთ დაბალ ცეცხლზე 15 წუთი.

სუფრაზე მიიტანეთ ქათმის ნაჭრები, ცხელ სოუსთან ერთად. მორთეთ მოხარშული კვერცხის ცილის ნაჭრებით.

# მაკარონი სოკოთი







**საჭირო ინგრედიენტები:** 1 შეკვრა მაკარონი (ნიჟარების ფორმის), 1 თავი ხახვი, 2 ცალი წითელი ბულგარული წიწაკა, 700 გრამი ქამა სოკო, 400 გრამი მაგარი ყველი, 1 პატარა ქილა ტომატ-პასტა, 1 კონა წვრილად დაჭრილი ოხრახუში, 1 ჩაის კოვზი მუსკატის კაკალი (დაფქული), 400 გრამი ლორი, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** მაკარონი მოხარშეთ მარილიან მდუღარე წყალში (არ ჩახარშოთ). ლორი, სოკო და ბულგარული წიწაკა დაჭერით კუბიკებად, ხახვი – ძალიან წვრილად, ყველი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე, ფხვიერი ყველით უკეთესი გამოდის.

ცხელ ტაფაზე დაყარეთ ხახვი და წითელი ბულგარული წიწაკა და შუშეთ 5 წუთი თავდახურულ ტაფაში. დაუმატეთ ოხრახუში, დაფქული მუსკატის კაკალი, ტომატ-პასტა, მარილი და პილპილი და კიდევ შუშეთ, სანამ ცოტა არ ჩაშრება.

დაუმატეთ დაჭრილი ლორი. შემდეგ შეურიეთ ყველის მთლიანი მასის ნახევარი და შუშეთ ყველის ჩადნობამდე – 2-3 წუთი. გამოსაცხობ ტაფაზე მოათავსეთ მაკარონი, შემდეგ სოკოს ფარში და ზემოდან მოაყარეთ დარჩენილი გახეხილი ყველი. გამოაცხვეთ 15-20 წუთის განმავლობაში.




# კივის დესერტი

**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი სქელი ნაღები, 100 გრამი ნადუღი, 2 სადილის კოვზი შაქრის პუდრი, 5 გრამი ვანილის შაქარი; 2 ჩაის კოვზი ყავა, 0,5 ჭიქა მდუღარე წყალი, 1 ჩაის კოვზი შაქარი და 4 ცალი კივი.



**მომზადების წესი:** ყავას და შაქარს დაასხით ცხელი წყალი, კარგად მოურიეთ და გააცივეთ. ნადუღი დააბლენდერეთ და შემდეგ შეათქვიფეთ 1 სადილის კოვზი შაქრის პუდრი, ნელ-ნელა დაუმატეთ ვანილი, ცალკე გათქვეფილი ნაღები და 5 წუთით შედგით საყინულეში, რომ გამაგრდეს. გაცივებული კრემი სპეციალური ხელსაწყოთი მოათავსეთ ფორმებში, შიგადაშიგ ჩაუმატეთ ყავა, ზემოდან კი დაჭრილი კივის ნაჭრები დააწყვეთ.



# ანანასის სადღესასწაულო სასმელი

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი პატარა ანანასი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 100 მილილიტრი ანანასის წვენი, 200 მილილიტრი დაბალპროცენტიანი ნაღები და ცოტა გამდნარი კარამელი.

**მომზადების წესი:** ანანასი გაფცქვენით და დაჭერით პატარა ნაჭრებად. დააყარეთ შაქარი, დაასხით ანანასის წვენი, მოხარშეთ და შემდეგ გააცივეთ. ცივი ანანასის მასა დააბლენდერეთ, ზემოდან კრემის ხელსაწყოთი დაუმატეთ ნაღები, მოასხით გამდნარი კარამელი და გადაანაწილეთ ჭიქებში.

# საქონლის ხორცი ბოსტნეულითა და ღვინით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი საქონლის ხორცი, 4 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 2 ცალი პომიდორი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 3-4 კბილი ნიორი, 200 გრამი მშრალი წითელი ღვინო, 150 გრამი ზეთი, ნახევარ-ნახევარი კონა ქინძი, ოხრახუში, კამა და რეჰანი, 1 სადილის კოვზი სახამებელი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით მოზრდილ ნაჭრებად. ტაფა გააცხელეთ, დაასხით ზეთი, მოაყარეთ მარილი, პილპილი, ზედ დააწყვეთ ხორცის ნაჭრები და შეწვით ყველა მხრიდან. იმავე ცხიმში მოშუშეთ ალყა-ალყად დაჭრილი ხახვი და თხელ რგოლებად დაჭრილი სტაფილო, შემდეგ გადაიტანეთ სქელძირიან ჭურჭელში, დაუმატეთ კანგაცლილი, მსხვილად დაჭრილი პომიდორი, ბულგარული წიწაკა, წვრილად დაჭრილი ნიორი და ხორცის ნაჭრები. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაკეპილი მწვანილი, მოასხით ღვინო და წამოადუღეთ, შემდეგ დაუმატეთ იმდენი მდუღარე წყალი, რომ ხორცი დაფაროს, დაახურეთ თავსახური და დაბალ ცეცხლზე ხარშეთ დაახლოებით 50 წუთის განმავლობაში. 3/4 ჭიქა ცივ წყალში გახსენით სახამებელი და ნელ-ნელა შეურიეთ კერძს, თან ურიეთ. ხარშეთ 7 წუთის განმავლობაში.

**ნინა ფოცხიშვილი**: 13 წლის ვარ, სკოლაში ვსწავლობ, მერვე კლასში. დედა ამერიკაშია. მე მამასთან, ბებოსთან და 10 წლის დასთან ერთად ვცხოვრობ აქ. მამა ფიზიკოსი და ბიზნესმენია, დედა – ეკონომისტი. ერთმანეთი ჩინეთში გაიცნეს. დედა ჩინელია, მამა იქ სამუშაოდ იყო წასული, შექმნეს ოჯახი და ასე დავიბადეთ მე და ჩემი და. უფრო სწორად, მე მექსიკაში დავიბადე, მექსიკის მოქალაქე ვარ. ჩინეთში რომ დავბრუნდით, მაშინ დედა ჩემს დაზე იყო ფეხმძიმედ. ჩემი და ჩინეთში დაიბადა და მერე მამამ ორივე საქართველოში წამოგვიყვანა. 3 წლის ვიყავი, თბილისში რომ ჩამოვედი და მას შემდეგ აქ ვცხოვრობ და ვიზრდები.

– **როგორ იზრდებოდი თბილისში?**

– ბებო მზრდიდა, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს, ჩემთვის ყველაფერია. სამი წლიდან ძიძები კი მზრდიდნენ, მაგრამ ბებო მაინც ყველაფერი იყო, დედასავით მიყვარს. მამა, მიუხედავად იმისა, რომ სულ დაფრინავს ბიზნესის გამო, რა თქმა უნდა, მაინც ყველაფრის საქმის კურსშია. საკმაოდ მკაცრია, მაგრამ ძალიან მანებივრებდა.

– **დედასთან ურთიერთობა არ გაქვს?**

– დედასთან მქონდა კონტაქტი, მაგრამ ისეთი არა, როგორც დედა-შვილს და ერთ ოჯახს შეეფერება. იშვიათად ვლაპარაკობდით. ახლაც მწერს ხოლმე, მაგრამ იშვიათად, ადრე უფრო ხშირი ურთიერთობა გვქონდა.

– **იცის შენი წარმატებების შესახებ?**

– კი, იცის. ძალიან უხარია და ეს მეც მიხარია.

– **მექსიკაში კიდევ თუ ხარ ნამყოფი?**

– იმის მერე არ ვყოფილვარ, დედა უნდა ჩამოვიდეს, რომ პასპორტის პრობლემა მომიგვაროს. ჯერ ვერ ვახერხებ საქართველოდან გასვლას. ასე რომ არ იყოს, მეც იქ ვიქნებოდი, სადაც მამაჩემია. ამ მხრივ ჩვენს ოჯახს მომავლისთვის დიდი გეგმები აქვს. მაგრამ, ჯერ არ ვიცი, ზუსტად რა როგორ იქნება. სასწავლებლად, ალბათ, წავალ.

– **სამოდელო კარიერის გაგრძელებასაც აპირებ?**

– არ მინდა, მოდელი გავხდე. უფრო სწორად, არ მინდა, 35 წლისაც მოდელი ვიყო. ვიმოდელებ, მაგრამ ჩემი საქმეც მექნება. ეს კი უფრო გართობა იქნება. პროფესიას რაც შეეხება, უფრო ფიზიკა, მათემატიკა მიტაცებს, ანუ ტექნიკური საგნები. კომაროვშიც ვაპირებდი ჩაბარებას, მაგრამ მერე გადავიფიქრე. ტექნიკური საგნები კარგად მესმის. ალბათ, ეს უფრო გენეტიკურია – ფიზიკას, მათემატიკას ადვილად ვიგებ.

– **როგორი ცხოვრების სტილი გაქვს, სამოდელო საქმეების გამო დატვირთული ხარ?**

– სკოლაში დავდივარ, რომელიც 9 საათზე მეწყება და საღამოს 6 საათზე მთავრდება. გადაღებები 2-ზე, 3-ზე. 4-საათზე მქონდა, მამა, ამ მხრივ, ძალიან მკაცრია. თავადაც მოწესრიგებულია და სხვებისგანაც ამას ითხოვს. მაგრამ, ზოგჯერ აუცილებელი იყო სკოლის გაცდენა და სხვა გზა არ მქონდა.

**13 წლის ნინა ფოცხიშვილი თავისი განსხვავებული იერითა და მშვენიერი გარეგნობით უცებ გახდა თბილისში პოპულარული. ამჟამად ის სკოლაში სწავლობს, პარალელურად, მღერის და სამოდელო კარიერასაც ეწევა. პოდიუმზე მისი დებიუტი „თბილისი ფეშენ-ვიქზე" შედგა, სადაც პროფესიონალი მოდელივით გამოვიდა და ყველას მოხიბვლა შეძლო. ნინას დედა ჩინელია, მამა – ქართველი, თავად მექსიკაშია დაბადებული, მაგრამ 3 წლიდან საქართველოში ცხოვრობს.**

# რა აღიზიანებს ყველაზე მეტად ნინა ფოცხიშვილს და რატომ არის ის მექსიკის, ხოლო მისი და - ჩინეთის მოქალაქე

– **როცა რამე გინდა, ალბათ, შენებურად უდგები მამას.**

– კი, ჩემი მეთოდები მაქვს, ამაში უკვე „დასპეცებული" ვარ და ისიც უძლურია. პატარაობიდან ძალიან მათამამებდა, მაგრამ ახლა ჩემს დას იმდენად ათამამებენ, ხანდახან ნერვები მეშლება. 10 წლის არის და ყველგან უშვებენ, მე კი სახლში მტოვებენ. მისი ტოლი რომ ვიყავი, მაღაზიაშიც არ მიშვებდნენ მარტოს, თუ გამიშვებდნენ, მაღლიდან მიყურებდნენ: რამე არ მოხდესო. ჩემს დას კი კინოშიც უშვებენ. ეს მიხარია, მაგრამ ხანდახან ვბრაზდები ხოლმე.



დედასთან მქონდა კონტაქტი, მაგრამ ისეთი არა, როგორც დედა-შვილს და ერთ ოჯახს შეეფერება. იშვიათად ვლაპარაკობდით, ახლაც მწერს ხოლმე, მაგრამ იშვიათად, ადრე უფრო ხშირი ურთიერთობა გვქონდა

– **განსხვავებული გარეგნობის გამო, ალბათ, ხშირად მოხვედრილხარ სასაცილო სიტუაციაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართულად იწყებ საუბარს.**

– ბებია მეუბნებოდა ხოლმე: პატარა რომ იყავი და ეზოში ჩაგვყავდი, მთელი ეზოს ბავშვები შენ გარშემო იკრიბებოდნენ და გაკვირდებოდნენო. ჩემი გარეგნობის გამო, ახლაც ვხვდები სასაცილო სიტუაციებში, თან, ისეთი გარეგნობა არ მაქვს, რომ სუფთა ჩინელს ვგავდე. ამიტომ, ზოგს კორეელი ვგონივარ, ზოგს – იაპონელი. ჩემს ზურგს უკან ლაპარაკს უკვე მიჩვეული ვარ. სამი სკოლა მაქვს გამოცვლილი და საკმაოდ ძნელი იყო, რადგან თავიდან ყველა უცნაურად მიყურებდა, ყველაფერი აინტერესებდათ. ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, ინგლისურად რომ მიწყებენ ლაპარაკს. ინტერნეტშიც სხვადასხვა გვერდზე რაღაცეებს წერენ: ქართველი არ არის, მხოლოდ ქართული გვარი აქვს, თორემ ჩინელია და ასე შემდეგ. ასეთ რაღაცეებზე საერთოდ არ ვღიზიანდები, უწყინარი ადამიანი ვარ.

– **როდის დაიწყე მოდელობა?**

– პატარაობიდან ვმღერი, ნუცა ჯანელიძის მოსწავლე ვარ. რამდენიმე წლის წინ „ნუცას სკოლაშიც" მოვხვდი. მანამდე „ბასტი ბუბუშიც" ვმღეროდი, გამოვდიოდი სცენაზე. 10 წლის რომ ვიყავი, მაშინაც მქონდა რაღაც შემოთავაზებები. მამაც სულ მეუბნებოდა, წადიო, მაგრამ ახლა აღარ უნდა. პირველად ფოტო ქეთა გვინეფაძემ გადამიღო. ძალიან კარგი გამოვიდა, არადა, ჩვეულებრივი ფოტოები იყო: უმაკიაჟოდ, ფოტოშოპის გარეშე, ზემოდან შავი მაისური მეცვა. ისიც კი არ ვიცოდი, როგორ უნდა მეპოზიორა. მერე იყო სხვა გადაღებები, ეს ფოტოები „ფეისბუქზე" დაიდო და სამოდელო სააგენტოებიდან წამოვიდა შემოთავაზებები. მამასაც ვკითხე და გამიშვა, რადგან მიხვდა, რომ გამომდის ეს საქმე. ახლა უკვე უხარია. ამჟამად სააგენტო „ნატალიში" ვარ, წელს პირველად „თბილისი ფეშენ-ვიქზე" გამოვედი. ცოტა მეშინოდა, რადგან პოდიუმზე ჩემი პირველი გამოსვლა იყო. მეუბნებიან: ნიჭი გაქვს, შინაგანად მოგდევსო. თან, სააგენტოშიც ახალი მისული ვიყავი და ძალიან გამიხარდა, „ფეშენ-ვიქისთვის" რომ შემარჩიეს.

– **ნოდიკო ტატიშვილის ახალ კლიპშიც გადაგიღეს.**

– კი, ეს მანამდე იყო და ძალიან გამიხარდა.

– **სიმღერის ჩაწერასაც ხომ არ აპირებ?**

– ჯერჯერობით არა. თუმცა, გამიგია, რომ უნდათ ჩემი სიმღერის ჩაწერა, მაგრამ ჯერ არ ვიცი ზუსტად. ცოტა ხანში, ალბათ, ამ კუთხითაც გავაკეთებ რამეს.

– **ამ ყველაფერმა შენი ცხოვრების ტემპი თუ შეცვალა?**

– შემოდგომაზე ვიყავი ძალიან დატვირთული, თითქმის ყოველდღე მქონდა გადაღებები. ისეთი კარგი გადაღებები გამოვიდა, არც დავღლილვარ, პირიქით, მსიამოვნებდა. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, მათ გარეშე არსად დავდივარ. თუ თავისუფალი დრო მაქვს, მათთან ერთად ვატარებ. ძალიან მიყვარს სიარული. ლიზა ყენია არის ჩემი დაიკო, ძალიან მიყვარს. შოპინგებზეც ძალიან მიყვარს სიარული.

– **როგორი ბიჭები მოგწონს?**

– ბიჭი უნდა იყოს საყვარელი. ყველა გოგონას მოსწონს სიმპათიური ბიჭი, მაგრამ ბოლო დროს ბევრს ეს თავში აქვს ავარდნილი. დღეს არ არის ისეთი პერიოდი, კარგი ურთიერთობა რომ გქონდეს. ეს ცოტა რთულია. ამიტომ, მომწონს, როცა ბიჭი ჩვეულებრივია, უბრალო, საყვარელი და მასთან ურთიერთობა ადვილია. თუმცა, რთული ურთიერთობა უფრო საინტერესოა. ყველა გოგოს მოსწონს, როდესაც ბიჭს კარგი სუნი ასდის, კარგად აცვია, ყურადღებიანია. უფრო შავგვრემანი ბიჭები მომწონს, ქერათმიანები არა.

**ნათია უტიაშვილი**


საკვირაო ტრენინგ-კლუბი ბავშვებისთვის



დავეხმაროთ ბავშვებს სირთულეების გადალახვაში

219 50 03 577 54 00 69

www.idilia.ge



საჩუქარი მეთერთმეტე კლასელების, აბიტურიენტებისა და მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი 2010-ში"

სასწავლო ცენტრში – „პროფესიონალი 2010" საჩუქრები და სიურპრიზები გრძელდება!

მოემზადე სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი 2010-ში" საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დიდი ფასდაკლებით: მეთერთმეტე კლასელებისთვის 6 საგანი მხოლოდ 200 ლარად (4 – საატესტატო და 2 – ეროვნული გამოცდებისათვის).

აბიტურიენტებო! მოემზადეთ 3 საგანში ჩვენთან და მიიღეთ მეოთხე საგანი უფასოდ, საჩუქრად!

დიდი ფასდაკლება მოქმედებს მაგისტრატურაში ჩაბარების, უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების შესწავლის მსურველთათვისაც.

*იჩქარეთ! ადგილების რაოდენობა შეზღუდულია!*

მისამართი: ჭოველიძის №5 (ყოფილი ბელინსკი, რუსთაველის მეტროსთან). ტელეფონის ნომრები: 230-71-13; 555-63-48-01; 790-30-71-13; 595-20-62-62.

37-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 6 თებერვალი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 10.30 "დილის საუბარი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" 17.00 "გურმანია" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"რესტავრატორი"** 21.00 ტ/სერ 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 მხ/ფ **"სასიკვდილო იარაღი -2"** (მ.გიბსონი) 01.20 მხ/ფ **"დაჯავშნას არ საჭიროებს"** (ტიტ.) (კ.ზეტა-ჯონსი).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"უკვდავი ამბავი"** 12.20 დოკ.ფილმი: ჰოლივუდის წყვილები 3 სერ. 13.00 სერ. **"გაქცევა – 4"** 14.40 სერ. "24 – 4" 15.40 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ქ.მხ/ფ **"იდიოტოკრატია"** (კ.მიქიაშვილი) 00.30 სერ. **"ღვინის გზა"** 01.15 მხ/ფ **"ყველაფერი დედაჩემის შესახებ"** (მ.პარედესი) 02.55 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ.**"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ. **"ღირსება და ამბიცია"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (ს.2) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.05, 0.30 თოქ-შოუ "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

08.30, 02.40 საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" 09.00 დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 10.30 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 11.50 სერ.**"ქალი კამელიებით"** 12.50 სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** 13.50 "გალერეა" 15.00 სერ.**"სკოლის მეგობრები"** 16.00 დ/ფ "ხეროსიმა" 16.30 სერ. **"სიამაყე"** 17.10 მუსიკა 18.00 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" 19.00 მუსიკა 19.30 ანონსი 19.35 სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** 21.25 სერ.**"ქალი კამელიებით"** 23.00 "სცენა" 23.30 მხ/ფ **"ტანგო და ქეში"** 01.10 მხ/ფ **"მე მოვკალი"**.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.50 მხ/ფ **"ლომა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად. 6 11.00 დოკ/ფ "სარფი მოლენა" II ნაწ. 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-გია ყანჩელი 14.50, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ "პეტრიწონი" 16.45 კვირიაკე 18.05 ტელეზღაპარი 18.15 დეკორატიული ფლორა 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"სხვისი შვილები"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 იელოველთა სექტის სწავლების შეცდომები 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40, 23.15 დოკ/ფ "გამჭოლი მოქმედება" 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ჩემი მსახურის და"**.

## ხუთშაბათი 7 თებერვალი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 "მოამბე" 10.30 "დილის საუბარი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "სიცოცხლე" 17.00 "ჩვენი ფერმა" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"რესტავრატორი"** 21.00 ტ/სერ 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 თოქ-შოუ: "არენა" 00.00 მხ/ფ **"უდანაშაულობის პრეზუმფცია"** (ჰ.ფორდი) 02.20 დ/სერ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"უკვდავი ამბავი"** 12.20 დოკ/ფ ჰოლივუდის წყვილები 4 სერ. 13.00 სერ. "გაქცევა – 4" 14.40 სერ. **"24 – 4"** 15.40 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მხ/ფ **"მეტსახელად "მწმენდავი"** (მ.დაკასკოსი) 23.45 სერ. **"ღვინის გზა"** 00.45 მხ/ფ **"დედოფალი მარგო"** (ი.აჯანი) 03.10 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 კომედი შოუ 17.00 სერ.**"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ. **"ღირსება და ამბიცია"** 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.05, 0.30 თოქ-შოუ "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

08.30, 02.40 საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" 09.00 დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 10.30 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 11.50 სერ.**"ქალი კამელიებით"** 12.50 სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** 14.00 "სცენა" (გან.) 15.00 სერ. **"სკოლის მეგობრები"** 16.00 დ/ფ "ხეროსიმა" 16.30 სერ. **"სიამაყე"** 17.10 მუსიკა 18.00 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" 19.00 მუსიკა 19.30 ანონსი 19.35 სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** 21.25 სერ. **"ქალი კამელიებით"** 23.00 "პროექცია" 23.30 მხ/ფ **"ძღვენი"** 01.30 მხ/ფ **"სიხარულსა და გასაჭირ-ში"**.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ **"ჩემი მსახურის და"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "გამჭოლი მოქმედება" 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ **"სხვისი შვილები"** 13.20 კონცერტი-პავაროტის გახსენება 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 მხ/ფ **"ფატიმა"** 18.10 ტელეზღაპარი 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ლომა,დავიწ-ყებული მეგობარი"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20, 23.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ზესამე"**.

## პარასკევი 8 თებერვალი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 "მოამბე" 10.30 "დილის საუბარი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "ეგვიპტიდან" 17.00 დ/ფილ. 1) "ჩინეთის კულტურული მემკვიდრეობის სამკვიდრო"; 2) "შავი ელფების ისტორია" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"რესტავრატორი"** 21.00 ტ/სერ 22.00 "აქცენტები" 23.30 "წითელი ზონა" 00.30 ქართ. მხ/ფ **"ნარინჯის ველი"**.

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"უკვდავი ამბავი"** 12.20 დოკ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" 5 სერ. 13.00 სერ. **"გაქცევა – 4"** 14.40 სერ. "24 – 5" 15.40 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 სერ. **"ღვინის გზა"** 00.50 მხ/ფ **"რევოლვერი"** (რ.ლიოტა) 02.40 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 პროფილი 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ. **"ღირსება და ამბიცია"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე

14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.30, 0.30 თოქ–შოუ - "კვირის არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.40 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

08.30, 02.20 საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" 09.00 დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 10.30 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები 11.30, 14.30, 17.30, 20.30 "დრო" 11.50 სერ."ქალი კამელიებით" 13.00 "იმპულსი" 13.30 "პროექცია 15.00 სერ."სკოლის მეგობრები" 16.00 დ/ფ "ტაიმსლოტი" 16.30 სერ. "სიამაყე" 17.10 მუსიკა 18.00 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" 19.00 მუსიკა 19.30 ანონსი 19.35 სერ. "წყნარი ოკეანის მარგალიტი" 21.25 სერ. "ვნებიანი შურისძიება" 22.30 "მთავარი დღეს" 23.30 მხ/ფ "ფოსტალიონი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ "ბესამე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ "ლომა,დავიწყებლული მეგობარი" 13.20 კონცერტი-ჩვენებურები 14.50, 18.20, 23.15 ფოტ-ოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 მხ/ფ "მოკვეთილი" 18.10 ტელეზღაპარი 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "კეთილი ადამიანები" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ "წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო.

## შაბათი 9 თებერვალი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბ. ან/ფ "დენისი შობის მწვალებელი" 11.00 "ეთნოგრაფიული ნარკვევები" 11.30 საბ. ტ/სერ "პირველყოფილი" 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.20 "მოამბე" 12.30 ქართ. მოკ. მხ/ფ "მიქელა" 13.30 დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" 15.00 რაგბი. ერთა თასის გათამაშება: საქართველო – პორტუგალია (პ/რ) 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 "აღმოაჩინე საქართველო" 18.00 "ეტალონი" 19.00 "გურმანია" 22.00 "ელექტრონავტები" – ნომინაციები 23.00 "ახალი ქართული კინო" 23.30 დ/ფ "ხვალ" ზეგ" მაზეგ" (რეჟ: ზ. ინაშვილი) 00.30 მხ/ფ "კარგი გერმანელი" (ჯ. კლუნი).

08.00 ან/ფილმი: "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" 31" 09.00 მხ/ფ "სონედორი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. "ავატარი" 44" 12.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" 13.00 სერ. "აიქარლი" მე-17" 14.20 მხ/ფ "კაროლინა" 16.00 სერ. "გმირები – 4" 8 სერ. 17.50 სერ. "თილისმა" 18.50 სერ. "სახიფათო ვნება" 21.00 სერ. "მარტოსული" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ "88 წუთი" (ა.უიტი) 02.00 მხ/ფ "დამცველი" (დ.ლუნდგრენი) (ტიტ.) 03.25 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. "კლუბი" (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 შერეკილები 16.30 "ნანუკას შოუ" 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 20.05 სერ. "ღირსება და ამბიცია" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" (ს.2) 00.30 "Latin Angels" 01.00, 03.30 მხ/ფ.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 17.05, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20 უცხოეთის ამბები 9.30 კვირის არგუმენტები (გამ) 11.00 ყოველდღიური აბები (გამ) (პარასკ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 13.05 ყოველდღიური აბები (გამ) (ორშ) 14.05 ყოველდღიური აბები (გამ) (სამშ) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 ყოველდღიური აბები (გამ) (ოთხშ) 16.35 ყოველდღიური აბები (გამ) (ხუთშ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 1.30 სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 2.00 "პრეს-პრესი" 23.00, 3.30 "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 1.00 ახალი ამბების კოლაჟი.

08.30, 03.05 საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" 09.00 ანიმაცია 10.00 "დილის ტალღა" 12.00 "ფერისცვალება" 12.30 სერ."ჯეკი და ლოზიოს ხე" 13.30 დ/სერ. "დები ტრვისის სახლები" 14.30, 17.30, 20.30, 23.30 "დრო" 15.00 დ/ს "კონფიდენციალურობა" 16.00 სერ. "დინოტოპია" 17.00 დოკ/ფ "დიადი მუსიკა" 18.00 დოკ/ფ "ფოკუსის ისტორია" 19.30 ქართ. მხ/ფ "სპირალი 2" 21.20 სერ. "ვნებიანი შურისძიება" 23.00 "ერთი ცეკვის ისტორია" 23.30 მხ/ფ "ვირთხების რბოლა" 01.20 მხ/ფ "მდევარი".

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "ყველაზე,ყველაზე" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ "კეთილი ადამიანები" 13.35 ეთნოგრაფია 13.50 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.10 გივი მუნჯიშვილის 75 წლისთავი-სადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო 17.15 სატელევიზიო არქივიდან - შორეული ახლობელი "არსენალის მთა" 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 "კარაბადინი" 22.25 დოკ/ფ "სიმღერით დარჩებიან" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 ქართული კინოს ვარსკვლავები 01.15 დოკ/ფ "სინა".

## კვირა 10 თებერვალი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ/ფ "პატარა პრინცესა" 10.00 "ეტალონი" 11.00 "ჩვენი ექსპრესი" 11.30 საბ. ტ/სერ "პირველ-ყოფილი" 12.00, 14.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 მუსკომედიის თეატრის სპექტაკლი: "მარლენ დიტრიხი" 16.30 "ჩვენი ეზო" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 18.30 ნუნუ დუღაშვილი 20.00 მხ/ფ "დაძაბე გონება" (ს.კარელი) 22.00 ტ/სერ "ერთი სასიყვარულო ღამისთვის" 23.00 "აღმოაჩინე საქართველო" 23.30 "უცნობი მუსიკა" 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ "ოუშენის 12 მეგობარი" (ტიტ.) (ბ.პიტი).

08.15 ან/ფ "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" 33" 09.15 მხ/ფ "ტაქსი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" 13.00 მხიარული სტარტები 14.20 ქ.მხ.ფ."ისპაჰან-ბათუმი" 16.00 სერ. "გმირები – 4" 9 სერ. 17.40 იმედის გმირები 18.00 თამარ გვერდწითელი "საქართველოვ სიმღერა ჩემო..." 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" 23.00 რომ გადახვალ" გააჩერე 23.25 მხ/ფ "ბრიუგეში ჩარჩენილი" (რ.ფაინსი) 01.20 მხ/ფ "შავი ხვრელი" (დ.სელბი) (ტიტ.) 02.50 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. "კლუბი" (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 ეკი ვოკი 15.30 შერეკილები 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 20.05 სერ. "ღირსება და ამბიცია" 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი 01.00, 03.30 მხ/ფ.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 10.35, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.25, 4.25, 5.25, 6.25 უცხოეთის ამბები 10.00 ღია კარის დღე (გამ. წინა კვირის) 10.55 "პრეს-პრესი" (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 1.30 დისკუსია - სტუდია "რე" 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 23.00, 0.00, 1.00 ახალი ამბების კოლაჟი.

08.30, 03.05 საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" 09.00 ანიმაცია 09.30 "ფერისცვალება" 10.00 "დილის ტალღა" 12.00 სერ. "საიდუმლო აგენტები" 12.30 სერ."ჯეკი და ლოზიოს ხე" 13.30 მუსიკა 14.00 "ერთი ცეკვის ისტორია" 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 15.00 დ/ფ "კონფედენციალურობა" 16.00 სერ. "დინოტოპია" 17.00 დოკ/ფ "დიადი მუსიკა" 18.00 ხ/ფ "პოლიციის აკადემია 2" 19.30 "ერთი დღე სოფელში" 20.10 მუსიკა 21.15 სერ. "ვნებიანი შურისძიება" 23.00 "გალერეა" 23.30 მხ/ფ "მარსელის კონტრაქტი" 01.00 მხ/ფ "დევნილი".

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.35 გამოყენებითი ხელოვნება 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.15 ერთსულოვნების სალონი 13.10 დოკ/ფ "სიმღერით დარჩებიან" 13.40 "ჩვენი ტრაპეზი" 13.50 ქართული მულტფილმი 14.05 მოკ/ფ "სამი ამბავი ტელეფონით" 14.35 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 გზა, რომლითაც ვიარე 16.10 ქართული კინოს ვარსკვლავები 17.00 დრო და ტრადიციები "ქართულ-ებრაული ურთიერთობები" 17.25 საღვთისმეტყვე-ლო საუბრები 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.30 მხ/ფ "სამანიშვილის დედინაცვალი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.40 "კვირიაკე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 23.20 გაცოცხ-ლებული წარსული 23.40 დრო და ადამიანები 00.10 პატრიარქის ქადაგება 01.35 მხ/ფ "მაკენას ოქრო".

# რით ცდილობდა გიორგი სუხიტაშვილი გოგონებისთვის „კალგოტკებზე“ თვალის წასვლას და რაში გამოირჩეოდა ის განსაკუთრებული პროფესიონალიზმით

**„ადამიანმა ღირსება არასდროს არ უნდა დაკარგო. შეიძლება რაღაცეების კეთება გიწევს სხვადასხვა რამის გამო, მაგრამ შენი ქმედება თუ სხვის პრობლემებს იწვევს, ეს უკვე ღირსების საკითხია... ჩემი მეგობრები – ნოდიკო და სოფო მიდიან „ევროვიზიაზე“ და რაღაც საოცრება ხდება ჩვენი სფეროს დანარჩენი წარმომადგენლების მხრიდან. არაკოლეგიალური და არაერთგვაროვანი რეაქციები ჰქონდათ, რაზეც ძალიან მწყდება გული. ტელევიზიით სიუჟეტები ვნახე, ბეჭდურ მედიაშიც წავიკითხე რაღაცეები... შე მამაცხონებულო, ამ ღვარძლს თუ ვერ ინახავ, ჩუმად მაინც იყავი... ნოდიკოს და სოფოს მინდა წარმატება ვუსურვო, ხოლო ჩვენს კოლეგებს მეტი კოლეგიალობისკენ მოვუწოდო... „ჯეოსტარი“ ხომ დამთავრდა, მაგრამ ბევრ სხვა პროექტის მონაწილეს ისევ ყელში აქვს გაჩხერილი: რით ვერ დამთავრდა ეს „ჯეოსტარიო“. შენ უკეთესად გააკეთე ყველაფერი, ვინმე გიშლის?.. მაგრამ ძნელია, იმ ადამიანებს, ვინც ამ განცხადებებს აკეთებენ, პროფესიონალიზმი მოსთხოვო. სცენაზე დგომას მხოლოდ სმენა და ხმა არ სჭირდება, ბევრი ინტელექტიც უნდა“, – ასე დაიწყო, ჩემი და გიორგი სუხიტაშვილის საუბარი, რომლის აზრი, ბევრ საკითხთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესოა.**

**გიორგი სუხიტაშვილი**: 2 წელიწადზე მეტია, რაც თბილისის მერიის ბიგ-ბენდთან ვმუშაობ. ბიგ-ბენდი უმაღლეს სასწავლებლებში ხშირად ატარებს უფასო კონცერტებს და ეს თბილისის მერიის საჩუქარია, რომლის ბალანსზეც ვიმყოფებით. არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ ევროპის მასშტაბითაც სულ რამდენიმე ბიგ-ბენდი არსებობს და მათ შორის ჩვენიც. ბიგ-ბენდები ძირითადად იკრიბებიან და მერე იშლებიან. ჩვენ მზა პროგრამა გვაქვს და ვცდილობთ, საჩუქარი გავუკეთეთო სტუდენტებს, რადგან თბილისში ძირითადად, კონცერტები არ ტარდება, განსაკუთრებით კი უფასო, თუ რამე სარჩული არ აქვს. ბიგ-ბენდში ასაკობრივი ზღვარი ძალიან ვრცელია: ახლახან მოგვივიდა „ფლეიტისტკა“, ძალიან საყვარელი გოგო და ყველაზე უხუცესი კი ჩვენს შორის დაახლოებით 84 წლამდეა. უნდა უყურო, როგორ ემზადება, როგორ უდგება თავის საქმეს და ხვდები, რომ პროფესიონალიზმის მისაღწევად კიდევ ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი.

სულ იმის სურვილი მაქვს, რომ ხალხს ჩვენს პროფესიაზე ვესაუბრო, რადგან ხშირ შემთხვევაში, ამის შესახებ ადამიანებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ. ასე არ არის – მარტო პირი გააღო და იმღერო. შეიძლება პირიც გააღო, იმღერო, მაგრამ სცენაზე ვერ დადგე – ამას კიდევ თავისი კულტურა, გამოცდილება, ალღო, მაყურებლის დაჭერა და ბევრი რამ სჭირდება. როდესაც ბავშვთა სახლების ბავშვებს ვხვდები, რომლებსაც დამოუკიდებელი ცხოვრების მიმართ ლტოლვა გამძაფრებული აქვთ, ხშირად ვესაუბრები ასეთ საკითხებზე.



ტელევიზორთან, სხვის ქილიკში ყველანი მაგრები ვართ, მაგრამ შენ რომ შემოგიბრუნდებიან – ზუსტად ისე იქცევი, რაზეც სხვას აქილიკებდი

**– რა კითხვები აქვთ ხოლმე?**

– ძირითადად აინტერესებთ: რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ წარმატებას მივაღწიოთო. მეც სპეციფიკაზე ვესაუბრები, შრომისმოყვარეობაზე, როგორ უნდა აიძულო საკუთარი თავი, რომ გარკვეული ცდუნებები უარყო და იშრომო. ასევე მეკითხებიან: როგორ უნდა მიაღწიო იმას, რომ ხალხს ვუყვარდეო. მეც ვუხსნი, რომ პოპულარობა ორნაირია: ადამიანი ან დადებითად ხარ პოპულარული, ან უარყოფითად. მახსოვს, ბავშვობაში მქონდა ასეთი სურვილი: მინდოდა, ხალხს ვყვარებოდი. იმიტომ კი არა, რომ ნარცისი ვარ, ამბიციები მაწუხებს, უბრალოდ, მინდოდა, ხალხს ვყვარებოდი ჩემი საქმიანობის გამო და ეს თავიდანვე მქონდა გააზრებული.

**– რას აკეთებდი ბავშვობაში, რომ შენ გარშემო მყოფ ხალხს, იმ საზოგადოებას, სადაც ტრიალებდი, ყვარებოდი?**

– ძირითადად იმას, რასაც ახლა ვაკეთებ. სკოლაში არაფრით გამოვირჩეოდი, გარდა იმისა, რომ სიმღერა შემეძლო, ვმღეროდი და მასწავლებლებში დადებით ემოციებს ვიწვევდი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცელქი ვიყავი, მაინც მასწავლებლებისთვის ფავორიტი გახლდით, ბევრი რამე მეპატიებოდა და დღემდე ჩემს პედაგოგებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. თუმცა, ძალიან ბევრ ცუდ რამეს ვაკეთებდი: მინების ჩამტვრევიდან დაწყებული, მერხების დამტვრევით დამთავრებული, ყველაფერი მაქვს გაკეთებული. შურდულივით „წუილა“ მქონდა, შიგნით რკინის მოღუნულ მავთულებს ვდებდი და ვისროდი. ვიღაცამ მითხრა: გოგოს რომ მოარტყამ „კალგოტკაზე“, თვალი წაუვაო. ვერც ერთხელ ვერ წავუყვანე თვალი, მაგრამ ეს გოგონები ხან სად ჩაიკეცებოდნენ, ხან კიდევ – სად. ჩემი პროფესიონალიზმი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ისე ვისროდი, ვერ ხვდებოდნენ, ვინ ისროდა... მოკლედ, ჯიბიდან ვისროდი.

**– პირადად შენ, რა დაგეხმარა წარმატების მიღწევაში? თან, სტაბილურად ინარჩუნებ ხალხის სიყვარულს.**

– პირადად მე, ადამიანების მიმართ უფრო მეტი სიყვარული გამიჩნდა, თუმცა, ხალხთან ურთიერთობა დიდ ენერგიას გართმევს. თუ ენერგიას არ გართმევს, ესე იგი, ზედაპირულად ეკიდები თითოეული ადამიანის სიტყვას, კეთილ სურვილს. რაღაცას რომ მეკითხებიან, ვცდილობ, ამომწურავი პასუხი გავცე, ზედაპირული არ ვიყო. თავადაც მაღიზიანებს საკუთარი თავი... თუ რაღაც ზედაპირულად გამომივა, მგონია, რომ სნობური, ან ამპარტავნული რაღაც მჭირს. ამპარტავანი კი ვარ, მაგრამ ამას ძირითადად, ახლობლებში გამოვხატავ: ჩემი იუმორით ან „მყრალი“ ხასიათით. რა თქმა უნდა, ვცდილობ, უცხო ადამიანებს ეს თვისებები თავზე არ მოვახვიო, რადგან არ მიცნობენ და შეიძლება, არასწორი დასკვნა გამოიტანონ. ბოლო დროს დამეწყო შემოქმედებითი შიმშილი. სულ ვამბობ, რომ არ შემიძლია ცოტ-ცოტა რაღაცეების კეთება. ახლა მინდა, ახალი პროექტი დავიწყო, შეიძლება, სულ სხვა მიმდინარეობა იყოს. იქნებ გამოჩნდეს ვინმე, რომელიც კარგ სიმღერას დამიწერს. ვისაც უნდა, რომ სარბიელზე გამოვიდეს, მე პირიქით მივესალმები ამას და ვითანამშრომლებ კიდეც.

> **მახსოვს, ბავშვობაში მქონდა ასეთი სურვილი: მინდოდა, ხალხს ვყვარებოდი. იმიტომ კი არა, რომ ნარცისი ვარ, ამბიციები მაწუხებს, უბრალოდ, მინდოდა, ხალხს ვყვარებოდი ჩემი საქმიანობის გამო**

**– იმისთვის, რომ წარმატებისთვის მიგეღწია, რაზე გიწევდა უარის თქმა?**

– არის რაღაცეები, რაზეც უარის თქმა და შენი თავის იძულება გიწევს. მაგალითად, შეგიძლია რამე შექმნა, დაწერო, ამ დროს სადმე წასვლა – ეს უკვე ფუფუნებაა. სწავლასთან კავშირშია: ჯერ გაკვეთილები მოამზადე და მერე ჩადი ეზოში. როცა სამეცადინო, სამუშაო გაქვს, ამ დროს ბევრი ცდუნება ჩნდება, თუნდაც ტელევიზორი, კომპიუტერი, კლუბში გინდა გასვლა, მეგობრებთან, მოკლედ, ბევრი რამეა და ეს ცდუნებები უნდა გადალახო. სულ ვცდილობ, შემდეგ თაობას ვუთხრა: არასდროს წაიკითხონ „ვეფხისტყაოსნის“ ან სხვა ასეთი დიდი, მნიშვნელოვანი ნაწარმოების მოკლე შინაარსი. წაიკითხონ ის დედანში და დეტალურად გაეცნონ ბევრ რამეს.

**– ისე, შენგან კარგი პედაგოგი დადგებოდა.**

– ოო, ძალიან მკაცრი პედაგოგი ვიქნები, დავრჩები უმოსწავლოდ. ჩემთვის პირად ურთიერთობებში მთავარი არგუმენტაციაა. ყველაფერი ლოგიკურად უნდა იწყებოდეს, მთავრდებოდეს, რაღაც ახსნა უნდა ჰქონდეს. არასდროს ვიწყებ ისეთ საკითხებზე კამათს, რაც არ ვიცი. ყველა პროფესია ერთმანეთთან კავშირშია, ერთნაირია სტრუქტურულად, უბრალოდ, ადამიანისგან ყველა პროფესია სხვადასხვა რესურსს მოითხოვს. ახლა გერმანულს ვსწავლობ, მინდა, გერმანიაში გავაგრძელო სწავლა – სამსახიობოზე, ან კონსერვატორიაში, რომ საფუძვლიანი ცოდნა მივიღო. წასვლა სერიოზულად მაქვს გადაწყვეტილი. თუმცა, მერე რა იქნება, არ ვიცი. დიდი ხნით უცხოეთში არასდროს ვყოფილვარ. ამიტომ, არაფერს გამოვრიცხავ. თუმცა შინაგანად ძალიან ქართველი ვარ და კარგი გაგებით – ქართული რაღაცეები ძალიან მაწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებში ბევრი რამ არ მომწონს, ეს მაინც ჩვენი დამახასიათებელი თვისებებია. მაქსიმალისტი ერი ვართ, ოღონდ, საკუთარი თავის გარდა, ყველასგან ვითხოვთ მაქსიმალურს, რაც ყველაზე ცუდია. ტელევიზორთან, სხვის ქილიკში ყველანი მაგრები ვართ, მაგრამ შენ რომ შემოგიბრუნდებიან – ზუსტად ისე იქცევი, რაზეც სხვას აქილიკებდი.

**– ბოლო დროს, სოციალურ ქსელებში ყოველთვის ღიად აფიქსირებ შენს აზრს, რომელიც ხშირ შემთხვევაში კატეგორიულიც არის...**

– როცა რაღაცას ვაკეთებ, ვცდილობ, კატეგორიული ვიყო, რადგან არ მინდა, რაღაცაზე ვილაპარაკო და ეს წყლის ნაყვა გამომივიდეს. ყოველთვის ისე ვწერ, რომ ვიცი, ვიღაცას პროტესტი გაუჩნდება. თან, „ფეისბუქზე“ ვინც მყავს მეგობრებში, ყველას ვიცნობ, რაღაც პრინციპით ან პოლიტიკური ნიშნით არავის ვარჩევ. მთავრობის ყოფილ წარმომდგენლებთან, რომლებთანაც ვმეგობრობ, პირშიც მიძრახავს, მითქვამს ის, რაც არ მომწონს და იგივეს ვაკეთებ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ვისაც ვიცნობ და ვისთანაც ვმეგობრობ. სულ ვამბობ იმას, რაც ჩემი გადასახედიდან არასწორია. ამას ბევრჯერ შეუშლია ხელი, ბევრჯერ დავბლოკილვარ. მაგრამ, როცა მე რაღაცას ვამბობ, ყოველთვის არგუმენტირებულია. არ ვიტყვი, ეს არ მომწონს, თუ ამაზე პასუხი, არგუმენტი არ მექნება. ხშირად უთქვამთ: სუხიტ, შენ რომ ეს დაწერე, ეს რომ თქვი, აი, ამის გამო...

**ნათია უტიაშვილი**

# დიეტა მათთვის, ვისაც ალერგია აწუხებს

ალერგია ძალიან ბევრს აწუხებს, თუმცა, გაცილებით უფრო ხშირია ამა თუ იმ საკვების მოუნელებლობის შემთხვევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ესა თუ ის პროექტი ორგანიზმისთვის მიუღებელია. ამ ორი შემთხვევის გარეგნული ფორმები ერთნაირია, მაგრამ მეორე ვარიანტის მიზეზი სხვაა – გარკვეული ფერმენტების უკმარისობა ან მათი არასაკმარისი აქტივობა. საკვების მიმართ კი ალერგიულია მოზრდილთა 3 პროცენტი და ბავშვების 8 პროცენტი.

განსაკუთრებით ხშირად პროდუქტების ზოგიერთი ჯგუფის მიმართ ორგანიზმი ამჟღავნებს მომატებულ მგრძნობელობას. ამიტომ, უარი უნდა თქვათ ცხელ ყავაზე, ჩაიზე და ალკოჰოლზე, რადგან ეს სასმელები ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას და, შესაბამისად, ალერგენების გავრცელებას.



იკვებეთ თერმულად დამუშავებული პროდუქტებით. ხარშვის, მოშუშვის ან გამოცხობის პროცესში ბევრი ალერგენი ილუპება; გარდა ამისა, თერმულად დამუშავებულ პროდუქტებს ორგანიზმი უკეთ ითვისებს.

**ანტირაციონი, ანუ, მავნებელი დიეტები:**

***ა) ცილოვანი დიეტა*** – ცხოველურ პროტეინებზე რადიკალურმა უარმა, შესაძლოა, ორგანიზმში გამოიწვიოს ცილის სერიოზული უკმარისობა, არადა, ცილა არის უჯრედების, ჰორმონების, ქსოვილის, ანტისხეულებისა და ფერმენტების ძირითადი საშენი მასალა. გარდა ამისა, ალერგიის მქონე ადამიანებისთვის 0,55 პროცენტისთვისაა ცილები მიუღებელი.

***ბ) დიეტა სისხლის ჯგუფის მიხედვით*** – ამ დიეტას მივყავართ არაბალანსირებულ რაციონამდე და გარკვეული ნივთიერებების უკმარისობამდე.

***გ) მაირ-შიმშილი*** – ამ დიეტის დაცვისას დასაშვებია მხოლოდ პურისა და რძის მიღება. ის მოიგონეს ორგანიზმიდან წიდების გამოსაყვანად და საჭმლის მომნელებელი სისტემის აღსადგენად. წელიწადში ერთხელ 3-კვირიანი კურსის ჩატარება მიზანშეწონილია, მაგრამ, უფრო ხშირად მისი დაცვა კატეგორიულად აკრძალულია.

არსებობს რამდენიმე სახის დიეტა, რომელთა დაცვაც აუცილებელია ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ან მისი მითითებით.

დიეტა დიაგნოზის მიხედვით ძალიან ინდივიდუალურია. ალერგიაზე გამოკვლევის ჩატარების შემდეგ ექიმი პაციენტს უნიშნავს ჯერ ორგანიზმის განტვირთვის დღეებს, შემდეგ კი კონკრეტული პროდუქტებისგან შემდგარ დიეტას, რომლის ხანგრძლივობამ ნახევარი წელი მაინც უნდა შეადგინოს. ამ ხნის განმავლობაში იმუნური სისტემა დაისვენებს, მოიკრებს ძალებს და გამაღიზიანებლების მიმართ ნაკლებად მგრძნობიარე გახდება. ასეთი დიეტის დაცვის დროს უნდა მოხდეს ჩანაცვლება, მაგალითად: თუ ალერგია გაქვთ ხორბალზე, მენიუში უნდა შეიტანოთ სიმინდის ან კარტოფილის ფქვილი, თუ ალერგია გაქვთ რძეზე, ჩაანაცვლეთ სოიის პროდუქტებისა და კალციუმის შემცველი ბიოლოგიურად აქტიური დანამატებით.

ბალანსირებული დიეტის არსია ნივთიერებათა სწორი პროცენტული ბალანსი. კერძოდ, ორგანიზმმა ყოველდღიურად უნდა მიიღოს ნახშირწყლების 50-60 პროცენტი, ცხიმების 25-30 პროცენტი და ცილების 10-15 პროცენტი.

როტაციული დიეტა ინიშნება მაშინ, როცა ზოგიერთი არაალერგიული პროდუქტი იწვევს ნეგატიურ რეაქციებს. ექიმები ასეთ შემთხვევას ჯვარედინ ალერგიას უწოდებენ. როტაციის პრინციპია შემდეგი რეჟიმი: 4 დღის განმავლობაში მიირთმევთ მხოლოდ ერთი ჯგუფის პროდუქტებს, შემდეგი 4 დღის განმავლობაში – სხვა ჯგუფისას და ასე შემდეგ. პროდუქტების ჯგუფებად დაყოფაში დაგეხმარებათ ექიმი.

დანაწევრებული დიეტა მდგომარეობს შემდეგში: საუზმეზე – ნახშირწყლები, სადილზე – ცილები, ვახშამზე – ისევ ნახშირწყლები. ცხიმები შეზღუდული რაოდენობით, შეგიძლიათ, მიიღოთ სამივე კვების დროს.

# ნიღბების შოუ

კვერცხის ნიღაბი ავიწროებს ფორებს, ამკვრივებს კანს და აუმჯობესებს კანის ფერს.

***დილის პროცედურა***: კარგად ათქვიფეთ 1 კვერცხის ცილა, შეათქვიფეთ ნახევარი ლიმონის ცედრა და წაისვით სახეზე, ყელსა და დეკოლტეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით დღის მკვებავი.

***საღამოს პროცედურა***: ტონიკით გაწმენდილ სახეზე წაისვით 1 ჩაის კოვზ ლიმონის წვენსა და 1 ჩაის კოვზ ზეითუნის ზეთთან ერთად ათქვეფილი 1 კვერცხის გული და წამოწექით. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით ღამის მკვებავი.



კეფირის ნიღაბი კარგია ცხიმიანი კანისთვის, რადგან ის მსუბუქად აშრობს კანს. ბამბის ტამპონით წაისვით სახეზე უცხიმო კეფირი. 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ და წაისვით თქვენი კანის შესაფერისი მკვებავი.

ლიმონის ნიღაბი აფერმკრთალებს ლაქებს, წმენდს და ათეთრებს კანს.

1 ჩაის კოვზ ლიმონის წვენში შეაზილეთ 20 გრამი საფუარი, დაუმატეთ ცოტა თბილი რძე (მასა ფაფისებური უნდა გახდეს) და წაისვით სახეზე, ყელსა და დეკოლტეზე. 20 წუთის შემდეგ დოლბანდის ტამპონი დაასველეთ წყალში, გაწურეთ და წრიული მოძრაობით გაიკეთეთ პილინგი და მსუბუქი მასაჟი. ჩამოიბანეთ თბილი წყლით და შემშრალებისთანავე წაისვით მკვებავი.

კიტრის ნიღაბი აცოცხლებს კანს. მომცრო ზომის კიტრი გახეხეთ წვრილ სახეხზე, შეურიეთ ბორის მჟავა (პროპორციით – 6:1) და წაისვით სახეზე. 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით და წაისვით მკვებავი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მშობიარობის შემდეგ გამიჩნდა პიგმენტური ლაქები. რა შინაურ საშუალებებს მირჩევთ მათ მოსაშორებლად?**

**პასუხი:** თუ პიგმენტური ლაქები უმნიშვნელოა, გამოიყენეთ მათეთრებელი საშუალებები, რომლებიც ახდენს კანის ზედა ფენის მსუბუქ აქერცვლასა და წმენდას და ამცირებს მელანინის გამომუშავებას. ამისთვის გამოდგება ალაოსა და ყვავისკუდას (ფარსმანდუკის) ნახარში; ასევე, ლიმონისა და კიტრის წვენის ნარევი; გარდა ამისა, შეგიძლიათ, სახე გაიწმინდოთ კეფირით. მაგრამ, ჰიპერპიგმენტაციის შემთხვევაში, შინაური საშუალებები შედეგს ვერ მოიტანს, აუცილებელია ქიმიური პილინგი 6-დან 10 პროცედურამდე. რეკომენდებულია, ასევე, კანის ლაზერული გაწმენდა, მაგრამ ეს ძალიან ძვირად ღირებული პროცედურაა.

**კითხვა: მაინტერესებს, რა უპირატესობა აქვს თმის ცხელი მაკრატლით შეჭრას?**

**პასუხი:** ამ პროცედურისთვის საჭიროა სპეციალური მაკრატელი, რომელიც ცხელდება მინიკომპიუტერით. შეჭრის ადგილას ხდება თმის დაბოლოებების „მირჩილვა", რაც უნარჩუნებს ღერებს ტენიანობასა და სასარგებლო ნივთიერებებს. ამ მეთოდით შეჭრის შემდეგ მოკლე თმა იძენს მეტ მოცულობას, ცხელი მაკრატლის რეგულარული გამოყენება კი აჩქარებს თმის ზრდას. სხვათა შორის, ეს მეთოდი ეფექტურია თმის დაზიანებული ბოლოების (მაგალითად, ბოლოჭამიების) სამკურნალოდ; ასევე, კარგია, თუ შეღებვის ან ქიმიური დახვევის შემდეგ თუნდაც ნახევარ სანტიმეტრს შეიჭრით ცხელი მაკრატლით.

**კითხვა: რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ხელის კრემის შეძენისას ზამთარში?**



**პასუხი:** ზამთარში ხელების მოვლის საშუალებები უნდა შეიცავდეს გლიცერინსა და ნატურალურ მცენარეულ ზეთებს (კარიტეს, ზეითუნის, მზესუმზირის), ისინი შეიცავს ძვირფას ესენციურ ლიპიდებს, რომლებიც აუცილებელია კანისთვის საკუთარი დამცავი ბარიერის ფორმირებისთვის და, ამასთან, არაჩვეულებრივად კვებავს კანს. მაგალითად, გლიცერინი ხელს უწყობს კანს ტენიანობის შენარჩუნებაში და თითქმის ორჯერ ზრდის მის ელასტიკურობას.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# რამ გამოიწვია მკვლელობებისა და თვითმკვლელობების სერია თბილისში, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

***დღევანდელ პუბლიკაციაში მოთხრობილი ისტორია გასულ საუკუნეში მოხდა. ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შეცვლილია. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.***

**გამქრალი მილიონი**

თამაზ კიკაბიძე, მეტსახელად „თურქი“, ცნობილი კანონიერი ქურდი იყო და მას არა მარტო საქართველოში იცნობდნენ, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. აგვისტოს ერთ ცხელ დღეს, თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, სახლში მას ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი ესტუმრა და უთხრა:

– მე ვახტანგ ჯოხაძე ვარ და თქვენთან საქმე მაქვს.

– მობრძანდით, დაბრძანდით და მითხარით, რა გაგჭირვებიათ, – თურქმა სტუმარი სახლში შეიპატიჟა და უთხრა – გისმენთ.

– ბატონო თამაზ, მე „ცეკაში“ ვმუშაობ და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კურატორი ვარ. ჩემი ბინიდან გუშინ, დღისით, მილიონ ასი ათასი მანეთი გაქრა და მინდა, მის პოვნაში დამეხმაროთ. ასი ათასი თქვენი იყოს. დანარჩენი კი უნდა დაბრუნდეს.

თურქმა გაოცებისგან დაუსტვინა და ვახტანგ ჯოხაძეს უთხრა:

– ფანტასტიკური თანხაა და არც კი მჯერა, ამდენი ფული თუ შეიძლება, ერთ ადამიანს ჰქონდეს.

– ეს ასეა და თქვენი დახმარება მჭირდება.

– კარგი. ვეცდები, მაგრამ ყველა კითხვაზე ზუსტი პასუხი უნდა გამცეთ.

– კარგი, მკითხეთ.

– რა ფულია ეს მილიონ ასი ათასი მანეთი და მარტო თქვენ გეკუთვნით?

– ესაა უმაღლეს სასწავლებლებში პროტექციით მოწყობილი სტუდენტებისგან ქრთამის სახით შემოსული ფული. ეს თანხა სხვადასხვა თანამდებობის პირს უნდა გაუნაწილდეს. ჩემი წილი 100 ათასია და მას თქვენ გაძლევთ, თუკი მილიონს დამიბრუნებთ.

– საიდან გაქრა ფული?

– ჩემი სახლიდან. მე ბარნოვზე ვცხოვრობ, კერძო სახლში. ფული სეიფში მქონდა შენახული. სეიფი კი შემოსასვლელში, საკიდის უკან გაკეთებულ ნიშაშია ჩამონტაჟებული.

– ფული იქ როდის შეინახეთ?

– სამი დღის წინ.

– რამდენი ადამიანი ხართ ოჯახში?

– მე, ცოლი და ჩვენი ქალ-ვაჟი. თუმცა, ჩემი გოგონა მოსკოვში სწავლობს და ერთი თვეა, აქ არ ყოფილა.

– სეიფის არსებობა ვისთვისაა ცნობილი?

– ცოლისთვის. მაგრამ მისგან ინფორმაციის გაჟონვაც კი გამორიცხულია.

– თქვენი ბიჭი? რამდენი წლისაა და სეიფზე თუ იცის რამე?

– კოტე ცხრამეტისაა. სეიფზე არაფერი იცის. ახლა ის სოჭშია. სწორედ იმ ღამეს გაფრინდა, მე რომ ფული სეიფში შევინახე. თვითონ წავიყვანე ის და მისი ორი მეგობარი აეროპორტში.

> **შალვა ბადრიძე დანით იყო მოკლული, ფულით სავსე ჩანთა კი არსად ჩანდა**

– კარგი. სასწრაფოდ კოტე უნდა ჩამოიყვანოთ და დამალაპარაკოთ. მაგრამ, ეს ისე უნდა გააკეთოთ, მისმა თანმხლებმა პირებმა ვერ გაიგონ, რომ ის თბილისში უნდა დაბრუნდეს. შეიძლება?

– შევძლებ. სოჭში ახლავე გადავფრინდები და ამ საღამოსვე მოგგვრით კოტეს, – მიუგო თურქს ვახტანგ ჯოხაძემ და სახლი დატოვა.

**ქურდული დაკითხვა**

ჯოხაძემ იმავე საღამოს ჩამოაფრინა სოჭიდან თავისი ვაჟი და თურქს მიუყვანა. თამაზ კიკაბიძესთან კი ახალგაზრდა კაცი იმყოფებოდა, რომელიც თურქმა ვახტანგ ჯოხაძეს გააცნო:

– იცნობდეთ – გურამ კახიძე.

გურამ კახიძე, მეტსახელად „კახი“, თურქის ახალგაზრდა კოლეგა, კანონიერი ქურდი იყო.

– კოტე, ძმიკო, – უთხრა თურქმა ცხრამეტი წლის კოტე ჯოხაძეს, – არაფერი არ უნდა დაგვიმალო და ყველაფერზე ზუსტი პასუხი გაგვცე. იცოდე, შენს პასუხებზე მამაშენის სიცოცხლეა დამოკიდებული და მხოლოდ სიმართლე უნდა გვითხრა.

გაფითრებულმა ყმაწვილმა ქურდს მიუგო:

– დიახ. მკითხეთ.

– კოტე, ძმაო, იცი თუ არა, რომ თქვენს ბინაში საიდუმლო სეიფია?

– დიახ, ვიცი, – მიუგო კოტემ.



– სად მდებარეობს?

– საკიდს უკან, კედელში.

– გაგიხსნია ოდესმე?

– დიახ.

– ბოლოს როდის გახსენი?

– სამი დღის წინ.

– და, რა ნახე იქ?

– ბევრი ფული.

– ხომ არ აგიღია ის ფული?

– არა.

– ხომ არავისთან გითქვამს, რომ იქ ფულია?

– დიახ, თეასთან და სოსოსთან ვთქვი. სანამ სოჭში გავფრინდებოდით, ბარში დავლიეთ და მათ ვუთხარი, რომ ჩემი სახლის სეიფში იმდენი ფულია, ორი კაცი ვერ ასწევს-მეთქი.

– მათ არ დაიჯერეს და დამცინეს.

– მე კი ვუთხარი, სადაც იყო სეიფი და შევპირდი, თბილისში დაბრუნებისთანავე ვუჩვენებდი.

– თეა და სოსო ვინ არიან?

– ჩემი უახლოესი მეგობრები. შეყვარებულები არიან და შემოდგომაზე უნდა იქორწინონ. მე კი მეჯვარე ვიქნები.

თურქმა კახის შეხედა და თქვა:

– ყველაფერი იასნია. იმ შეყვარებულებმა ვიღაცას ბაითის ნაკოლი მისცეს და მაყუთი აწიეს. თვითონ კი ალიბი აქვთ. მოკლედ, თეა და სოსო უნდა ვნახოთ, – თურქი ვახტანგ ჯოხაძეს მიუბრუნდა და უთხრა:

– დღესვე სოჭში უნდა გადავფრინდეთ და შეყვარებულებს დაველაპარაკოთ. მათგან თუ გავალთ ფულზე.

ვახტანგმა ქურდები სოჭში ჩაიყვანა. თურქი და კახი შეყვარებულებს ნომერ „ლუქსში“ თავზე დაადგნენ და კიკაბიძემ მათ უთხრა:

– მე თურქი ვარ. გაგონილი გექნებათ. თქვენგან არაფერი მინდა, გარდა იმისა, რომ ჩვენი კუთვნილი პისტოლეტები დაგვიბრუნოთ. მით უმეტეს, რომ ამ იარაღით ოთხი კაცია მოკლული და მილიციამ თუ იპოვა, მის მფლობელს აუცილებლად დახვრეტენ.

– რა პისტოლეტები, ბიძია, ვერაფერს ვხვდებით, – ერთხმად იუარეს თეამ და სოსომ. თურქმა კი მათ მშვიდად უთხრა:

– ბავშვებო, მეც ქურდი ვარ და ქურდობის წინააღმდეგი არ ვარ. ზუსტად ვიცი, რომ თქვენ ვიღაცას ნაკოლი მიეცით და ჯოხაძეების ბინის სეიფი გააქურდვინეთ. იქ მილიონ ასი ათასი მანეთი და ორი ცალი „ტეტეს“ პისტოლეტი იდო. მე ფეხებზე მკიდია ის ფული. ჩემი პისტოლეტები კი უნდა დამიბრუნოთ. აი, ტელეფონი. დაურეკეთ იმ ფულის მომპარავს და უთხარით, რომ მასთან კაცი მივა საქმეზე და რაღაცას ეტყვის. ფული და პისტოლეტები არ ახსენოთ – ტელეფონები ისმინება და დავიწვებით.

– იქ მართლა ამდენი ფული იყო? – წამოსცდა სოსო ბადრიძეს. თურქმა კი არაფერი შეიმჩნია და უთხრა:

– კი... ქურდის სახელი და მისამართი მითხარი, თან დაურეკე.

– ჩემი ბიძაშვილია, შალვა ბადრიძე. იქვე, ბარნოვზე ცხოვრობს, – მიუგო სოსომ თურქს. შემდეგ შალვას დაურეკა და უთხრა, რომ მასთან ერთი კაცი მივიდოდა რაღაც საქმეზე და არ შეშინებოდა.

თურქმა და კახმა სასიამოვნო დასვენება უსურვეს შეყვარებულებს და ნომერი დატოვეს. შემდეგ ვახტანგ ჯოხაძეს შეუერთდნენ, რო-

მელიც მათ ქვევით ელოდა და უთხრეს:

– ყველაფერი რიგზეა. ვიცით, სადაა ფული. დრო რომ არ დავკარგოთ, ჩვენს კაცს დავურეკავთ თბილისში და ვეტყვით, რომ ფული აიღოს. ჩვენ კი თბილისში დავბრუნდეთ. ჩვენ-ჩვენ წილს ავიღებთ, თქვენ კი თქვენი მილიონი ჩაიბარეთ.

სამივე ჯერ სოჭის მთავარ ფოსტამტში მივიდა. თურქმა ვინმე გივი სულუხიას დაურეკა, რომელიც ქურდის ტიტულის მძებნელი იყო და უთხრა, ფული აეღო, თან დაამატა:

– იცოდე, არ შემოგაკვდეს. მაყუთს რომ აიღებ, ყოველი შემთხვევისთვის,

**შურთიერთსროლისას სულუხია და ანჟელა დაიღუპნენ, მილიონ 100 ათასი მანეთი კი ქოხში გაჩენილმა ცეცხლმა შთანთქა**

იმ ბაითში დამელოდე, სადაც ორი კვირის წინ ვიყავით. გაიგე?

– გავიგე. ყველაფერი ხუთიანზე შესრულდება, – მიუგო გივი სულუხიამ თურქს და ტელეფონი გათიშა.

**დაწყევლილი ფული**

ვახტანგ ჯოხაძე, თურქი და კახი ხუთი საათის შემდეგ თბილისში დაბრუნდნენ და კონსპირაციულ ბინაში მივიდნენ, სადაც თურქის დავალებით, გივი სულუხიას შალვა ბადრიძისთვის წართმეული მილიონ 100 ათასი მანეთი უნდა დაეხვედრებინა. თუმცა, ბინა ცარიელი დახვდათ. მეორე დღეს კი შეიტყვეს, რომ 17 წლის შალვა ბადრიძე დანით იყო მოკლული.

ამ ამბით აღშფოთებული თურქი ვახტანგ ჯოხაძეს სახლში ეწვია და უთხრა:

– როგორც ეტყობა, ნაბიჭვარმა სულუხიამ მოკლა ის ბავშვი და ფული გაიტაცა. ცოტა დრო მინდა, რომ ვიპოვო და ფულს დაგიბრუნებთ, მთლიანად... თქვენი 100 ათასიც კი არ მინდა.

ვახტანგ ჯოხაძე უკიდურესად გაღიზიანებული იყო იმით, რომ ასეთ საშინელ დღეში ჩავარდა და თურქს მიახალა:

– ეს ყველაფერი შენი მოწყობილია და გინდა თავი წმინდანად მომაჩვენო, ხომ? იცოდე, ფულს თუ ამ დღის ბოლომდე არ მომიტან, თავს წაგაგებ!

თამაზ კიკაბიძე ქურდი იყო. ჯოხაძისგან მსგავსი შეურაცხყოფა იუკადრისა და ცხვირში მუშტი უთავაზა, თავისსავე სახლში იატაკზე დააგორა, ზედ დააფურთხა და სანამ ბინას დატოვებდა, უთხრა:

– ნაბოზარო. ვის უბედავ?! მე ქურდი ვარ და არა შენნაირი ნაბიჭვარი...

იმავე ღამეს თურქი და კახი თბილისის მილიციის სამმართველოს ოპერებმა აიყვანეს. ისინი ვახტანგ ჯოხაძემ დააბეზღა. სამმართველოს უფროსს ყველაფერი უამბო და ბოლოს უთხრა:

– ნახევარ მილიონს გაძლევ, ექვსასი ათასი კი დააბრუნე.

– ადრე ვერ მოხვედი ჩემთან, ქურდებთან რომ გაიქეცი?! კარგი, ეგ საქმე მე მომანდე, – მიუგო ჯოხაძეს მილიციის სამმართველოს უფროსმა და თავის ხელქვეითებს ქურდების მოყვანა უბრძანა.

მილიციის სამმართველოში თურქი და კახი უსასტიკესად აწამეს. თუმცა, რაც არ იცოდნენ, რა უნდა ეთქვათ. ამიტომ, გატაცებული ფულის ადგილსამყოფელი მაინც ვერ დაადგინეს. ამ წამებისას კი მილიციელებს კახი შემოაკვდათ, თურქი კი ისე სასტიკად იყო ნაწამები, დამოუკიდებლად სიარული არ შეეძლო. თურქი საავადმყოფოში ინკოგნიტოდ მიიყვანეს, კახის გვამი კი მტკვრის პირას დააგდეს.

მილიციის სამმართველოს უფროსმა ვახტანგ ჯოხაძეს რომ უთხრა, ფულის კვალს ვერ მივაკვლიეო, ჯოხაძემ სამმართველოს უფროსის წინ ჯიბიდან პისტოლეტი ამოაცურა და ტყვია საფეთქელში დაიხალა. იცოდა, რომ მაინც მოკლავდნენ და საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა განაჩენი.

მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე არ დამალულა და მთელი თბილისი ლაპარაკობდა მილიციის სამმართველოს უფროსის კაბინეტში მომხდარ თვითმკვლელობაზე, ოფიციალურად ეს არ გახმაურებულა. ვახტანგ ჯოხაძე, როგორც ჩვეულებრივი გარდაცვლილი, ისე დაასაფლავეს ვაკის სასაფლაოზე.

მამის დაკრძალვიდან სამი დღის შემდეგ, 19 წლის კოტე ჯოხაძემ თავისი მეგობრები – სოსო ბადრიძე და თეა კაკაურიძე დაჭრა, შემდეგ კი პისტოლეტი გულზე მიიდო და კიდევ ერთხელ გაისროლა... მიუხედავად მძიმე ჭრილობებისა, სოსო ბადრიძე, თეა კაკაურიძე და კოტე ჯოხაძე სიკვდილს გადაურჩნენ...

მილიცია კი გივი სულუხიას ეძებდა, რომელსაც შალვა ბადრიძის მკვლელობასა და მილიონ 100 ათასი მანეთი გატაცებაში ედებოდა ბრალი.

სამი თვის შემდეგ, 30 წლის გივი სულუხიას ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მიაგნეს. ის თავის საყვარელთან, ქურდის ქვრივთან, 36 წლის ვინმე ანჟელასთან იმალებოდა. მილიციის ოპერჯგუფმა სახლში მალულად შეღწევა ვერ მოახერხა და ურთიერთსროლის დროს ოთხი ადამიანი დაიჭრა, სამი კი – დაიღუპა. მათ შორის იყვნენ სულუხია და მისი საყვარელი ანჟელა. ხის ქოხს ცეცხლი გაუჩნდა და წყეული ფული, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, დაიწვა...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**4 თებერვალი**

1906 – ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დამნაშავეთა იდენტიფიკაციისთვის თითის ანაბეჭდების გამოყენების შესახებ.

1945 – დაიწყო იალტის კონფერენცია. ერთმანეთს შეხვდნენ სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურები: სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი.

**5 თებერვალი**

1904 – ჰავანაში მოხსნეს ამერიკული დროშა, რომელმაც 7 წლის წინ შეცვალა ესპანური და სალუტების თანხლებით აღიმართა კუბის დროშა.

1935 – დაადგინეს, რომ პროფესიონალურ კრივში ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად 15 რაუნდზე მეტი არ გაიმართებოდა.

1991 – ყირგიზეთის დედაქალაქს, 75 წლის შემდეგ ფრუნზეს მაგივრად დაერქვა ბიშკეკი.

**6 თებერვალი**

1191 – პაპმა კლიმენტი მესამემ დაამტკიცა ტევტონთა რაინდული ორდენი.

1901 – პარიზში სარკინიგზო სადგურებზე გაჩნდა პირველი საზოგადოებრივი ტელეფონები.

1934 – ფაშისტური პუტჩის წარუმატებელი მცდელობა საფრანგეთში.

2004 – ტერაქტი მოსკოვის მეტროში, დაიღუპა 42 ადამიანი.

**7 თებერვალი**

1792 – დაიდო ავსტრია-უნგრეთის კავშირის ხელშეკრულება. შეიქმნა ანტიფრანგული კოალიცია.

1992 – ნიდერლანდების ქალაქ მაასტრიხტში ხელი მოეწერა „ევროპის კავშირის ხელშეკრულებას“, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის ეკონომიკური კავშირის ქვეყნების ახალ ეკონომიკურ სავალუტო და პერსპექტივაში პოლიტიკურ კავშირს.

1993 – აღირიცხა ზღვის ყველაზე მაღალი ტალღა სან-დიეგოსთან ახლოს. შტორმში სიმაღლე – 34 მეტრი.

**8 თებერვალი**

1600 – ინკვიზიციის სასამართლომ ჯორდანო ბრუნოს ცოცხლად დაწვა მიუსაჯა.

1837 – შედგა პუშკინისა და დანტესის დუელი.

1923 – ალბერტ აინშტაინი გახდა თელ-ავივის პირველი საპატიო მოქალაქე.

1924 – ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად მოიყვანეს სისრულეში სასიკვდილო განაჩენი გაზის კამერის საშუალებით.

1969 – ჰაერში აიჭრა პირველი „ბოინგ 747“.

**9 თებერვალი**

1861 – ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთის შტატებმა გამოაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

1893 – მსოფლიოში სტრიპტიზის პირველი სეანსი გაიმართა „მულენ რუჟის“ სცენაზე. პარიზელი სტუდენტების მოწყობილ საღამოზე, იმპროვიზებულ სილამაზის კონკურსზე, მოდელმა, ფსევდონიმით „მონა“, ყველას თვალწინ გაიხადა. ამას მოჰყვა მისი დაჭერა და ჯარიმა 100 ფრანკი, რამაც გამოიწვია მასობრივი არეულობები საფრანგეთის დედაქალაქში.

1895 – ამერიკელმა მორგანმა გამოიგონა ხელბურთი.

1926 – ატლანტის სკოლებში აიკრძალა დარვინის ევოლუციის თეორიის სწავლება.

1930 – ბავარიაში გაიმართა პირველი ავტორბოლა ყინულზე.

**10 თებერვალი**

1258 – მონღოლთა ჯარებმა ქართველთა „წინამძღოლობით“ (დავით ულუს მეთაურობით) აიღეს ქალაქი ბაღდადი. გაუქმდა არაბთა სახალიფო.

1635 – დაარსდა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია.



# როგორ გახდა ტაქსის მძღოლის ძალადობის მსხვერპლი ქალი, რომელიც მისი მამის საყვარელი იყო

41 წლის ელენე კ-ძე სხეულის მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში გამვლელებმა მიიყვანეს, რომლებმაც ქალი ქუჩაში გონდაკარგული იპოვეს. გვიანი შემოდგომის ცივი საღამოს მიუხედავად, ქალი თითქმის შიშველი იყო – მისთვის ვიღაცას ტანზე ტანსაცმელი მთლიანად შემოეხია, სახე და თავი კი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მას ქირურგიული ჩარევაც კი დასჭირდა. ელენე კ-ძემ სამართლადამცველებთან ჩვენების მიცემა მოგვიანებით, საავადმყოფოში მოხვედრიდან 8-10 საათის შემდეგ შეძლო. როგორც მან განაცხადა, თავს დაესხა მამაკაცი, რომელმაც ჯერ გაძარცვა, შემდეგ კი სასტიკად სცემა და გააუპატიურა. ინციდენტი, დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, გვიან ღამით მოხდა. ამონაწერი ელენე კ-ძის ჩვენებიდან: „გვიანი ღამე იყო. ნათესავთან ვიყავი სტუმრად. სახლიდან რომ გამოვედი, ტაქსი გავაჩერე. მძღოლი სიმპათიური მამაკაცი იყო, ჩემზე ახლაგაზრდა. წინ ჩავჯექი. როგორც ხდება ხოლმე, საუბარი დავიწყეთ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, მომეჩვენა, რომ ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა. ვკითხე კიდეც, სადმე ხომ არ შევხვედრივართ ერთმანეთს-მეთქი. ამაზე ჩვეულებრივი ქათინაური მითხრა. მე კიდევ ჩავაცივდი – საიდან გიცნობთ-მეთქი, მაგრამ, პასუხი კვლავ არ გამცა. ცოტა ხანში უფრო ოფიციალურად გამეცნო და მითხრა: თუ დრო გაქვთ, კაფეში წავიდეთ ერთად, ყავაზე დაგპატიჟებთო. მისი დაპატიჟება არ გამიპროტესტებია, მაგრამ ჯერ სახლში უნდა მიმიყვანოთ-მეთქი კი ვუთხარი. ზაზამ (ასე გამეცნო ტაქსის მძღოლი) თემქისკენ მიმავალი გზით თბილისის ზღვით გავლა შემომთავაზა. ერთ მიყრუებულ ადგილას გაჩერდა, მანქანიდან გადავიდა და მითხრა: ორ წუთში მოვალო. უცებ მეორე მხრიდან მომადგა, კარი გამომიხსნა და ინტიმური კავშირის დამყარება შემომთავაზა. ფიზიკურად ძალიან ძლიერი მამაკაცი ჩანდა, მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევას ვერ შევძლებდი, მაგრამ, მაინც გავუძალიანდი. სახე ახლოს რომ მომიტანა, ისეთი ძალით ვუკბინე, ხორცი ამოვაგლიჯე თვალთან. ნამდვილი სადისტი გამოდგა – ავტომანქანიდან ძალით გადმომათრია და მაშინვე დამარტყა. საპასუხოდ ფეხებს შუა ამოვარტყი, რაზეც ძალიან გამწარდა – შენ თუ აქედან გაგიშვა ცოცხალი, მე კაცი არ ვიყოო. მიწაზე დამაგდო და ფეხით შემდგა, მერე ტანსაცმელი შემომახია და თითქმის შიშველი დავრჩი მის წინაშე. ყველანაირად ვიცავდი თავს, მაგრამ, ვერაფერს გავხდი. ისე მექცეოდა, როგორც ნამდვილი სადისტი მოიქცევა: ხის ტოტზე მიმაბა ჩემი შარფით. თითებზე რამდენიმე ოქროს ბეჭედი მეკეთა, საფულეშიც 80 ლარამდე ფული მედო. ჯერ ბეჭდები წამაძრო, მერე საფულე და ჩემი მობილური ტელეფონი აიღო, თან მითხრა: მთელი ცხოვრება შენ გეძებდი და, აი, ხომ ავისრულე წადილიო. ჯერ გონება არ მქონდა დაკარგული, ვერ მივხვდი, ეს რატომ მითხრა. ცოტა გავთამამდი და ვუთხარი: ხომ იცი, რომ ეს არ შეგრჩება და პოლიციაში მოხვდები-მეთქი, ამის თქმაზე სულ გაგიჟდა. პოლიციაში რომ არ მოვხვდე, აქედან ცოცხალი ვერ წახვალო, – ამის თქმა იყო და, ჯერ ქვებზე მარტყმევინა თავი, მერე კი რაღაც რკინა გადმოიღო მანქანიდან და ორჯერ ჩამარტყა თავში. სანამ გონებას დავკარგავდი, მახსოვს, როგორ ვიგრძენი საკუთარი სისხლის გემო – სახე მთლიანად სისხლით მქონდა მოსვრილი. გონება დავკარგე. არ მახსოვს რამდენ ხანს ვეგდე მიწაზე, გონს რომ მოვედი, ფორთხვით ამოვედი გზაზე, სადაც ისევ დავკარგე გონება."

სამართალდამცველებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, დაიწყო გამოძიება. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დადგენა იოლი არ იყო – ქალს ახსოვდა მხოლოდ ავტომობილის მარკა, მისი მონათხრობის მიხედვით, ავტომობილი „ფორდის" მარკის ტაქსი იყო, რომელსაც საქარე მინა თავად ელენე კ-ძემ ჩაუმტვრია ქვით მანამ, სანამ მასა და მძღოლს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართებოდა, მაგრამ, მხოლოდ ამ ინფორმაციით დამნაშავის მიგნება იოლი არ იყო.

გამოძიებისთვის ყველაზე მეტად ხელჩასაჭიდი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ დაზარალებული ჯიუტად ამტკიცებდა: მამაკაცს, რომელმაც გამაუპატიურა და გამძარცვა, წარსულიდან ვიცნობო, თუმცა, მის ვინაობას ქალი ვერ იხსენებდა. ელენე კ-ს შემდგომი დაკითხვისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დადგინდა, რომ დაზარალებული

**სახეზე ისე მიკბინა, ხორცი ამომაგლიჯა. გამწარებულს სულ გადამეკეტა ჭკუა**

წლების წინ კაზინოში მუშაობდა და იმ დროს ინტიმურ კავშირში იმყოფებოდა მამაკაცთან, რომელიც მოგვიანებით ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით, ასევე, გაირკვა, რომ მამაკაცს ჰყავდა ვაჟიშვილი, რომელიც, იმ დროს, როდესაც მამას კრუპიე ქალთან გახმაურებული რომანი ჰქონდა, სასჯელს ქურდობისთვის იხდიდა. ის ციხეში პირველად არასრულწლოვანი მოხვდა, მეორედ უკვე ძარცვისთვის დააკავეს, მაგრამ, ციხიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ციხიდან გათავისუფლებული მამუკა წ. საკუთარი ავტომობილით ტაქსაობდა. როგორც დადგინდა, ავტომობილის ფერი და მარკა ემთხვეოდა იმ ავტომობილის მარკას, რომლის მძღოლმაც ელენე კ-ძეს მძიმე დაზიანებები მიაყენა.

სამართალდამცველები ძიების კვალმა მამუკა წ-სთან მიიყვანა. როგორც გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, ის ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და იმპულსური ადამიანი იყო და ხშირად ხვდებოდა კონფლიქტურ სიტუაციებში. თავიდან მამუკა წ. სასტიკად უარყოფდა ბრალდებას და საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ალიბიც „გამოძებნა" – იმ ღამეს, როდესაც ეს დანაშაული მოხდა, მეუღლესთან ერთად სტუმრად ვიმყოფებოდიო, თუმცა, როგორც მოგვიანებით დადგინდა, მას შემდეგ, რაც მამუკა წ-მ დანაშაული ჩაიდინა, საკუთარ ტანსაცმელზე ყველანაირი კვალი წაშალა, სახლში მისული კი მეუღლესთან ერთად სიმამრთან წავიდა სტუმრად. მამუკა წ-მ ჩადენილი დანაშაული მას შემდეგ აღიარა, რაც მის მიმართ გამოძიებამ შეკრიბა მტკიცებულებები, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი იყო დაზარალებული ქალის მიერ მის სახეზე დატოვებული ნაკვალევი. ამონაწერი მამუკა წ-ს აღიარებითი ჩვენებიდან: „ელენე კ-ძე წლების წინ ორჯერ მყავს ნანახი. ვიცოდი, რომ მამაჩემთან რომანი ჰქონდა. მაშინ პატარა ვიყავი და ყველა ცდილობდა, ეს ამბავი ჩემთვის საიდუმლოდ დარჩენილიყო. ცოტა რომ წამოვიზარდე, ციხეში მოვხვდი, მაგრამ, ვიცოდი, რომ მამაჩემისა და ამ ქალის ურთიერთობამ ჩვენი ოჯახი დანგრევის პირას მიიყვანა. ციხიდან რომ გამოვედი, მამაჩემი გარდაცვლილი დამხვდა, შესაბამისად, მათი რომანიც დამთავრებული იყო. ელენე რამდენჯერმე დავინახე ქუჩაში და გამოლაპარაკება მინდოდა, მაგრამ, ვერ მოვახერხე. იმ დღეს ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით. როგორც კი მანქანაში ჩამიჯდა, მაშინვე ვიცანი. ამ ქალის „ზუბი" სულ მქონდა. ქალად კარგი ქალია და ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. მაშინვე მივხვდი, რომ თვითონ ვერ მიცნო. ძალიან ვულგარულად იყო ჩაცმული, წამეკეკლუცა კიდეც. მეც მოვსინჯე, ამყვებოდა თუ არა. ამყვა და მერე როგორ! ამ ქალს წლები ვეძებდი, შემთხვევით გადავეყარე და ისე ვერ გავუშვებდი, ჟინი რომ არ მომეკლა. ზღვაზე ავიყვანე, მეგონა, არ გამიძალიანდებოდა, მაგრამ, ისე გაგიჟდა, ჯერ მანქანა დამიმტვრია, მერე ფეხი ამომარტყა და სახეზე ისე მიკბინა, ხორცი ამომაგლიჯა. გამწარებულს სულ გადამეკეტა ჭკუა, საკუთარ საქციელს ველარ ვაკონტროლებდი. გაძარცვა ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ, რადგან უგონოდ დავტოვე შემთხვევის ადგილზე, იქიდან ცარიელი აღარ წამოვედი. ერთი ოქროს ბეჭედი ჩემს ცოლს ვაჩუქე, ორიც მეზობლის დახმარებით გავყიდე, ის ფული კი, რაც ელენეს ამოვაცალე საფულიდან, იმ საღამოსვე დავხარჯე სიმამრთან".

სასამართლო პროცესზე დანაშაულში ბრალდებულ მამუკა წ-სა და დაზარალებულ ქალს შორის „დუელის" მეორე ნაწილი გაიმართა. ბრალდებულის პასუხმა – შენი გაუპატიურებით მამაჩემის ხსოვნას ვეცი პატივიო, სასამართლო დარბაზში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ბრალდების დაცვა ცდილობდა, შემამსუბუქებელ გარემოებებად გამოეყენებინა ის, რომ მამუკა წ. მცირეწლოვანი ბავშვების მამა და ინვალიდი დედის ერთადერთი მარჩენალი იყო, მაგრამ, სასამართლომ ეს გარემოებები არ გაიზიარა და ვადაზე ადრე გათავისუფლებულ მამუკა წ-ს წარსულში მოუხდელი სასჯელიც დაუმატა, ჩადენილი დანაშაულისთვის კი ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: ჩემი ავტომობილის საჭე მარჯვნივ თავისით მიდის. მითხრეს, ეს „რაზვალის" ბრალიაო და ამიხსნეს, რომ ის რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს. მაინტერესებს, ასე სიარული დააზიანებს თუ არა რამეს ჩემს ავტომობილში?**

**პასუხი:** „რაზვალი" სავალ სისტემაში უამრავ რამეს აზიანებს, უპირველესად, საბურავებს, შემდეგ უკვე ეგრეთ წოდებულ „პაჩებნიკს", საკისარს და სხვა. მაგრამ, ყველაზე საშიში ამ შემთხვევაში, უსაფრთხოების დარღვევაა, რაც ნიშნავს, რომ „რაზვალმა" შეიძლება, თქვენც დაგაზიანოთ. ის, რაც მანევრში ავტომობილს დააკლდება, ვთქვათ მოუხვიეთ როგორც ყოველთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში მოხვევა საკმარისი არ იყო ან არასწორად შევიდა მანქანა მოსახვევში, კატასტროფას გამოიწვევს. „რაზვალი" და მთელი ეს არეულდარეულობა შეიძლება, დაიწყოს რომელიმე სავალი დეტალის დაზიანებით და ის იყოს გამოსაცვლელი – მაგალითად, ეგრეთ წოდებული „რაზვალნი ვტულკა", ანუ რეზინის გამჭედი, რომელიც ძელების მდგომარეობას უნარჩუნებს, ასევე „შარავოი", „ნაკანეჩნიკი", „ტიაგა" და სხვა. რომელიმე ამ ნაწილის მწყობრიდან გამოსვლა, ავტომატურად იწვევს „რაზვალს", რადგან მათი მოჭიმულობისა და გადახრა-გადმოხრის დონით რეგულირდება „რაზვალი". შესაბამისად, თუ სავალ ნაწილში რაღაც კაკუნობს, ეს ნიშნავს „ლუფტს" და რა სიდიდისაც ეს „ლუფტია" ზუსტად იმდენია საბურავებს შორის ცდომილება. თან ეს არასტაბილური ცდომილებაა – მუხრუჭზე, გაზის მიცემაზე ავტომობილი აბსოლუტურად არასტანდარტულად რეაგირებს. ამან კი შეიძლება, ოდნავ მაღალ სიჩქარეზე, მძღოლის დაბნევა გამოიწვიოს. თუ ადრე კონკრეტულ მოსახვევს ოთხმოცი კილომეტრ-საათში სიჩქარით გადიოდით, „ლუფტით" სამოცდაათითაც გაგიჭირდებათ. „რაზვალს" ჩვეულებრივ ცხოვრებაში თითქოს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ უდიდეს როლს თამაშობს მართვისას, ასე რომ, პროფესიონალები კონკრეტული ავტოდრომის, გზის საფარის, მოსახვევების მიხედვით ვცვლით ბორბლების მდგომარეობას, ანუ ვრევთ „რაზვალს" და გზის საფარს საბურავების დახრილობას ვარგებთ.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მაინტერესებს, რა განსხვავებაა 1996 წლიდან 2001 წლის ჩათვლით გამოშვებულ „ჰონდა ცეერვეებს" შორის? ღირს თუ არა ამ მანქანის ყიდვა, ან რომელი ჯობია – ევროპული, ამერიკული თუ იაპონური?**

**პასუხი:** ზოგადად, ყველა კარგია, თუმცაღა განსხვავებებიც არის. მაგალითისთვის, 1999 წლიდან 2001 წლამდე გამოსულ მოდელებს უფრო მეტი ცხენის ძალა აქვთ, კონკრეტულად – 147, ვიდრე 1999 წლამდე გამოსულებს, რომელთაც 128 ცხენის ძალა ჰქონდათ. ეს ცვლილება მომხმარებლის მოთხოვნით შეიტანეს. რეალურად, მოდელებს შეცვლილი მხოლოდ შემსვლელი „რასპრედვალი" აქვს, ჰაერის შემსვლელი კოლექტორი კი ოდნავ ფორსირებულია. მცირედი განსხვავებაა ქვეყნების მიხედვითაც. ევროპული კომპლექტაცია სხვა დანარჩენებს უმნიშვნელოდ ჯობია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს მხოლოდ წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილი მოდელებიც და არ შემოგაპარონ. პრინციპში, თუ მაინცდამაინც „კვადრო" არ გჭირდებათ, შეგიძლიათ, წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილი მოდელიც შეიძინოთ, რადგან უფრო ეკონომიურია. არსებობს ასევე, მოდელები ბლოკირებული უკანა ხიდით, რაც გამავლობას აუმჯობესებს. გირჩევთ, ავტომობილი მართვის მექანიკური კოლოფით შეიძინოთ, რადგან „ჰონდას" ამ მოდელზე ავტომატური კოლოფი ისეთი გამძლე და „ყოჩაღი" ვერ გამოუვიდა, როგორც სხვა დანარჩენი აგრეგატები. არც „ავტომატიკაა" ცუდი, მაგრამ „მექანიკა ცეერვე" უკვდავია.

**კითხვა: სიცივეში ჩემი ავტომობილი ცუდად იქოქება. ის დიზელის საწვავზეა და მითხრეს, რომ გამოსაცვლელი მაქვს ეგრეთ წოდებული ფილტრები. ფილტრების გამოცვლის შემდეგ პრობლემა ისევ აქვს. რა შეიძლება იყოს მიზეზი? არ მინდა, ხელოსნები ისევ შეცდომაში შევიდნენ და უაზროდ ვიწვალო.**

**პასუხი:** ეს უფრო დამხმარე სანთლებისგან გამოწვეული პრობლემაა. როგორც იცით, დიზელის სანთლები ეგრეთ წოდებული „სვეჩები", ფეთქებას არ იწვევს, მაგრამ აქვს ისეთი სანთლები, ცივ ძრავას დაქოქვაში რომ ეხმარება. ეს სანთლები, სპირალივით ინთება. ისევე, როგორც გამათბობელ ღუმელზე. წარმოიდგინეთ, საწრუპივით მილი ჩამაგრებულია ცილინდრის თავზე, რომელიც ხურდება, წითლდება და შესაბამისად, იქ შესული დიზელი იოლად ფეთქდება. ანუ, სიმხურვალის პროვოცირებას იწვევს. ეს სპირალები რაღაც პერიოდის შემდეგ იწვება, მით უმეტეს, თუ არასწორად მოიხმართ – მაგალითად, თუ დაქოქავთ და სპეციალურ ნათურას ხელსაწყოების დაფაზე ჩაქრობას არ დააცდით, რომელიც სწორედ ამ სპირალის გახურებას გვანიშნებს. ასევე, თუ მიგორავთ და პირდაპირ სიჩქარით დაქოქავთ ავტომობილს და არა სტარტერით, ამ დროს სპირალი გახურებას აგრძელებს, ის გადახურდება და იოლად დაიწვება. სპირალების მანიშნებელი ყვითელი ნათურა – თუ ასეთი თქვენს ავტომობილს აქვს, უნდა ჩაქრეს, მანქანა ყოველთვის დაქოქეთ სტარტერით.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ბეემვე", რომელსაც „ცეპლენია" დაუზიანდა და შევცვალე. ორდღიანი სიარულის შემდეგ კი, ისევ გაფუჭდა. რამე მომატყუეს, თუ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ათი წუთის, ან თუნდაც, ერთი დღის არასწორი მოხმარების გამო, მოდება მწყობრიდან გამოვიყვანოთ?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, შეიძლება. მოდება შედგება ორი ნაწილისგან – მოდების კალათისა და დისკის, ანუ ქუროსგან. შეიძლება, ერთმა არასწორმა მოქმედებამ არა, მაგრამ – ორმა უკვე სერიოზულად დააზიანოს. თუ ბევრი გაზი მიეცით, ანუ მაღალი ბრუნები ისე განავითარეთ, რომ მოდებას ბოლომდე ფეხი არ გაუშვით, ის დაზიანდება. ამ დროს მოდება ბოლომდე არ ეკრობა და რჩება ხახუნის მდგომარეობაში. ხახუნი იმდენად ძლიერ გააცხელებს, რომ დისკზე გადაკრული მასალა შეიძლება, საერთოდ დაიშალოს. იგივე გაცხელების შედეგად, ეს მასალა შეიძლება, ისე გადაიგლისოს, რომ სარკისებური გახდეს და სისქე შეინარჩუნოს, არ დაიშალოს და დაშლის შემდეგაც კი ყველაფერი მწყობრში დადგეს. უბრალოდ, მოდება „იბუქსავებს" – გაზს რომ დააწვებით, ავტომობილი ბუქსაობს და წინ არ მიდის. ქუროს მოხსნის შემდეგ ნახეთ, გაცვეთილი არის თუ არა. ამას მიგვანიშნებს ეგრეთ წოდებული „ზაპლოვკები", საპრესები, რომლითაც გადაკრული მასალაა დამაგრებული დისკზე. თუ ნახეთ, გადაკრული მასალა ისე ღრმადაა გაცვეთილი, რომ საპრესებიც ცვეთაშია გადასული, მაშინ მოდების ქუროს ჯერ კიდევ აქვს მუშაობის რესურსი. თუ სწრაფად დაძარით, თოვლში ან ტალახში იყავით ჩარჩენილი და პირველი მეორე სიჩქარე სწრაფად მიეცით, მოდების დაწვის სუნი შეიგრძენით და დაიწყო დაძვრის პრობლემები, მაგრამ დაშალეთ ავტომობილი და მას რესურსი კიდევ აღმოაჩნდა, შეიძლება ის, უბრალოდ, სარკისებური იყოს და ხელოსანმა მხოლოდ „გადაშკურკოს". ასე რომ, გადაკრული მასალა ისევ იმუშავებს.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



ცხვრის ფარის წინამძღოლი

ბერძენი მულტიმილიონერი

შავი სასმელი

დიდი ოთახი (ჟარგ.)

ლოლობრიჯიდა

მოჭიდავე

ჩვენი მდინარე

დემონი

ბრტყელი ფორმა

ყანწის მასალა

პოეტური გამოცანა

ორი მომღერალი

ძველი სომხეთი

გადაადგილება

ალმოს. საქართველოს რაიცენტრი

ბიჭო! კახეთში

თხოვნა (ძველი სიტყვა)

პატარა მაიმუნი

ღრუბელი ასეთიც არის

ქართველი მოქანდაკე ქალი

.....კალანდაძე

ოსამა (......) ლადენი

სომხურ გვარებშია

.....ვირსალაძე

დათვი ასეთიც არის

რატომ?

ადგილობრივი მცხოვრები

მხატვარი (....)-გრეკო

დათქმული დრო

ჩვენი ფული

პოლონელი კინორეჟისორი ......ვაიდა

რკინის ჯოხი

ადგილი სადაც ადრე სახლი იყო

რუსული სადგური არქტიკაში

იაპონელი მწერალი კობო (.......)

ცენტრალური ამერიკის ქვეყანა

პატარა ირაკლი

პატარა ხალიჩა

მთამსვლელთა ღონისძიება

თითქმის მეგობარი ანუ?

ადამიანთა ფერი

ჯულიეტა მაზინას კინოპერსონაჟი

ილია ჭავჭავაძის ლექსი

თამაში ჯოხებით

ფარული დაცინვა

სიმძიმეების აწევა სპორტში

„ერთი“ გერმანულად

დიდი ტბა აშშ-ში

ქართული სადგური ბამ-ზე

მომღერალი ეთერი

სისხლისმწოველი პატარა არსება

ზევსმა ძროხად აქცია

არგენტინელი ფეხბურთელი

ერთი ეროვნების ხალხი

წყალსატევი

მდინარე რუსეთში

სისხლძარღვი

პუგაჩოვა

წვერის საღებავი

გაურკვეველი ნივთი

ალკოჰოლური სასმელი

გაზაფხულის მახარობელი

ალკოჰოლური სასმელი

აშშ-ის შტატი

სისხლისღვრა

პატარა მარიამი

აფხაზეთშია „ახალი“

Column clues (columns 1–30, top to bottom):

| Col | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | 4 | 4 | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 3 | 9 | 9 | 6 | | 4 | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | 5 | 5 | 3 | 3 | 1 | 7 | 4 | | 4 | | | | |
| | | | | | | | | 4 | 2 | 1 | | 5 | 3 | 5 | 7 | 13 | 14 | 3 | 2 | 2 | 6 | 8 | 9 | 3 | 7 | 2 | 2 | | | |
| | 1 | 1 | 1 | 2 | 5 | 7 | 9 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 |

Row clues (rows 1–25, left to right):

| Row | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | 4 |
| 2 | | | | | 4 |
| 3 | | | | | 4 |
| 4 | | | | | 4 |
| 5 | | | | | 4 |
| 6 | | | | | 6 |
| 7 | | | | | 7 |
| 8 | | | | | 9 |
| 9 | | | | 3 | 8 |
| 10 | | 1 | 6 | 2 | 3 |
| 11 | | | | 10 | 4 |
| 12 | | | | 11 | 2 |
| 13 | | | | 10 | 3 |
| 14 | | 1 | 1 | 6 | 3 |
| 15 | | | 1 | 3 | 4 |
| 16 | | | | 2 | 8 |
| 17 | | | 2 | 5 | 3 |
| 18 | | | 2 | 4 | 3 |
| 19 | | | 3 | 3 | 3 |
| 20 | | | 2 | 2 | 4 |
| 21 | | | 3 | 3 | 5 |
| 22 | | | 3 | 2 | 5 |
| 23 | | | 3 | 2 | 2 |
| 24 | | | 4 | 3 | 1 |
| 25 | 14 | 2 | 5 | 2 | 2 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | 7 | | 5 | | 4 | 2 | |
| | 9 | | 4 | 3 | 6 | | 7 | 1 |
| 4 | | 1 | 7 | 9 | 2 | 3 | | |
| 7 | 1 | 4 | | 6 | | | 8 | 2 |
| | 5 | | 2 | | 7 | | 1 | 4 |
| 8 | 2 | | 1 | | 5 | 9 | | 7 |
| | 6 | 5 | 3 | | | 7 | 9 | |
| 2 | | 9 | | 7 | 8 | | 6 | 3 |
| | 7 | 8 | 6 | 1 | | 2 | 4 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | | 1 | | 4 | |
| 2 | | | | 8 | | 3 | | |
| | | 3 | 5 | | 6 | | 2 | |
| | 5 | | 8 | 6 | | | | |
| | | 9 | | 1 | | | 8 | 3 |
| 1 | | | | | 3 | | | 5 |
| | | 5 | | | 8 | 4 | | |
| | 6 | | | | 7 | | 3 | 2 |
| 9 | | | 1 | | | | 7 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. მოხაზეთ „S"-ი



2. მარცხენა მხრიდან მიახატეთ თვალები და „S"-ის ბოლოს — პატარა რგოლი



3. თვალების შუიდან ზემოთ გაავლეთ რკალი და ბოლოში მიახატეთ პატარა რგოლი



4. მიახატეთ ნიანგის კბილები



5. მიახატეთ წინა თათები



6. შემდეგ — კენგურუს მსგავსი ფეხები და აპრეხილი კუდი



7. კუდზე მიახატეთ ფოჩები და გააფერადეთ



თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რომელი ცხოველი რომელ ჯადოქართან მივა



## იპოვე სურათზე 10 ძაღლი



# კუ და არწივი

## (იგავ-არაკი)

კუ არწივს ეხვეწებოდა: ფრენა მასწავლეო. არწივი ეუბნებოდა: ეგ როგორ იქნება, სად კუ და სად ფრენაო. კუ მაინც თავისას გაიძახოდა: ფრენას როგორ ვერ შევძლებო.

რა ექნა არწივს? კუს ბრჭყალები ჩაავლო, ჰაერში აიტაცა და მერე გაუშვა – აჰა, იფრინეო. კუ, აბა, რას იფრენდა?! ჩამოვარდა და დაიმტვრა.

გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო, – ამაზეა ნათქვამი.

## რიცხვრებუსი

,10, ,5, 10,,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხაოიანი ხილი → | | | | |
| | | | | |
| | ცხენების ჯოგი / ქორბუდა ცხოველი | | | საქართველოს მხარე / მერქნიანი მცენარე |
| | | | | |

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: რამ შეიძლება გამოიწვიოს ძაღლებში ცრემლდენა? ჩემს ძაღლს იმდენი ცრემლი სდის, რომ გარშემო ბეწვის ფერი აქვს შეცვლილი.**

**პასუხი:** თვალიდან ცრემლის დენა ბევრი რამით შეიძლება იყოს გამოწვეული. ზეპირად დიაგნოზის დასმა არ არის რეკომენდებული. ამიტომ, უმჯობესია, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ ვეტერინარს, რომელიც თქვენს ძაღლს საგულდაგულოდ გასინჯავს და დიაგნოზს დაუსვამს.

**კითხვა: თებერვლის პირველ ნახევარში ჩემს ძაღლს აცრის გაკეთება უწევს. მაინტერესებს, აცრის გაკეთებიდან რამდენ ხანში შეიძლება ცხოველის დაბანა?**

**პასუხი:** აცრიდან აუცილებლად 2 კვირა უნდა იყოს გასული. მანამდე იმიტომ არ არის რეკომენდებული ცხოველის დაბანა, რომ, შეიძლება, გაცივდეს და მოხდეს ვაქცინის გართულება. ამიტომ, ჯობია, მსგავსი გართულებები თავიდან აიცილოთ და თავი შეიკავოთ ცხოველის ბანაობაზე.

**კითხვა: ძაღლის წყლისა და საჭმლის ჭურჭელს თუ აქვს მნიშვნელობა? ანუ, სპეციალურ მაღაზიაში უნდა შევიძინოთ თუ ჩვენი სამზარეულოდანაც შეგვიძლია მათთვის ჭურჭლის გამოყოფა?**

**პასუხი:** სასურველია, ძაღლის ჭურჭელი მეტალის იყოს და არა პლასტმასის, რადგან, პლასტმასის ჭურჭლით ზოგი ძაღლი ერთობა, აფუჭებს მას და შიგ მოთავსებულ საკვებს; ასევე, შესაძლოა, პლასტმასის ჭურჭელი თამაშისას გატეხოს და მისი ნატეხი გადაეყლაპოს. არის სპეციალური ჭურჭელი, რომელიც მაღაზიებში იყიდება და, ჯობია, თქვენი ძაღლისთვის შეარჩიოთ ის ჭურჭელი, რომელსაც თავისი დანადგარიც აქვს. დანადგარი აფიქსირებს ძაღლის სიმაღლეს თავდახრილმა რომ არ ჭამოს და დალიოს წყალი. აქედან გამომდინარე, რა სიმაღლისაც არის ცხოველი, იმ სიმაღლეზე დაუფიქსირებთ ჭურჭელს დანადგარზე.

**კითხვა: ბოლო დროს ჩემი ძაღლი ზომაზე მეტ წყალს სვამს. წყლის ასეთი ჭარბი დოზით მიღება ჩვეულებრივი შემთხვევაა თუ, შეიძლება, დიაბეტის ბრალი იყოს?**

**პასუხი:** ამ საკითხთან დაკავშირებით უმჯობესია, ვეტერინარს მიმართოთ და ძაღლი გაასინჯოთ. არ არის გამორიცხული, თქვენს ძაღლს დიაბეტი ჰქონდეს, ამიტომ გადამოწმებაა საჭირო. ვეტერინარი ჩაუტარებს გამოკვლევებს და ზუსტ დიაგნოზსაც დასვამს. ზეპირად გადაჭრით პასუხის გაცემა მიჭირს.

**კითხვა: იქნებ, მირჩიოთ, როგორ გადავაჩვიოთ ლეკვი სახლში მოშარდვას?**

**პასუხი:** როცა ლეკვის გაყვანას დაიწყებთ სასეირნოდ, გარეთ მოშარდვასაც მიეჩვევა. ლეკვს რომ აჭმევთ, მერე ის აუცილებლად გარეთ უნდა გაიყვანოთ, რადგან, ჭამიდან რამდენიმე წუთში ის შარდავს და კუჭში გადის. კვების შემდეგ ცხოველის გასეირნება სისტემატურ სახეს რომ მიიღებს, მერე უკვე თვითონვე მოგთხოვთ გარეთ გაყვანას და სახლში აღარ მოისაქმებს. გასეირნება ერთსა და იმავე დროს უნდა მოხდეს. თუ ძაღლი სახლში გეყოლებათ დამწყვდეული, მას ვერ მოსთხოვთ, რომ სახლში არაფერი ქნას.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: როდის და რამდენ ხანს ყვავის კალა?**

**პასუხი:** კალა ცოტა ხანს ყვავის. მისი ყვავილობის სეზონი მხოლოდ ზაფხულია, რის შემდეგაც ეს მცენარე ზამთრამდე იძინებს. მართალია, მისი ყვავილობა ხანმოკლეა, მაგრამ, მას იმდენად მომხიბლავი ყვავილები აქვს, რომ მცირე დროითაც შეგიძლიათ, მისი ცქერით დიდი სიამოვნება მიიღოთ.

**კითხვა: როგორ შევუნარჩუნო მცოცავ მცენარეებს კარგი ფორმა?**

**პასუხი:** მცოცავი მცენარეები ძალიან სწრაფად იზრდებიან. ამიტომ, შეგიძლიათ, მათ ახალი ყლორტები კარკასზე დაუმაგროთ და ამით შეუნარჩუნოთ ფორმა. გაითვალისწინეთ, რომ კარკასზე მაშინ უნდა შემოახვიოთ, როცა ყლორტები ნორჩი და დრეკადია. კარკასზე დახვევა კი შემდეგნაირად ხდება: სქელი მავთულით ორმაგი წრე იკვრება და ორი გრძელი სწორი „ფეხით" ქოთნის ნაპირებთან ახლოს ერჭობა. ამ მავთულის ორივე მხრიდან იხვევა მცენარის ჯერ ყველაზე გრძელი ღეროები და შემდეგ სხვა ტოტებიც. როდესაც დამატებით მოკლე ღეროებსაც დაუმატებთ, თქვენ დიდ მწვანე წრეს მიიღებთ.

**კითხვა: მონსტერას ფოთლები აქეთ-იქით არის გადაზნექილი და მისი ღერო სიმყარეს ვერ ინარჩუნებს. რით დავეხმარო?**

**პასუხი:** ამ მცენარეს ხავსიანი საყრდენი სჭირდება. შეგიძლიათ, ეს საყრდენი ჯოხზე ხავსის მიმაგრებით გააკეთოთ ან მაღაზიებში შეიძინოთ. აუცილებელია ხავსის ტენიანობა, რომ საჰაერო ფესვები არ გამოშრეს. მონსტერას დამორჩილება იოლია: ჩაარჭვეთ მიწაში ხავსის საყრდენი ისე, რომ მცენარის ფესვები არ დააზიანოთ, ამ აბურდული მცენარის ორივე ღერო ფრთხილად შემოახვიეთ ღერძს და მიამაგრეთ. ამის შემდეგ თქვენი მონსტერა ნამდვილად შეინარჩუნებს წონასწორობას.

**კითხვა: ბინაში დიდი ხნით მიწევს ხოლმე მცენარეების მარტო დატოვება. როგორ მოვიქცე, რომ უწყლობა არ იგრძნონ?**

**პასუხი:** ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ მორწყვის სხვადასხვა ხერხი გამოიყენოთ: 1. ნიჟარაში წყალი ჩააგუბეთ, სამზარეულოს საწრეტზე პირსახოცი გადაფინეთ და მისი ერთი ბოლო წყლიან ნიჟარაში ჩადეთ, ამ პირსახოცზე კი თქვენი მცენარეები დაალაგეთ. ტენი პირსახოცს აჰყვება და ქოთნების ძირამდეც მიაღწევს. გაითვალისწინეთ, რომ ეს სარწყავი „სისტემა" დრენაჟიანი ქოთნებისთვის არ გამოდგება. 2. თუ თქვენ დიდი ზომის მცენარეები გაქვთ და მათი გადაადგილება ძნელია, მაშინ, დოლბანდის ერთი ბოლო წყლიან ვედროში ჩაუშვით, მეორე ბოლო კი – მიწაში. ამ მეთოდით, მცენარე ნელ-ნელა მიიღებს წყალს და აღარ გახმება. 3. ასევე, შეგიძლიათ, გამოიყენოთ პლასტმასის ბოთლი: მოაჭრით მას ძირი, სადაც წყალი ჩავა, თავსახურზე კი წვრილი ნახვრეტი გაუკეთეთ, რომ მცენარეს ზედმეტი მორწყვა არ მოუვიდეს.

**კითხვა: საკვებად თუ გამოდგება ცრუ წიწაკის კენკრა?**

**პასუხი:** ცრუ წიწაკა ანუ სოლანუმი ძალიან ლამაზია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი კენკრა ფერს იცვლის და ერთდროულად სხვადასხვაფრად კაშკაშებს, მაგრამ, მისი ნაყოფი შხამიანია და არ იჭმევა. ამიტომ, მოარიდეთ ის ბავშვებს.

**კითხვა: ჩემს მცენარეებს წყალი ზედმეტი მოუვიდა, როგორ გამოვაჯანმრთელო?**

**პასუხი:** თქვენი მცენარეები სასწრაფოდ ამოიღეთ ქოთნიდან და ფესვებზე ქაღალდის ხელსახოცები ან გაზეთები შემოახვიეთ. რომ შეშრება, ისევ ჩარგეთ, მაგრამ, რამდენიმე კვირის განმავლობაში არ მორწყათ, მხოლოდ დანამეთ და მზის გულს მოარიდეთ. ამის შემდეგ ისინი აუცილებლად გამოჯანმრთელდებიან.

**მოამზადა**
**თეონა გოგალიშვილმა**

**1937-1938 წლებში პოლიტიკურმა რეპრესიებმა საქართველოში პიკს მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, გამოძიებისთვის ფორმალურად მიეცა კანონიერი სახე, სინამდვილეში კი, ეგრეთ წოდებული „გამოძიების“ დროს, საპყრობილის თანამშრომლები პატიმრებზე ფიზიკური ზემოქმედების სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ (უფრო სწორად, იგონებდნენ). აღსანიშნავია, რომ პატიმრებზე ფიზიკური ზეწოლის ნებართვა საბჭოთა კავშირის ბელადის, იოსებ სტალინის მიერ იყო გაცემული. საბჭოთა რესპუბლიკებში ბელადის მითითებას ზედმიწევნით ასრულებდნენ და, ამ თვალსაზრისით, საქართველო „მოწინავეთა“ რიგებში იყო. აღსანიშნავია, რომ რეპრესირებულთა რიგებში არცთუ იშვიათად ხვდებოდნენ ქალები. საქართველო რეპრესირებული ქალების რაოდენობითაც გამოირჩეოდა. ამ საკითხზე გვესაუბრება ჩვენი რესპონდენტი ისტორიის დოქტორი ლევან ჯიქია.**

# წამების რა ხერხებს იყენებდნენ რეპრესირებული ქალბატონების წინააღმდეგ

– შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (შინსახკომის) თანამშრომლები პატიმრებისგან „აღიარებითი“ ჩვენების მისაღებად იყენებდნენ მათრახებს ბუნიკიანი დაბოლოებით, რეზინის ხელკეტებს, შომპოლს (თოფის საწმენდს), სველ ზეწრებს, თოკებს. პატიმრებს ათავსებდნენ ნესტიან, ვირთხებითა და ტარაკნებით სავსე საკნებში; სხეულზე აწვავდნენ ანთებულ სიგარეტს, ფანქრით უგრეხდნენ ხელის თითებს, სცემდნენ ყოველგვარ მდგომარეობაში: ფეხზე მდგომთ, წაქცეულებს, სკამის ზურგზე გადაწოლილებს გრაფინის ხუფს ურტყამდნენ მუცლის პრესზე, სცემდნენ გონების დაკარგვამდე. ზოგიერთი გამომძიებელი პატიმარს აიძულებდა, რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში კუთხეში მდგარიყო. ზოგს მძიმე ტვირთს ჰკიდებდნენ და ასე ჰყავდათ მანამ, სანამ ქანცგამოცლილი არ დაეცემოდა. ზოგს ზურგზე თოკით ჰკიდებდნენ მაგიდას, რომელზეც სიმძიმეებს აწყობდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც პატიმარს გაღებულ პირში აფურთხებდნენ, კარის ღრიჭოში თითებს აყოფინებდნენ, ნელ-ნელა ხურავდნენ და ისმოდა, თუ როგორ ემტვრეოდა ძვლები. წამების რა მეთოდი იქნებოდა პატიმრის მიმართ გამოყენებული, ეს გამომძიებლის ფანტაზიაზე იყო დამოკიდებული. არსებობდა ცივი და ცხელი საკნები: ცივი საკნები მოქმედებაში ზამთარში მოჰყავდათ, ცხელი კი – ზაფხულში.

**– იყო თუ არა განსხვავება ქალებისა და კაცების წამების მეთოდებში?**

– მინდა გითხრათ, რომ წამების მეთოდებში არსებითი ხასიათის განსხვავება არ იყო – ქალებსაც ისევე სცემდნენ და აწამებდნენ, როგორც კაცებს. მოგვიანებით, გამომძიებელი ალექსანდრე ხაზანი აცხადებდა: „მე თვითონ ქალებს არ ვცემდი. ჩემი განკარგულებით, ისიც მხოლოდ ერთხელ, სტარშოვამ, რომელიც შემდგომში თავადაც გაასამართლეს, სცემა პატიმარ მარიამ ორახელაშვილს (საქართველოს სსრ განათლების ყოფილი კომისრის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის, მამია ორახელაშვილის მეუღლე) – სილა გააწნა. ვნახე როგორ ამათრახებდა კრიმიანი ვიღაც ახალგაზრდა სომეხ ქალს...“

**– რა ბრალდებით დააპატიმრეს მარიამ ორახელაშვილი?**

– საქმე ისაა, რომ მამია და მარიამ ორახელაშვილებს ჰყავდათ სილამაზით განთქმული ქალიშვილი – ქეთევანი (ქეთუსია). ქეთევან ორახელაშვილის სილამაზე არ გამოჰპარვია ლავრენტი ბერიას. ერთხელ ბერიას ქუჩაში დაუნახავს ქეთევანი და მანქანა გაუჩერებია (მასთან საუბარი სურდა), მაგრამ, უეცრად გამოჩენილ მარიამს შეუშლია ხელი – პირდაპირ მიუხლია შვილისთვის, ამ გომბეშოსთან როგორ ლაპარაკობო. ქეთევანი ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირიჟორს, ევგენი მიქელაძეს გაჰყვა ცოლად. საყოველთაო რეპრესიების ხანაში, ბერიამ შურისძიება გადაწყვიტა: სამშობლოს ღალატის ბრალდებით, ჯერ ქეთევანის მშობლები – მამია და მარიამ ორახელაშვილები დააპატიმრეს მოსკოვში, თბილისში გადმოგზავნეს და საშინელი წამებით ამოხადეს სული. თურმე, მარიამს რომ ვერაფერი ათქმევინეს, მკერდი მოაჭრეს და მარილი დააყარეს. მერე, 1937 წლის 5 ნოემბერს, ევგენი მიქელაძე და მისი მეუღლე – ქეთევანი აიყვანეს პატიმრობაში. ხმა გავრცელდა, რომ ევგენი მიქელაძეს წამების დროს თვალები დასთხარეს და, როცა უბადლო სმენის პატრონმა მაინც იცნო ბერიას ხმა, ყურებში თოფის საწმენდი რკინა – ზუმბა გაუყარესო.

**ზოგი თავისმა სილამაზემ დაღუპა, ზოგი კი – სულ სხვა მიზეზმა**



**თურმე, რომ ვერაფერი ათქმევინეს, მარიამს მკერდი მოაჭრეს და მარილი დააყარეს**

**– ევგენი მიქელაძის დაპატიმრების შემდეგ აისრულა თუ არა ბერიამ საწადელი?**

– მიქელაძის დახვრეტის მიუხედავად, ბერიამ ძირითად მიზანს ვერ მიაღწია – ქეთევანი ბერიას სათოფეზე არ იკარებდა. ამიტომაც, შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 7 იანვრის დადგენილებით, ქეთევანს, როგორც სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრს, მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ასე აღმოჩნდა ქეთევან ორახელაშვილი აკმოლინსკის ბანაკში. მისი ცხოვრება გადასახლებაში, ცხადია, ისეთივე მძიმე და აუტანელი იყო, როგორიც სხვა გადასახლებული ქალების – ისინი საშინელ ყინვაში იძულებით ასრულებდნენ სხვადასხვა მძიმე სამუშაოს, რა დროსაც ფიზიკურადაც მახინჯდებოდნენ. სასჯელის მოხდის შემდეგ ქეთევან ორახელაშვილმა სამშობლოში დაბრუნება მოახერხა.

**– მხოლოდ ბერიას უარმყოფელი ქალები ხდებოდნენ რეპრესიის მსხვერპლნი?**

– ზოგი თავისმა სილამაზემ დაღუპა, ზოგი კი სულ სხვა მიზეზმა; მაგალითად, ერთ-ერთი ქალბატონის, ნინა ჩიჩუა-ბედიას დაპატიმრების მიზეზი ასეთი იყო: ნინას მეუღლე, ერიკ (ერმილე) ბედია გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი და „იმელის“ დირექტორი იყო, რომელმაც დაწერა წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორია“. ნაშრომი ბერიას მოეწონა და მიისაკუთრა კიდეც. ამის გამო ერთ-ერთ წვეულებაზე ნინამ ხმამაღლა ამხილა ბერია. ეს უკანასკნელი დაემუქრა: ბევრს ყბედობ, მაცალე, მე შენ ენას ამოგაძრობო. ბერიამ მუქარა შეასრულა – ჯერ ერიკ ბედია დააპატიმრეს და დახვრიტეს, შემდეგ – მისი მეუღლე. საინტერესოა, რომ დაკითხვაზე ბერიას მიუმართავს ნინასთვის: „ვინ დაწერა „ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორია“? ნინას უპასუხია: „ერიკმა, ერიკმა“! – და თან ბერიასთვის საფერფლე უსროლია. საპასუხოდ ბერიამ ის რევოლვერიდან გასროლით მოკლა. ოფიციალურ ვერსიაში კი ვკითხულობთ: „ძიებით დადგინდა, რომ, ბრალდებული ბედია, საქართველოში მოქმედი მემარჯვენე ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის, ერმილე ბედიას მეუღლე, იყო ამ ორგანიზაციის დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობის კურსში და იცოდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის, ამხ. ბერიას წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტის მომზადების შესახებ. ბრალდებული ნინა ბედია ყველანაირად აღვივებდა თავისი მეუღლის ტერორისტულ განწყობილებას და უბიძგებდა ამ მიმართულებით აქტიური ქმედებისკენ“. საქართველოს შინსახკომის „სამეულის“ სხდომის 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით, ნინა ბედიას მიესაჯა დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია.

**– არსებობს თუ არა სტატისტიკა, რამდენი ქალი შეეწირა მეოცე საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს საქართველოში?**

– 1937-1938 წლებში საქართველოში რეპრესირებული (დახვრეტილი და გადასახლებული) ქალების რაოდენობა 563-ს შეადგენდა. გადასახლებულთაგან მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ქალმა მოახერხა სამშობლოში დაბრუნება, უმრავლესობამ კი სული უცხოეთის ცის ქვეშ, საშინელ ტანჯვაში დალია.

**ეკა სალაღაია**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28(550)-5(631)

ან, რაში სჭირდება წესიერ ადამიანს ამხელა ქონება, პირადი მოხმარებისთვის? რა თქმა უნდა, არაფერში. ხოლო, ის კაცი კი, ვინც ქონებას მხოლოდ და მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის იხვეჭს, ყოვლად უზნეო, გარყვნილი და ფსიქიკურად შერყეული ადამიანია.

რა თქმა უნდა, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ადამიანმა დიოგენესავით კასრში უნდა იცხოვროს და წყალი პეშვით სვას, მაგრამ არც უზარმაზარი სივრცეების დაკავება და ოქრო-ვერცხლსა და ძოწეულში ჩაჯდომაა ნორმალური საქციელი. ჩემი ღრმა რწმენით, საყოფაცხოვრებო კუთხით რომ შევხედოთ ამ საკითხს, მდიდრის დანიშნულება, მისი მისწრაფება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანებმა კასრებში არ იცხოვრონ და პეშვით არ სვან წყალი...

– საბჭოეთის დანგრევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რა იყო თუ იცი? – მკითხა ერთხელ შჩუკინმა.

– რას გულისხმობთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ?

– იმას, ჩემო კოკი, რომ ამერიკელები ჩვენივე ნედლეულით, ჩვენზე კარგ ტანსაცმელსა და პროდუქციას უშვებდნენ. მეტად კომფორტულ გარემოში აცხოვრებდნენ თავიანთ მოქალაქეებს და ამ ყველაფერს ამერიკული ოცნება უწოდეს. ამიტომ იყო, რომ ყველანი ამ სატყუარას წამოეგნენ და ეს უზარმაზარი ქვეყანა ისე დაიმხეს თავზე, რომ ამ კატასტროფას თვით ამერიკელებიც არ ელოდნენ და თავიდან დაიბნენ კიდეც. თუმცა, მალევე მოეგნენ გონს და თავიანთი სატანური გეგმის განხორციელებაზე გადავიდნენ, რომელიც დიადი ქვეყნის დაუშრეტელი რესურსების ძარცვაში მდგომარეობდა.

– ამერიკული ოცნება ნელ-ნელა შიშვლდება და ყველა კარგად ხედავს, რომ ამ კეთილშობილობის მიღმა დიდი ბოროტება იმალება. ევროპაში ამერიკელები არასდროს უყვარდათ. დღეს კი, შეიძლება, უკვე დანამდვილებით ითქვას, რომ ისინი ეზიზღებათ. თითქმის ისე ეზიზღებათ, როგორც ვეზიზღებოდით ჩვენ, საბჭოელები ცივი ომის პიკში.



– გეთანხმები, ჩემო კოკი. ამერიკელებს ახლა არავინ სწყალობს. თუმცა, ისინი მაინც ძალიან ძლიერები არიან და ჩვენ, რუსები ჯერჯერობით ახლოც ვერ მივალთ მათთან. ხოლო, რაც შეეხება ცივ ომს, ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ის დასრულდა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად?

– არა. მასე არ ვფიქრობ.

– მაინც, რა გგონია?

– ის, რომ ეს ომი უბრალოდ შეჩერდა. ძალიან მცირე დროით.

– არა. შეჩერებაზე ლაპარაკიც არ არის. ის არც შენელებულა. უბრალოდ, ფარული გახდა, რადგან, ვითომდა მშვიდობისმოყვარე ამერიკას უკვე აღარ აწყობდა ასეთი რამ. ახლა კი, ისევ ძველ ფირფიტას ატრიალებს და ძველ სიმღერებს მღერის. ამიტომ, ისევ ძველი დრო ბრუნდება.

– ძველ დროში ჯაშუშურ ომს ხომ არ გულისხმობთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ? – ვკითხე შჩუკინს.

– სწორედ ჯაშუშურ ომს და ამ საქმეში რუსეთის მთავრობას უნდა დავეხმაროთ.

– როგორ უნდა დავეხმაროთ?

– ყველანაირად, მაგრამ, ამავდროულად უხილავები უნდა დავრჩეთ.

– რამე კონკრეტული იდეა გაქვთ?

– იდეა დახმარებაა. კონკრეტულად კი, ამ ეტაპზე, აი, ამ ადამიანების სია უნდა მივაწოდოთ ჩვენს კოლეგებს, რომ იმოქმედონ და რუს დიპლომატებს მუშაობის მეტი სივრცე მიეცეთ, – მითხრა შჩუკინმა და ეგრეთ წოდებული „ზომბების“ სია მომცა, რომელშიც ცამეტი ადამიანის გვარი ეწერა.

– ესენი ხომ შეცვლილი პოლიტიკოსები არიან, – ვუთხარი შჩუკინს, როდესაც სიას გავეცანი.

– სწორედაც რომ, ისინი არიან, თითოეული მათგანი დღემდე ცოცხალია და კვლავ აქტიურ პოლიტიკაშია ჩაბმული.

ეგრეთ წოდებული „ზომბები“ სხვადასხვა ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ფიგურები არიან. უფრო სწორად კი, იმ პოლიტიკური ფიგურების ორეულები. ისინი თავის დროზე საბჭოთა დაზვერვამ შეცვალა და მათ ადგილებზე „კაგებეში“ კარგად მომზადებული და ზომბირებული აგენტები დასვა. შეცვლის ერთ-ერთ ასეთ ოპერაციაში მეც მაქვს ადრე მონაწილეობა მიღებული. ეგრეთ წოდებული „ზომბები“ „კაგებეს“ მაღალკვალიფიციური ინსტრუქტორ-ფსიქოლოგების მიერ იყვნენ დამუშავებულები და მათთან კონტაქტი სპეციალური კოდირებული სიტყვის შემდეგ მყარდებოდა. თითოეულ „ზომბს“ თავისი სიტყვა ჰქონდა და პირადი კურატორი ჰყავდა. ასეთ ოპერაციებს „კაგებე“ ეგრეთ წოდებულ „მესამე ქვეყნებში“ ატარებდა – იქ, სადაც დახვეწილი პოლიტიკური სისტემები არ არსებობდა და აგენტის შეპარება შედარებით ადვილი იყო.

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, ნუთუ დღევანდელი რუსეთის დაზვერვა საქმის კურსში არ არის „ზომბების“ თაობაზე?

– არა. ჩვენ რომ სამსახურიდან მოვდიოდით, ყველა კურატორი გარდაცვლილი იყო. ეს ოპერაცია კი ზესაიდუმლოდ ტარდებოდა და მხოლოდ და მხოლოდ ერთჯერადი საბუთები კეთდებოდა, რომლებიც დღემდე ჩემს პირად, საიდუმლო სეიფში ინახება.

– საქმეების გადაბარების დროს რატომ არ გადაეცით ეს საბუთები ახალ ხელმძღვანელობას?

– იმიტომ, რომ დარწმუნებული ვიყავი მათ მოღალატეობაში და არც შევმცდარვარ. ახლა კი მტკიცედ მჯერა, რომ რუსეთში არ არის მოღალატე მთავრობა და ამ ნაბიჯს იმიტომ ვდგამ. თუმცა, ყველას მაინც არ ვენდობი და ამ საბუთებს ქვეყნის პირველ პირს მივცემ. ის მშვენივრად გაარკვევს, რა უნდა ქნას.

– გასაგებია, – ვუთხარი შჩუკინს და ამ თემაზე სიტყვა აღარ დამიძრავს. ის მართალი აღმოჩნდა. ცივი ომი ახალი ძალით გაჩაღდა ჯაშუშური ომიც დიდი ტემპებით მიმდინარეობს, რაშიც ახალი სუპერტექნოლოგიებია ჩართული და ასეთი რამ საბჭოთა კავშირის დროს არც ჩვენ და არც ამერიკას არ დაესიზმრებოდა.

ძველი დროისგან განსხვავებით, ამერიკელებს ბევრად მეტი სივრცე და ფინანსური რესურსი გააჩნიათ განახლებულ ცივ ომში. თუმცა, ძველი, გამოცდილი გვარდია ჯერჯერობით ისევ კარგ ფორმაშია და სწორედ ამის იმედი აქვს შჩუკინს.

– ნამდვილი „კაგებე“ არ მომკვდარა. ის იატაკქვეშეთში გადავიდა და ამით უფრო საშიში და ძლიერი გახდა თავისი მტრებისთვის, – მითხრა ერთხელ ერთმა პოსტსაბჭოელმა ჟურნალისტ-პუბლიცისტმა, რომელსაც ბალტიისპირეთის ერთ-ერთი რესპუბლიკის დედაქალაქში შევხვდი და ამერიკელ კოლეგად გავეცანი და ვუთხარი, რომ ანალოგიური საქმით ვიყავი დაკავებული და საბჭოთა სპეცსამსახურებზე წიგნს ვწერდი.

– თქვენ ნუ გეწყინებათ და, მგონი, ცოტა გადაჭარბებულად აფასებთ „კაგებეს“ შესაძლებლობებს. რა თქმა უნდა, ამ ყოფილი მონსტრის რაღაც უმცირესი შენაერთი, შეიძლება, მართლაც ეწევა არალეგალურ, იატაკქვეშა საქმიანობას, მაგრამ, შეუძლებელია, რომ ამხელა ორგანიზაცია იატაკქვეშეთში მოქმედებდეს და თანაც, ძალიან ეფექტურად, – ვუთხარი ჩემს „კოლეგას“, – მე თქვენ დიდ პატივს გცემთ და თქვენი მრავალი პუბლიკაცია მაქვს შესწავლილი, თუმცა, ამ თქვენს მოსაზრებას ნამდვილად ვერ გავიზიარებ.

„კოლეგას“ ჩაეცინა და მითხრა:

– მართალი ბრძანდებით. ნამდვილად ძალიან ძნელია, დამეთანხმოთ, მაგრამ, მე ჰაერზე არ ვლაპარაკობ.

– ჩემო მეგობარო, – ღიმილითვე მივუგე „კოლეგას“, – ნუთუ თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ თქვენი სიტყვების მტკიცებულება გაგაჩნიათ?

– სწორედ ასეა, – დამიდასტურა „კოლეგამ“, – ყვითელი პრესის წარმომადგენელი ხომ არ ვარ, რომ სისულელეები ვჩმახო?

– არა, მე ეს არ მითქვამს, მაგრამ, თქვენი განცხადება იმდენად ფანტასტიკურია, რომ ძალიან ძნელია ამის დაჯერება.

– კეთილი. ხვალ თქვენ ამაში საკუთარი თვალით დარწმუნდებით. მეტსაც გეტყვით: შესაძლებლობა გექნებათ, რომ ზოგიერთი მასალა თქვენს მომავალ წიგნშიც კი გამოაქვეყნოთ და თქვენად გაასაღოთ, თუკი, რა თქმა უნდა, თანხაზე შევთანხმდებით.

– იმედია, შევთანხმდებით. ახლა კი ღამე მშვიდობისა, ხვალამდე, – მივუგე „კოლეგას“ და ჩემს ნომერში დავბრუნდი.

ბალტიისპირეთში შჩუკინის თხოვნით ვიმყოფებოდი. ვიქტორ იაკოვლევიჩმა მოსკოვში ჩასვლა მთხოვა და რომ შევხვდი, მითხრა:

– კოკი, უნდა დაგვეხმარო.

– რაშია საქმე, ამხანაგო გენერალო?

შჩუკინმა ცნობილი ჟურნალისტის სურათი მაჩვენა და მითხრა:

– ამ სუბიექტმა თავისი ქვეყნის ერთ-ერთ გაზეთში პუბლიკაცია გამოაქვეყნა. იქ ისეთი ფაქტია მოყვანილი, რომელიც საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მისთვის ჩვენი მოღვაწეობის შესახებ ვარაუდის ფორმით კი არა, ფაქტებითაა ცნობილი.

– რატომ ფიქრობთ ასე, ვინმემ გიღალატათ თუ ეჭვი გაქვთ ვინმეზე?

– ღალატი არ მგონია, უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ჩვენს კვალზე ვიღაც შემთხვევით გამოვიდა, რაღაც ფაქტები მოიპოვა და მათ გაყიდვას ცდილობს.

– ეჭვი გაქვთ ვინმეზე?

– საქმეც ისაა, რომ არა, – თავი გააქნია შჩუკინმა, – ბევრი ვიფიქრე ამაზე და ვერავისზე იოტისოდენა ეჭვიც კი ვერ მივიტანე. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი უფრო შემთხვევითია, ვიდრე მიზანმიმართული ღალატი.

– მე რა მევალება?

ჩემს სიტყვებზე შჩუკინს გაეცინა და მითხრა:

– კოკი, ჩემო კარგო, ნუ გავიწყდება, რომ მე შენი უფროსი აღარ ვარ და, თუკი რამეს გააკეთებ, ეს დავალება კი არ არის, არამედ, შენი კეთილი ნება.

– კარგი. რა უნდა გავაკეთო?

– იმ სუბიექტს უნდა შეხვდე და კოლეგად გაეცნო. ლაპარაკში კი გაარკვიო, ფლობს თუ არა ის რამე საინტერესო ინფორმაციას და თუ მართლა ფლობს, მაშინ პირველწყარო აღმოაჩინო.

– სულ ესაა?

– ცოტაა?

– არა, მაგრამ, თქვენ არ გითქვამთ, რა უნდა ვქნა, თუკი მათ მართლა აღმოაჩნდათ რამე სერიოზული მასალები. ნუთუ ისინი ცოცხლები უნდა დავტოვო?

– ეგ უკვე შენი გადასაწყვეტია, – მომიგო ვიქტორ იაკოვლევიჩმა.

მე კი საიმედოდ შევინიღბე. შესაბამისი საბუთებითა და რეკვიზიტებით აღვიჭურვე და მოსკოვიდან კვლავ ბალტიისპირეთში გადავფრინდი.

ჩემს „კოლეგას“ რომ დავშორდი და სასტუმროს ნომერში დავბრუნდი, ჩემი რეკვიზიტი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოვიყვანე და დასაძინებლად დავწექი.

– გამარჯობა. როგორ გრძნობთ თავს? მზად ხართ, რომ გულისწამსვლელ, სუპერსენსაციურ ინფორმაციებს გაეცნოთ? – მითხრა „კოლეგამ“, როდესაც ერთმანეთს ერთ-ერთ მყუდრო სკვერში შევხვდით, სადაც ძალიან ცოტა ხალხი იყო.



– მზად ვარ, მზად ვარ... აბა, გამაოცეთ თქვენი სენსაციური დოკუმენტებით, – მივუგე „კოლეგას“.

– აი, ამ ერთწუთიან ჩანაწერს უყურეთ და დარწმუნდებით, რომ სრულ სიმართლეს ვამბობ, – მითხრა „კოლეგამ“ და მცირე ზომის ვიდეოკამერა დამიდო მუხლებზე, რომელშიც ჩანაწერის ყურება შეიძლებოდა.

ერთწუთიანი ჩანაწერი კოდირებული იყო და მხოლოდ ხმა ისმოდა. თუმცა, მე კარგად გავარკვიე მუხინისა და შჩუკინის ხმები და ეჭვიც არ შემპარვია მათში. ამგვარად, ისიც ნათელი იყო, რომ „კოლეგა“ არ ტყუოდა. ჩანაწერებში საბჭოთა კავშირის სივრცის აღდგენასა და ამ საქმეში იატაკქვეშა „კაგებეს“ როლზე იყო ლაპარაკი, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმაზე, რაზეც შჩუკინი და მე ვლაპარაკობთ ხოლმე ერთმანეთში. ფირის ნახვა რომ დავასრულე, კამერა პატრონს დავუბრუნე და ვუთხარი:

– კოლეგა, ეს ხომ ცუდი მონტაჟია, ტექსტი კი ისეთი ტრაფარეტული, რასაც ჯერ კიდევ ცივი ომის დროს ვისმენდით ამერიკული საინფორმაციო-პროპაგანდისტული წყაროებიდან.

– ნუ ჩქარობთ, – ღიმილით მითხრა „კოლეგამ“, – ეს მხოლოდ შესავალი იყო. ჩანაწერი, უბრალოდ, კოდირებულია და არა ფალსიფიცირებული. მასზე კი „კაგებეს“ ყოფილი მაღალჩინოსნები არიან აღბეჭდილები და, რასაც ისინი ამბობენ ამ მცირე ფრაგმენტში, მათი ნაბოდვარი კი არა, რეალობაა.

– ვინ მაღალჩინოსნები არიან, შეგიძლიათ, ერთი მათგანი მაინც დაასახელოთ?

– არა, – თავი გააქნია „კოლეგამ“, მე კი ვკითხე:

– რატომ?

– იმიტომ, ჩემო კარგო, რომ მე მათი ვინაობა არ ვიცი და არც მათი სახეები მაქვს ნანახი. უბრალოდ, ვისაც ეს ჩანაწერები ეკუთვნის, მის გაშიფვრაში სოლიდურ თანხას ითხოვს, რომ ყველა კარტი გახსნას.

„აი, ჩემი მიზანიც. თავად ებმება ხაფანგში“, – გავიფიქრე გუნებაში, „კოლეგას“ კი ვუთხარი:

– მაშინ, შემახვედრეთ იმ კაცთან და რეალურ თანხაზე დავილაპარაკოთ.

– დიდი სიამოვნებით, – მითხრა „კოლეგამ“, რომელსაც ვკითხე:

– სად და როდის მოვიდე?

– აქ და ახლავე, – გამიღიმა „კოლეგამ“ და სიგარეტს მოუკიდა.

ნახევარი წუთის შემდეგ ჩვენთან საშუალო სიმაღლის მამაკაცი მოვიდა, რომელიც მაშინვე ვიცანი. კიდევ კარგი, რომ შენიღბული ვიყავი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისიც მიცნობდა და ყველაფერი ჩაიშლებოდა. როგორც მივხვდი, სიგარეტის მოკიდება ნიშანი იყო. ჩემი ძველი ნაცნობი მოგვიახლოვდა და მითხრა:

– გამარჯობა, სერ.

– გაგიმარჯოს, – მივუგე მე, – ეს ჩანაწერი თქვენი კუთვნილებაა?

– დიახ.

– ვინ არიან მასზე აღბეჭდილები?

– ყოფილი საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ ელიტის ნაწილი.

– კონკრეტულად ვინ?

– კონკრეტიკა მაშინ, როდესაც თანხაზე შევთანხმდებით.

– ჯერ საქონლის ხარისხს უნდა გავეცნო და ფულზე მერე ვილაპარაკოთ.

– დარდი ნუ გაქვთ, ხარისხი გარანტირებულია. მე მაქვს თითქმის ორსაათიანი ჩანაწერი იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს იატაკქვეშეთში გადასული „კაგებე“ საბჭოთა კავშირის სი-



ერთი ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ
5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში,
ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს
ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს
ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში,
მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს
კარგი სამსახური
და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ...
გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და
3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31



ვრცის აღდგენას.

– თქვენ ეს ჩანაწერი საიდან?

– ფირმის საიდუმლოებაა.

– კარგი. თუ ეს ჩანაწერი მართლაც ასე ფასეულია, „ცეერუს“ რატომ არ დაუკავშირდით, ისინი ხომ ამაში დიდ თანხებსაც არ დაიშურებენ?

– „ცეერუ“ და სხვა მსგავსი პროფილის უწყებები ძალიან არასაიმედო პარტნიორები არიან ასეთ საქმეებში. მათ, უბრალოდ, შეუძლიათ, თავიდან მომიშორონ და ისე დაეუფლონ ამ ჩანაწერს. ამიტომ, საკუთარ სიცოცხლესა და ჩემს ფინანსურ კეთილდღეობას რისკის ქვეშ ვერ დავაყენებ.

– მაინც, რა თანხის მიღებას ვარაუდობთ ამ ჩანაწერის გაყიდვით?

– ვფიქრობ, რომ ხუთ მილიონ დოლარს გადამიხდით.

– ხუთ მილიონს? რას ბრძანებთ?! ამხელა თანხას სახელმწიფო საიდუმლოების, სტრატეგიული სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისთვის არ იხდიან და ორსაათიან ფირში ამდენს ვინ მოგცემთ?

– მომცემენ, მეგობარო, მეტსაც მომცემენ. მაგრამ, მე ხუთ მილიონზეც თანახმა ვარ. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ მილიონიანი ტირაჟით გამოშვებული ბესტსელერი, რომელიც ოცდაათი დოლარი ღირს და ერთ კვირაში გაიყიდება – ეს ხომ უკვე ექვსმაგი მოგებაა! გარდა ამისა, ამ ფირს ტელევიზიებიც შეიძენენ ექსკლუზიურად და ამ გარიგებიდანაც არანაკლები მოგება გექნებათ. ასე რომ, ჩემო კარგო, გირჩევთ, ეს შემოთავაზება მიიღოთ და ფირი ხუთ მილიონად იყიდოთ.

– კეთილი. თუკი ფირზე მართლაც ის ხალხია აღბეჭდილი და იმ შინაარსის საუბარია ჩაწერილი, რაზეც თქვენ მელაპარაკეთ, ჩათვალეთ, რომ ხუთი მილიონი დოლარი უკვე ჯიბეში გაქვთ. მანამდე კი...

– მანამდე კი, – სიტყვა შემაწყვეტინა ძველმა ნაცნობმა, – ჩემს სოროში წავიდეთ და სრული ფირი ვნახოთ.

– თანახმა ვარ. წავედით.

ჩემი ძველი ნაცნობი ძველი ქალაქის ძველებურ სახლში ცხოვრობდა, ფირი კი სარდაფში ჰქონდა დამალული, რომელიც ოთახივით ჰქონდა მოწყობილი და, რომ მივედით, მითხრა:

– სადაა იმის გარანტია, რომ, როდესაც ფირს განახვებთ, ფულს გადამიხდით?

– გარანტია ჩემი თავია. როგორც კი ფირის ნამდვილობაში დავრწმუნდები, ჩემი მობილურით ბანკში დავრეკავ და ხუთ მილიონ დოლარს ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ანგარიშზე დავასმევინებ. გაწყობთ?

– მაწყობს.

– მაშ, დავიწყოთ.

ძველმა ნაცნობმა ფირი ჩართო და თითქმის ორი საათის განმავლობაში ვუყურებდი ერთ-ერთი საიდუმლო შეხვედრის ჩანაწერს, რომელზეც შჩუკინი, მუხინი და „კაგებეს“ სხვა ყოფილი მაღალჩინოსნები დაწვრილებით განიხილავდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური სივრცის აღდგენის დეტალურ გეგმას და რამდენიმე საიდუმლო პროექტიც ახსენეს, რომელთა განხორციელებაში, შჩუკინის თხოვნით, მონაწილეობა მქონდა მიღებული. ჩვენების დროს ჩემი ნაცნობი ზოგჯერ კადრს აშტერდებოდა და დაწვრილებით კომენტარს აკეთებდა ამა თუ იმ პიროვნებაზე. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, ჩემი ძველი ნაცნობი „კაგებეს“ ყოფილი პოლკოვნიკი და ჩვენი უწყების საიდუმლო ინფრასტრუქტურის კარგი მცოდნე იყო და ყველა მაღალჩინოსანს პირადად იცნობდა. ის საბჭოთა კავშირის დაშლამდე მოულოდნელად გაუჩინარდა. მოგვიანებით ხმა გავარდა, რომ მან მილიონი მანეთი გაიტაცა და იმალებოდა, მერე კი, თითქოს პარტნიორებმა მოკლეს ბრაზილიაში.

„გამოდის, რომ არ მოუკლავთ. ან სცადეს და ცოცხალი გადარჩა“, – გავიფიქრე გუნებაში, როდესაც ჩვენება დასრულდა, ნაცნობს კი ვუთხარი:

– შთამბეჭდავია, ვერაფერს იტყვი. მე ვყიდულობ ამ ფირს. მაგრამ, თუ შეიძლება, ერთ კითხვას დაგისვამთ.

– მკითხეთ.

– როგორ მოიპოვეთ ის?

– მოდი, ეს ჩემს საიდუმლოდ დარჩეს.

– კარგი, ასე იყოს, – ვუთხარი ნაცნობს და ჯიბეში ხელი ჩავიყავი, ვითომდა მობილურის ამოსაღებად. იქიდან კი მცირე ზომის მაყუჩიანი პისტოლეტი ამოვაცურე, ნაცნობს მივუშვირე და კბილებში გამოვცარი:

– აბა, ამოღერღე, საიდან გაქვს ეს ჩანაწერი?

ყოფილი პოლკოვნიკი საკმაოდ გამობრძმედილი „კაგებეშნიკი“ იყო. ამიტომ, ირონიულად შემომხედა და მშვიდად მითხრა:

– მეგობარო, გირჩევ, ეგ სათამაშო შეინახო, შემთხვევით რომ არ გაგივარდეს და აქედან წახვიდე.

– შემთხვევით არაფერი ხდება, – მშვიდადვე მივუგე პოლკოვნიკს, შემდეგ ცნობილ ჟურნალისტს შუბლი გავუხვრიტე, ისევ ძველ ნაცნობს მივუბრუნდი და ვუთხარი, – ეგ ზედმეტი იყო. აბა, მითხარი, საიდან გაქვს ეს ჩანაწერი.

პოლკოვნიკი მიხვდა, რომ ვერ გამაცურებდა და მითხრა:

– სრულიად შემთხვევით. კონსპირაციულ აგარაკზე ვიმალებოდი. სადაც ეს შეხვედრა გაიმართა და ჩავწერე.

– პოლკოვნიკო, თუ იცი, ვინ ვარ?

საკუთარი წოდების ხსენებაზე პოლკოვნიკი შეცბა და მითხრა:

– ვინ ხარ?

მე გამეცინა და უკვე რუსულად ვუთხარი:

– კოკი ვარ.

– კოკი?! – გაოცდა პოლკოვნიკი, – ისე ხარ შენილბული, რომ ვერ გიცანი.

– პოლკოვნიკო, თქვენ ხომ ბრაზილიაში მოგკლეს? ყოველ შემთხვევაში ასეთი ხმები გავრცელდა.

– რასაც ამბობდნენ, მართალი იყო – მე მართლაც გავიტაცე მილიონი მანეთი და უცხოეთში გავიქეცი, მაგრამ, საქმეები ვერ ავაწყვე და კინაღამ მომკლეს. კარგა ხანს ვიხეტიალე, ბოლოს მოსკოვში დავბრუნდი და ჩვენი

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჩ | | ღ | | ა | ლ | ვ | ა | | | | | | |
| მ | ი | ხ | ა | ი | | ი | | კ | | | | | | |
| | ხ | | მ | ა | ნ | ა | ნ | ა | | | | | | |
| ა | ი | ლ | ე | მ | | ნ | | კ | | | | | | |
| რ | | ა | | ა | ბ | ა | ტ | ი | | | | | | |
| ა | ჯ | რ | უ | ლ | | | ე | | ა | ლ | ე | ს | ვ | ა |
| მ | | ნ | | ი | ნ | ა | ნ | ა | ბ | | | | ა | |
| ი | რ | ა | ო | | ი | რ | ო | ი | დ | | ს | უ | შ | ი |
| ს | | კ | | | ა | ხ | ჩ | | უ | დ | ა | კ | ა | კ |
| ი | ნ | ა | ი | რ | ბ | ო | ტ | ა | შ | | ლ | ა | ლ | ი |
| | ა | | ა | | ი | ტ | ი | დ | ა | | ა | ნ | ო | მ |
| ი | მ | ა | მ | ი | | ი | ტ | ი | ჰ | | მ | | მ | |
| ნ | ა | | ა | ქ | რ | | ლ | | ი | ლ | უ | ნ | ი | ყ |
| ა | რ | ა | ი | | ა | ს | ა | ჰ | ლ | | რ | | ძ | |
| | ხ | | კ | უ | ს | | ნ | | ი | ნ | ი | ლ | ე | ბ |
| ს | ი | ნ | ა | | ა | ლ | ი | ს | | ა | | ი | | |
| ტ | | ი | | ზ | | ა | | ა | ვ | ი | ტ | ვ | ი | ტ |
| ი | ლ | უ | ლ | ა | ვ | გ | ა | დ | | რ | | ლ | | ი |
| ქ | | ს | ა | მ | | ა | ვ | ი | ზ | ო | | ი | ა | ნ |
| ი | ლ | ი | ვ | შ | | მ | ე | ლ | | ბ | ე | ვ | რ | ი |
| ა | ი | | ხ | ი | დ | ი | | ი | დ | ი | ლ | ი | ა | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 9 | 3 | 4 | 2 | 5 | 6 | 7 |
| 2 | 4 | 5 | 6 | 7 | 1 | 3 | 9 | 8 |
| 6 | 7 | 3 | 9 | 8 | 5 | 4 | 2 | 1 |
| 9 | 3 | 8 | 7 | 2 | 4 | 6 | 1 | 5 |
| 5 | 6 | 7 | 1 | 3 | 9 | 8 | 4 | 2 |
| 4 | 1 | 2 | 5 | 6 | 8 | 7 | 3 | 9 |
| 8 | 9 | 6 | 2 | 5 | 3 | 1 | 7 | 4 |
| 7 | 2 | 4 | 8 | 1 | 6 | 9 | 5 | 3 |
| 3 | 5 | 1 | 4 | 9 | 7 | 2 | 8 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 2 | 1 | 5 | 9 | 6 | 4 | 3 | 7 |
| 9 | 4 | 7 | 3 | 1 | 8 | 2 | 6 | 5 |
| 5 | 6 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 7 | 6 | 4 | 8 | 1 | 5 | 2 | 9 |
| 2 | 9 | 4 | 6 | 5 | 7 | 8 | 1 | 3 |
| 1 | 8 | 5 | 9 | 2 | 3 | 7 | 4 | 6 |
| 7 | 5 | 9 | 1 | 6 | 4 | 3 | 8 | 2 |
| 4 | 3 | 8 | 2 | 7 | 9 | 6 | 5 | 1 |
| 6 | 1 | 2 | 8 | 3 | 5 | 9 | 7 | 4 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. „ყველა გზა რომიდან მოდის“. 2. ადოლფ ჰიტლერმა. 3. „ხრუშჩოვკებს“. 4. მოჯაჰედი. 5. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ (ძველ რომში პროლეტარებს უწოდებდნენ მამაკაცებს, ვისაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავდა). 6. სტენოგრაფია. 7. მეფუნდუკე, ვინც სასმელი მიჰყიდა. 8. „ბრაილის გაზეთი“ – ბრმებისთვის. 9. დოლარი. 10. კუჭი.**

ყოფილი უწყების კონსპირაციულ აგარაკზე ვიმალებოდი. იქ კი, თურმე შეთქმულები იკრიბებოდნენ. ეს ჩანაწერი იქ გავაკეთე და როდესაც მივხვდი, რა განძი მეჭირა ხელში, გადავწყვიტე, ის ფულად მექცია.

აშკარა იყო, პოლკოვნიკი არ ტყუოდა და მარტო მოქმედებდა. ამიტომ, მხრები ავიჩეჩე და ვუთხარი:

– სამწუხაროა, მაგრამ არ გამოგივიდათ. ახლა კი მშვიდობით, უნდა წავიდე.

– კოკი! – წამოხტა პოლკოვნიკი, მაგრამ ჩემი პისტოლეტის ტყვიამ მას მარცხენა თვალი გაუხვრიტა და ტვინი გაასხმევინა...

სრული გარანტიისთვის, პოლკოვნიკის სორო ბენზინით გავჟღინთე და იქაურობა გამოვბუგე. მე კი სულ მალე მოსკოვში დავბრუნდი, შჩუკინს ფირი მივეცი და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი.

– სამწუხაროა, მაგრამ, შემთხვევითობისგან არავინაა დაზღვეული. კიდევ კარგი, ყველაფერი კარგად დასრულდა, – მითხრა შჩუკინმა, – ამიერიდან უფრო ფრთხილად და წინდახედულად ვიმოქმედებთ. შენ კი დიდი მადლობა, რომ ჩვენი საქმე განადგურებისგან იხსენი.

– განადგურებისგან? ხომ არ აჭარბებთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ?

– ვაჭარბებ? რას ამბობ, კოკი! ეს ფირი რომ „ცეერუს“ ჩავარდნოდა ხელში, ამერიკელები მთელ თავის ძალებს აამოქმედებდნენ ჩვენ წინააღმდეგ და ერთი მხრივ, ყველას გაგვწყვეტდნენ, მეორე მხრივ კი მთელ ჩვენს უკან დაბრუნებულ სიმდიდრეს წაიღებდნენ.

– პრინციპში, მართალი ხართ. ამერიკელებს ეს არ შეეშლებოდათ. კიდევ კარგი, ფორტუნამ არ გვიმტყუნა.

– ფორტუნასაც რჩეულები, საუკეთესოები უყვარს. ჩვენ კი, მართლაც საუკეთესოები ვართ, რადგან სიმართლეს ვემსახურებით და არანაირ პირად გამორჩენას არ ველოდებით.

ვიქტორ იაკოვლევიჩი მართალი იყო. ამხელა სიმდიდრის პატრონებს რომ ანგარება და პირადი ამბიციები ამოძრავებდეთ, მაშინ ამ სიმდიდრის ხარჯვას შეუდგებოდნენ ან ბიზნესში ჩადებდნენ. ისინი კი, ამ თანხას ხალხის ფულს უწოდებენ და ძველი გეოპოლიტიკური სივრცის აღდგენას ესწრაფიან.

ერთხელ ჩემი ეს მოსაზრება შჩუკინს გავუზიარე. მან კი გაიკვირვა და მითხრა:

– ჩვენზე რომ ლაპარაკობ, შენი თავიც უნდა მიათვალო. შენ ისეთივე სრულუფლებიანი წევრი ხარ, როგორებიც ჩვენ და, ნუთუ გვემიჯნები?

– არ გემიჯნებით, თუმცა, ნამდვილად არ მეგონა, თუ საიდუმლო იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი ვიყავი.

– იატაკქვეშეთში დროებით ვართ, ჩემო კოკი. ხოლო, როდესაც ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცე აღდგება, ჩვენი უწყება კვლავ ლეგალური გახდება და დასამალიც არაფერი გვექნება, – შჩუკინმა პაუზა გააკეთა, გაეცინა და დაამატა – ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ოფიციალური სპეცსამსახურის თანამშრომლები და არც „კაგებე“ განახლდება ძველი სტატუსით. თუმცა, ყოფილი საბჭოური გეოპოლიტიკური სივრცე ნამდვილად აღდგება და იმაზე ძლიერი იქნება, ვიდრე ოდესმე ყოფილა – ამას წინ ვეღარაფერი აღუდგება და, მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყანაც რომ გაერთიანდეს, ამ პროცესს ვეღარაფერი შეაჩერებს.

– ისევ სტალინის პრობლემას ვუბრუნდებით, – ვუთხარი შჩუკინს, – ხომ იცით, ვიქტორ იაკოვლევიჩ, რომ ასეთ გლობალურ პროექტს მხოლოდ სტალინის დონის პიროვნება სჭირდება. ასეთები კი პლანეტაზე ათასწლეულში ერთხელ იბადებიან.

– კონკრეტულად სტალინზე რა მოგახსენო, ჩემო კოკი, მაგრამ რუსეთის მმართველობაში რომ დღეს პატრიოტი, ანტიამერიკული და არაფრის დამთმობი პიროვნებაა, შემიძლია, თავი დავდო.

შჩუკინზე ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელი რუსული მთავრობის ფანია. მაგრამ მას სჯერა, რომ ისინი ამერიკული ზეწოლის მოგერიებას და იმ ძველი პოლიტიკური პოლუსის აღდგენას შეძლებენ, რომელიც სტალინმა შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში სტალინის ხსენება „კაგებეში“ აკრძალული იყო, შჩუკინი, მართალია, ვიწრო წრეში, მაგრამ მაინც არ მალავდა თავის სიმპათიებს სტალინის მიმართ და მას „საბჭოთა კავშირის დიად მშენებელს“ უწოდებდა.

ამას წინათ გორში სტალინის ბოლო ძეგლი რომ დაამხეს, თანაც ღამით, მზაკვრულად, ერთი ჩემი ნაცნობი, ძველი სტალინისტი შემხვდა და მითხრა:

– უყურე, ბელადს როგორ უპარტყუნებდნენ თავში ეს ნაბიჭვრები?

– ძეგლებთან ომში მაგრები არიან, – მივუგე ძველ ნაცნობს და, რომ დამემშვიდებინა, დავამატე – ნუ ნერვიულობ. მოვა დრო, თანაც, სულ მალე, რომ გორში დამხობილ ძეგლსაც აღადგენენ და ათასობით სხვასაც.

– შენს პირს შაქარი, ჩემო კოკი! ვერ მიხვდნენ ქართველები, რომ ყველაზე დიდი, ყველაზე ცნობილი ქართველი სტალინი იყო და მისი უარყოფით საკუთარ თავს უარვყოფთ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## მეცნიერთა წარმატებული ნაბიჯი კიბოს წინააღმდეგ

კემბრიჯელი მეცნიერები, რომლებიც არატიპურ მოლეკულებს შეისწავლიდნენ, დარწმუნებით აცხადებენ, რომ კიბოს მკურნალობის საკითხის გადაჭრასთან ახლოს არიან.

თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ დნმ-ის მოლეკულა ორი ჯაჭვისგან შედგენილ სპირალს წარმოადგენს; მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ დნმ არსებობს, ასევე, ოთხი მოლეკულური ჯაჭვითაც. კემბრიჯის ლაბორატორიის მეცნიერთა ჯგუფმა, პროფესორ შანკარ ბალასუბრამიანის ხელმძღვანელობით, გადაწყვიტა, დაჰკვირვებოდა ასეთი ტიპის დნმ-ს. ოთხი ჯაჭვისგან შემდგარი დნმ-ის მოლეკულების, ანუ, G-კვადრუპლექსის გამოჩენა ნიშნავს, რომ უჯრედი გაყოფას აპირებს. მეცნიერებისთვის დიდი ხანია, ცნობილია, რომ კიბოს უჯრედები საკმაოდ სწრაფად მრავლდებიან, შესაბამისად, მათში ასეთი სტრუქტურა გაცილებით ხშირად ვლინდება, ვიდრე ჯანმრთელში, რაც კემბრიჯის ლაბორატორიაში დამტკიცდა კიდეც. G-კვადრუპლექსზე საკმაოდ ბევრია ცნობილი. მაგალითად, ის, რომ ასეთი მოლეკულები წარმოიშობიან დნმ-ის შემადგენელ ნივთიერებათა ოთხი ჯგუფიდან ერთ-ერთის – გუანინის დიდი რაოდენობით დაგროვებისას. თუმცა, გამოსაკვლევიც ბევრია. კემბრიჯელი მეცნიერები, ასევე, იმუშავებენ, გაიგონ, საიდან წარმოიშობა დამღუპველი უჯრედები. აღსანიშნავია, რომ G-კვადრუპლექსების რაოდენობა იმატებს არა მარტო კიბოს დროს, არამედ, ემბრიონის წარმოშობისას და ზრდის პერიოდშიც. თუ აღმოჩნდა, რომ ონკოუჯრედებისთვის დამახასიათებელი G-კვადრუპლექსები რამდენადმე განსხვავებულია ჯანმრთელისგან, მაშინ შესაძლებელი იქნება, შემუშავდეს ისეთი მკურნალობა, რომლის დროსაც პრეპარატები ჯანმრთელი ქსოვილების დაზიანების გარეშე გაანადგურებენ ონკოუჯრედებს. უკვე ცნობილია ანტისხეული, რომელიც სწორედ G-კვადრუპლექსს „შეუტევს“.

## ბრიტანელი ინჟინრის „მიქელანჯელოს ხელი“

დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მცხოვრებს, კრისტოფერ ტეილორს, წილად ხვდა ბედნიერება, მოსინჯოს უნიკალური „ბიონიკური ხელი“ – „რევოლუციური პროთეზი“, რომელსაც აღორძინების ეპოქის უდიდესი წარმომადგენლის პატივსაცემად „მიქელანჯელოს ხელი“ დაარქვეს.

ტეილორმა ხელი რამდენიმე წლის წინ დაკარგა – წყლის მოტოციკლზე ავარიის დროს. უბედურმა შემთხვევამ წერტილი დაუსვა არა მხოლოდ მის პროფესიულ კარიერას, არამედ ოჯახშიც სერიოზული პრობლემები შეუქმნა. საბედნიეროდ, სამი შვილის მამას ბედმა გაუღიმა და გერმანიაში უაღრესად შეზღუდული რაოდენობით დამზადებული ახალი თაობის „მიქელანჯელოს ხელის“ მფლობელი გახდა, რომლის ღირებულება 75 ათასი დოლარია.

რა თქმა უნდა, ბრიტანელები ადრეც სარგებლობდნენ პროთეზებით, რომლებიც ახლოსაც ვერ მოვა უახლესი ტექნოლოგიის „მიქელანჯელოს ხელთან“, რომელიც ტვინის ნეირონების სიგნალებით იმართება. პროთეზი დამზადებულია სხვადასხვა ლითონისგან, შენადნობებისა და პლასტიკატისგან და ადამიანის ხელის მტევნის აგებულებას იმეორებს. „თითებს ისე ვამოძრავებ, თითქოს ნამდვილი იყოს, რაც ჩემი პროფესიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ყოველდღიური ცხოვრებისთვის კი – აუცილებელი“, – განაცხადა კრისტოფერ ტეილორმა.

## თავისუფლად მოსეირნე 15 ათასი ნიანგი

15 ათასმა ნიანგმა დატოვა ფერმა „რაკვენა“ და მდინარე ლიმპოპოსა და მის ნაპირებს შეესია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კოკისპირული წვიმები დაიწყო და ფერმის მესვეურებმა, მდინარის შესაძლო ადიდების გამო კედლების დანგრევის შიშით, ფერმის ყველა კარი გააღეს. თუმცა, რეპტილიები არ დაელოდნენ სტიქიის დარტყმებს, ისარგებლეს შემთხვევით და მდინარეში შეცურეს. მაგრამ, ყველაზე საშინელი ისაა, რომ ისინი ადგილობრივ მცხოვრებთა კარმიდამოებშიც თავისუფლად დასეირნობენ. ერთ-ერთი მათგანი კი ფერმიდან 120 კილომეტრით დაშორებული რაგბის მოედანზეც კი აღმოჩნდა. ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ათასი ნიანგი იპოვეს და დააბრუნეს. მათ ღამითაც ეძებენ, რადგან სიბნელეში მათი წითელი თვალები ადვილი შესამჩნევია.

შექმნილმა სიტუაციამ ლამის გადაფარა ტრაგედია, რაც წყალდიდობას მოჰყვა: დაიღუპა 10 ადამიანი, 95 ადამიანი კი ევაკუირებულია დატბორილი ადგილებიდან, დანგრეულია 200 სახლი. წყალდიდობამ, აგრეთვე, დიდი ზარალი მიაყენა მეზობელ მოზამბიკს, სადაც იძულებული გახდნენ, სტიქიის რაიონიდან უსაფრთხო ადგილას ათასი ადამიანი გადაეყვანათ.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# როგორ იძია სტალინმა შური ილიას მკვლელებზე



**ფილიპე მახარაძის მიმართ სტალინს, ეტყობა, ძალიან დიდი ბოღმა ჰქონდა. როცა თბილისიდან შეატყობინეს, ფილიპემ თავი ჩამოიხრჩოო, სტალინს უთქვამს: ძაღლივით ჩააგდეთ სადმე მიწაშიო**

საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძეს მისი თანამედროვენი ხელისგულზე ატარებდნენ და მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ახორციელებდნენ. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ ყოფილა. ყოველი წამოწყების ბოლომდე მიყვანა ილიას უდიდეს ძალისხმევად უჯდებოდა. განსაკუთრებული წინააღმდეგობა შეხვდა მას ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში. ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორის, რომელმაც უსიტყვოდ შეიყვარა და შეითვისა ილიას ენა, გორელი ყმაწვილი, მომავალში საბჭოთა კავშირის ერთპიროვნული მმართველი, იოსებ ჯუღაშვილი გახლდათ. ჩანს, იგი ჯერ კიდევ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდიდან კითხულობდა ილია ჭავჭავაძის ლექსებსა თუ მოთხრობებს. არ იქნებოდა უადგილო იმისვარაუდიც, რომ გორელ ყმაწვილს ილიას გაზეთ „ივერიაზეც" მიუწვდებოდა ხელი. ასეა თუ ისე, 1894 წელს თბილისში ჩამოსული იოსებ ჯუღაშვილი უკვე კარგი მექართულე იყო. მისი, თბილისის სასულიერო სემინარიის პირველკლასელის თხზულება ილიას ქართულითაა დაწერილი.

მომავალში ჯუღაშვილმა სხვა მხრივაც გამოიჩინა თავი. სემინარიის პირველკლასელმა პოეზიაში მოსინჯა ძალები. უფრო დიდი გამბედაობის შედეგი იყო ის, რომ მან ეს ლექსი საქართველოში ყველაზე პოპულარულ გაზეთ „ივერიაში" მიიტანა გამოსაქვეყნებლად ილია ჭავჭავაძესთან. ასე შეხვდნენ თავდაპირველად ერთმანეთს ილია და სტალინი.

1895 წლის 14 ივნისს „ივერიის" პირველ გვერდზე, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დაიბეჭდა სამსტროფიანი უსათაურო ლექსი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი..." ლექსის ავტორი ვინაობას არ ამხელდა, ის ხელს აწერდა ფსევდონიმით: „ი. ჯ-შვილი". საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ილია ჭავჭავაძე საეჭვო ღირებულების ლექსებს არ ბეჭდავდა – ამ მხრივ იგი უკომპრომისო და შეუვალი იყო ცნობილი პოეტების მიმართაც კი. ისმის კითხვა: მაინც, რატომ დაბეჭდა მან ამ სრულიად უცნობი სემინარიელის ლექსი? პასუხი ერთადერთია: ის დაწერილი იყო ილიასეული ქართულით. ამას ადასტურებს ისიც, რომ, აღნიშნული ლექსი, ორი ათეული წლის შემდეგ, კერძოდ, 1916 წელს გამოცემულ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში" იქნა შეტანილი.

ილია ჭავჭავაძე მაშინ ჯერ კიდევ საზოგადოებისთვის უცნობ სემინარიელს დიდად სწყალობდა. 1895 წელს სტალინმა კიდევ ოთხი ლექსი გამოაქვეყნა „ივერიაში", კვლავ პირველ გვერდზე და ისევ თვალსაჩინო ადგილას, ოღონდ, ამჟამად „სოსელოს" ფსევდონიმით.

1895 წელს საყოველთაო სახალხო ზეიმით აღინიშნა რაფიელ ერისთავის იუბილე. იუბილეზე ერისთავს სიტყვით მრავალმა გამოჩენილმა ქართველმა მიმართა, მათ შორის იყო ერთადერთი უცნობი – ახლგაზრდა სემინარიელი იოსებ ჯუღაშვილი. მან იუბილარს საკუთარი ლექსი წაუკითხა. ეს ლექსი: „თ. (იგულისხმება თავად) რ. ერისთავს" მაშინვე „ივერიაში" გამოაქვეყნა ილიამ, ხოლო ცნობილმა მოღვაწემ, მელიტონ კელენჯერიძემ, შეიტანა თავის წიგნში (1899): „თეორია სიტყვიერებისა, როგორც ქართული სალიტერატურო ენის ქრესტომათიული ნიმუში". დამწყები პოეტისთვის ეს ტრიუმფი იყო. მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, მეხუთე ლექსის გამოქვეყნების შემდეგ, სტალინმა ილიასთან და „ივერიასთან" ურთიერთობა გაწყვიტა და შემდეგი, მეექვსე ლექსი, უკვე „ივერიასთან" მკვეთრად დაპირისპირებულ გიორგი წერეთლის გაზეთ „კვალში" გამოაქვეყნა.

თუ რა მოხდა საქართველოს უგვირგვინო მეფესა და მომავალი საბჭოთა იმპერიის ასევე უგვირგვინო მეფეს შორის, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, მათ შორის კამათსაც ჰქონოდა ადგილი. ასეა თუ ისე, ერთი რამ ნათელია: სტალინმა ილიასადმი ღრმა პატივისცემა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. ბელადი იმჟამადაც და შემდგომაც, ბოლშევიკ (კომუნისტ) ლიდერთა შორის ერთადერთი იყო, რომელიც ბოლომდე აცნობიერებდა ილიას ღვაწლს ქართველი ერის ისტორიაში.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისიდან საქართველოში ილია ჭავჭავაძის აღვირახსნილი კრიტიკა დაიწყო. ამ პროცესებს მიზანმიმართულად წარმართავდა ილიას მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი – ფილიპე მახარაძე. მისი სცენარით ვითარდებოდა მოვლენები 1934 წლამდე, კერძოდ, საბჭოთა მწერალთა კავშირის პირველ ყრილობამდე. სრულიად მოულოდნელად, საბჭოთა იდეოლოგიის მიერ განქიქებული და უარყოფილი ილია ჭავჭავაძე, მისი ნააზრევი და ნაღვაწი მთელი სისრულით წარმოჩინდა საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაციის ხელმძღვანელის, ცნობილი ბოლშევიკის, მალაქია ტოროშელიძის მიერ ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში. ცხადია, ტოროშელიძე ილიას ღვაწლის ობიექტურად წარმოჩენას ვერ გაბედავდა, მით უმეტეს, რომ მანამდე მასზე ბევრი ცუდი ჰქონდა დაწერილი. საქმე ისაა, რომ სტალინს მალაქია ტოროშელიძის მომავალი მოხსენების ტექსტი არ მოეწონა, ამიტომ, მოხსენების ახალი ვარიანტი დაიწერა ბელადის მიერ ნაკარნახევი გეგმისა და შეფასებების საფუძველზე. ამრიგად, მოხსენებაში გატარდა სტალინის აზრი და არა მალაქია ტოროშელიძისა. ერთი ვერსიით, მოხსენების საბოლოო ვარიანტი პავლე ინგოროყვას ეკუთვნის, მალაქია ტოროშელიძემ კი მოხსენება მხოლოდ წაიკითხა. ბელადმა 1934 წელს ერთი ხელის დაკვრით აღადგინა ილია ჭავჭავაძე მის უფლებებში, ერთბაშად გააცამტვერა ყოველივე ის ცილიმწამებლური, რასაც ფილიპე მახარაძე და მისი თანამოაზრეები თხზავდნენ წლების განმავლობაში. ამასთან, ტოროშელიძის მოხსენება სტალინმა მოსკოვში, რუსულ ენაზე, ცალკე წიგნად გამოაცემინა დიდი ტირაჟით.

სტალინის ასეთმა დამოკიდებულებამ ილიას მიმართ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოში. პატრიოტ მწერლებს, ლიტერატურათმცოდნეებსა და ისტორიკოსებს საშუალება მიეცათ, ობიექტურად ეწერათ ილიას შემოქმედების შესახებ. ყოველივე ამის მიუხედავად, ცხადი იყო, რომ ფილიპე მახარაძე დანებებას არ აპირებდა, თუმცა, მან ბრძოლა საბოლოოდ 1937 წელს წააგო – მაშინ, როცა საქართველოში და, საერთოდ, მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ აღინიშნა ილიას 100 წლის იუბილე. საქართველოში ამ ღონისძიების ორგანიზება სტალინმა ლავრენტი ბერიას დაავალა. ბერიამ დაკისრებულ მოვალეობას შესანიშნავად გაართვა თავი. მისი ინიციატივით ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა „ივერიაში" გამოქვეყნებული სტალინის ლექსები. მას სტალინის ლექსები შემთხვევით არ გამოუქვეყნებია, ყოველივე ეს პასუხი იყო არდასმული კითხვისა: თუ ილია თავადაზნაურული იდეოლოგიის ქომაგი და მშრომელი ხალხის მჩაგვრელი იყო, მაშინ, რატომ დაულოცა გზა გორელი გლეხის შვილს, სრულიად უცნობ იოსებ ჯუღაშვილს გაზეთ „ივერიაში"? ამ კითხვაზე საზოგადოებამ პასუხი თავისთავად იპოვა.

სტალინმა უწყოდა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე იყვნენ, მაგრამ, გარკვეულ დრომდე ამას არ ამჟღავნებდა. 1935 წელს ბელადმა ლავრენტი ბერიას დაავალა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება. მოსკოვიდან დავალების მიღების შემდეგ, თავის სამუშაო კაბინეტში მყოფ ბერიას გაოცება ვერ დაუმალავს და რამდენიმე ადამიანის თანდასწრებით ასეთი რამ უთქვამს: ილიას მკვლელობის საქმეს რა გამოძიება უნდა, ერთი მკვლელი სტალინს უზის მოსკოვში თავისთან, ხოლო მეორე ჩემთანაა თბილისშიო. ცხადია, ლავრენტი ბერია ორჯონიკიძესა და მახარაძეს გულისხმობდა. ამ დროიდან დაიწყო ორჯონიკიძისა და მახარაძის წამება, მაგრამ, სტალინი არ ჩქარობდა. ილიას მკვლელობის საქმის ძიება ნელ-ნელა მიიწევდა წინ. რით დამთავრდა ყოველივე ეს, ორჯონიკიძისათვის უცნობი დარჩა, რადგან იგი სტალინმა სასამართლო პროცესამდე რამდენიმე წლით ადრე მოაკვლევინა სხვა მიზეზების გამო. რაც შეეხება ფილიპე მახარაძეს, იგი დიდხანს ეწამა. მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა – ფსიქოლოგიურად განადგურებულმა თავი ჩამოიხრჩო მას შემდეგ, რაც ცხადად დაინახა, რომ 1941-1942 წლების სასამართლო პროცესზე ილიას მკვლელობის ორგანიზატორთა შორის, შესაძლოა მისი გვარიც ამოტივტივებულიყო.

მართალია, სტალინმა ილიას მკვლელობის ორივე ორგანიზატორი საკადრისად დასაჯა, მაგრამ მაშინ ამის აფიშირება არ მომხდარა. ჩეკისტის ტყვიით კეფაგახვრეტილი ორჯონიკიძე, რომელსაც, ოფიციალური ვერსიით, გული გაუსკდა, მოსკოვში კრემლის კედელთან დაკრძალეს, „რევოლუციის რაინდთა" გვერდით. ფილიპე მახარაძის მიმართ კი სტალინს, ეტყობა, ძალიან დიდი ბოღმა ჰქონდა. როცა თბილისიდან შეატყობინეს, ფილიპემ თავი ჩამოიხრჩოო, სტალინს უთქვამს: ძაღლივით ჩააგდეთ სადმე მიწაშიო. შემდეგ, მაინც გადაიფიქრა და ილიას მკვლელი, მთაწმინდაზე, ილიას საფლავიდან ახლოს დაკრძალეს. ამ შემთხვევაში სტალინი ერთადერთ რამეს უწევდა ანგარიშს: ფილიპე მახარაძე ილიას მკვლელობის ორგანიზატორად თუ გამოცხადდებოდა, გაიშიფრებოდა დამკვეთიც – კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია. ცხადია, ამაზე სტალინი ვერ წავიდოდა.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ნინიაშვილი-ნინიკაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ნინია.**

პაპუა, ბასილა და თევდორე **ნინიაშვილები** 1685 წელს შეყვანილები არიან უდავობის წიგნში, რომელიც მდივან ზურაბისთვის მიუციათ.

1823 წლის აღწერით, სოფელ დრეში მოიხსენიება იესე **ნინიაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ნინიძე, ნინიკაშვილი, ნინიკელაშვილი, ნინიკაური, ნინუა, ნინუაშვილი.**

საქართველოში 574 **ნინიაშვილი** ცხოვრობს: დმანისში – 125, თბილისში – 125, ქარელში – 61. არიან სხვაგანაც.

### ფანიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ფანია.**

1710 წელს, აზატობის წიგნში, რომელიც ვილაცას რევაზა ყოყოლაძისთვის მიუცია, მოიხსენიება პეტრე **ფანიაშვილი.**

1721 წელს ღორისთავში მოიხსენიება სეხნია **ფანიაშვილი.**

საქართველოში 112 **ფანიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 55, გორში – 39, მცხეთაში – 6. არიან სხვაგანაც.

### ლევანიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ლევანი.**

**ლევანი ლეონის** ქართული ფორმაა და ლომს ნიშნავს. ცხოველთა მეფის სახელი ევროპულ ენაში ძველეგვიპტური ლებუსგან მომდინარეობს. ბერძნულადაა **ლეონ,** ლათინურად – **ლეო,** გერმანულად – **ლიოვე,** რუსულად – **ლევ,** ფრანგულად – **ლეონ,** ინგლისურად კი – **ლაიან.**

**ლევანი,** როგორც საკუთარი სახელი, საეკლესიო კალენდარში არ გვხვდება, მაგრამ, გავრცელებული რომ იყო ხალხში, ამას ბევრი გვარი მოწმობს. მაგალითად: **ლომიძე, ლომაძე, ლომაშვილი, ლომაური** და ასე შემდეგ.

საქართველოში 102 **ლევანიძე** ცხოვრობს: თბილისში – 40, კასპში – 33, თეთრი წყაროში – 12. არიან სხვაგანაც.

### კოლუაშვილი-კოლუა-კოლოშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **კოლუა.**

ბერუა **კოლუაშვილი** მოიხსენიება ენაგეთის ახალშენში, 1713 წელს, კათალიკოს დომენტის მიერ ამილბარ და სხვა მაღალაძეებისადმი გაცემულ გაყრილობის წიგნში.

ამავე ძირისაა გვარები **კოლუა** და **კოლოშვილი.**

საქართველოში 759 **კოლუაშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 343, წყალტუბოში – 271, თბილისში – 76. არიან სხვაგანაც.

213 – **კოლუა.**

76 – **კოლოშვილი.**

### დათიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **დათია.**

ივანე **დათიაშვილი** მოიხსენიება დიდ ენაგეთში 1823 წელს.

კოდაში მცხოვრებმა იოსებ **დათიაშვილმა** 1829 წელს იქორწინა თამაზ მიქელაშვილის ასულ ნინაზე. გვირგვინი აკურთხა მღვდელმა იოანე ალინიევმა. თავმდებები იყვნენ: იორებ ქრისტესაშვილი, დათუა დოლმაზაშვილი, ქრისტესა ლაზარეიშვილი და ნონია ასლანიშვილი.

საქართველოში 1 195 **დათიაშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 245, თბილისში – 198, ზესტაფონში – 170. არიან სხვაგანაც.

### კოჩაძე-კონჩაძე

გვარის ფუძეა მეტსახელი **კოჩა, კოჩია.**

1782 წელს **კოჩაძე** მოხსენიებულია როსტევანიშვილი სააკას მიერ მირზა იზრეიმასშვილი გოგიასადმი გაცემულ ბატონყმობის წიგნში.

ამავე ძირისაა გვარები: **კონჩაძე, კოჩებაშვილი, კოჩანაძე, კოჩინაშვილი, კოჩუაშვილი.**

საქართველოში 890 **კოჩაძე** ცხოვრობს: ხარაგაულში – 167, ქუთაისში – 166, ბაღდათში – 127. არიან სხვაგანაც.

### მირუაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მირონ,** რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად მტირალას, მირონიანს ნიშნავს.

**მირონის** კნინობითი ფორმებია: მირუა, მირუშა.

1721 წლის აღწერაში მოიხსენიებიან დავით და ერუკა **მირუაშვილები.**

საქართველოში 771 **მირუაშვილი** ცხოვრობს: გორში – 424, თბილისში – 294, კასპში – 15. არიან სხვაგანაც.




### ბექაური-ბექაურიშვილი

გვარის ფუძეა ძველი ქართული საკუთარი სახელი – **ბექა**. ამ სახელით ბევრი ისტორიული პიროვნებაა ცნობილი, მაგალითად, ბექა ოპიზარი.

მთიანეთში მცხოვრებ **ბექაურთა** თიკუნებია: **აფთარაანი**, შარვანიანი, ბაინდურიანი, დათვიანი, ლომიანი, ბატარაანი.

არაგვის ხეობის აღწერაში 1774 წელს მოიხსენიებიან გუდამაყრის ჭალის სოფელში ერისთავის ყმა და მისი სამოსახლო: „ბეჟანა **ბექაურის** შვილი ნადირა, ირემა და შიო. აქავ **ბექაური** ვეფხია“.

გადმოცემის მიხედვით, ამ გვარის მიმცემი **ბექა** და წიკლაურთა ფუძის დამდები წიკქვაი ძმები ყოფილან. ამ გვარის წარმომადგენლები ამბობენ, რომ გუდამაყარში ცხოვრობდა ოთხი გვარის ხალხი: **ბექაური**, წიკლაური, აფციაური და ჩოხელი. ამ გვარების წარმომადგენლები ერთმანეთში არ ათხოვებდნენ ქალს.

თეთრიწყაროელი **ბექაურები** სოფელ მაქართადან არიან.

1853-1854 წლებში შამთაში მცხოვრები **ბექაურები**, შალვა **ბექაურის** გარდა, **ბექაურიშვილებად** ჩაეწერნენ.

გვხვდება, ასევე, გვარი **ბექაძე.**

საქართველოში 3 463 **ბექაური** ცხოვრობს: თბილისში – 468, თეთრი წყაროში – 417. არიან სხვაგანაც.

### მემშვილდიშვილი

**მემშვილდიშვილი** ხელობა-საქმიანობის მიხედვით შექმნილი გვარია. ადრე ქართლში ცხოვრობდნენ, შემდგომში კი, ბევრი სხვა გვარის წარმომადგენლების მსგავსად, რაჭაში გადავიდნენ.

1448 წელს ღანირში მცხოვრებ **მემშვილდიშვილს** საყდრისთვის ემართა ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ყველი, კვერცხი, ხუთი კოკა ღვინო და ძღვენი.

1423 წელს ენაგეთში მცხოვრები **მემშვილდიშვილი** ბარათაშვილების გაყრისას ერგოთ გერმანოზსა და მის ძმებს.

1630 წელს ენაგეთელი **მემშვილდიშვილი** სვიმონ მეფემ მამულითურთ უწყალობა ქაიხოსრო ბარათაშვილს.

სარქისა **მემშვილდიშვილი** 1665 წელს სუმბატა მურადაშვილის მიერ სუხინასა და გაბუსათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნის მოწმეა.

საქართველოში 350 **მემშვილდიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 157, ონში – 58, გორში – 57. არიან სხვაგანაც.

### ანუაშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **ანუა.**

ბოგვში მცხოვრებმა გლეხმა, გიორგი **ანუაშვილმა,** 1829 წელს იქორწინა წალასყურში მცხოვრები გლეხის, ივანე შიუაშვილის ქალთან, 14 წლის მარიამთან.

საქართველოში 101 **ანუაშვილი** ცხოვრობს: საგარეჯოში – 40, თბილისში – 30, გარდაბანში – 18. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის** მიერ **მოწოდებული მასალების მიხედვით**
**მოამზადა ნონა დათეშიძემ**


შეცვალეთ თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ!
იცხოვრეთ პრობლემების გარეშე!

ბიოკორექტორი ნანა მამაგულაშვილი თქვენს სამსახურშია.
ჩვენ ერთად მოვერევით სირთულეებს

დარეკეთ: 577 75-54-18.
შედეგი პირველივე ვიზიტზე!



# ხართ რომანტიკული?



*ვახშამი სანთლის შუქზე, სერენობები, სერენადები ფანჯარასთან და ფანტასტიკური სიურპრიზები – რას ნიშნავს ეს ყველაფერი თქვენთვის?*

**1. რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა „სიყვარული“?**

ა) იმას, რისთვისაც ღირს სიცოცხლე;
ბ) ბევრს არაფერს – ადამიანები მას მეტისმეტად აფეტიშებენ;
გ) სერიოზულ გრძნობას, ტკივილისა და სიხარულის მომტანს.

**2. გაიხსენეთ ბავშვობა. რაზე ოცნებობდით ხშირად?**

ა) ზღაპრულ უფლისწულზე (პრინცესაზე);
ბ) მოგზაურობასა და თავგადასავალზე;
გ) განძის პოვნასა და გამდიდრებაზე.

**3. როგორ წარმოგიდგენიათ იდეალური პაემანი?**

ა) დიდხანს სეირნობა და გულითადი საუბრები;
ბ) კარგი პრემიერა;
გ) ვახშამი სადმე, ძვირფას რესტორანში.

**4. მამაკაცის მთავარი ღირსება არის...**

ა) ჭკუა და იუმორის გრძნობა; ასევე – სიკეთე;
ბ) პრაქტიკულობა და მიზანდასახულობა;
გ) ხელგაშლილობა, ფანტაზია, რომანტიკულობა.

**5. როცა საყვარელ ადამიანს ავიწყდება დღესასწაულები:**

ა) არ ვნერვიულობ, ეს ტრაგედია არ არის;
ბ) ძალიან განვიცდი. მთელი თვე გუნებამოშხამული ვარ;
გ) ვსაყვედურობ, მაგრამ მსუბუქად.

**6. ჩვეულებრივ, რა საჩუქარს უძღვნით, საყვარელ ადამიანს ახალ წელს?**

ა) ძირითადად, ახალ მობილურ ტელეფონს;
ბ) საინტერესო წიგნს, ან ბილეთს პრემიერაზე;
გ) საყოფაცხოვრებო ნივთს.

**7. შეიძლება ოჯახის შექმნა დიდი სიყვარულის გარეშე?**

ა) არა, მთავარი სიყვარულია;
ბ) ნორმალურია. მთავარია, წყვილს შორის გაგება იყოს;
გ) ამბობენ, რომ სიყვარულის გარეშე ქორწინება უფრო მყარია.

**8. ორი-სამი პაემნის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება ნორმალურია?**

ა) ალბათ. რატომაც არა?!
ბ) აბსოლუტურად, თან – შესანიშნავიც;
გ) არა, ასეთი აჩქარება დამღუპველია.

**9. როგორ უნდა მოხდეს გულისა და ხელის შეთავაზება?**

ა) ბრილიანტისთვლიანი ბეჭდის მირთმევით;
ბ) მუსიკით, ყვავილებით, შამპანურით – განსაკუთრებულ გარემოში;
გ) მთავარია, ყველაფერში გრძნობა ჩანდეს.

**10. როგორ წარმოგიდგენიათ იდეალური ქორწილი?**

ა) ალბათ, სადმე კოშკში, უამრავი სტუმარი და ფოიერვერკი;
ბ) მხოლოდ უახლოესი ადამიანების გარემოცვაში;
გ) ამაზე ფიქრი მეზარება.

**ტესტის გასაღები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 5 | 5 | 3 | 3 | 1 | 1 | 5 | 3 | 1 | 5 |
| ბ | 3 | 3 | 5 | 1 | 5 | 3 | 3 | 1 | 5 | 3 |
| გ | 1 | 1 | 1 | 5 | 3 | 5 | 1 | 5 | 3 | 1 |

***10-23 ქულა:*** *რომანტიკული სისულელეები თქვენთვის არ არსებობს. მეტისმეტად სერიოზული და პრაგმატული ხართ. ცუდი არ არის, მაგრამ, მოსაწყენია.*

***24-37 ქულა:*** *ცხოვრებას საკმაოდ რეალურად აღიქვამთ და რომანტიკაც გესმით. თუმცა, ზომიერების ფარგლებში. ვარსკვლავიანი ცაც მოგწონთ და ვახშამიც სანთლების შუქზე, მაგრამ ამას ცხოვრების მიზნად არ გაიხდით.*

***38-50 ქულა:*** *ისეთი რომანტიკული ხართ, სულ ღრუბლებში დაფრინავთ. ეს უკვე მეტისმეტია. სასწრაფოდ დაეშვით დედამიწაზე, სანამ არ ჩამოვარდნილხართ.*

## დასჯილი პრინცესა

ეგვიპტეში პრინცესა შერტ ნებტის სამარხი იპოვეს, რომელიც 4,5 ათასი წლის წინათ ცხოვრობდა. სამარხი მეხუთე დინასტიით თარიღდება. ის, რამაც არქეოლოგები გააოგნა, იყო სამარხის ადგილმდებარეობა. საქმე ისაა, რომ მეხუთე დინასტიის სამეფო ოჯახის დანარჩენი წევრები ამ ადგილიდან თითქმის ორი კილომეტრის მოშორებით არიან დაკრძალულნი.



„მარადისობის სახლის“ – ანუ სამარხების ეგვიპტისეული მოწყობის პრინციპით, ეს სრულიად დაუშვებელია. ეჭვის საფუძველს იძლევა თავად ჩასასვენებელიც. მას არანაირი მოსართავი არ აქვს. წარწერაც უბრალოა: „შერტ ნებტი – ფარაონის ქალიშვილი“. არსად არის სავალდებულო სიტყვები: „ღვთის რჩეული და მისი საყვარელი ქალიშვილი“. ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა გადაწყვიტეს, რომ ეს სწორედ ის ეგვიპტელი პრინცესაა, რომელიც მდაბიოზე გათხოვდა და ფარაონი მამის რისხვა დაიმსახურა.

## არქეოლოგია მოწმეა!

ქალაქ სევასტოპოლში, ანტიკურ ქალაქ ხერსონიდან 14 კილომეტრის დაშორებით, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ღვინის ქარხანა, რომელიც ძველ ბერძნებს აუშენებიათ ჩვენს ერამდე მეოთხე საუკუნეში, ანუ, მთელი ქარხანა... ხომ წარმოგიდგენიათ, ბერძნებმა ააშენეს ღვინის ქარხანა – როგორი მოთხოვნილება იყო ღვინოზე?! მის გარშემო კი ციხესიმაგრე ააგეს და კარგად გაამაგრეს, რომ ხანგრძლივი ალყისთვისაც გაეძლო. მომთაბარეებიც არ იყვნენ გულგრილნი კარგი ღვინის მიმართ და ხშირად ესხმოდნენ თავს ღვინის ციხესიმაგრეს. სკვითების მოსაგერიებლად აქ მთელი გარნიზონი იდგა.



არქეოლოგებმა სამარხში დიდი შემოსევის, ან ძარცვის კვალი ვერ აღმოაჩინეს. ქალაქი-ქარხანა, სავარაუდოდ, მეხუთე საუკუნეში ბერძნების განსხვავებულმა პოლიტიკამ დაანგრია. თუმცა, საბერძნეთმა მომდევნო საუკუნეებშიც აქტიურად განაგრძო ღვინის წარმოება და ვაჭრობა, მათ შორის, სკვითებთანაც კი...

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

მთავარი შეცდომა ის იყო, რომ საუკეთესო მეგობრის ცოლი შეუყვარდა. კლერი დანახვისთანავე მოეწონა. ისეთი ჰაეროვანი იყო, ნაზი და გამჭვირვალე, მისი ხელში აყვანა და გულში ჩაკვრა მოგინდებოდა. მაგრამ კლერს ქმარი ჰყავდა – სტეტჰემის დიდი ხნის მეგობარი. კლერი უნდა დაევიწყებინა... თუმცა... სტეტჰემმა თავი ასწია და ქალისკენ გაიხედა... ოხვრა თავისთავად ალმოხდა... უცებ იგრძნო, რომ მკლავზე ვიღაც შეეხო.

– ბიძია...

– ჰო, მე ვარ, ჩემო ბიჭო, – დერმონტმა, სახელგანთქმულმა ფსიქიატრმა, ძმისშვილს თვალებში ჩახედა და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა. სტეტჰემს გული შეუქანდა. მიხვდა, რომ ბიძას რაღაც ძალიან სერიოზული ჰქონდა სათქმელი, მაგრამ, არ შეიმჩნია.

– სალაპარაკო მაქვს შენთან, – დერმონტს მტკიცე, ცოტათი მკაცრი ტონიც ჰქონდა, – მოდი, დავსხდეთ.

სტეტჰემი მორჩილი ბავშვივით გაჰყვა.

– საყვარელო, შენ ხომ ჩემი ერთადერთი მემკვიდრე ხარ... ერთადერთი, ვინც ამქვეყნად დამრჩა. არ მინდა, ვხედავდე, როგორ იტანჯები. კლერი საშენო არ არის, ის შენთვის დიდ პრობლემად გადაიქცევა, ძალიან დიდ პრობლემად. ნუთუ ინტუიცია არაფერს გეუბნება?

– „წითელი სიგნალი“? – ამოიოხრა სტეტჰემმა, – არა, ბიძია, „წითელი სიგნალი“ არ ჩართულა.

– შეუძლებელია. უნდა გრძნობდე, რომ სახიფათო თამაში წამოიწყე.

– ვიცი, მეგობრის ცოლი შევიყვარე, მაგრამ, გულს ვერ უბრძანებ. თუმცა, შეგიძლია, მშვიდად იყო – კლერი ამის შესახებ ვერაფერს გაიგებს, არ დავუშვებ ამას. თუმცა, ჩემი სიყვარული ძალიან ძლიერია.

– მეც სწორედ ამის მეშინია. შენ ყველაფერი არ იცი... – დერმონტმა ისევ გაიხედა ქალისკენ. სტეტჰემს შეაჟრჟოლა – „წითელი სიგნალი“ ჩაირთო. საფრთხის მოახლოება იგრძნო. ინტუიცია საკმაოდ კარგად ჰქონდა განვითარებული. ცნობილ ფსიქიატრთან, დერმონტთან ცხოვრებამ ბევრი რამე ასწავლა... ნუთუ კლერი ფსიქიკურად იყო ავად? დერმონტის მათთან ვიზიტი, ალბათ, ამის მანიშნებელი იყო. სტეტჰემმა მხოლოდ ახლა გააცნობიერა, რომ მასთან ერთად, რაღაც მიზეზის გამო, ბიძიაც მიიპატიჟეს ვახშამზე. ის საუბარიც მოაგონდა, რომელსაც, კლერის ყურებაში გართულმა, გულისყური ველარ დაატანა. ბიძიამ, მგონი, მემკვიდრეობით დაავადებებზე ილაპარაკა. ისიც თქვა, შეშლილობა მემკვიდრეობითიაო. „ესე იგი, კლერი შეშლილია? მერე რა, ეს მაინც ვერ შემაჩერებს. თუ ჯეკი უარს იტყვის თავის შეშლილ ცოლზე, ეს მხოლოდ გამახარებს. წავიყვან შორს, ძალიან შორს და ბედნიერები ვიქნებით“.

– სტეტჰემ, ძვირფასო... ეს იმაზე გაცილებით საშიშია, ვიდრე შენ წარმოგიდგენია... არსებობს შეშლილისთვის დამახასიათებელი მანია, მაგალითად, მკვლელობის მანია. ეს, ერთი შეხედვით, სრულიად შეუმჩნეველია, მაგრამ, დგება მომენტი, როცა მთელი სისრულით იჩენს ხოლმე თავს.

– არაფრის მოსმენა არ მინდა. მე კლერს აქედან წავიყვან. სისულელეა, ძალიან დიდი სისულელე. მას არავისთვის შეუძლია ზიანის მიყენება, არავისთვის! – სტეტჰემი უკვე ყვიროდა, და თუ შენ მემკვიდრეობას წამართმევ, არც ამაზე ვიდარდებ. დაუხმარებლადაც გავიტან თავს! – სტეტჰემმა კარი გაიჯახუნა. გადაწყვეტილება იმ მომენტში მიიღო: კლერი უნდა ენახა და ყველაფერი ეთქვა, მერე კი მასთან ერთად გადაკარგულიყო. იცოდა, ჯეკი ამ დროს სახლში არ იქნებოდა – ჩვევად ჰქონდა საღამოობით ბრიჯის თამაში.

კარი კლერმა გაუღო. შეშფოთებული სახე ჰქონდა.

# წითელი სიგნალი

## აგათა კრისტი

– რატომ მოხვედი, სტეტჰემ? ბიძაშენმა არაფერი გითხრა? მე მას ვთხოვე, დაგლაპარაკებოდა.

– შენ სთხოვე? მე კი მეგონა... მეგონა... თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. კლერ, ძვირფასო, ესე იგი იცი ჩემი სიყვარულის შესახებ? ოო, გულიდან ლოდი მომეხსნა. წავიდეთ, მე შენ წაგიყვან ძალიან შორს, სადაც ვერავინ გვიპოვის.

– სტეტჰემ, მოიცადე, მომისმინე! მეც არ ვარ გულგრილი შენ მიმართ, მაგრამ, ჩვენი ურთიერთობა არ გამოვა, ეს სახიფათოა, ძალიან სახიფათო.

– მე არ მეშინია! – მგზნებარედ წარმოთქვა სტეტჰემმა, – შენ გამო მზად ვარ, მთელ სამყაროს ავუმხედრდე.

– აი, ეს მესმის! ყოველთვის მქონდა შენი მამაცობის იმედი! – მოისმა ჯეკის ხმა და კლერმა წამოიკივლა. სტეტჰემი კარისკენ შებრუნდა და ზღურბლზე მდგარი მოღიმარი მეგობარი დაინახა. უკან დახევას აზრი არ ჰქონდა. ან ახლა უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი, ან...

სტეტჰემმა ღრმად ჩაისუნთქა:

– კარგია, რომ აქ ხარ, ჯეკ. მე ვიცი კლერის შესახებ და ყველაფრისთვის მზად ვარ. ყველასთვის ასე აჯობებს. წარმომიდგენია, როგორი რთულია შეშლილთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. მე მესმის შენი.

ჯეკმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

– შენ გესმის ჩემი?! როგორი გულუბრყვილო ხარ... პრინციპში, სულ ასეთი იყავი. კლერი გიყვარს და, გგონია, ეს სიყვარული გაგამართლებს. შენ მე გამყიდე. საძაგლად მოიქეცი და ამისთვის დაისჯები. კლერიც დაისჯება, მაგრამ, მოგვიანებით; ჯერ შენს წამებას უნდა უყუროს, მერე კი იმას მიიღებს, რაც დაიმსახურა.

– საგიჟეთში გამოკეტავ? ამის თქმა გინდა? მე კი მომკლავ? – შეჰყვირა სტეტჰემმა, – არ გინდა, ჯეკ, უკეთეს ვარიანტს გთავაზობ. ციხეში ყოფნა საშინელებაა. კლერს წავიყვან და ორივე გავქრებით შენი თვალსაწიერიდან.

ჯეკმა ისევ გადაიხარხარა:

– წარმოდგენა არ გაქვს, რაზე ლაპარაკობ. ციხეში მე კი არა, შენ ჩაჯდები, თანაც, მკვლელობის ბრალდებით – საკუთარ ბიძას მოკლავ და სიკვდილით დაგსჯიან. უფრო სწორად, მე მოვკლავ მაგ ბრიყვ ბებერს და, ისე მოვაწყობ, პოლიციამ ადვილად იპოვოს სამხილები შენს წინააღმდეგ. სულელი, სულელი ბებერი!.. ეგეც, ვითომ მყავს პროფესიონალი ფსიქიატრი – ჩემი ცოლის მონაჩმახით დამისვა დიაგნოზი! ამ პატარა ძუკნას დიდი ხანია, უნდა, სულით ავადმყოფთა თავშესაფარში გამომკეტოს და ამ გზით მომიშოროს თავიდან. არ იცის, რომ, ინგლისური კანონმდებლობით შეშლილობა არ არის მიზეზი, რომლის გამოც, მეუღლეებიდან ერთ- ერთი, ქორწინების პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. ახლა ორივეს ამ ოთახში გამოგკეტავთ. მანამდე კი, შენი ჯიბიდან, ძვირფასო სტეტჰემ, გასაღებს ამოვიღებ და ჩემს ჩანაფიქრს განვახორციელებ. იმედია, წინააღმდეგი არ იქნები.

გაოგნებული სტეტჰემი, რომელიც ბოლომდე ვერ ჩასწვდა სიტუაციის არსსა და სიმძიმეს, კლერისკენ დაიძრა, მაგრამ, ჯეკმა დაასწრო – ეცა და ჯიბეები ამოუტრიალა. წამში გასაღები ხელში ეჭირა.

– პოლიცია მკვლელობის იარაღს შენს ბინაში, კომოდის უჯრაში იპოვის. მალევე, როგორც კი ბიძაშენის გვამს იპოვიან. მე ვიტყვი, რომ საყვარელმა ბიძიამ ანდერძის გადაწერა გადაწყვიტა, როგორც კი ჩემი ცოლისადმი შენი სიყვარულის ამბავი შეიტყო – მორალის დამცველი ადამიანები ასე იქცევიან. მგონი, მოტივი ცხადზე ცხადია: ერთადერთი მემკვიდრე კლავს თავის კეთილისმყოფელს, რომელიც, მასზე იმედგაცრუებული, თავის მემკვიდრეობას სხვას უტოვებს. დიახ, სტეტჰემ, ამჯერად ყველაფერი სწორად გაიგე. შეიძლება, ჩემი მკვლელობის მანია მემკვიდრეობითიც იყოს – ბიძაშენთან ამაზე დავას არ ვაპირებ, მაგრამ, ამის შესახებ არავინ არაფერი იცის, სახელგანთქმული ფსიქიატრი კი ამ საიდუმლოს საფლავში ჩაიტანს... – ჯეკი კმაყოფილი სახით შებრუნდა კარისკენ და სწორედ ამ დროს იქუხა რევოლვერმა. სტეტჰემმა მხოლოდ მაშინ გააცნობიერა, რაც მოხდა, როცა კლერის ხელში რევოლვერი დაინახა. რომელსაც ჯერ კიდევ ასდიოდა კვამლი.

– კლერ, ეს რა ჩაიდინე?

– მე მიყვარხარ, სტეტჰემ, ძალიან მიყვარხარ და, ვერ დავუშვებდი, ჩემი პრობლემის გამო დაზარალებულიყავი. სანამ ეს ამბავი მარტო მე მეხებოდა, ვიტანდი. თუმცა ვიცოდი, რომ, ადრე თუ გვიან, მასში მკვლელი აუცილებლად გაიღვიძებდა და მომკლავდა. ამის შესახებ ბიძაშენმაც გამაფრთხილა. ეს უნდა გამეკეთებინა.

– კლერ, საყვარელო, ესე იგი, ბიძაჩემი შენ არ გგულისხმობდა, როცა მემკვიდრეობით შეშლილობაზე ლაპარაკობდა?! კლერ, იცხოვრებ ისეთ კაცთან, რომელიც ვერაფერს ხვდება?!

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მგლები 5

## უკანასკნელი ქურდი

დასასრული. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №26-5(631)

ბუცამ გაშმაგებულმა დაახეთქა ტელეფონი მაგიდაზე და ზურაბ კოპაძეს შეხედა.

– რა მოხდა? – ჰკითხა მან.

– ეგ შენი ზემლიაკის პადელნიკები საერთოდ შეიშალნენ. სად არ ვყოფილვარ, ვის არ შევხვედრივარ, მაგრამ, ასეთი ნაგლები არსად მინახავს! – ბრაზით თქვა ბუცამ.

– ვის გულისხმობ?

– ხარკოველებს!

– ხარკოველებს?! – გაუკვირდა კოპაძეს, – რაში გენაგლნენ?

– ხომ იცი, ცოტა ხნის წინ „კრეშატიკელებთან“ რომ მქონდა ბაზარი?

– ვიცი, – თავი დაუქნია კოპაძემ.

– ახლა დამიკავშირდა ანტონოვი და მითხრა, ჩვენში ყველანაირი ბაზარი მოკვდა და, რამე პრეტენზია თუ გაქვს, ჩუმას დაუკავშირდიო!

– ჩუმას თუ ლუკას?

– ჩუმას... ის „ვეგასში“ შეხვდა ანტონოვს და მფარველობა შესთავაზა!

– და რაა ამაში უცნაური? – გაუკვირდა კოპაძეს, – კლიმი მათ სასტავს დაეტაკა. ხარკოველებმა იქით გატისკეს და ახლა მისალებს ითხოვენ.

– მისაღები ხარკოვში მოიკითხონ, აქ სხვა ხალხი უყურებს პალაჟენიეს! – ცივად წამოისროლა ბუცამ.

– მაგ საქმეში ხარკოველებს არავინ გაამტყუნებს. ითხოვენ იმას, რაც ეკუთვნით. ვინც არ უნდა მიიღოს „კრეშჩატელებისგან“ წილი, ის მაინც ობშიაკში წავა!

– არც ისე მაგრები არიან ხარკოველები, როგორც შენ გგონია. მაგათ გასამტყუნებლად ისაც კმარა, რომ ყველგან გეგეშიძის სახელით ბაზრობენ. ანტონოვი ბაზარის დაწყებამდე გააფრთხილა ჩუმამ, რომ თავად გეგეშიძე სთავაზობდა მფარველობას.

– იქნებ, მართლაც ასეა? – თქვა კოპაძემ.

– გეგეშიძე დაიბრიდა! – განაჩენივით წარმოთქვა ბუცამ, – ისინი კი ქურდის სახელით სარგებლობენ, ასე კი მხოლოდ ბოზები იქცევიან. სხვა რამეზეც წავუყენებ პრეტენზიას. ვისთან უნდა მისულიყო ჩუმა, როცა იცოდა, რომ საქმეში ქურდები იყვნენ ჩარეულები?! ანტონოვი არ დაუმალავდა, რომ შევხვდი, ის კი როგორ მოიქცა?! გეგეშიძის სახელს ამოეფარა და წილზე გააგრძელა ბაზარი!..

– აჩქარება საჭირო არ არის. ჯერ კარგად გავარკვიოთ ყველაფერი.

– რაა აქ გასარკვევი?! – უკმაყოფილოდ გახედა ბუცამ, – არიფს პარადს არ წავაყვანინებ. ჩუმამ თავისი საქციელით ყველა კიეველ ქურდს მიაყენა შეურაცხყოფა, ისე მოიქცა, თითქოს ჩვენ საერთოდ არ ვარსებობთ. ხარკოვიდან წილების გადანაწილებაზე წამოიწყო ბაზარი!

– არ მჯერა, რომ ეს გეგეშიძის გარეშე მოხდა, – ჩაილაპარაკა კოპაძემ.

– ხომ გითხარი, გეგეშიძე დაიბრიდა!

– ხარკოველები სხვა რამეს ამბობენ, – შენიშნა კოპაძემ.

– სწორედ მაგაშია მათი ბოზური პასტუპკა. მისი სახელით მხოლოდ ჩუმა კი არა, მთელი სასტავი სარგებლობს!

– რატომ ხარ დარწმუნებული, რომ გეგეშიძე დაილუპა? – ჰკითხა კოპაძემ.

– საქმეში ჩახედულმა კაცმა მაცნობა.

– ვინ?

– არის ერთი... რა დროს ეგაა! – მოულოდნელად გაღიზიანდა ბუცა, – სერიოზულ საქმეზე ვბაზრობთ. მე სხვა პრეტენზიაც მაქვს ხარკოველებთან: ამდენი ხანი გავიდა და ერთხელაც არ დაუძრავთ სიტყვა იმ დოსიეების შესახებ. მაგაზეც ვიბაზრებთ და ამჯერად ბოლომდე მოვთხოვ ყოველ სიტყვაზე!

– რაში გჭირდება ის დოსიეები, ბუცა? შარის მეტს არაფერს მოგვიტანს. წარმოიდგინე, რა მოხდება, საიდანმე თუ გაბაზრდა, რომ დოსიეები შენ გაქვს!

– შენ რა, მართლა ვერ ხვდები, რაში სჭირდებათ ის დოსიეები ხარკოველებს?! – უკმაყოფილო მზერა ესროლა ბუცამ.

– მაგალითად? – ჰკითხა კოპაძემ.

– ერთი რამ თუ შეამჩნიე? ხარკოველებმა მაგ დოსიეების ხელში ჩაგდების შემდეგ აუწიეს ხმას. მე და შენ არ ვიცით, ვისი სახელებია იმ ბოზურ სიაში, მათ კი იციან და, დარწმუნებული ვარ, რომ იმ ნაბოზრებსაც აგრძნობინეს ამის შესახებ. ახლა წარმოიდგინე, ვის მხარეს დაიჭერენ ის მასკიანი ნაბოზრები სერიოზული ბაზარის შემთხვევაში. ამიტომაც ნაგლობს ჩუმა. შეიძლება უკვე მიღებული აქვს გარანტია იმ ნაბოზრებისგან, რომ მე მათი გაწნევის საშუალებას არ მომცემენ! – ბუცამ ჩაფიქრებული სახით რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, მერე შედგა და დაამატა – კმარა... ეს სარეველა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიძირკვოს!



– რა გადაწყვიტე? – ჰკითხა კოპაძემ.

– ხარკოველებს უნდა შევხვდე და ქურდების წრეში გავუიასნო ყველაფერი! – თქვა ბუცამ და მობილური ტელეფონი მოიმარჯვა.

საუბარმა ორიოდ წუთს გასტანა. დასასრულს ბუცამ აპარატი გათიშა, კოპაძეს მიუბრუნდა და დაბნეული სახით ჩაილაპარაკა:

– ამათი ნაგლი დედაც!.. ბაზარზე თანახმა არიან, მაგრამ, არც ხარკოვში შეგვხვდებით და არც – კიევშიო!.. სამი დღის შემდეგ ოდესაში, სიომა ლიმანსკისთან გელით და ობშჩიაკის სიაც თან იქონიეო!

* * *

სიომა ლიმანსკი ძველი თაობის კანონიერი ქურდი იყო. მას მთელი ცხოვრება ციხე-კოლონიებში ჰქონდა გატარებული და ქურდებს შორის განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. საპატიმროებსა და გადასახლებებში გატარებულმა წლებმა მძიმე დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას. ბოლო ხუთი წელი მან ინვალიდის სავარძელში გაატარა და თითქმის აღარ გამოსულა ოდესის გარეუბანში მდებარე სახლიდან. ამის მიუხედავად, ქურდები მაინც არ ივიწყებდნენ ასაკოვან ავტორიტეტს. პერიოდულად მის სახლში ქურდების თავყრილობები იმართებოდა, ოღონდ, ასეთ თავყრილობას განსაკუთრებული მიზეზი უნდა ჰქონოდა. როგორც წესი, ქურდები ჯანმრთელობაშერყეულ სიომას წვრილმანებისთვის არ აწუხებდნენ.

ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი ბუცასთვის. ამიტომაც, სიომას სახლში დაძაბული მივიდა. ის ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ მოითხოვა ვოვამ „ვეგასის“ თაობაზე წამოწყებული საუბრის სიომასთან გაგრძელება და რით უკავშირდებოდა ყოველივე ამას „ობშიაკის“ სია. სიის მიმართ ბუცას პრეტენზია არ გააჩნდა – ხარკოველები ყოველთვის თავდადებით ზრუნავდნენ საერთოს შევსებაზე და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდნენ. პიროვნებას კი, რომელსაც ფული შეჰქონდა ქურდულ სალაროში, უფლება ჰქონდა ნებისმიერ დროს ჩაეხედა სიაში და გაერკვია, თუ რა მიმართულება მისცა ქურდმა მასში თავმოყრილ თანხებს. მაგრამ, ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა. როგორც წესი საერთოს თანხებს მხოლოდ ქურდები განაგებდნენ და ვოვასნაირი არიფი ასეთი საქმეებიდან შორს იდგა. მაშინ, როცა ბუცა ვოვას დაუკავშირდა, სრულიად სხვანაირად წარმოედგინა ყველაფერი. მისი აზრით, შეხვედრა და საქმის გარჩევა უმტკივნეულოდ ჩაივლიდა. ხარკოველები ქურდების წრეში მოისმენდნენ ბუცას პრეტენზიებს და ამის შემდეგ მათ მხოლოდ ერთი გზა დარჩებოდათ – შეცდომას აღიარებდნენ და პატიებას ითხოვდნენ. სასჯელად ბუცა კისერში ერთი-ორ წამორტყმას აკმარებდა, შემდეგ კი ტკბილ სიტყვასაც გაიმეტებდა, რათა ხარკოველებს მის მევალეებად ეგრძნოთ თავი. ამით ყველაფერი დამთავრდებოდა. ხარკოველები სამუდამოდ გაეცლებოდნენ კიევს, თავად კი „ვეგასის“ საქმეს მიუბრუნდებოდა. მაგრამ, მოვლენები სრულიად სხვა სცენარით განვითარდა: ჩუმას საქციელი სულაც არ მიანიშნებდა იმაზე, რომ ის ბოდიშის მოხდასა და პატიების თხოვნას აპირებდა. პირიქით, იქით შეუტია და, სიომასთან შეხვედრასთან ერთად, საერთოს სიაც მოითხოვა.

სიომას სახლის ეზოში რამდენიმე მანქანა იდგა. ბუცას გაუკვირდა ასეთი ხალხმრავლობა. მისი აზრით, ხარკოვიდან სამი ან ოთხი კაცი თუ ჩამოვიდოდა. მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ ხარკოველების გარდა, სიომასთან კიდევ სამ ოდესელ ავტორიტეტს მოეყარა თავი. ხარკოველებთან შეხვედრამ ბუცა ოდნავ დაამშვიდა: იქ მხოლოდ ჩუმა და გეგეშიძის მეორე „პადელნიკი,“ ჯაბა იყვნენ. თავად ლუკა

კი არსად ჩანდა.

– რადგან ყველა აქ ვართ, დავსხდეთ და ვიბაზროთ, – სიომამ მაგიდასთან მიიწვია სტუმრები.

– შენ დაიწყე, – ვოვას მიუბრუნდა მასპინძელი, – რა პრობლემა შეგექმნა ბუცასთან?

– ჯერ მან თქვას, რა პრეტენზია აქვს ჩემთან.

– ბუცასთან ოდესაში შეხვედრა შენ მოითხოვე, – თქვა სიომამ.

– მართალია... ასე იყო, – დაუდასტურა ვოვამ, – მაგრამ, მანამდე ბუცამ შემოგვთავაზა შეხვედრა.

– კიევში რატომ ვერ გაარკვიეთ თქვენი საქმეები?

– საქმეს, რომელზეც ბუცას სურდა ბაზარი, ნებისმიერ ადგილას გავარკვევდით. მაგრამ ჩვენ სხვა პრეტენზია გვაქვს და იმაზე მხოლოდ აქ ვილაპარაკებთ. თქვას ბუცამ, რა პრეტენზია აქვს ჩვენთან და ჩვენ ჩვენს სათქმელს ვიტყვით, – უპასუხა ვოვამ და ბუცას მიაბჯინა მზერა.

– კარგი... იყოს ასე, – თქვა მან, – დავიწყოთ თავიდან... იცოდი, რომ ანტონოვთან „ვეგასის" თაობაზე მქონდა ბაზარი?

– ვიცოდი, – მშვიდად დაუდასტურა ვოვამ.

– და, მაინც მოსთხოვე წილი?! – განაგრძო ბუცამ.

– მოვთხოვე.

– რა ჰქვია კაცს, რომელიც ქურდის ზურგსუკან ბაზრობს ობშჩიაკში შესატან წილზე? რატომ არ ჩამაყენე საქმის კურსში, როცა ანტონოვთან ბაზარის აწევას აპირებდი?! – ბუცა დაჟინებული ჩააცქერდა თვალებში.

– რა ჰქვია იმ ქურდს, რომელსაც მის ქალაქში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ ჩააყენებენ საქმის კურსში და ის ერთხელაც არ დაინტერესდება ამ საქმით?! – ცივად დაუბრუნა ვოვამ, – ჩვენ გაგაფრთხილეთ, რომ კლიმთან სერიოზული პრობლემები გვქონდა. რამდენჯერ შეხვდი შენ იმ ნაბიჭვარს?!

– სად გინახავთ, რომ ქურდი მაფიოზურ რაზბორკებში ჩარეულიყოს? თქვენ... – წამოიწყო ბუცამ, მაგრამ, დასრულება ვერ მოასწრო.

– მაშ, შენ მაფიოზები გგონივართ?! – იმავ წამს გაისმა ოთახში.

ბუცამ და კოპაძემ უკან მიიხედეს და გაოგნებულები გაშეშდნენ: ღია კარში ლუკა გეგეშიძე იდგა...

ლუკამ აუჩქარებლად გადაკვეთა ოთახი, მაგიდას მიუჯდა და სიომას უთხრა:

– იმაზე მეტი დრო დამჭირდა, ვიდრე ვგეგმავდი და დროზე ვერ მოვახერხე ჩამოსვლა. ძალიან ხომ არ დავაგვიანე?

– არა, ახლა დავიწყეთ ლაპარაკი, – უპასუხა მასპინძელმა.

– მაინც, რა შეამჩნიე ჩემში მაფიოზური? – ბუცას მიუბრუნდა ლუკა.

– შენ თვითონ თქვი, რა ჰქვია ისეთ რაზბორკას, რომელიც შენ კლიმთან გქონდა?! – ძალა მოიკრიბა ბუცამ.

– ხუმრობა გყვარებია! – გაეცინა ლუკას, – კარგი მეც გეხუმრები. შენ როგორი რაზბორკა გქონდა ანტონოვთან?

– კლიმის სასტავს საერთოში არასოდეს შეუტანია ფული. მე ობშჩიაკის გასაზრდელად ვებაზრებოდი ანტონოვს!

– და როგორ გგონია, მე რისთვის დავეტაკე კლიმს? – ჰკითხა ლუკამ.

– ეგ შენ უნდა აგვიხსნა.

– შენ რა, პრეტენზიას მიყენებ?!

– ჯერ მოგისმენთ, – ქურდებს გახედა ბუცам, – დანარჩენს მერე გადავწყვეტთ.

სიომამ მძიმედ დაუქნია თავი – გეთანხმებიო.

– კეთილი... დასამალი არაფერია, – უპასუხა ლუკამ, – რასთანაც არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ის საქმე, მე მხოლოდ ერთი მიზეზით დავეჯახე კლიმს – ასე სჭირდებოდა ქურდულს!

– მაინც რისთვის სჭირდებოდა ქურდულს სროლა და აფეთქებები, რომელიც თქვენს დაპირისპირებას მოჰყვა!? – დამცინავად თქვა ბუცამ.

– ბუცა, ცეცხლს ეთამაშები! – ბრაზით გახედა ლუკამ, – შენ ან ვერაფერში ვერ ერკვევი. ან, უბრალოდ ატრაკებ!.. იცოდე, რომ ორივეზე ბოლომდე მოგთხოვ პასუხს. თუ აზრზე არა ხარ და ჟურნალისტის ნაბოდვარს იმეორებ, გეტყვი: კლიმმა საქმეში ჩემი ჩართვის შემდეგ შეწყვიტა სროლა და აფეთქებები. სხვათა შორის, ეს შენს ქალაქში ხდებოდა! რა გააკეთე მის შესაჩერებლად?! თუ შენ მხოლოდ უკვე წაქცეულ მაფიოზებზე ნადირობ და ცდილობ, შორს იყო მათგან, ვისაც სროლა და აფეთქების მოწყობა შეუძლია?!

– აქ შენზეა ბაზარი. როცა დრო მოვა, მეც ვიტყვი სათქმელს!

– იტყვი... იმაზე მეტს იტყვი, ვიდრე შენ გგონია. ახლა კი მე მარტო ერთს დავამატებ: კლიმს მხოლოდ იმისთვის დავეტაკე, რომ უკრაინაში დარჩენა შემძლებოდა, ობშჩიაკი გამეზარდა, ქუჩიდან კლიმისნაირი ნაბოზრები მომეშორებინა, ჩვენ ყველას უკეთესად გვეცხოვრა ამ ქვეყანაში და ჩვენი საქმე გვეკეთებინა. შენ ეს ცოტა გგონია?! ჩემთვის ეს ბაზარი დამთავრებულია. თუ პრეტენზია გაქვს, დაამტკიცე. სიტყვა ჰაერია. მე აქ ვინმეს ლაი-ლაის მოსასმენად არ მოვსულვარ და, ამასთან ერთად, შეგახსენებ, რას უშვრებიან ქურდებს, რომლებიც პრეტენზიას აყენებენ და მერე ვერ ამტკიცებენ!.. ახლა გეკითხები: გავაგრძელოთ ეს ბაზარი?!

– არა... – ყრუდ ჩაილაპარაკა ბუცამ. ეს მისთვის პირველი მარცხი იყო, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. დარწმუნებული იყო, რომ დოსიეების საქმეში ლუკა ასე იოლად ველარ გაიმართლებდა თავს.

– დაიმახსოვრე ეს „არა", შენ კიდევ მოგიწევს მისი გამეორება!.. ახლა, რაც შეეხება „ვეგასის" საქმეს: ჩუმას აზროვნებისა და მეტყველების დეფექტები არა აქვს. ბაზარი თქვენ შორის დაიწყო და ის თვითონ გეტყვის სათქმელს! – თქვა ლუკამ და ვოვას ანიშნა – განაგრძეო.

– რა არ მოგეწონა ჩემი „ვეგასში" მისვლაში? – ბუცას მიუბრუნდა ვოვა.

– ბაზარი უკვე დაწყებული იყო. მე ანტონოვის პასუხს ველოდი და ამ დროს „ვეგასში" შენ გამოჩნდი. შენი მასტის კაცი ულაპარაკოდ უნდა მოსულიყო ჩემთან და ვითარება გაერკვია! – უპასუხა მან.

– მართლა?! – მოჩვენებით გაიკვირვა ვოვამ, – ერთი რამ ამიხსენი: რატომ მაშინ არ წამოიწყე კლიმის სასტავთან წილზე ბაზარი, როცა ის ცოცხალი იყო?! – განაგრძო ვოვამ.

– როცა საჭიროდ ჩავთვალე, მაშინ წამოვიწყე ბაზარი, – ბუცას ცუდად ენიშნა ქურდების სახეზე გარბენილი ღიმილი, რომელიც მის პასუხს მოჰყვა.

– ვინ მოუყომარა კლიმს? – ჰკითხა ვოვამ.

– თქვენმა სასტავმა, – უხალისოდ ჩაილაპარაკა ბუცამ.

– მე თუ არ მესმის, შენ გამარკვიე: ვინ ვის უნდა ჩაეყენებინა საქმის კურსში – შენ უნდა მოსულიყავი ჩვენთან, თუ ჩვენ უნდა მოვსულიყავით შენთან?! – ვოვა სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა ბუცას, – იმდენზე მაინც გეცა პატივი ჩვენთვის, გეთქვა: გმადლობთ ბიჭებო, ეს ბოზბანდა რომ მოაშორეთ ჩემს ქალაქს. ახლა კი მე ქურდულ ობშჩიაკს მივხედავ და ანტონოვს სტავკაზე დავებაზრებიო!

– ეგ არაფერს ნიშნავს. კლიმის დაღუპვის შემდეგ, თქვენ საერთოდ არ გამოჩენილხართ კიევში!

– იმიტომ, რომ უფრო სერიოზული საქმით ვიყავით დაკავებულები, ვიდრე „ვეგასია"!

– თანაც, ქურდის სახელით ისარგებლეთ! – ახალი არგუმენტი მოიშველია ბუცამ.

– რას ნიშნავს, ქურდის სახელით ვისარგებლეთ? – ჩაეძია ვოვა.

– რამდენჯერ იბაზრეთ ლუკას სახელით, როცა ყველამ იცოდა, რომ ის დაღუპული იყო?! ასე მოიქეცით, როცა დოსიეებზე ვბაზრობდით და ანტონოვსაც ლუკას სახელით ელაპარაკეთ!

– რამე მეტყობა საიქიოდან დაბრუნებულის? – საუბარში ჩაერთო ლუკა.

– ახლა ვხედავ, რომ შეცდომაში შემიყვანეს, მაგრამ, მაშინ ვიცოდი, რომ დაიღუპე! – გახედა ბუცამ.

– ახლა რომ მითხრა, საინფორმაციო გამოშვებაში მოვისმინე შენი დაღუპვის ამბავიო, ეს ბაზარი მაშინვე დამთავრდება! – ცივად თქვა ლუკამ.

– არა... მაგრამ, შენ არსად ჩანდი. არც ერთ სხადნიაკზეც არ მისულხარ!

– როდის დაუკავშირდი ხარკოვს: ლუკას გადაეცით, ქურდები სხადნიაკზე ელიანო და მე არ მოვედი? – თქვა ლუკამ, შემდეგ კი მასპინძელს მიუბრუნდა და ჰკითხა, – შენ რას იტყვი?

სიომას მხოლოდ ჩაეღიმა. ბოლო ხანებში ლუკა მის სახლში გამართულ ორ თავყრილობაზე იყო ჩასული.

– იქნებ, გაწყობდა კიდეც, მე რომ დავღუპულიყავი? – განაგრძო ლუკამ, – პრინციპში, რატომაც არა? მშვენიერი შანსი გიჩნდებოდა. კლიმი და მისი სასტავი საქმიდან უკვე გასულები იყვნენ. ხარკოველები კი... ვინ არიან ხარკოველები გეგეშიძის გარეშე?! კიევიდან მათ გასარეკად ხომ შენი ერთი სიტყვაც იკმარებდა!

– შენი ვარაუდები შენთვის შეინახე! – შეუღრინა ბუცამ.

– მაგაზე კიდევ ვიბაზრებთ. ახლა კი ვოვამ დაამთავროს სათქმელი, – უპასუხა ლუკამ.

– მე ბევრს აღარაფერს ვიტყვი, – განაგრძო ვოვამ, – საქმიდან მიღებულ ფულს მხოლოდ პადელნიკსა და ობშჩიაკს ვუყოფ. ვინც დაუმსახურებლად მოინდომებს ჩემგან წილის მიღებას და რქებით მომაწვება, იმ რქებსშუა მრგვალ ნახვრეტს გავუჩენ. შენ კლიმის საქმეში ჩემთან ერთად არ ყოფილხარ, ბუცა და, რის მიღებას ცდილობ?!

ამის მოსმენისას ბუცამ კბილების ღრჭიალით წამოიწია ადგილიდან.

– დაჯექი!.. – სიომამ ავად დააკვესა თვალები, – ჩვენ ყველასა და ყველაფერს მოვუსმენთ და შემდეგ გამოვიტანთ გადაწყვეტილებას!

ბუცა წამით შეყოყმანდა. შემდეგ კი მძიმედ დაეშვა სკამზე.

– ასე ჯობია... ახლა კი სხვა საქმეზე გადავიდეთ. შენთან ჩემს მეორე პადელნიკს აქვს პრეტენზია, – თქვა ლუკამ და ჯაბას გახედა.

– შენ გაქვს ჩემთან პრეტენზია? – გაუკვირდა ბუცას.

– ჩვენ დაუმთავრებელი დაგვრჩა ერთი ბა-

ზარი, – უპასუხა ჯაბამ.

– ჰო, მაგრამ, იმ საქმეზე ლუკასთან ვილაპარაკებ – ეს მარტო ქურდებს გვეხება, – თქვა ბუცამ.

– ქურდები ერთმანეთში გაარკვევთ თქვენს საქმეებს, შენ კი მანამდე მე უნდა გამცე პასუხი!

– რა გაინტერესებს? – უხალისოდ ჰკითხა ბუცამ.

– შენ სხადნიაკზე ქურდების გარემოცვაში ჩემი მისამართით თქვი, დავბრიდავ ამ ახვარსო!.. ასე იყო თუ არა?

ბუცა შეყოყმანდა.

– ასე იყო? – კოპაძეს მიუბრუნდა ჯაბა, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში არ ჩარეულა საუბარში.

ბუცამ იცოდა, რომ კოპაძე სხადნიაკზე არასდროს იტყოდა ტყუილს და, ვიდრე ის რამის თქმას მოასწრებდა, თვითონ დაუდასტურა ჯაბას:

– ჰო... ასე იყო...

– მაშინ, ამიხსენი: რა გავაკეთე ახვრული?

– შენ სხადნიაკს ისეთ რამეზე უთხარი უარი, რაც შენი გადასაწყვეტი არ იყო, – უპასუხა ბუცამ.

– ესე იგი, მართალი არ ვიყავი?

– არა... არ იყავი მართალი.

– და, მტყუანი კაცი ასე მშვიდად გამიშვი სხადნიაკიდან?!

– უბრალოდ, შენი მდგომარეობა გავითვალისწინე!

– რა მდგომარეობას გულისხმობ? – ჰკითხა ჯაბამ.

– წინა დღეს ითქვა, რომ გეგეშიძე და მისი პადელნიკი მანქანაში დაცხრილესო... რა, არ გახსოვს?! – გაიკვირვა ბუცამ.

– მაშინ რატომ არ ფიქრობდი ჩემს მდგომარეობაზე, როცა „სხადნიაკზე" მიბარებდი და იმ საქმეზე მიწყებდი ბაზარს?! – ცივად ჰკითხა ჯაბამ.

– ეს სხადნიაკის გადაწყვეტილება იყო.

– რა თქვი? – ჩაურთო ლუკამ.

– დოსიეებზე ბაზარი სხადნიაკმა გადაწყვიტა, – უპასუხა ბუცამ.

– მე ველაპარაკე ხარლამოვს. მან თქვა, რომ ქურდები შენ შეკრიბე და დოსიეებზეც შენ წამოიწყე ბაზარი!.. იმ სხადნიაკზე შენც იყავი, – კოპაძეს გახედა ლუკამ, – მართალი ვარ თუ არა?!

ამჯერად ბუცამ კოპაძეს ველარ დაასწრო.

– მართალია... ასე იყო, – დაადასტურა მან.

– ჯაბამ გიპასუხათ, რომ, ვიდრე ჩემს ასავალ-დასავალს არ გაარკვევდა, დოსიეებზე არავისთან იბაზრებდა. მერე კი გირჩიათ, ამ ლაილაის ნაცვლად, ქურდზე და კაი ბიჭზე თავდასხმის მომწყობის მოძებნაში დახმარებოდით!.. რა გააკეთე შენ?! წამოხტი და ღრიალი მორთე: დავბრიდავ, ამ ახვარსო!.. კარგად მომისმინე, ბუცა: ჩემს პადელნიკებსა და ძმაკაცებს შორის ახვრები არ არიან. შენ, შეიძლება, გგონია, რომ ეს საკმარისი მიზეზი არ არის, მაგრამ, პირობას გაძლევ, რომ მაგ სიტყვებს გრძელ ენასთან ერთად გადაგაყლაპებ – საამისოდ საკმარისზე მეტი მიზეზი დააგროვე!

ბუცამ ისევ ვერ შეიკავა თავი და სკამიდან წამოიწია.

წამოდგა ლუკაც, მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო, ბუცას თვალებში ჩააშტერდა და უთხრა:

– დაჯექი!.. შენი უკანალი კიდევ ერთხელ მოშორდება მაგ სკამს და, პირობას გაძლევ, რომ ლურსმნით დაგაჭედებ ზედ!.. ჯერ კიდევ მაქვს სათქმელი და იმიტომ მჭირდები მაგ სკამზე!.. ჯობია, იმაზე იფიქრო, რა მოგელის, როცა ყველაფერი ითქმება!..

– რა გაქვს სათქმელი?! – ჩაიბურტყუნა ბუცამ და სკამს დაუბრუნდა, – აქამდე სერიოზული არაფერი მომისმენია თქვენგან!

ლუკა დაჯდა და ლაპარაკი განაგრძო:

– რატომ ითხოვდი იმ დოსიეებს ჩემი პადელნიკებისგან?

– რა, არ უნდა მომეთხოვა?! – გაუკვირდა ბუცას.

– შენ გასაგებად აგიხსნეს, რომ დოსიეები საქმიდან დაგვრჩა. იმ პერესტრელკაში სამი ადამიანი დაიღუპა: ორი „ეფესბეს" „ოპერი" და ერთი ჟურნალისტი, რომლის მკვლელობასაც მე მტენიან. ახლა გეკითხები: შენ იყავი ჩემთან ერთად იმ საქმეზე?!

ბუცამ დუმილით უპასუხა.

– შენ რა, ხელობად გაიხადე ნახლებნიკობა?! – ირონიით ჩაილაპარაკა ლუკამ, – საკმარისია, ვინმემ რამე საქმეს მოარტყას, მაშინვე იქ გაჩნდები და წილს ითხოვ! ამ საქმეში ჩემთან ერთად არ ყოფილხარ და დოსიეებს გვთხოვ. კლიმის საქმეს კი, საერთოდ, ტელევიზორში უყურე. სამაგიეროდ, ყველას მიგვასწარი „ვეგასში"!.. თანაც, ყველაფერ ამას პირადად შენი კი არა, ქურდების სახელით აკეთებ!

– „ვეგასის" საქმეზე უკვე ვიბაზრეთ. დოსიეები კი სულ სხვა ამბავია. ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა, – ჩავარდნილი ხმით უპასუხა ბუცამ, – ხვდები, რამდენი მასკიანის გაშიფვრა შეგვიძლია?

– აა... შენ ამასაც ქურდების ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებ?! – ისევ დასცინა ლუკამ.

– სხვა რა უნდა მაინტერესებდეს?

– ჰო... კინაღამ დამავიწყდა – შენ ხომ დღედაღამ მხოლოდ ქურდულის გაძლიერებაზე ფიქრობ!.. მაგრამ, ამჯერად არაფერი გამოგივა, სხვანაირად მოგიწევს ნაბოზრების გაშიფვრა!

– რატომ? – დაიბნა ბუცა.

– დოსიეები მე აღარ მაქვს!

– რაა?! – პირი დააღო ბუცამ, – მაშ ვის აქვს?!

– იცი რას ნიშნავს – „მიეცი კესარს კეისრისა"? – ჰკითხა ლუკამ.

– რას ბაზრობ?! – მოიღრუბლა ბუცა, – რა შუაშია კეისარი?!

– დოსიეები იმას დავუბრუნე, ვისაც ისინი ეკუთვნოდა! – უპასუხა ლუკამ.

ქურდებმა გაოცებით შეხედეს. ლუკა დაუჯერებელ რამეს ამბობდა, მაგრამ, იქ მყოფებიდან ყველამ კარგად იცოდა მისი სიტყვის ფასი.

– ვის დაუბრუნე? – პაუზის შემდეგ ჰკითხა ბუცამ.

– რუსეთის პროკურატურას... ის დოსიეები ძალიან საშიში იყო. მათ ნამდვილი ომის გამოწვევა შეეძლო ჩვენს შორის!

– არა... ვარიანტი არ არსებობს! – უნებურად წამოიძახა ბუცამ.

– შენ გინდა, თქვა, რომ სხადნიაკს ვატყუებ?! – მზერა გაუსწორა ლუკამ.

– არა... – ბუცა წამით ჩაფიქრდა და შემდეგ დაამატა – იცი რამდენი ნაბოზარი გადაარჩინე ამით?!

– იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ბოზებს ვაფარებ ხელს?!

– ეგ ერთი და იგივეა!

– შენ იყავი იმ შეხვედრაზე, რომელზეც ციგანოვი და მარჩუკი გამტყუნდნენ და კარგად უნდა იცოდე, როგორც ვაფარებ ხელს ნაბოზრებს! – ცივად თქვა ლუკამ, – ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ქურდს მასკიანი ინფორმატორის გასაშიფრად პროკურორის დოსიეები არ სჭირდება, ეს მისი საქციელიდან გამომდინარე უნდა გააკეთოს!.. მე ერთხელაც არ ჩამიხედავს იმ დოსიეებში, მაგრამ, შენ მაინც გკითხავ: როგორ მოიქცეოდი იქ შენი ნაცნობი ქურდების სახელები რომ გენახა?

– რამეს მოვიფიქრებდი, – ჩაილაპარაკა ბუცამ.

– ჰო, შენ ეს საერთოდ გახასიათებს – ჯერ აკეთებ და შემდეგ ფიქრობ. საფიქრალი რომ არ გქონდეს, მე მისმინე. ვინ მოგვცემდა იმის გარანტიას, რომ მთელი ეს დოსიე „ეფესბეს" ან პროკურატურის მიერ შემოგდებული ტრუხა ბაზარი არ იყო?! ვინ იტყვის, რომ ეს ჩვენში განხეთქილების ჩამოსაგდებად დაგეგმილი ოპერაცია არ იყო?! კიდევ გაინტერესებს რამე? – კითხვით დაასრულა ლუკამ.

– თქვენ რას იტყვით? – ქურდებს გახედა ბუცამ.

– ეს თქვენი ბაზარია. ჩვენ ბოლოს ვიტყვით სათქმელს, – ყველას მაგივრად უპასუხა სიომამ.

– ესე იგი, დოსიეებთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეულია, – ლუკა ისევ ბუცას მიუბრუნდა, – რა სტავკას უწესებდი ანტონოვს?

– რა მნიშვნელობა აქვს?! – მოიღრუბლა ბუცა.

– ალბათ, აქვს. თუ ეს შენი პირადი საქმეა, შეგიძლია, არ მიპასუხო. მაგრამ, რაც ქურდულს ეხება, სხადნიაკზე უთქმელი ვერ დარჩება!

– შემოსავლის ორმოცდაათ პროცენტს.

– და რამდენი წავიდოდა იმ ფულიდან ობშჩიაკში?!

– აზრზე მოდი, მგელო! – ბრაზი მოერია ბუცას. ეს ყველაზე მძიმე დანაშაული იყო, რომელშიც შეიძლებოდა დაედანაშაულებინათ ქურდი. ობშჩიაკიდან ფულის მითვისებისთვის ბუცას ულაპარაკოდ გამოუტანდნენ სასიკვდილო განაჩენს!

– სად არის საერთოს სია? – ჰკითხა ლუკამ.

ბუცამ ჩანთიდან მოზრდილი რვეული ამოიღო. ამ რვეულში იყო აღრიცხული ის თანხები, რომლებსაც ბუცა ქურდული სალაროს შესავსებად იღებდა. იქვე იყო აღნიშნული, როდის და რაში იხარჯებოდა ეს ფული.

ლუკამ რვეული გადაშალა, სწრაფად გადაათვალიერა სია, შემდეგ კი ბუცას გამჭოლი მზერა მიაპყრო და თქვა:

– აქამდე რაზეც ვილაპარაკეთ უმნიშვნელო არ იყო, მაგრამ, იმ მიქარვებისთვის სახელის გარეშე დაგტოვებდი, ერთი-ორ პანღურს ამოგკრავდი და ისე გაგაგდებდი სხადნიაკიდან. მაგრამ, ახლა თუ ვერ გაიმართლე თავი, უეჭველი დაგბრიდავ. თუ გამართლდი, ჩავთვლი, რომ ერთ ადამიანს შეცდომაში შევყავდი და მას დავსჯი... გავაგრძელო?!

– გააგრძელე, – მექანიკურად ჩაილაპარაკა ბუცამ.

– ვიტალი ზარანდიას იცნობ? რა შეგიძლია თქვა მის შესახებ?

– ზარანდია... ზარანდია... – ჩაფიქრდა ბუცა.

– ნუ მსახიობობ! – შეუღინა ლუკამ, – მე ივანოვზე ან პეტროვზე არ გელაპარაკები, ვინმეში რომ შეგეშალოს. ასეთი გვარის მქონე კაცთან თუ გქონია საქმე, ის არასოდეს დაგავიწყდება!

– ჰო... ვიხსენებ... მგონი, კიეველი ბიზნესმენი უნდა იყოს, – ყრუდ ჩაილაპარაკა ბუცამ.

– ასე ცუდად იცნობ ხალხს, რომლებსაც ობშჩიაკში შემოაქვს ფული?! – განაგრძო ლუკამ.

– ჩემთან ბევრი ადამიანი მოდის, ყველას ვერ დავიმახსოვრებ.

– შენც არ იცნობ? – კოპაძის გახედა ლუკამ.

– აზრზე ვარ, ვინც არის; ერთი-ორჯერ შევხვედრივარ.

– კეთილი... ის კაცი ერთი თვის წინ ხარკოვში შენზე საჩივლელად ჩამოვიდა ჩემთან. მისი თქმით, შენთან სისტემატურად მოჰქონდა ობშჩიაკის ფული, ბოლო თვეების განმავლობაში კი ოჯახური პრობლემები შეექმნა და ფული დროზე ველარ ჩაგაბარა. ამისთვის შენმა ხალხმა ნაეზდი მოუწყო. ამიტომ, ზარანდია იძულებული გახდა ჩემთან ჩამოსულიყო და შენთან შუამდგომლობა ეთხოვა. მე მართლაც გამაკვირვა თანხებმა, რომელზეც ის ბაზრობდა. როგორც ჩანს, მართლაც მაგრად წველი კიევს. მაგრამ, ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს თანხები არსად ჩანს...

– ვიღაც ნაბოზარი ბიზნესმენის სიტყვით მიყენებ პრეტენზიას?! – გააფთრდა ბუცა.

– შენ იმაზე სულელი ყოფილხარ, ვიდრე მეგონე!.. შენგან განსხვავებით, მე ვფიქრობ და შემდეგ ვაკეთებ!.. ჩემთან მოსულ ზარანდიას მე მივეცი ობშჩიაკში შესატანი ხუთი ათასი დოლარი და ჩემს ხალხთან ერთად გამოვგზავნე კიევში. შენ არაფერს გკითხავ, – ამ სიტყვებთან ერთად ლუკა კოპაძეს მიუბრუნდა, – ზარანდიამ მაშინ მიუტანა ფული ბუცას, როცა შენც მასთან ერთად იყავი და ეს ფული სიაში არ ჩანს. ეს ორი კვირის წინ მოხდა. რას იტყვი ამაზე?!

კოპაძემ მზერა აარიდა ბუცას და ისე უპასუხა.

– მახსოვს... ის კაცი საღამოს მოვიდა და ხუთი ათასი მოიტანა.

– რატომ არ მოხვდა ფული საერთოში?

– აზრზე არ ვარ, – მხრები აიჩეჩა კოპაძემ, – სია ბუცას ჰქონდა. მეგონა, რომ შეიტანა.

– შენ რას იტყვი? – ისევ ბუცას გახედა ლუკამ, – ვინ ტყუის?

ბუცა უეცრად შეიცვალა: ავი გამომეტყველება უეცრად გაუქრა სახიდან. ახლა ის კისერში თავჩარგული იჯდა და ხაფანგში მოხვედრილი ვირთხასავით აცეცებდა თვალებს. კოპაძის პასუხმა ბოლო იმედი გადაუწურა – ახლა მას რომ ეთქვა, კოპაძე ტყუისო, ის ულაპარაკოდ დაახლიდა ტყვიას.

– ხმა ამოიღე! – ფეხზე ადგა ლუკა.

– არ მომკლათ... – გაჭირვებით ამოიკნავლა ბუცამ.

– შენი დედაც, ნაბიჭვარო! – კბილები გაალრჭიალა ლუკამ და მთელი ძალით მოიქნია მარჯვენა. სახეში დაძგერებულმა მუშტმა ბუცა გუდურასავით მოისროლა კარისკენ. ჯაბა და ვოვა უმალ ფეხზე წამოიჭრნენ, კისერში სწვდნენ და თვალის დახამხამებაში გაათრიეს ოთახიდან.

სიომამ გულგრილი მზერით გააცილა ბუცა, შემდეგ ლუკას მიუბრუნდა და მაგიდაზე დარჩენილ რვეულზე მიანიშნა.

– ამას რა ვუყოთ?

– საერთო მხოლოდ ღირსეულს უნდა ჰქონდეს... ისეთ კაცს, რომლის პატიოსნებაც ეჭვს გარეშეა! – უპასუხა მან.

ასეთი პასუხის შემდეგ ნებისმიერ ქურდს შეეძლო სიის მართვის თავის თავზე აღება, მაგრამ, საქმე კიევის ქურდულ სალაროს ეხებოდა. ოთახში კი კოპაძისა და ლუკას გარდა მხოლოდ ოდესელი ქურდები იმყოფებოდნენ.



– მე მივხედავ! – სწრაფად გადაწყვიტა კოპაძემ და რვეული აიღო, – ვინმეს პრეტენზია ხომ არ გაქვთ?

– არა... მიხედე, – ყველას მაგივრად უპასუხა ლუკამ.

– გამოდის, რომ ყველაფერი გაირკვა, – ჩაილაპარაკა სიომამ, – ყველამ ის მიიღო, რასაც იმსახურებდა!

– ერთი რამ დაგვრჩა მოსაგვარებელი, – გახედა ლუკამ.

– რა? – გაუკვირდათ ქურდებს.

ლუკა მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ალაპარაკდა.

– ამ ამბავს ვოლინა შეესწრო – ბერომ სიკვდილის წინ მაკურთხა ქურდად. მე ეს არ მინდოდა და არც დამიმალავს მისთვის, მაგრამ, ბერომ მითხრა, რომ, ადრე თუ გვიან, მაინც დადგებოდა დღე, როდესაც მე ქურდი გავხდებოდი. ის იმ დღეს ველარ მოესწრებოდა და, სურდა, რომ მე მისგან მიმეღო წოდება. ასე გავხდი უსახელო ქურდი. წოდებას კი მაშინ მივიღებდი, როდესაც ქურდების წრეში მე თვითონ ვიტყოდი ამას!.. მაშინ მართლა არ მეგონა, რომ ეს მოხდებოდა. მაგრამ, მაინც მოხდა. ჩემი მეგობრის – დადას დაღუპვის შემდეგ ვატარებ სახელს. ასე მოვედი იმ დღემდე, როდესაც წოდებაზე უარი უნდა ვთქვა!..

– რა თქვი?! – გაოცებული სახეებით შეხედეს ქურდებმა.

– მე არასოდეს მქონია ამის სურვილი, ცხოვრებამ მაიძულა, ეს ნაბიჯი გადამედგა. დღეს კი, მინდა, უკან დავიბრუნო ყველაფერი, რაზეც მუდამ ვოცნებობდი... მორჩა, მე უარს ვამბობ წოდებაზე – აღარ ვარ ქურდი... ეს ყველაზე კარგი ვარიანტია – ყველაფერი გარკვეულია, ყველა ნაბოზარი დასჯილია... ჯობია, მანამდე გაგეცალოთ, სანამ კიდევ ვიღაც არ გამოჩნდა და ყველაფერი თავიდან არ დაიწყო... ასე გადაეცით ჩვენს ძმებს!... – დაასრულა ლუკამ და კარისკენ წავიდა.

– ლუკა!.. – სწრაფად დაადევნა სიომამ.

– არ გინდა, სიომა... მე არ მჩვევია გადაწყვეტილების შეცვლა... აქ კი აღარაფერი მესაქმება – ქურდულ საქმეებს ქურდები უნდა აგვარებდნენ, – ჩაილაპარაკა ლუკამ და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

* * *

სამი დღის შემდეგ ლუკამ პრაღის გარეუბანში მდებარე აგარაკის წინ შეაჩერა მანქანა. ეკამ, რომელიც ისევ ფანჯარასთან ატარებდა მთელ თავის დროს, პირველმა შენიშნა ის, სწრაფად გამოვიდა სახლიდან, სირბილით გადაკვეთა ეზო და თვალცრემლიანი ჩაეკრა მკერდში.

– კარგი, კარგი, კმარა ცრემლი... ყველაფერი დამთავრდა!

– რა დამთავრდა? – გაუბედავად ჰკითხა ეკამ.

– ის, რასაც სხვისთვის ვაკეთებდი. ამიერიდან მხოლოდ ჩვენთვის ვიცხოვრებ, – უპასუხა ლუკამ, მერე მხარზე მოხვია ხელი და სახლის შესასვლელისკენ წაიყვანა.





გოჩა მანველიძის „მგლების“

სრული ვერსია

იყიდება ბოლო, მესამე წიგნი

**მომღერალი პანჩო, ლევან მგალობლიშვილი გლდანის საპყრობილიდან ამნისტიის წყალობით სულ ერთი კვირაა, რაც გათავისუფლდა. მას ნარკომოხმარებისთვის წელიწად-ნახევარი ჰქონდა მისჯილი, თუმცა მხოლოდ წელიწადი მოიხადა. სამაგიეროდ, კარცერში ჯდომაც მოასწრო, ლექსებისა და მოთხრობების დაწერაც და გამოსწორებაც. ამბობს, რომ ჯოჯოხეთი ნახა ციხეში, მაგრამ ეს მისთვის აუცილებელი ჯოჯოხეთი იყო ცხოვრების ნორმალურ რიტმში დასაბრუნებლად.**

# რატომ უპირებდნენ პანჩოს კარცერში ჩასმას და რატომ ვერ ჭამდა ის ციხის საჭმელს

– **პანჩო, როგორი იყო პირველი დღე „სვაბოდაზე"?**

– როგორ გითხრა, მაგარი შეგრძნებაა, ძალიან მაგარი. წარმოიდგინე, ციხეში ხარ დამწყვდეული და უცებ გარეთ გამოდიხარ! გარეთ რომ გამოვედი, მივხვდი, რომ გვეშველა, როგორც იქნა და რაღაც შეიცვალა ამ ქვეყანაში – მე ყოფილი პატიმრის თვალით დანახულს გეუბნები. გუგუნებდა ციხე, ყველა ამ ამბავს ელოდა! უამრავი ადამიანი იჯდა ციხეში სულ ტყუილუბრალოდ – განა მართლა ყაჩაღები და კაცისმკვლელები. ერთ მაგარ მაგალითს გეტყვი, უნდა გაცინო – ერთი ტიპი რაზე იჯდა, იცი? ცოლთან იწვა და მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან ბავშვმა დაინახა. ეტყობა, ფარდა ჰქონდა გადაწეული *(იცინის)*. ჰოდა, ამ ბავშვის ბებიამ პოლიციაში დარეკა. ბავშვზე მავნე ზეგავლენას ახდენსო. დაიჭირეს ორივე და ამ კაცს ეუბნებიან: თუ არ გინდა, შენი ცოლიც ციხეში ჩაჯდეს, აღიარებით ჩვენებაში ჩაწერე, რომ ცოლს აუპატიურებდიო. რა ექნა ამასაც, დაწერა აღიარებითი ჩვენება და გაუშვეს „სროკზე". სასამართლოზე მოსამართლეს ეუბნება: ბატონო მოსამართლევ, ჩემს ცოლთან წოლისთვის სამი წელი მომისაჯეს და თქვენს ცოლთან რომ დავწოლილიყავი, რამდენს მომისჯიდითო *(იცინის)*. დაუმატეს კიდევ ერთი წელი. სისულელეებზე ჰქონდა ხალხს მისჯილი. მთელი საქართველოდან მოყრილი იყო ხალხი, თოხი რომ წაართვეს და ეგეთი ტიპები. გლდანის ციხე იყო ცოცხალი ლომბარდი – გაუსაძლისი, სადაც ადამიანი ნებისმიერ თანხას იხდიდა, თუ ჰქონდა საშუალება, რომ იქიდან გამოსულიყო ნორმალური და არა ინვალიდის ეტლით, ან – ფსიქიატრიულში. არადა ბევრი ვერ უძლებდა და ფსიქიკურად შეირყა.



დეპრესია მქონდა, ვიჯექი სახლში გამომწყვდეული და კედლებზე ვხატავდი

– **ძალიან რთული იქნებოდა გლდანის საპყრობილეში ჯდომა...**

– ძალიან. შენ რა გაინტერესებს, ცოცხს გადავრჩი თუ არა? *(იცინის)* ჩემი ზომა ცოცხი ვერ იპოვეს, თორემ... ვხუმრობ. პოლიტიკური შეხედულებები ხმამაღლა არასდროს გამომითქვამს, არც მანამდე და არც ციხეში. მე ვიყავი და ვიქნები ყველა მთავრობის ოპოზიციაში. ვამბობდი იმას, რაც არ მომწონდა – ჩემი სიმღერებით პროტესტს გამოვხატავდი ყოველთვის, ოღონდ კონკრეტულად არავინ მიხსენებია. კი, მაგალითად, სულ ვამბობდი, რომ ის შუშის ხიდი არ უხდება ძველ უბანს, გადავიტანოთ კუს ტბაზე-მეთქი *(იცინის)*. რა, ცუდი იქნებოდა? მშვენივრად მოუხდებოდა იქაურობას, ლამაზი ხიდია. მსოფლიოში ერთადერთი ტბა იქნება, სადაც ხიდია და ტურისტებიც ივლიან. სხვა დროს მიტინგებზე არ მირბენია, ერთადერთხელ ვიმღერე 2006 წლის მიტინგზე „დედა ვატირე" და იმის მერე დაიწყო ჩემი პრობლემები, სულ პრობლემებში ვარ. მიშა გამოვიდა და თქვა: პანჩო ოპოზიციური მომღერალია და დაბლოკეთო. იმის მერე აღარც კონცერტებს მაკარებდნენ, აღარც არაფერს... ვერ ვაკეთებდი იმას, რისი გაკეთებაც მინდოდა. ვერ ვმღეროდი, ვერ ვუშვებდი ალბომს, რომელიც ჩაწერილი მქონდა, იმიტომ რომ რევოლუციაზე იყო სიმღერები. ვერ გავდიოდი უცხოეთში... დეპრესია მქონდა, ვიჯექი სახლში გამომწყვდეული და კედლებზე ვხატავდი. 5 წლის წინ ჩავწერე ალბომი და დღემდე არ გამომიშვია. ხანდახან ვფიქრობ, რომ ჯობდა, ჩუქჩად დავბადებულიყავი და ამდენი არ მეფიქრა. უფრო კარგად ვიქნებოდი. ძალიან გული მწყდება, რომ ამდენი წელი ტყუილად ჩავრეცხე. მარტო საკუთარ თავს ვადანაშაულებ, მეტს არავის. თუმცა, ალბათ, ბევრ რამეს არ შევცვლიდი მაინც, რადგან მაშინ სხვა მენტალიტეტის და შეხედულებების ვიქნებოდი და არა ის, ვინც დღეს ვარ.

ამჟამად გეგმაში მაქვს, გამოვუშვა ეს ალბომი, უცხოეთში წავიდე, თუნდაც უკრაინაში...

– **რატომ უკრაინაში?**

– რა ვიცი, ბელორუსია იყოს *(იცინის)*. უკრაინაში მეგობრები მყავს, ქართული რესტორნებია, იკრიბებიან იქ ქართველები. წავალ, იქ ვიმღერებ, რამეს ვიზამ. ისე არ მინდა მოვკვდე, რომ ამსტერდამი ვერ ვნახო. თავისუფლების კუნძულია რა – ამბობენ, რომ ძალიან ლამაზია.

– **ამსტერდამში მარიხუანას გამო გინდათ წასვლა?**

– არა, რა მარიხუანა! მარიხუანას აქაც მშვენივრად ვიშოვი და მოვწევ, თუ მომინდება. შენ, რა გგონია, ციხეში აკორდის არასწორად აღებისთვის ვიჯექი? იცი, რა მუხლით ვიჯექი ციხეში?

– **მითხარით.**

– მენისკიანი მუხლით *(იცინის)*. მარიხუანას ლეგალიზაციის მოთხოვნით ქუჩაში არ გამოვსულვარ და არც გამოვალ, მაგრამ ზოგადად, მომხრე ვარ. ნარკოტიკით თავს იშტერებენ ბავშვები და ნამდვილად ბევრი იშტერებს, მათ შორის პატარა გოგოებიც. ის კი არა, ბატონი კენედი იშტერებდა მაგით თავს *(იცინის)*. თუ უნდა, მაინც იშოვის და მოწევს. მშრალი კანონი რომ იყო საბჭოთა კავშირის დროს, გახსოვს?

– **არა, არ მახსოვს, მე საბჭოთა კავშირს არ მოვსწრებივარ.**

– ჰოდა, მშრალი კანონი რომ იყო და სასმელი სულ აკრძალეს, უშველებელ რიგში იდგა ხალხი სასმლის საყიდლად. აკრძალული ხილის ამბავია. რომ დაკანონდება, ინტერესიც ნაკლები იქნება.

– **როგორც ვხედავ, ციხეში ყოფნის პერიოდზე საუბარს მაქსიმალურად თავს არიდებთ.**

– ბევრი ითქვა და დაიწერა მაგაზე, მეზარება გამეორება. ერთადერთი ნატვრა მაქვს, რომ იქ აღარასოდეს მოვხვდე. გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკზე უარესია გლდანის ციხე. ნებისმიერ პატიმარს ერჩოდნენ იქ. იყო რეჟიმი და თუ რეჟიმში ვერ ჯდებოდი, რა ტიპის პატიმარიც უნდა ყოფილიყავი, „დარხეული" გქონდა. მე პირადად, არ ვუწამებივარ, შედარებით ნორმალურად მექცეოდნენ, მაგრამ ცემით მეც მომხვედრია, არ დავკონკრეტდები ახლა, რის გამო. ვამბობ, შედარებით ნორმალური ოფიცრები შემხვდნენ. რაღაც პერიოდი კარცერში ვიჯექი. მერე გადამიყვანეს საკანში. პატიმრები ამბობდნენ, რომ უმიზეზოდ სცემდნენ – რეჟიმი კიდევ იმას გულისხმობს, რომ ჩურჩულით უნდა ილაპარაკო, სიგარეტი არ მოწიო, ზედამხედველი რომ შემოვა, თავი ჩაღუნო. ბევრს უჭირდა და ვერ უძლებდა, ანგრევდნენ ფსიქიკურად. ბიჭები ღამე თვალს ვერ ხუჭავდნენ შიშით, რომ ციხეში არ ეცემათ. იქ არავის ვუწამებივარ, ცხოვრებისგან ვარ ნაწამები.

– **საკანში კონფლიქტი არ მოგსვლიათ?**

– გეუბნები, კარცერში ვიჯექი-მეთქი და როგორ არ მომსვლია კონფლიქტი!

– **რის გამო?**

– მიზეზს ცოცხალი თავით არ ვიტყვი, პროკურატურაში ხომ არ ვარ დაკითხვაზე, გამოვედი უკვე *(იცინის)*. ბუნტისთავი პატიმარი ვიყავი. ერთხელ კინაღამ იმისთვის მიმაბრძანეს კარცერში, რომ სიმღერა დავაპირე. ტელევიზორი არ გვქონდა საკანში მაშინ და ერთადერთ რადიოს ვუსმენდით – დუეტია რომელიღაც და „ცაში ახედეს" ასრულებდა. ბიჭებმა მითხრეს, შენი ნამღერი ჯობიაო. გავაღე პირი, დავაპირე სიმღერა და კინაღამ კარცერში ისევ ჩამსვეს – მერე გადაიფიქრეს, სიმღერისთვის კარცერში როგორ ჩავსვათ, სირცხვილიაო. სხვათა შორის, რადიოში ამჟამად ჩემი ორი ახალი სიმღერა ტრიალებს – ჩემი შვილი იყო მოსული და დისკით გავატანე. ხშირად ითხოვენ ხოლმე და ჩვენც ვუსმენდით.

– **ნარზე რომ იწექით, რაზე ფიქრობდით?**

– ნარზე რომ ვიწექი, ვფიქრობდი ქალებზე *(იცინის)*. ციხეში რომ ზიხარ, ფიქრის და კითხვისთვის ბევრი დრო გაქვს. ყველაფერს ვკითხულობდი, რაც ხელში ჩამივარდებოდა – წიგნებს, პრესას, ყველანაირ ლიტერატურას... თან, იქ გისოსებიდან წესიერად მზის სხივები არ შემოდიოდა, დღის განათება იყო და თვალები ძალიან მატკინა. პრობლემები მაქვს თვალებზე.

– **ვინ გედგათ იმ რთულ პერიოდში მხარში?**

– უფროსი ძმა და ჩემი შვილები. თუმცა, ციხეში მარტო ოჯახის წევრებს ჰქონდათ მონახულების უფლება. ძალიან კარგი ბიჭები მყავს – 24

**დაიჭირეს ორივე და ამ კაცს ეუბნებიან: თუ არ გინდა, შენი ცოლიც ციხეში ჩაჯდეს, აღიარებით ჩვენებაში ჩაწერე, რომ ცოლს აუპატიურებდიო**

და 16 წლის. პატარას დიზაინერობა უნდა, უფროსმა ახლა დაიწყო მუშაობა. დედა მყავს 81 წლის, ლოგინად ჩავარდნილი და ისინი უვლიდნენ, მეც მივლიდნენ. წესიერი, ჭკვიანი ბიჭები არიან. მგვანან ხასიათით, მაგრამ ჩემზე ბევრად უკეთესები არიან.

– **თქვენმა შვილებმა რომ იგივე გააკეთონ, რასაც თქვენ აკეთებდით, მოგეწონებათ?**

– არა, რა თქმა უნდა, დავხოცავ ორივეს. მკაცრი მამა არასდროს ვყოფილვარ, არ დამჭირვებია განსაკუთრებული აკრძალვები – თვითონ ვერ ვამჩნევ ამისკენ მიდრეკილებას რომელიმეს, არც მის მეგობრებს აინტერესებთ ეგ თემა.

– **გაგებით მოეკიდნენ თქვენს ამბავს?**

– რას უნდა მოჰკიდებოდნენ გაგებით? დამიჭირეს და ეგ იყო, ჩვეულებრივად მიიღეს. ძალიან გაუხარდათ, რომ ამნისტია შემეხო *(იცინის)*. სხვათა შორის, მეზობლებსაც ძალიან გაუხარდათ. გადამკოცნეს, იყო ერთი ამბავი.

– **ნორმალური კვება გქონდათ ციხეში? მაგაზეც ხშირად ჩივიან.**

– რას შემომიჩნდი მოკლედ *(იცინის)*. იყო ხორცი, კარტოფილი, სხვა საჭმელები, მაგრამ მე ვერ ვჭამდი. ისეთ საშინელ ცხიმზე ამზადებდნენ, ღვიძლზე მოქმედებდა პირდაპირ – ისედაც არ მაქვს ჯანმრთელი ღვიძლი. ცუდი ბიჭის ღვიძლი მაქვს. მძიმე ნარკოტიკებს არ გავკარებივარ, მაგრამ ერთი პერიოდი ძალიან მქონდა აშვებული – ციხე ჯოჯოხეთია, მაგრამ კარგია, იქ რომ მოვხვდი. ჩემთვის საჭირო იყო – ცუდი ბიჭი ვიყავი და კარგი ბიჭი გავხდი.

– **აღარ გაკარებიხართ, რაც გამოხვედით?**

– არა და აღარც გავეკარები.

**ქეთი დიდებულიძე**

# როგორ ემზადება ბებიობისთვის ეკა ნიჟარაძე და რატომ ცხოვრობს ის „უწესოდ"

***მსახიობი ეკა ნიჟარაძე ბებიის ახალი ამპლუისთვის სავანგებოდ ემზადება. ამბობს, რომ ძალიან სწყდება გული პროექტზე „ცეკვავენ ვარსკვლავები" და დიდი სიამოვნებით მიიღებდა კიდევ მონაწილეობას.***

**ეკა ნიჟარაძე**: სიმართლე გითხრათ, ძალიან მიჭირს პროექტის და იმ რეჟიმის გარეშე ცხოვრება. ძალიან დატვირთული ვიყავი, საშინელი რეჟიმი მქონდა – ხოხვით ვბრუნდებოდი სახლში, ვერავის ვერ ვხედავდი. კი წუწუნებდნენ ჩემი შვილები, მაგრამ, მაინც გაგებით ეკიდებოდნენ – რა ექნათ?! *(იცინის)*

**– მოიმდურეთ ხალხი?**

– არა, მომდურებით არა, შედიოდნენ ჩემს მდგომარეობაში... ბოლოს ისე დავიღალე, მინდოდა, მალე დამთავრებულიყო, აღარ შემეძლო უკვე, მაგრამ, მაინც დიდი სიამოვნება მივიღე, ფორმაში ჩავდექი – გავხდი. არ მეტყობა? *(იცინის)*. დავიბრუნე ჩემი კუნთები. სიზმარშიც კი ვცეკვავდი. საწყალი ტასო ორსულადაა და ვაწვალებდი, არ ვაძინებდი. ამათი მეგობრებიც ძალიან მგულშემატკივრობდნენ, SMS-ებს მიგზავნიდნენ, მაგრამ, იმდენმა დაიწყო ჩემთვის მოულოდნელად ბოღმის ნთხევა, გაოცებული დავრჩი. მათი პრობლემაა, წავიდნენ, საკუთარ ცხოვრებას მიხედონ. თავიდან კი განვიცდიდი, რადგან, ჩემ მიმართ შური და ღვარძლი პირველად ვიგრძენი 41 წლის განმავლობაში *(იცინის)*. წერდნენ „ფეისბუქზე": „ფუ, ვერ ვიტან ამ ქალს..." „არ ვიცი, რატომ, მაგრამ, ვერ ვიტან ამ ქალს – მოაშორეთ, გაათრიეთ"... ასეთი რაღაცეები ეწერა – არ მაინტერესებს, რა სავალდებულოა, ყველას ვუყვარდე?! მშვენიერი ხასიათი მაქვს, სალმიანი ვარ, ყურადღებიანი, დამთმობი. ჩემნაირ ადამიანებთან ურთიერთობა ნამდვილად უდიდესი სიამოვნებაა. უნდა გენახა, როგორ მგულშემატკივრობდნენ მეზობლები – იყო აქ დიდი განხილვა და ამბავი. სახლში სულ ვახვევდი და ვუყურებდი. იყო მომენტი, იმდენად ვიღლებოდი, თავში აღარაფერი შემდიოდა. ერთადერთხელ ვეკამათე ლევანს – კინოტურში არ უნდოდა რეტროფილმი და ქუიქსტეპი, იბუტებოდა, მაგრამ, მაინც კარგი გამოვიდა. ისედაც ძალიან თვითკრიტიკული ვარ, მაგრამ, სამ დღეში ვერ გააკეთებ ყველაფერს იდეალურად. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ვერ გავიგე, ქუჩაში სულელივით გაღიმებული ხომ არ ვივლი?! ბევრისგან გამიგია, „სტერვა" სახე აქვსო.

**– ფინალში რომელიმე წყვილს გულშემატკივრობდით?**

– კი, რა თქმა უნდა. არც დამიმალავს – რუსკას ვგულშემატკივრობდი, ძალიან მინდოდა, გაემარჯვა.

**– შვილებს ჰკითხეთ?**

– დიახ. „მიდი, დე!" – ყვიროდნენ დარბაზში. მივლიდნენ, ყველაფერს ესენი აკეთებდნენ, მე აღარაფრის თავი არ მქონდა. ნამდვილად არ ველოდი, რომ ნახევარფინალამდე მივიდოდი.

**– საგზურს წიხლი ჰკარით?**

– *(იცინის)* არა, წიხლი არ მიკრავს, მაგრამ, ჯერ არ მივსულვარ წამოსაღებად – მიმრჩა ისე. ახალი წელი იყო და არ მეცალა, არც ქვეყანა ამირჩევია ჯერ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „ფლაი ჯორჯიას". ისე, თავიდან მაინც ცოტა მეცალა ოჯახისთვის, დილით ვდგებოდი, შუალედში მოვრბოდი და სადილს ვაკეთებდი... კინაღამ ხალათით შევხვდი ახალ წელს. კიდევ კარგი, თეატრში მაინც არ მქონდა რეპეტიციები, თორემ, არ ვიცი, რა მეშველებოდა. სპექტაკლებს ჩვეულებრივად ვთამაშობდი, რეპეტიციის გარეშე.

**– ტასო, შენ მინდა გკითხო: მკაცრი დედაა ეკა?**

**ტასო**: კი, თავისებურად მკაცრია. როგორ გითხრა, ჩხუბი და ყვირილი არ მახსოვს, მაგრამ, მაინც, წარბის აწევით იცის ხოლმე გამოხატვა *(იცინის)*. ჩვეულებრივი, მეგობრული ოჯახი ვართ. ძალიან ვბრაზდებოდით – დედა არასდროს რომ არ იყო სახლში, ვწუწუნებდი, რა უბედურებაა, როდის მორჩება-მეთქი, მაგრამ, მაინც გვინდოდა, რომ შემდეგ ეტაპზე გადასულიყო.

**ეკა**: ისე გაიარა ორსულობამ და ისე გაეზარდა ამხელა მუცელი, საერთოდ ვერ გავიგე. ამას წინათ ვეუბნები, რა მალე გავიდა შენი ორსულობა-მეთქი. ბავშვს ყურადღება საერთოდ ვერ მივაქციე. ჩვეულებრივი ბებია ვიქნები, ოღონდ, ახალგაზრდა ბებია, და არა ისეთი, როგორსაც მიჩვეული ვართ – ჭაღარათმიანი და თავსაფრიანი *(იცინის)*. ჭაღარა ჯერჯერობით არ მაქვს, რაც, ალბათ, უფრო გენეტიკის დამსახურებაა, ვიდრე ცხოვრების სწორი წესის. პირიქით, ძალიან „უწესოდ" ვცხოვრობ.



სიზმარშიც კი ვცეკვავდი. საწყალი ტასო ორსულადაა და ვაწვალებდი, არ ვაძინებდი

**– ხშირ შემთხვევაში, მსახიობებს უნდათ, რომ შვილები მათ გზას გაჰყვნენ და ჯეჯიმაც თეატრალურზე ჩააბარა. თქვენ თუ იყავით წინააღმდეგი?**

– არც მე და არც ნიკოს არ გვინდოდა, ჯეჯის თეატრალურზე ჩაებარებინა, იმიტომ, რომ ეს არის ყველაზე არანორმალური შრომა, მძიმე პროფესიაა და, თან – დაუფასებელი, არც ანაზღაურებაა შესაბამისი... რა ვიცი, ჯეჯიმ მაინც ასე ისურვა და გააფთრებული წინააღმდეგობა არც მე გამიწევია. თან, ნინამ, ნიკოს მეუღლემ, თქვა – ნიკოს უნდოდა, ჯეჯი მსახიობი გამოსულიყო, რაღაცეებს ამჩნევდაო. მამამისზე უკეთ ვინ იცოდა... მაინც ძალიან ვინერვიულეთ მისაღებ გამოცდებზე... ვუთხარი, ძალაუნებურად, სულ ნიკოს შეგადარებენ, იმიტომ კი არა, რომ უფრო უნიჭო ან უშნო ხარ, უბრალოდ, ცნობილების შვილების შემთხვევაში ასე ხდება-მეთქი. სრული დაფინანსება მიიღო, გიზო ჟორდანიასთან და ნანუკა ხუსკივაძესთან მოხვდა... ოღონდ, ჩემს შვილებს არ უყვართ ჟურნალისტებთან ურთიერთობა. პატარა ვიყავი, რომ გავთხოვდი და ჩემთან ერთად გაიზარდნენ. ბევრს ახსოვს, იმ საშინელ დროს, უტრანსპორტობაში, გაყინულ თეატრალურ ინსტიტუტში ფეხით რომ დავდიოდი და ესენიც თან დამყავდა... თან, 92-ში საშინლად ცივი ზამთარი იყო, მახსოვს... არც ფული გვქონდა, არც გათბობა, არც ძიძები არსებობდნენ *(იცინის)*. ტასოსხელა ვიყავი ზუსტად, პირველი შვილი რომ გავაჩინე. აზრზე არ ვარ, რანაირად რას ვახერხებდი, მაგრამ, არასდროს არც შემშინებია, არც დეპრესიაში ჩავვარდნილვარ.

> **ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს – ვერ გავიგე, ქუჩაში სულელივით გაღიმებული ხომ არ ვივლი? ბევრისგან გამიგია, „სტერვა" სახე აქვსო**

**– ბევრისგან გამიგია, თეთრი შურით მშურს ეკასი, ყველაფერს ასწრებდა და თან სამი შვილიც გააჩინა, არ შეშინდაო...**

– არ ვიცი, რამდენად შესაშურია *(იცინის)*. ბავშვის ხელოვნური საკვებიც კი არ იყო იმ დროს, კიდევ კარგი, ერთადერთი, „სიმილაკი" შემოდიოდა. ბუნებრივად შემეძლო მეკვება. ჩემი მამამთილი მეხმარებოდა, ნიკოს მეგობრებიც – 20 წლის ბიჭებს რა შეეძლოთ, სტუდენტები იყვნენ ისინიც; დედაჩემიც მეხმარებოდა. 2008-ში რაც გადავიტანე, 92-ში არ მინერვიულია ასე... ჩემ ირგვლივ გაუთავებლად რაღაც ცუდი ხდებოდა და შეგუებული ვიყავი, წინ ვიყურებოდი და ვგრძნობდი, რომ არანაირი პერსპექტივა არ მქონდა... მაინც ვცდილობდი, არაფერი მომეკლო შვილებისთვის, რაღაცეებს ვაკოწიწებდი და არც ერთ ზაფხულს აქ არ დამიტოვებია, კოჯორში დამყავდა დასასვენებლად. თან, ჯეჯიკო რომ დაიბადა, 93-ში, განსაკუთრებით ცივი ზამთარი იყო, მეყინებოდნენ შვილები. ახალფეხადგმულს იმდენი ეცვა, ვერ დადიოდა ბავშვი! ნავთქურა გვქონდა და ნავთი – არა. ერთხელ ჩემზე მთელ ქალაქში გამოაცხადეს ძებნა! უშველებელი მუცლით არაყიშვილზე პურის რიგში ვიდექი – ქუჩაშიც ომი იყო და პურზეც – ომი! დაღამებამდე ვიდექი. ნიკუშა გაგიჟებული დარბოდა ქალაქში და მეძებდა – როგორია, ორსული ცოლი სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა! *(იცინის)* ყველაფერს ვიტანდი და ვიტან, ალბათ, მტკიცე ხასიათი რომ მაქვს, იმიტომ. არადა, რომ გავთხოვდი, არაფრის გაკეთება არ ვიცოდი, მარტო ჩემს საბალეტო რაღაცეებს ვრეცხავდი!

**– ხასიათით რომელი გგავთ?**

– ხასიათით – არც ერთი და გარეგნობით – სამივე! მესამე შვილიც ვახსენოთ, ჩემი ბუთქუჩელა *(იცინის)*. რა ვიცი, ხასიათით თავიანთ მამებს ჰგვანან.

**ტასო**: ხასიათით მამაჩემს ვგავარ, არადა, ჩვენ შორის ყველაზე კარგი ხასიათი ეკას აქვს.

**ეკა**: ტასო უფრო მომთხოვნია და მკაცრი ხასიათი აქვს. არ უყვარს ბევრი ლაპარაკი, ზუსტად იცის, რა უნდა. ბოლო კლასში იყო და შოკში ჩამაგდო – აკადემიაში ვაბარებო, გამომიცხადა! არადა, ხატვის აზრზე არ იყო – ბაღში სარვამარტო მისალოცი ბარათიც კი არ დაუხატავს ჩემთვის *(იცინის)*. ძლივს მოვედი აზრზე, მაგრამ, იმდენად კარგად ისწავლა ხატვა – 97 ქულა მიიღო! თან, ცაციაა, მარცხენა ხელით ხატავს. ნიჭიერები არიან ჩემი შვილები *(იცინის)*. პატარას რეჟისორობა უნდა. 13 წლისაა. ადრე მობილურით იღებდა, ახლა კამერა აქვს და იმით იღებს... ხატავს არაჩვეულებრივად. პატარა რომ იყო, ძალიან სასაცილო ლექსებს წერდა – შალვა ნათელაშვილს მიუძღვნა ლექსი *(იცინის)*. კარგად რითმავს, რა ვიცი...

**– ბატონმა შალვამ რომ იცოდეს, ძალიან გაუხარდებოდა ეს ამბავი. რამეს უკრძალავთ შვილებს?**

– არა. ვერ ხედავთ, ჩემი შვილიც ჩემსავით ადრე გათხოვდა?! რომ გავიგე, შეყვარებული ჰყავდა, თავი არ მომიკლავს – გვიანაც მოდიოდა სახლში და არ მქონდა პრობლემა. დაშლას რა აზრი აქვს? სამი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს, კარგად ვიცნობდი კოტეს. ძალიან კარგი სიძე მყავს, მეც კარგი სიდედრი ვარ. კოტე „უსიდედრეს სიდედრს" მეძახის. ჯეჯიკოს არ ჰყავს ჯერჯერობით რჩეული.

**ქეთი დიდებულიძე**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

# ცოლ-ქმარს შორის მუდმივი ჩხუბისა და კონფლიქტის მიზეზი ხშირად მათ შორის ენერგიის არასწორი გაცვლაა

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

**კურტ ვონეგუტი**

ბევრს აწუხებს კითხვა: საიდან ჩნდება ესა თუ ის დაავადება, რატომ იჩენს თავს და, ზოგადად, რისი შედეგი შეიძლება იყოს ის? ზოგადად, ყველა დაავადება ბიოველის დაზიანებით იწყება, შემდეგ ეს გადადის ასტრალურ სხეულზე, შედის ფიზიკურ სხეულში და ფიქსირდება, როგორც დაავადება. ენერგიის სწორი ხარჯვა კი სწორი ცხოვრების წესია და ეს ყველამ კარგად უნდა შევიგნოთ. ასე რომ, ავადმყოფობის მიზეზი შეიძლება იყოს არასწორად დახარჯული ენერგია.

ჩვენ, ადამიანები, უზარმაზარ ენერგიას ვფლობთ, რომლის სრულყოფილად ხარჯვასაც, ძირითადად, ვერ ვახერხებთ. მოჭარბებული ენერგია კი, თუ გამოსავალი ვერ ნახა, ერთ ადგილას გროვდება და ბრძოლას იწყებს. ყველანაირი დაავადება სამ კატეგორიად იყოფა და ამ სამი დაავადების კატეგორიაში შედის: შთაგონება ზემოდან, ანუ როცა ადამიანი იღებს გამოგზავნილ სასჯელსა და განსაცდელს, რომელმაც მას მძიმე დანაშაული უნდა აარიდოს. ეს ის დაავადებაა, რომელიც შთაგონებისთვის გვეგზავნება ზემოდან. დღეს ასეთი დაავადებით ხშირად ინფიცირდებიან არა მხოლოდ დიდები, არამედ მოზარდებიც. ასეთი დაავადება არა მარტო გარშემო მყოფებს აშორებს საფრთხეს, არამედ, თავად ადამიანსაც იცავს უარესისგან; მეორე კატეგორიაში შედის ისეთი დაავადებები, რომლებიც ჩვენი სულის თვისებების პროვოცირებას ახდენს. ესაა მემკვიდრეობით მიღებული დაავადებები. აქვე გეტყვით, რომ დაუკმაყოფილებელი სურვილი ყოველთვის გზავნის ტვინში დამახინჯებულ და ავადმყოფურ სიგნალებს, რასაც ადამიანის ორგანიზმი განადგურებამდე მიჰყავს. უკეთეს შემთხვევაში, შედეგი იქნება ნევროზი, რომელიც შემდეგ დეპრესიითა და ფიზიოლოგიური დაავადებებით მთავრდება; მესამე კატეგორიის დაავადებები, მაგალითად, ასთმა, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ალერგია და სხვა ადამიანს უჩნდება გაორების დროს. ამ შემთხვევაში, ერთ მხარესაა პრინციპები, რომლებიც არცთუ ისე მტკიცეა, მეორე მხარეს კი – ამ პრინციპებისადმი წინააღმდეგობების გაწევის სურვილი, რომლის დაკმაყოფილებაც გვინდა, მაგრამ, არ გამოგვდის. ამ სამივე დაავადების მთავარი და საწყისი მიზეზი კი მაინც მოჭარბებული ენერგიის არასწორი ხარჯვაა. ენერგიის არასწორმა გაცვლა-გამოცვლამ, ასევე, შეიძლება, ოჯახის დანგრევამდე მიგვიყვანოს. მუდმივი ჩხუბისა და დავიდარაბის გამო ბევრი ცოლ-ქმარი იტანჯება. კონფლიქტის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, ელემენტარულია, მაგრამ, მათ არ იციან ერთმანეთში ენერგიის გაცვლის მეთოდი. მაგალითად, ნორმალური ადამიანი დადებით ენერგიას ასხივებს, აგრესიული კი ამას ვერ ახერხებს, რის გამოც თავად იტანჯება და ავადმყოფურად განიცდის. ენერგია ორგანიზმიდან მუდმივად უნდა გაედინებოდეს. შეკავების შემთხვევაში ის აუცილებლად შეგვაწუხებს და დისკომფორტს შეგვიქმნის.

თუ გრძნობთ, რომ მოჭარბებული ენერგიის დახარჯვას ვერ ახერხებთ, სანამ ის ფიზიკურ დაავადებაში გადავა, გირჩევთ, ბევრი დრო დაჰყოთ ბუნებაში, ხეების გვერდით, იაროთ ბალახზე ფეხშიშველმა და, უბრალოდ, ღრმად ისუნთქოთ სუფთა ჰაერი. სასიცოცხლო ძალების პერიოდულად აღდგენა, აუცილებელია, ის ადამიანს შრომის უნარსა და სიცოცხლის ხალისს უორმაგებს. სასიცოცხლო ძალები რომ აღიდგინოთ და შეივსოთ, ამისთვის ყველაზე კარგია ვარჯიში, აგრეთვე, იმ ადამიანებთან კონტაქტი, რომლებიც დადებითი და სასიამოვნო ემოციებით გავსებენ. ამისთვის ხანდახან კარგია განმარტოებაც. ყოველივე ამის ხარჯზე კი თქვენ შეძლებთ, ადვილად დაიცვათ თავი ენერგოვამპირის შემოტევისგან, აღიდგინოთ ენერგია, გახდეთ მეტად მშვიდი, ენერგიული და შრომისუნარიანი. ეს კი, ყველას გვჭირდება.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1996 წლის 11 მაისს. რა არის მისი კარმული მისია, რომელი პროფესიაა წარმატებების მომტანი და ზოდიაქოს რომელ ნიშანთან ექნება საუკეთესო ქორწინება?**

**პასუხი:** მისთვის კარგია სასიყვარულო ურთიერთობა კუროს, ქალწულის, თხის რქის, თევზებისა ან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან. რაც შეეხება კარმულ მისიას, უნდა გამოავლინოს საუკეთესო თვისებები, შეეძლოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების წარმოჩენა; ასევე, უნდა იყოს ორგანიზებული, შეუპოვარი, ფულის ყაირათიანად მხარჯველი, შრომისუნარიანი. უნდა დაიცვას იერარქიული სისტემა, ანუ, იცოდეს, ვინ არის უფროსი და ვინ – უმცროსი; პატივი სცეს ტრადიციებსა და ადათებს. უნდა იყოს მარტოხელა მებრძოლი, საქმისადმი ჰქონდეს სერიოზული მიდგომა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. იყოს მიზანსწრაფული, პატიოსანი მუშაკი. ეს მისი კარმული მისიაა და წარმატებებს მოუტანს. რაც შეეხება პროფესიებს, მისთვის კარგია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო საქმიანობის ფართო სპექტრი, მედიცინა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო სფერო, პედაგოგიური მოღვაწეობა ან ბიზნესი, ავტომატიკა, ტელემექანიკა, კავშირგაბმულობის სისტემა, სატრანსპორტო სფერო, ლინგვისტიკა, პოლიტიკა, საათების ბიზნესი ან დიზაინი, სამხედრო სტრუქტურები, უშიშროების სფერო, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომძიებლო საქმე, მშენებლობის ფართო სპექტრი და საინჟინრო სფერო. ყველა ამ დარგში მას წარმატებების დიდი შანსი აქვს.

**კითხვა: დავიბადე 1982 წლის 11 მარტს. არ მიმართლებს ბიზნესში. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და, ზოგადად, რა არის ჩემი კარმული მისია? ასევე, მაინტერესებს, უცხოეთის რომელი ქვეყნებია ჩემთვის პოზიტიური და თავსებადია თუ არა ჩემი ზოდიაქოს ნიშანი სასწორის ზოდიაქოს ნიშანთან ქორწინების შემთხვევაში?**

**პასუხი:** სასწორის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან თქვენი ქორწინება საშუალოა. მთავარია, ერთმანეთის მიმართ გამოიჩინოთ მეტი ყურადღება და შეძლოთ დათმობებზე წასვლა. რაც შეეხება უცხოეთს, ის თქვენი კოსმიური მისია ან არნახული წარმატებების ადგილი ნამდვილად არ არის, თუმცა, არც ცუდია. ქვეყნებიდან უკეთესია: ჩეხეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, შვეიცარიის დასავლეთი ნაწილი, იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – კალიფორნია; პერუ, ავსტრია, თურქეთის დასავლეთი მხარე, რუსეთიდან – სანკტ-პეტერბურგი. თუ გამოავლენთ მეტ შეუპოვრობასა და ორმაგ ძალისხმევას, წარმატებებია მოსალოდნელი შემდეგ ქვეყნებშიც: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე, ლიტვა, საბერძნეთი, ესპანეთის ანდალუზიის მხარე, კუნძული კრეტა, ბელორუსი. არ არის გამორიცხული, რომ ბიზნესში არგამართლების მიზეზი იყოს ენერგოდაბინძურება, რაც არასწორი ცხოვრების შედეგია. რაც შეეხება კარმულ მისიას, უნდა გამოიჩინოთ მეტი შეუპოვრობა, აქტიურობა; უნდა შეძლოთ საკუთარ თავზე ინიციატივისა და პასუხისმგებლობის აღება; ასევე, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების გამოვლენა. უნდა დაეყრდნოთ ოპტიმიზმს, კეთილშობილებას, კომუნიკაბელურობას, ცოდნის ბაზას. აუცილებლად უნდა იყოთ უხალტურო მუშაკი, მოწესრიგებული, მომთმენი, ფულის ყაირათიანი მხარჯველი, მარტოხელა მებრძოლი, ორგანიზებული და საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მიუდექით. ამ თვისებების გამოვლენით შეასრულებთ თქვენს კარმულ მისიას და წარმატებებსაც ადვილად მიაღწევთ ცხოვრებაში.

## ვერძი



სამსახურებრივი ცვლილება თქვენს სულიერ მდგომარეობას დაამძიმებს, სამაგიეროდ, გაგიჩნდებათ შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო. ცხოვრებაში ცვლილებები გამოცდას მოუწყობს თქვენს პირად ურთიერთობებს. ეცადეთ, იყოთ მეტად დამთმობი და დიპლომატიური ხერხით მიაღწიოთ წარმატებებს სასიყვარულო სფეროსა და კარიერაში.

## კურო



კარგი დროა კარიერაში წინსვლისთვის და ნიჭის გამოსავლენად. ნუ ეცდებით ლიდერის პოზიციის დაკავებას, რათა ამით არ გაირთულოთ ურთიერთობა კოლეგებთან. სახლის საქმეები ბევრ დროს წაგართმევთ. ეცადეთ, არ გადაიღალოთ. არ გირჩევთ შორეულ მოგზაურობას.

## ტყუპები

ჯობია, დროულად მოაგვაროთ სასიყვარულო და ოჯახურ სფეროში გაუგებრობები და



ამით კიდევ უფრო მეტი პრობლემა აიცილოთ თავიდან. მეგობრები დახმარებას გაგიწევენ. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება. ასევე, მოერიდეთ მოგზაურობას და დაიწყეთ ფიქრი სოციალური სფეროს გაუმჯობესებაზე.

## კირჩხიბი



საქმეებში დახმარებას გაგიწევენ გავლენიანი პირები. მოთოკეთ ემოციები და ნუ დაუჯერებთ ინფორმაციას გადამოწმების გარეშე. ნაკლებად ეკონტაქტეთ უცხო ადამიანებს და დროულად მიიღეთ გადაწყვეტილებები. მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან და მოუსმინეთ მათ რჩევებს.

## ლომი



რომანტიკული იქნებით, რაც გაზრდის სასიყვარულო საიდუმლო კავშირებს. ადვილად შეძლებთ ნებისმიერი საქმის შესრულებას. არ არის გამორიცხული, ოჯახურ სფეროში წარმოიქმნას გაუგებრობები, რასაც საღად უნდა შეხედოთ. მინიმუმამდე დაიყვანეთ გადაადგილებები და ასე აიცილეთ თავიდან ზედმეტი პრობლემები.

## ქალწული



კოლეგებში გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი. სამსახურებრივი საქმის შესრულებისას გამოიყენეთ არაორდინარული გზები. პარტნიორების დახმარებით შეძლებთ გეგმების რეალიზებას. ერიდეთ ფულის უყაირათო ხარჯვას. კარგია მეგობრული კავშირების აღდგენა და ძველი საქმეების დასრულება.

## სასწორი



სიყვარულის მოთხოვნილება შემოქმედებითი მუშაობისკენ გიბიძგებთ. გაგიჭირდებათ უცხოელებთან კონტაქტი. ეცადეთ, ფინანსური საბუთები წესრიგში გქონდეთ, რათა არ შეგექმნათ პრობლემები. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

## ღრიანკალი



სოციალური და ეკონომიკური წინსვლისთვის მეტი შემოქმედებითი აქტიურობაა საჭირო. შესაძლოა, მეგობრობა დიდ სიყვარულში გადაიზარდოს. რომანტიკული კავშირი დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ და ენერგიით აგავსებთ. ნუ იფიქრებთ ძველ პრობლემებზე და ამით ნუ გადაღლით გონებას. უმჯობესია, მომავალი გეგმები დასახოთ.

## მშვილდოსანი



ჩანაფიქრებისა და ოცნებების ახდენის დროა. ახალი კავშირები და ინფორმაცია სასიკეთოდ წაადგება თქვენს მომავალს. მომატებული ენერგიითა და განწყობით ადვილად გაუმკლავდებით რთულ სიტუაციებს. დიდი შანსია, მოგზაურობის დროს ნამდვილი სიყვარული იპოვოთ. არ გირჩევთ ფარულ სასიყვარულო კავშირებს.

## თხის რქა



თქვენი ყურადღება ოჯახისა და სახლის პრობლემებისკენ იქნება მიმართული. საყვარელი ადამიანები დაგეხმარებიან ნებისმიერ სფეროში, სასიამოვნო სიახლეები კი სრულიად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. რთულ სიტუაციებში ეცადეთ, იმოქმედოთ სწრაფად და თანამოაზრეების რჩევებიც გაითვალისწინოთ. არ გირჩევთ ადგილსამყოფლის შეცვლას.

## მერწყული



გაიზრდება თქვენი ამტანობა და ინტუიცია. ამით კი ადვილად შეძლებთ მომავალი ცვლილებების წინასწარმეტყველებას. სითბოთი და დიპლომატიურობით ადვილად მოხიბლავთ გარშემო მყოფებს. ასევე, შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება სასიყვარულო პარტნიორის მიმართ და მოგინდებათ ძველის დანგრევა და მისი ახლით ჩანაცვლება.

## თევზები



გაიზრდება კრიტიკული სიტუაციების რაოდენობა, ამიტომ, ემოციურად მდგრადად უნდა იყოთ. შესაძლოა, დაფიქრდეთ ცხოვრებაზე და მიიღოთ რადიკალური გადაწყვეტილებები. ცვლილებები მოსალოდნელია როგორც პირად, სასიყვარულო სფეროში, ასევე საქმეებშიც. კარგი დროა ჯანმრთელობის გასაჯანსაღებლად, გარდერობის შესაცვლელად და გარეგნობის მოსაწესრიგებლად.



**ახალმთვარეობა – 10 თებერვალი, 7 სთ: 20 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

## ორშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

დაიცავით სამართლიანობა. შესაძლებელია ცხოვრების რადიკალურად შეცვლა. ნუ მიაქცევთ ყურადღებას ჭორებს. მოერიდეთ სარისკო და ავანტიურულ მოქმედებებს. ატარეთ შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ფირუზი, ონიქსი ან იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. კარგია თმის შეჭრა, კოსმეტიკური პროცედურები, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი, ღვიძლი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

## სამშაბათი
## გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

მოიმატებს ინტუიცია, შემოქმედებითი ნიჭი და ფსიქოლოგიური საკითხებისადმი დაინტერესება. მოერიდეთ ილუზიებს, შეცდომების დაშვებასა და საეჭვო კავშირებს. მაღალია ცდუნებების ალბათობა. ატარეთ წითელი, იისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ქარვა, ცირკონი, ლაზურიტი ან აკვამარინი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია უცხოელებთან ურთიერთობა, მოგზაურობა, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, სამეცნიერო საქმიანობა, სასამართლო პროცესების დაწყება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

## ოთხშაბათი

მოერიდეთ სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. კარგია ახალი ნაცნობობა. აკონტროლეთ ხასიათში აგრესია, ეგოიზმი, სიამაყე და პატივმოყვარეობა. კარგია უძრავი ქონების შეძენა, რემონტის დაწყება. ნუ გადაძაბავთ თვალებს. ატარეთ წითელი, ყვითელი, იისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ჟადეიტი, საფირონი, ლალი ან ბრილიანტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა უახლოეს მომავალში. არ ვარგა მშენებლობა. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, მოგზაურობა, სამეცნიერო კვლევა, იურიდიული და ინტელექტუალური საქმიანობა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა, საზარდული.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.***

## ხუთშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

ეს არის რწმენისა და ერთგულების გამოვლენის დღე. იყავით მეტად შრომისუნარიანი, საქმიანი და რომანტიკული. კარგია ქველმოქმედება, სწავლა, საზოგადოებრივი შეკრება. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ნაცრისფერი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ამეთვისტო ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობას, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, მავნე ჩვევების დაძლევა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის.***

## პარასკევი

ნუ იკამათებთ, ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს და ნუ გადაწყვეტთ მნიშვნელოვან საკითხებს. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, კრემისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, მალაქიტი, გიშერი ან ყვითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, ფინანსური ოპერაციები, ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, გაცვლითი ოპერაციები, სასიყვარულო შეხვედრები. კარგია კოლექტიური მუშაობა, სამეცნიერო კვლევა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ექიმებთან კონსულტაცია. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## შაბათი
## გეომაგნიტური დღეა

მაღალია ტრავმების, ავარიების, გაუგებრობების ალბათობა. ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ატარეთ ვერცხლისფერი, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ქალცედონი, ცირკონი ან ნეფრიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია საზოგადოებრივი საქმეები, სახლის მშენებლობა, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, დიეტის დაწყება, გართობა, ადგილსამყოფლის შეცვლა. სუსტდება თვალები, სისხლძარღვები, ფეხის კუნთები, ნერვული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

## კვირა
## გეომაგნიტური დღეა

ამ დღეს ახალმთვარეობაა. სასიკეთო ენერგიები ნაკლებად მოდის კოსმოსიდან, რაც მეტად განაპირობებს ტრავმებს, ავარიებს, დეპრესიას, აგრესიას, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომებს, ჯანმრთელობის გაუარესებას. გამოიჩინეთ მეტი დაკვირვება და სიფრთხილე. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ვარდისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ფირუზი ან წითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ინტელექტუალური განვითარება, დიეტის დაწყება, გართობა. სუსტდება ნერვული სისტემა, სისხლძარღვები, ფეხის კუნთები, თვალები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**ფსიქოლოგსა და ტელეწამყვანს გიორგი ჯაჯანიძეს სატელევიზიო ტაიმაუტი აქვს, რასაც ის ახალი ტელეპროექტის გაკეთებისთვის იყენებს. ახალ გადაცემაში სკანდალური იმიჯით ცნობილი ტელესახე ახალ ამპლუაში წარდგება, თუმცა, როგორი იქნება მისი იმიჯი ამაზე წინასწარ არ საუბრობს. ტაიმაუტს გიორგი ჯაჯანიძე პასიური ცხოვრების რეჟიმზე არ „გადაუწყვია", პირიქით, ყოველდღიურ სატელევიზიო ქარცეცხლში ჩართვამდე დრო საინტერესოდ გაჰყავს – ხალისიანი ისტორიის წყალობით, კალათბურთის მწვრთნელის ამპლუაც კი მოარგეს, რაზეც ჩვენი ხალისიანი რესპონდენტი თავადაც ბევრს ხალისობს.**

# რატომ აილო გიორგი ჯაჯანიძემ სექსუალური შვებულება და როგორ გახდა ის შუაღამისას პეკინზე დათვის „მსხვერპლი"

**– გიორგი, რაც „მზეზე" თქვენი გადაცემა დაიხურა, ტელეეკრანიდან გაუჩინარდი. ეს ტაიმაუტი დიდხანს გაგრძელდება?**

– არა, დიდხანს არ გაგრძელდება. იმის მიუხედავად, რომ ბოლო პერიოდში ტელეეკრანზე არ ვჩანვარ, როგორც ყოველთვის, ფიგაროსავით მაინც ყველგან ვარ და ვაკეთებ ჩემს საყვარელ საქმეს: ვკითხულობ ლექციებს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელოვნებაზე; ასევე, ვარ მიწვეული ლექტორი რამდენიმე სასწავლო უნივერსიტეტში; ვმუშაობ ახალ სატელევიზიო პროექტზე, რომელიც უახლოეს პერიოდში გავა ერთ-ერთ ტელევიზიაში.

**– რომელ ტელევიზიაში ვიხილავთ ახალ პროექტს?**

– რომელიც მეტ ფულს გადამიხდის, იქ წავალ *(იცინის).* მაქვს რამდენიმე შემოთავაზება, მაგრამ, არჩევანს, ალბათ, გავაკეთებ ერთ-ერთ რეიტინგულ არხზე, ოღონდ, რომელზე, ამას ახლა ვერაფრით ვერ გეტყვით. წინასწარ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს იქნება ძალიან საინტერესო პროექტი, რომლის ანალოგიც არ არის ქართულ ტელესივრცეში. ჩემი ფორმატი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არ იქნება არც მოპარული, არც გადაკეთებული. ძალიან საინტერესო და ორიგინალური კონცეფცია აქვს, რომლის იდეაც ერთი ჩემი ახლობელი, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ქალბატონის პირადი ცხოვრებიდან ავიღე. იმ ქალბატონს ძალიან ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ, ერთ დღეს ყველაფერი დაკარგა: წარმატებული კარიერა, მდიდრული ვილები, რესპექტაბელური ახლობლები. ამ ქალბატონზე ძალიან ბევრი მიფიქრია. ცხოვრება ხომ ასეთი რთულია – ერთი დრო არავის შერჩება, ამიტომ, არ უნდა გვეგონოს, რომ ყოველთვის დიდების მწვერვალზე ვიდგებით, ერთ მშვენიერ დღეს შენც გადმოგაგდებენ პოპულარობის „სავარძლიდან", შეიძლება, შენც არავინ აღარ დაგირეკოს და დაგივიწყოს ყველამ. სწორედ ასეთ აღმასვლებსა და დაღმასვლებს მიეძღვნება ჩემი ახალი გადაცემა „სავარძელი", სადაც გვეყოლებიან სტუმრები საინტერესო ისტორიებით. ცხოვრება ხომ ასეა – შეიძლება სამეფო სავარძლიდან სამფეხა სკამზე, ჯორკოზე აღმოჩნდე, ან – პირიქით. გადაცემა გავა ყოველდღე, პირდაპირ ეთერში – არ მიყვარს ჩაწერილი გადაცემები, პირდაპირი ეთერი ჩემი სისუსტეა.



ტრასის ისე მეშინია, მარტო, საკუთარი მანქანით, მცხეთას არ გავცდენივარ

**– ახალ გადაცემაში ისევ ისეთი სკანდალური იმიჯი გექნება, როგორიც წინა გადაცემაში გქონდა?**

– ჩემი ძველი იმიჯი? არა, ახლა სხვა იმიჯით წარვდგები მაყურებლის წინაშე, თუმცა, როცა საჭირო გახდება, ისევ ჩავატარებ ექსპერიმენტებს როგორც გარეგნობაზე, ასევე, ჩაცმულობაზე. მე ვარ შოუმენი და, თუ შოუს დასჭირდება, შარვალ-კოსტუმს ჩავიცმევ, თუ საჭირო გახდა – ჩოხას, ოღონდ, ჩემი ამბავი რომ ვიცი, შეიძლება, იმ ჩოხას მერე „ბროშკები" დავამაგრო და ამით ვინმე გადავიმტერო.

**– ჭრა-კერვა ხომ შენი სისუსტეა?**

– ახლა ამას ჭრა-კერვა კი არა, დიზაინერობა ჰქვია. პენსიაზე რომ გავალ, დიზაინერობა უნდა დავიწყო.

**– შენი პირადი ცხოვრება ბევრი მითქმა-მოთქმის თემა ხდება ხოლმე. ამ ბოლო დროს აღარაფერი მომხდარა შენსკენ?**

– ამ ეტაპზე სექსუალური შვებულება მაქვს *(იცინის).* მართლა რეკორდს ხომ არ დავამყარებ, სამი ცოლი მყავდა, ორი შვილი მყავს და სამი შვილიშვილი, ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს?! აღარ მინდა რია-რია, ახლა ჩემს სახლში რომ ქალმა სირბილი დაიწყოს, ხომ გადავირევი! მარტოც ბედნიერი ვარ, სახლში ისეთი ერთგული ქალი მყავს – დედა, რომელიც ღამეებს ათენებს ჩემ გამო, ბავშვივით დამდევს და ზრუნავს ჩემზე, ამ ეტაპზე მის გარდა ქალის დანახვა არ მინდა *(იცინის).* დედაჩემი ძალიან პატიოსანი ქალია, მომკლა და დამტანჯა მისმა პატიოსნებამ. რომ ვთხოვ, დედა თუ ვინმე დარეკავს, მე არ ვარ სახლში-მეთქი, გინდ მითქვამს და გინდ – არა. აგენტივითაა, მაგრამ, ტყუილი ვერ ვასწავლე. ტელეფონი დარეკავს და მესმის დედაჩემის ხმა: „ახლავე, ახლავე". ამ ეტაპზე მშვიდი ცხოვრება მაქვს.

**– ტაიმაუტში ცხოვრების პასიური რეჟიმი გაქვს?**

– არა, რას ამბობ, მე და პასიური რეჟიმი?! ერთადერთი, რაც შევცვალე, ისაა, რომ გვიან ღამემდე არ ვიძინებ – ვუყურებ საინტერესო ფილმებს და მეორე დღის შუადღემდე გამორთული ვარ სამყაროს *(იცინის)* რაც ტაიმაუტი ავიღე, თბილისში იშვიათად ვარ – ბევრს ვმოგზაურობ. მას წინათ ათი დღით ვიყავი მინსკში და ჩემი ხალისიანი მეგობრის წყალობით ძალიან მხიარულ ისტორიაშიც გავეხვიე. მოკლედ, ერთი ჩემი მეგობარი არის ძველი კალათბურთელი და ერთ-ერთი საკალათბურთო გუნდის მფლობელი. ერთ საღამოს, ერთად რომ ვისხედით და ვსაუბრობდით, ვკითხე: ყველა კალათბურთელი ასე მაღლები რატომ ხართ-მეთქი, ვარჯიშის დროს იმდენ ახტომას და გაჭიმვას ვაკეთებთ, ესეც გვეხმარებაო. ვიფიქრე: აქ უნდა ვიყო ამდენი ხანი, მოდი, მეც ვივარჯიშებ, იქნებ ერთი-ორი სანტიმეტრი მომემატოს-მეთქი. იმავე საღამოს გავიქეცი მაღაზიაში, ვიყიდე სპორტული ტანსაცმელი, ოღონდ, ჩემი ზომა რომ ვერსად ვიშოვე, ბავშვის ზომა წამოვიღე. მეორე დღეს ჩემს მეგობართან ერთად წავედი ვარჯიშზე. ისე, რომ მე წარმოდგენა არ მქონდა, მას თავისი მეგობრებისთვის ჩემზე უთქვამს: ძველი, ვეტერანი კალათბურთელი და ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელიაო. მე რა ვიცოდი? დამტრიალებენ აქედან-იქიდან ეს ორმეტრიანი კალათბურთელები, ვარჯიშობენ და თან მე მიყურებენ. მე ხომ ეს არ ვიცოდი?! კი გამიკვირდა, ასე რატომ მიყურებენ-მეთქი, მაგრამ. ხომ არ ვკითხავდი, იმას კი მივხვდი, რომ ყველა დიდი პატივით მესალმება. რომელი მოვარჯიშე მე ვიყავი, ერთი გავიჭიმე და ლამის იქვე დავრჩი, მაგრამ, არ შევიმჩნიე. იმ ხალხს, ალბათ, დღემდე კალათბურთის გუნდის მწვრთნელი ვგონივარ, თუმცა, როგორ დაიჯერეს ეს ამბავი, მაინც ვერ გავიგე. *(იცინის).*

**– ასე არასპორტული ხარ?**

– უუფ, საშინელი. სანამ ვიღაცა კალათში არ ჩამაგდებს ბურთის მაგივრად, არ მოვისვენებ. ამაზე ერთ ისტორიას მოგიყვები. 1995 წელი იყო, პირველად რომ წავედი ამერიკაში. მაშინ ასე ცივილურად არ იყო საელჩოსთან ურთიერთობა, იქ იმდენი ხალხი ირეოდა და ისეთი ამბავი ხდებოდა, ქართული „ბრძოლა წესების გარეშე" გეგონებოდა, მივხვდი, რომ იმ ზედახორაში შიგნით მოხვედრას ვერ შევძლებდი. უცებ საელჩოს დაცვის თანამშრომელმა გამოაცხადა: „სპორტსმენები"! – და დაიძრა ჯგუფი. ვერ გეტყვი, რა სიმაღლის ხალხი შედიოდა იმ ჯგუფში, იყვნენ კალათბურთელები და ბეისბოლისტები. არ ვიცი, რამ მაფიქრებინა, რომ მეც სპორტსმენად გამესაღებინა თავი – ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის ჭკუა ხომ ძალიან სწრაფად მუშაობს! ახლა, ბეისბოლისტსა და კალათბურთელს მე რომ არ ვგავდი, ფაქტი იყო, მაგრამ, მაინც მივეტმასნე. შემომხედა დაცვის წევრმა და გაოცებული სახით მკითხა: თქვენც სპორტსმენი ხართო? არ დავიბენი და ვუთხარი: დიახ, მე მოჭადრაკე ვარ-მეთქი. მინდა გითხრათ, იმ ფორსმაჟორში ისიც კი ვიფიქრე, ისეთი სპორტის სახეობა მეთქვა, იქ რომ ვერ შემამოწმებდა, ჯერ ფიგურული სრიალი მომივიდა თავში, მერე ჭადრაკი და, მინდა გითხრათ, რომ ჩემმა ჩანაფიქრმა გაამართლა. ახლა სპორტის რომელიმე სახეობით უნდა დავკავდე – რა იცი, რაში გამომადგეს *(იცინის).*

**– ავტორბოლაში სცადე ძალები.**

– მე და ავტორბოლა?! ჰა-ჰა-ჰა! რა გულიანად გამაცინე! ამდენი წელია, ავტომობილი მყავს და აკუმულატორს მანქანის სალონში ვეძებდი. მძღოლი როგორი ვარ, არ იტყვი?! ტრასის ისე მეშინია, თუ თბილისიდან შორს ვარ წასასვლელი, მეგობრებს ავეკიდები ხოლმე. მარტო, საკუთარი მანქანით მცხეთას არ გავცდენივარ. საერთოდ არ ვსვამ, მაგრამ, თუ საჭესთან ვარ, შოკოლადსაც კი არ ვჭამ, რომელსაც ლიქიორი აქვს – ეს საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია. ერთხელ, მანქანა ახალი ნაყიდი რომ მქონდა, გვიან ღამეს ვბრუნდებოდი სახლში. შუქნიშანთან წითელ სანათზე გავჩერდი. ალბათ, ღამის სამი საათი იქნებოდა.

**აღარ მინდა რია-რია. ახლა ჩემს სახლში რომ ქალმა სირბილი დაიწყოს, ხომ გადავირევი!**

უცებ უკნიდან საშინელი ძალით შემომასკდა ვიღაცა – ვდგავარ ჩემთვის პატიოსნად და დამეჯახნენ. უცებ, გადმოხტა ავტომანქანიდან კარგად შეზარხოშებული ორმეტრიანი „დათვი" და მეჩხუბება: ბიჭო, ეს რა მიქენიო? მე რა გიქენით-მეთქი, – ძლივს ამოვიღე ხმა. არ იცი, როგორ მეჩხუბება – ბიჭო, გადაგყლაპავ ეხლაო. შეშინებული ჩავხტი მანქანაში და კარი ჩავკეტე. ვოცნებობ, იქნებ პატრულმა გამოიაროს-მეთქი. (პეკინზე პატრული ხშირად მოძრაობდა). მართლაც გაჩერდა მანქანა. გადმოვედი ჩემი ავტომობილიდან – უკვე იმედი გამიჩნდა, რომ კანონის ძალით „გავუსწორდები" იმ მთვრალ მძღოლს, რომელსაც მეგობარი ვერ აჩერებს და კვლავ გადაყლაპვით მემუქრება. უცებ, მომიტრიალდა პატრული და მეუბნება: ღამის სამ საათზე შუქნიშანთან ვინ აჩერებს, თქვენ რომ გაჩერდითო? ბოდიში მოვიხადე – მაპატიეთ, წესრიგი რომ დავიცავი-მეთქი, ჩავჯექი მანქანაში და წავედი *(იცინის).*

**თამუნა ნიჟარაძე**

**არსებობენ ხელოვანები, რომელთა გვარებიც ნებისმიერმა კინოს მოყვარულმა იცის. ალბათ, იმიტომ, რომ მათ გარეშე კინო ვერ განვითარდებოდა და ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც ახლა არის. ერთ-ერთი მათგანი, კინოსთვის საეტაპო და ეპოქალური ფიგურა, დიდი იტალიელი კინოდრამატურგი ტონინო გუერა იყო.**

# როგორ განვითარდა ტონინო გუერასა და თბილისელი ქალბატონის საოცარი სიყვარულის „არანორმალური" ისტორია

## „კაცი, რომელსაც წუთში 100 იდეა ებადება"

ამბობენ, ნიჭიერი ადამიანი ყველაფერში ნიჭიერიაო. დიდი იტალიელი ხელოვანი ტონინო გუერა ამ მოსაზრების სამართლიანობის საუკეთესო დასტურია. დავიწყოთ იმით, რომ მის გარეშე მსოფლიო კულტურაში, შესაძლოა, არ ყოფილიყო ისეთი გენიალური მოვლენა, როგორიც იტალიური ნეორეალიზმი გახლდათ – სწორედ ტონინო გუერა იყო ფელინის, ვისკონტის, ანტონიონისა და სხვა გენიალური რეჟისორების ფილმების სცენარების უცვლელი ავტორი ან თანაავტორი. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია არა მარტო მოკლე თუ სრულმეტრაჟიანი მხატვრული, არამედ, მულტიპლიკაციური და დოკუმენტური ფილმებიც.

კინოსცენარების გარდა, ტონინო გუერა წერდა ლექსებსა და მოთხრობებს; მოყვარულთა ვიწრო წრისთვის კარგადაა ცნობილი მისი მხატვრობაც. კინოს დიდოსტატი პრიმიტივიზმის ჟანრში ხატავდა, რაც, ალბათ, სრულიად ლოგიკურია, რადგან, მისი ნახატებიც ისეთივეა, როგორიც მთელი მისი დანარჩენი შემოქმედება: ფერადი, ფეერიული, მთლიანად გაჟღენთილი ღრმა ჰუმანიზმითა და ადამიანურობით.

გარდა ამისა, იტალიის ათამდე ქალაქში, ტონინო გუერას ესკიზების მიხედვით, არაერთი შადრევანია გაკეთებული. ისინი მეტად საინტერესოა, როგორც პოეტის სულის გამოძახილი. მაგალითად, ერთი მათგანი მფრინავი ხალიჩაა, რომელიც წყლის ჭავლის ღრუბლებზე მიფრინავს, მეორე – ტოტებდაჭრილი ბრინჯაოს ხეა, რომლის ვარჯიც წყლისგან იქმნება...

ტონინო გუერამ გააფორმა ერთ-ერთი რესტორანიც – „სანჯოვეზო" და ამისთვის ფელინის ნახატები გამოიყენა...

ალბათ, სწორედ ამ მრავალმხრივობის გამო უწოდეს კინოს დიდ მაესტროს „კაცი, რომელსაც წუთში 100 იდეა ებადება".

ქალაქი, რომელშიც ტონინო გუერა ცხოვრობდა, ქალაქ-მემორიალად იქცა: წლების განმავლობაში ის თხზავდა პატარ-პატარა ლექსებს თავისი ქალაქის გარდაცვლილ მცხოვრებთა შესახებ და მათ სახლების კედლებზე წერდა. ეს იყო ლექსები, რომელთაც იგი, თითქოსდა ჩვეულებრივი, სინამდვილეში კი არაჩვეულებრივი ადამიანების ხსოვნას უძღვნიდა: ქალის, რომელიც მთელი ცხოვრება ლატაკებს ეხმარებოდა; მოხუცი კაცის, რომელიც საეკლესიო მსვლელობებისთვის ფერად ფარნებს აკეთებდა... ეს ციცქნა შედევრები ქალაქის სახლების კედლებზე დღესაც შეგიძლიათ, ნახოთ.

დიდ ხელოვანს სიყვარულის ისტორიაც განსაკუთრებული ჰქონდა. სიყვარულმა, რომელიც მას საკმაოდ გვიან ეწვია, კინოს დიდი მაესტრო თბილისთან დააკავშირა.

## თბილისელი რუსი კონკია

ელეონორა (ანუ, ლორა – როგორც მას მეგობრები და ოჯახის წევრები ეძახდნენ) კრეინდინა-გუერა სრულიად არაჩვეულებრივი ბედის ადამიანია. არაჩვეულებრივ ოჯახში დაიბადა: ლორას დედა ერთ-ერთი რუსული არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი, თავადის ქალი გახლდათ; მამა – ებრაელი. დედამისის მამას თბილისის სამხედრო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, ხოლო დიდი ბაბუა ყარსის გუბერნატორი გახლდათ. ლორას დედას თავდავიწყებით უყვარდა საქართველოც და თბილისიც. ეს სიყვარული თითქოს მემკვიდრეობით გადაეცა პატარა ლორასაც. ამას ისიც დაემატა, რომ, როგორც ლორა თავის ინტერვიუებში ხშირად აღნიშნავდა, ცხოვრებამ იგი როგორღაც ძალიან მჭიდროდ დააკავშირა საქართველოსთან, სადაც ოჯახი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ევაკუაციაში – ლორა მხოლოდ ერთი წლის იყო, როდესაც მისი მშობლები საქართველოში ჩამოვიდნენ საცხოვრებლად. ტონინო გუერას მომავალი მეუღლე თბილისში გაიზარდა.

ელეონორა კრეინდინა-გუერა განათლებით ფილოლოგია, პროფესორი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. ტონინო გუერასთან შეხვედრამდე ის 15 წელი მოღვაწეობდა კინოინდუსტრიაში და ამ ხნის განმავლობაში ექვსი სცენარი დაწერა. გარდა ამისა, სცენარების რედაქტირებაზე მუშაობდა ისეთ გენიოსებთან, როგორებიც იყვნენ ანდრეი ტარკოვსკი და სერგეი ფარაჯანოვი.

## თბილისელი რუსი კონკიასა და კინოს იტალიელი მეფისწულის შეხვედრა

1975 წელს მოსკოვში საერთაშორისო კინოფესტივალი ჩატარდა. სხვა სტუმართა შორის მას მიქელანჯელო ანტონიონი და ტონინო გუერაც



**„წარმოიდგინეთ სიტუაცია: ტონინო მთხოვს, ცოლად გავყვე, თარჯიმანი ამთქნარებს და მის სიტყვებს მითარგმნის. მე ვეთანხმები, თარჯიმანი ისევ ამთქნარებს და ჩემს პასუხს უთარგმნის"**

ესწრებოდნენ. მათ თარჯიმნად მიამაგრეს ვალერი სეროვსკი – მწერალი და მხატვარი. ერთ დღეს, იმდროინდელი მოსკოვური ბომონდის მაშინდელმა წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ ანტონიონისა და გუერასთვის საღამო გაემართათ. სწორედ იქ დაიწყო სიყვარულის საოცარი ისტორია.

„როგორც კი მე და ტონინომ ერთმანეთი დავინახეთ... ეს რაღაც გაელვებასავით იყო", – იხსენებდა მოგვიანებით თავის ინტერვიუებში, უკვე ტონინო გუერას მეუღლის რანგში, ლორა კრეინდინა-გუერა.

**მეგონა, რომ სიცოცხლე დამთავრდა. მერე ტონინოს შევხვდი და თითქოს მეორედ დავიბადე**

მეორე დილით ანტონიონი და გუერა იტალიაში გაფრინდნენ, მაგრამ, ლორასა და ტონინოს მეგობრობა უკვე დაწყებული იყო, თუმცა, ერთმანეთის ნახვა მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ შეძლეს. იმ მომენტისთვის ტონინო გუერა თურმე საშინლად ნერვიულობდა, რადგან, ეშინოდა, რომ ერთი საღამოს განმავლობაში ორიოდე საათით ნანახ ლორას ველარ იცნობდა.

ამის შემდეგ დაიწყო სიყვარულის საოცარი ისტორია, რომელსაც თავად ლორა „არანორმალურს" უწოდებდა.

„ამის შემდეგ დაიწყო რაღაც არანორმალური ისტორია. მე პირადად ამას „კონკიას თავგადასავალს" ვუწოდებ. წარმოიდგინეთ: იმ დროისთვის ტონინო 50 წელს გადაცილებული, ცნობილი სცენარისტი იყო, ადამიანი, რომელიც ფელინის, ანტონიონისა და მთლიანად იტალიური კინოს არაჩვეულებრივ სამყაროს წარმოადგენდა და, უცებ, იწყება საოცარი ისტორია – ჩვენი სიყვარულის ამბავი", – იხსენებს ლორა.

თბილისელი რუსი კონკიასა და ტონინოს სიყვარულის პერიპეტიებს მთელი მოსკოვი სულგანაბული ადევნებდა თვალს. განსაკუთრებით ლორას მეგობრები აქტიურობდნენ. თავად ტონინო გუერას პიროვნების გარდა, ლორას მეგობრების გულშემატკივრობას სხვა მიზეზიც ჰქონდა: ტონინოსთან შეხვედრამდე რვა თვით ადრე ლორა დაქვრივდა. მისი პირველი მეუღლე სახლიდან გავიდა და ველარ დაბრუნდა – ქუჩაში დაეცა და მოკვდა. თავად ლორა კი, მისივე თქმით, მეგობრებმა გადაარჩინეს.

„მეგონა, რომ სიცოცხლე დამთავრდა. მერე ტონინოს შევხვდი და თითქოს მეორედ დავიბადე. სწორედ ამიტომ, მეგობრები თავგამოდებით მეხმარებოდნენ. ლამის მთელი მოსკოვი ჩაერთო ჩვენს რომანში", – იხსენებდა ლორა თავის იტერვიუებში.

„საუკეთესო" საბჭოთა კავშირიდან იტალიელ მეფისწულთან (როგორც თავად ლორა უწოდებდა ტონინოს) საპატარძლო მხოლოდ მიქელანჯელო ანტონიონის ჩარევის შემდეგ გაუშვეს. მას მერე, რაც გუერამ და ანტონიონიმ „ქაღალდების მთელ მთას მოაწერეს ხელი" და პირობა დადეს, რომ ლორა არსად გაიქცეოდა.

ამ უსასრულო ბიუროკრატიული ლაბირინთებიდან თავის დაღწევის შემდეგ, ლორამ, ბოლოს და ბოლოს, იტალიაშიც ჩააღწია. მისი თქმით, ეს „სრულიად ფეერიული, ზღაპრული და, ამავდროულად, კურიოზული მოგზაურობა იყო".

იმ დროისთვის ლორამ იტალიური ჯერ კიდევ არ იცოდა, ამიტომ, მისი და ტონინოს სასიყვარულო ურთიერთობა მთლიანად თარჯიმნის საშუალებით მიმდინარეობდა.

„წარმოიდგინეთ სიტუაცია: ტონინო მთხოვს, ცოლად გავყვე; თარჯიმანი ამთქნარებს და მის სიტყვებს მითარგმნის. მე ვთანხმდები; თარჯიმანი ისევ ამთქნარებს და ჩემს პასუხს თარგმნის..." – იხსენებდა ლორა. ამ უხერხულობების მიუხედავად, მისი თქმით, ის თავს ისე გრძნობდა, როგორც „კონკია, რომელიც ზღაპრულ უფლისწულთან შესახვედრად ჩავიდა".

რომში ჩასვლის შემდეგ საოცრებები დაიწყო: მეექვსე დღეს ტონინომ ლორას ფედერიკო ფელინი გააცნო, მან კი შეყვარებული წყვილი რესტორანში დაპატიჟა ჯულიეტა მაზინასთან და ნატაშა გინზბურგთან ერთად.

„თითქოს იღბალმა ამომირჩია და მეორე ცხოვრება საოცარ იტალიაში დავიწყე", – ამბობდა ლორა მოგვიანებით. მისი თქმით, ტონინოსთან ცხოვრება სულაც არ იყო ადვილი:

„საერთოდ, შემოქმედთან ცხოვრება ძალიან რთულია, ყოველდღე ციცაბო ყინულის კედელზე სიარულს ჰგავს: უნდა გაიქცე, როდესაც მას სურს; უნდა იჯდე, როდესაც მას სურს... და ეს ყველაფერი უსიტყვოდ, უმცირესი ნიუანსებით უნდა იგრძნო".

დაოჯახების შემდეგ და მთელი ერთობლივი ცხოვრების განმავლობაში, სწორედ ლორა იყო ის ადამიანი, რომელიც პირველი ეცნობოდა ტონინო გუერას ნაწარმოებებს და მთლიანად შემოქმედებას. დიდი მაესტრო ძალიან აფასებდა ლორას, როგორც პროფესიონალის აზრს. ასე „იწერებოდა" მათი ცხოვრების ზღაპარი – კინოს იტალიელი მაესტროსა და თბილისელი რუსი „კონკიას" თანაცხოვრების ლამის ფელინისეული, ფეერიული, სიყვარულის ისტორია, რომელმაც თითქმის 30 წელი გასტანა.

**მანანა აბაშიძე**

# ბრძნული აზრები

**რენარი**: მხოლოდ სუსტს არ შეუძლია პატიება, მხოლოდ უძლურს არ შეუძლია დავიწყება.

**ჩერჩილი**: ვინც ყველას ეთანხმება, მას არავინ არ ეთანხმება.

**ნიცშე**: მორალური ადამიანები სინდისის ქენჯნისას თვითკმაყოფილებას განიცდიან.

**ტაციტი**: რაც უფრო კარგია რჩევა, მით უფრო რთულია მისი შესრულება.

**ბუასტი**: სიბერე ნიშნავს, როდესაც ყველაფერი იცით, მაგრამ არავინ არაფერს გეკითხებათ.

**გოეთე**: ამბობენ, რომ ციფრები მართავენ მსოფლიოს. ნურას უკაცრავად, ისინი გვიჩვენებენ თუ როგორ მართავენ მსოფლიოს.

**ოთარ ჭილაძე**: რუსეთისგან გავთავისუფლდით, სამშობლოსგან კი არა! ჩვენ პირიქით მოგვდის, სამშობლოსგან ვთავისუფლდებით და რუსეთისკენ მივილტვით ისევ... უშენოდ ჩვენი სიცოცხლე, ვაჰმე, როგორი ძნელიაო... ამაზე მეტი სიბრიყვე გაგონილა?!

**ოტია იოსელიანი**: დედისთვის ყვავის ბახალაც შვილია და არწივის მართვეც, მაგრამ ქვეყნისთვისაა სხვადასხვა.

**სპინოზა:** ფილოსოფია ეს არის – არ იტირო, არ იცინო და ყველაფერი გაიგო.

**კუმორი**: მართალი საქმისთვის ბრძოლაში ზოგჯერ იმარჯვებს საქმე, და არა სიმართლე.

**ლაუბი**: პროგრესი არის მოძრაობა წრეზე, ოღონდ სულ უფრო ჩქარა და ჩქარა.

**ფრანკლინი**: ადამიანი არის ცხოველი, რომელიც იარაღს აწარმოებს.

**ლაროშფუკო**: უმადური ადამიანები გაცილებით ნაკლებია ამ ქვეყანაზე ვიდრე ჰგონიათ, რადგანაც მადლიანი ადამიანებია გაცილებით ნაკლები, ვიდრე ჰგონიათ.

**დანტონი**: პურის შემდეგ ხალხს ყველაზე მეტად პური ესაჭიროება.

**ლესინგი**: ჭეშმარიტება ყველა სიკეთეს აღემატება.

**ტირო**: თუ გსურთ ვინმე დაარწმუნოთ, რომ ცუდად ცხოვრობს, იცხოვრეთ კარგად. ადამიანს სჯერა ის, რასაც ხედავს.

**კონფუცი**: ცა ჩემში ქმნის ზნეობას.

**გერცენი**: გონება უდავოდ უმაღლესი ნიჭია, მაგრამ ვნებებზე გამარჯვების შედეგად მოპოვებული.

**ეფროსი**: ინტელიგენტობა სულის სიფაქიზეა.

**ბო ძიუ**: მოწაფე სიკვდილზე ეკითხება. კონფუციუსი უპასუხებს: „შენ არ გაგეგება სიცოცხლე, როგორღა გაიგებ სიკვდილს?“

**შამპოლიონი**: გატაცების გარეშე ცხოვრება არ არის!

**გორკი**: შვილის სიყვარული ქათამმაც იცის, მთავარია, კაცად გაზარდო.

**სტანისლავსკი**: გიყვარდეთ ხელოვნება თქვენში და არა თქვენი თავი ხელოვნებაში.

**ბელინსკი**: კარგი აზრები უნებურად სხვებსაც აიძულებენ, რომ კარგი აზრები გამოთქვან.

**ბრიუიერი**: არ არსებობს უშნო ქალი. არიან ქალები, რომლებმაც არ იციან, კარგად როგორ უნდა გამოიყურებოდნენ.

**რენანი**: ქალთან სიახლოვე აღგვაფრთოვანებს, მაგრამ მის გვერდით ცხოვრება აუტანელია.

# თუ გამოიცნობთ

1. აურელიუსი, კასიუსი, სოლარიუსი, აპიუსი... სწორედ მათზე ამბობდნენ ძველთაგანვე: „ყველა გზა რომისკენ მიდის“, თუმცა, თავდაპირველად ეს საპირისპიროდ ჟღერდა. **როგორ?**

2. ის კარგი ჯარისკაცი იყო, მონაწილეობა მიიღო 30 ბრძოლაში, იყო დაჭრილი. მისი სიმამაცე განსაკუთრებით სამაგალითოდ ჩათვალეს იპრის ბრძოლაში, სადაც ქიმიურად მომწამვლელი ნივთიერება გამოიყენეს და პირველი ხარისხის რკინის ჯვარზეც კი წარადგინეს. მან ომი ეფრეიტორის ჩინით დაამთავრა. **ვინ?**

3. ნერონის დროინდელი რომის დროს მათ „ინსულებს“ უწოდებდნენ და იმავე დანიშნულებისა და თითქმის ისეთები იყო, როგორც საბჭოთა კავშირში – ხრუშჩოვის დროინდელები. **რას ვუწოდებთ მათ ჩვენ?**

4. არაბული ენის ალჟირული დიალექტიდან ეს სიტყვა თარგმანია – „რევოლუციონერი“, სხვა დიალექტიდან – „ბანდიტი“. აზრი თითქმის ერთია. **როგორ ჟღერს ის ორიგინალში?**

5. მეცხრამეტე საუკუნეში ძალიან პოპულარული გახდა მოწოდება, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავდა მოწოდებას ყველა ქვეყნის ოთხშვილიანი მამების გაერთიანებისკენ. **დაასახელეთ ის.**

6. მაშინ, როდესაც ეგვიპტური იეროგლიფებით დაიწყეს გარკვეული ბგერების აღნიშვნა, სიტყვებში ბგერები არ ემთხვეოდა იეროგლიფების რაოდენობას და ნაკლები იყო; მაგალითად, სიტყვა „იეროგლიფი“ დაიწერებოდა, როგორც „რგლფ“. **დაასახელეთ, რა შეიქმნა ამის მიხედვით?**

7. მეცხრამეტე საუკუნეში დანიაში ძალაში იყო კანონი ლოთების წინააღმდეგ: „თუკი ადამიანი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას უგონოდ მთვრალი იქნება, მაშინ, სახლში მისი გადაყვანის ხარჯებს გაიღებს ...“ **ვინ?**

8. იტალიაში კვირაში 5-ჯერ გამოდის სპეციალური, 30-გვერდიანი, სქელ ქაღალდზე დაბეჭდილი გაზეთი. ის შეიცავს ყველაზე უფრო საინტერესო მასალებს, რომლებიც ამორჩეულია ოთხი წამყვანი იტალიური გამოცემიდან. თუ თქვენ მიხვდით, ვისთვისაა ეს გაზეთი განკუთვნილი, **დაასახელეთ, რა ჰქვია მას?**

9. ის ბრუნვაშია 1792 წლიდან. თავიდან წითელი ფერის იყო, ახლა მწვანეა. **რა?**

10. შოპენჰაუერი ამბობდა: სამი რამ განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებას: შიში, სიყვარული და ... **დაასახელეთ მესამე.**

*პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* 1889 წელს ჯონ სალივანი იყო ბოლო მსოფლიოს ჩემპიონი კრივში, რომელიც ხელთათმანების გარეშე იბრძოდა.

* 1988 წელს საერთაშორისო ტრიბუნალმა ჟენევაში, შვეიცარიელი ეკოლოგისტ ფრანც ვებერის თავმჯდომარეობით, დამნაშავედ ჩათვალა ესპანეთის პრემიერი ფილიპ გონსალესი, კულტურის მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი, მეფე ალფონსო მეათის მიერ კორიდის შესახებ 1976 წლის 16 დეკემბერს გამოცემული დეკრეტის დარღვევაში, რაც გამოიხატებოდა ესპანელთა ინტელექტუალური დონის დაკნინებაში, ბავშვთა ღირსების შელახვაში, ეთიკური და სამოქალაქო აღზრდის დამახინჯებაში.

* 1905 წელს მაღარო „პრემიერში“, ტრანსვაალში აღმოაჩინეს დედამიწაზე ყველაზე დიდი ალმასი. ის 3 106 კარატს (621 გრამს) იწონიდა. მას სამთო-მომპოვებელი კომპანიის პრეზიდენტის, მაღაროს პატრონის გვარი – კულინანი უწოდეს.

* 1828 წელს, დინოზავრის ნაკვალევის აღმოჩენის შემდეგ, ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერებმა გეოლოგ ბაკლენდის მეთაურობით, ჩაატარეს უჩვეულო ექსპერიმენტი: სხვადასხვა სიმაგრის ცომებზე მოაწყვეს კუთა რბოლა – დინოზავრის ზომების დასადგენად.

* 1998 წელს ამერიკულმა ტელეკომპანია NBC-მ გადაწყვიტა, გადაეღო დოკუმენტური ფილმი ამერიკელი ქალების ცხოვრების შესახებ მეოცე საუკუნის დასაწყისში. მაგრამ მოულოდნელი პრობლემა გაჩნდა: ამერიკის კინო და ტელესერიალების გარდერობებში ამ პერიოდის ტანსაცმელი არ აღმოჩნდა – ყველა გატანილი იყო... „ტიტანიკის“ გადაღებაზე.

* ფეხბურთში მესამე მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ცნობილი გახდა, რომ ავსტრიის ნაკრები აღარ მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ, ამ ნაკრების ბევრი მოთამაშე შეჯიბრებაზე მაინც ჩავიდა – გერმანიის მიერ ავსტრიის ანექსიის შედეგად ისინი გერმანული გუნდის შემადგენლობაში გადავიდნენ.

* ერთ ძველბერძნულ ეპიგრამაში სიყვარული შედარებულია სამჯერად ქურდთან, რადგან იგი: მამაცია, მოქმედებს ღამით და... ხდის.

* მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისში თეატრში როდესაც სპექტაკლი ან შესრულება არ მოსწონდათ, მაყურებლები იყენებდნენ რქებსა და სპეციალურ მილებს ჩასაბერად და ხმაურის ასატეხად, ზოგჯერ კი ლაყე კვერცხებსა და პომიდვრებს ესროდნენ.

* ამსტერდამში არის ხუთსართულიანი ოტელი „კასა მარინა“, რომელსაც მუდმივი მისამართი არ აქვს – ის მცურავი ოტელია.

* ლომვეშაპების ხორცს იყენებენ საკვებად, ეშვებს – ხეზე ამოსაკვეთად, ხოლო ძარღვებს – საეკლესიო დანიშნულებისთვის – მათზე ზარებს ჰკიდებენ.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლb8-h8!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



მარო და მაყვალა შემწვარ ქათამს შეექცევა, გვერდით წითელი ღვინო მიუდგამთ და უბერავენ. შემოდის მიხო.




– გოგოებო, რათ არ იშლით თქვენიანების ჭამასა?

– რა მოგივიდა, კაცო, როდისმე მითქვამს, ცხვრის ხორცი არა ჭამო-მეთქი?!

***

– გოგონი, დედაშენს სიძე არ უნდა?!

– დედაჩემს სიძე არა, ქმარი უნდა... მოიცა, სად გარბიხარ...

***

სექსშოპში მიდის კაცი და გამყიდველს ეუბნება:

– იცით, ერთი კვირის წინ თქვენთან გასაბერი ქალი ვიყიდე და „ბრაკი" აღმოჩნდა... აბაზანაში წყალი დავაგროვე და იქ გავსინჯე...

– კი მაგრამ, რატომ მაშინვე არ მოხვედით?

– მაშინვე არ შემეძლო... მეზობელმა ღრიჭოში ყველაფერი დაინახა, მილიციელებმა კი ვერ გაარკვიეს, რომელი ქალი ჩავახრჩვე აბაზანაში...

***

თავიდან რომ მოიშოროთ თქვენი ცოლის მომაბეზრებელი დაქალები, საკმარისია, ჰკითხოთ: „სად არის ჩვენი ეკა, ჯენიფერ ლოპესივით რომ აქვს უკანალი? ორი დღეა აღარ გამოჩენილა... – ან, ლიკა რატომ არ ჩანს, პამელა ანდერსონივით ფუმფულა მკერდი რომ აქვს?.."

***

– ისადილებ?

– რა არჩევანი მაქვს?

– „ჰო" ან „არა"...

***

– დოლზე მივდივარ და გვიან მოვალ...

– შენმა ცხენმა დარეკა, დოლი გადაიდოო...

***

ცოლ-ქმარი ქორწინების 30 წლისთავს აღნიშნავს.

– გახსოვს, როცა დავქორწინდით, უბრალო ტახტზე გვეძინა, ნაქირავებ ბინაში. შავ-თეთრი ტელევიზორი ძლივს ვიყიდეთ... ახლა მაგარი სახლი გვაქვს, ძვირფასი ავეჯი, პლაზმური ტელევიზორი, კომპიუტერი, მანქანა... თუმცა, მაშინ 25 წლის გოგოსთან ვიწექი, ახლა კი 55 წლის ქალთან მძინავს...

– შენი ნებაა, იშოვე 25 წლის გოგო შენთან დასაწვენად, ნაქირავებ ბინასა და უბრალო ტახტზე კი შენთვის მე ვიზრუნებ...

***

– თაკო, როგორ მომენატრე, იცი?!

– კი მაგრამ, დღეს ხომ ვნახეთ ერთმანეთი.?!

– იცი, მე ახალგაზრდა ორგანიზმი მაქვს და მონატრება დღეში რამდენჯერმე შემიძლია...

***

– არ მიყვარს შინაური ცხოველები – მაგათ გამო დავშორდი ქმარს... როცა ის სახლში არ იყო, ჩემთან საყვარელი მოდიოდა. ერთხელ, სამსახურიდან დაბრუნებულმა, იგრძნო თამბაქოს ბოლის სუნი, მე კი ვუთხარი, რომ ჩემი დაქალი, ეკა მესტუმრა, – რომელიც მეშვიდე კლასიდან ეწევა... მაგრამ, რას ვხედავ – საწოლის ქვეშიდან არ გამოაცუნცულა ძაღლმა კაცის ცხვირსახოცი?! იცი, ეკას სურდო ჰქონდა და ქმრის ცხვირსახოცი წამოუღია... – ძლივს გამოვძვერი სიტუაციიდან, მაგრამ, რად გინდა...

– ზური, ჩემი ქმარი მივლინებაში მიდის! ზური, ჩემი ქმარი მივლინებაში მიდის! – აჩხავლდა თუთიყუში...

***

გამიკეთეს ტესტი ნარკოტიკებზე, პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა... – მოკლედ, გაიჩითა დილერთან სალაპარაკო თემა.

***

ლიქიორის ქარხანაში ვაკანსიებზე ტესტირება გამოცხადდა. შემოდის ერთი. მიაწოდეს ფუჟერი. გასინჯა და თქვა:

– ეს კონიაკია, 20 წლის დაძველებით, ამა და ამ ქარხნის ჩამოსხმა...




მიაწოდეს მეორე ფუჟერი:

– ეს ღვინოა, ესა და ეს, ამა და ამ ყურძნის ამა და ამ წლის მოსავლის...

გაოცებულმა კომისიის თავმჯდომარემ მესამეც მიაწოდა...

– ეს უკვე არაყია, ამდენ და ამდენგრადუსიანი, ესა და ეს დასახელება...

– ფუ... – ჩაილაპარაკა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა... – ისევ ის სტუდენტია პოლიტექნიკურიდან, პახმელიაზე გამოსასვლელად მოვიდა...

***

ქმარს შინ გაბრაზებული ცოლი დახვდა:

– ახალი მდივანი გყავს?

– არა, საიდან მოიტანე... უკვე ოცი წელია, ჩემთან მუშაობს.

– როგორ?

– გამოცდილი თანამშრომელია, საქმეს კარგად ართმევს თავს.

– ლამაზია?

– სიმპათიურია...

– როგორ იცვამს?

– ო, ძალიან ნელა...

***




– გამარჯობა! კლოუნი თქვენ გამოიძახეთ?

– დიახ.

– აბა, სად არის პატარა?

– პატარა აბაზანაშია. თქვენი მიზანია, გაართოთ, გაახალისოთ და გამოართვათ ბრიტვა...

***

ქალიშვილი ეგვიპტეში მოგზაურობიდან დაბრუნდა, მშობლები დაისვა და ეუბნება:

– ერთ შეიხს ძალიან მოვეწონე – ცოლად გამომყევი და, ჩვენი ტრადიციის თანახმად, შენს მშობლებს შენს წონა ოქროს მივცემო. მე უთქვენოდ ვერ გადავწყვიტე და ვუთხარი, პასუხს ერთ თვეში გეტყვი-მეთქი.

– ჭკვიანი მყავხარ, შვილო, დედა გენაცვალოს, ეგეთი რამის გადაწყვეტა უჩვენოდ იქნებოდა?! კარგად უნდა მოვიფიქროთ... – თქვა მარომ.

– რას ამბობ, დედაკაცო, მაგაი ფიქრი რათ უნდა, მაიტა საჭმელი, გოგო კარგად უნდა შევაპუტკუნოთ...

***

ამბიცია – ესაა, როცა გამოცდაზე მიდიხარ 6 ქულაზე მომზადებული, გამომცდელი გიწერს 8-ს და შენ გაოცებული ხარ, რატომ 10-იანი არ დამიწერაო.

***

მშენებლობაზე მძიმედ დაშავებულმა საავადმყოფოში თავისი მეგობარი დაიბარა:

– იცი, შეიძლება, ვერ გადავრჩე და, არ მინდა საფლავში ჩავიტანო ეს საიდუმლო... თავს ვალდებულად მივიჩნევ, გითხრა, რომ შენი ცოლი გღალატობს.

– როგორ გაიგე?

– მეხუთე სართულზე ვმუშაობდით... შენი კორპუსის პირდაპირ რომ მშენებლობაა... ხარაჩოზე ვდგავარ და ვხედავ, შენს ცოლთან სტუმარი მივიდა – მამაკაცი, ყვავილებით ხელში; მერე სასმელი და ბამბანერკაც ამოიღო დიპლომატიდან... ჩამოსხდნენ დივანზე, გადაკრეს... მერე ერთმანეთს მოფერება დაუწყეს, კოცნა...

– მერე, მერე?

– მერე არ ვიცი, იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ ხარაჩო ჩამოინგრა...

# როგორ ტკბებოდა თავისუფლებით ნუგზარ ჯულელი და რატომ მოატყუა მან საქვეყნოდ ცოლი

ერთი ლამაზი ზაფხულია და ცოლ-შვილი თბილისიდან გავხიზნე.

„რა ტკბილი ხარ, თავისუფლებავ!“ – ვთქვი ბიძია-ბაბუასავით, – ძლივს მარტო დავრჩი! რად გინდა, მერე, ცოლი ორ დღეში მირეკავს – ნამეტანი წვიმებია და ისევ თბილისში უნდა დავბრუნდეთო.

მეცა პირკატა.

– არ გაბედო, არ ჩამოხვიდე! აქ ისეთი სიცხეა, იწვის ყველაფერი, ნაყინს რომ ვიყიდი, პირთან მიტანას ვერ ვასწრებ, დნება-მეთქი.

– არ მჯერა! – მესმის ტელეფონის მეორე ბოლოდან ცოლის შეეჭვებული ხმა.

– არ გჯერა, ხომ?

– არა.

– კარგი, ბატონო, ხვალ კორტებზე ვარ. გადაცემა მიმყავს და მოუსმინე, რას ვიტყვი.

– ვნახოთ! – წყდება საუბარი.

მეორე დღეს კორტებზე ვარ.

მიკროფონს „ვერგები“. ასპარეზობა იწყება.

ეჭვი არაა, ჩემი მეუღლე (მით უმეტეს, თუ იქ წვიმს) ამ გადაცემას არ გამოტოვებს (რადიოთია გადაცემა).

„რა მოვიგონო ახლა, რომ დავარწმუნო?“ – ვფიქრობ გამწარებული. მოსკოველი ჟურნალისტი ქალია ჩამოსული – ანა დიმიტრი-




ევა. რიგრიგობით უნდა გადავცეთ რეპორტაჟი კორტებიდან.

– ანა, – ვთხოვე მეგობრულად, – რასაც მე ვიტყვი ამინდზე, შენც იგივე გაიმეორე, თუ გიყვარვარ-მეთქი.

რატომ უნდა ვყვარებოდი ანას, არ დამიზუსტებია და ვერც თვითონ გაიგო, მაგრამ, კოლეგიალობის გამო, სულგრძელად დამეთანხმა, – კარგიო!

– მაშ, ასე, – გავხსენი ასპარეზობა, – დღეს თბილისში, როგორც იტყვიან, აუტანელი სიცხეა... იწვის, იბუგება ყველაფერი. აი, ამჟამად ჩემ გვერდით ზის ჩემი მოსკოველი კოლეგა ანასტასია დიმიტრიევა, რომელიც დამეთანხმება, რომ თბილისში წარმოუდგენლად აუტანელი სიცხეა: ანასტასია, ჩტო ვი სკაჟეტე, ჟარკა, და?

– ჟარკა, ჟარკა, ჟარკა... – გაიმეორა „იაშკა“ თუთიყუშივით ანამ.

– ა ია, პრიამო სკაჟუ, – უფრო დავიბოხე ხმა, – პრიამო გარიტ... გარიტ სტალიცა გრუზიი – ტბილისი...

– და, ოჩენ ჟარკა, და... პრიამო გარიტ გოროდ! – იმეორებს ანაც, არადა, წვრილად, უჟმურად წინწკლავს და გრილა საშინლად.

ესეც ასეეე!..

მაშინ კი „გავიდა“ ჩემი „ნომერი“, მაგრამ, მალევე გაიშიფრა და გასამეორებლად ძალა დაკარგა.

ისე კი, შემდეგაც, როცა მოსკოვში მოვხვდებოდი, ანა დიმიტრიევა დამინახავდა თუ არა:

– ნუ კაკ, ნუგზარჩიკ, გარიტ ტბილისი?

– გარიტ, გარიტ! – ვიცინოდით ორ ხმაში.

**ნუგზარ ჯულელის ნაამბობის მიხედვით მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 237-79-91(საავარიო); 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 240-40-45; 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი); 243-81-78 (კანცელარია)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 11, 111, 275-20-85, 241-17-71, 241-17-72
35. საპატრულო პოლიცია 122
36. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 133“ 13; 254-70-04; 254-70-03
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 247-87-78; 571 478-778
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24-01 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაციები 177
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების გატანა 245-20-23
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-85-71
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 251-70-34; 241-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 239-95-08 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11




ISSN 1987-569X
9771987569002